

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №8

ვალდებულებითი და სამენარჩეო სამართალი

საძიებელი

ვალდებულებითი სამართალი

ვალდებულების შესრულების მიღება
არაუფლებამოსილი პირის მიერ

დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

პირგასამტეხლოს დაკისრება

ნარდობის ხელშეკრულება

იპოთეკით დატვირთული ქონების
კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის

საბანკო გარანტია

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება

მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული
ზიანის ანაზღაურება

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

უსაფუძვლო გამდიდრება

სამეწარმეო სამართალი

საწესდებო კაპიტალში უძრავი ქონების შეტანის წესი

პარტნიორის გარიცხვა

დირექტორის პასუხისმგებლობა

საზოგადოების წარმომადგენლობა

და ხელმძღვანელობა

დივიდენდის მოთხოვნის უფლება

ვალდებულებითი სამართალი

ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

ბანჩინება

№ას-1247-1176-2012

2 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. გ-მა სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: ლ. ა-სა და ბ. დ-ის მიმართ, თანხის დაკისრებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სარჩელის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით, ერთი მხრივ, ქ. გ-სა და, მეორე მხრივ, ლ. ა-სა და ო. ა-ს შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის მიხედვითაც ქ. გ-ი ვალდებული იყო გადაეხადა ლ. ა-ის 7000 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, მან აღნიშნული თანხა გადაუხადა ერთ-ერთ კრედიტორს ო. ა-ს და ეს თანხა გამოყენებულ იქნა ქ. გ-ის საჭიროებისამებრ. საქმეში წარმოდგენილია ო. ა-ის ხელწერილი, სადაც ის ადასტურებს აღნიშნულ ფაქტს. თუმცა 2011 წლის აგვისტოში ლ. ა-ამ მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ხსენებულ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რომელიც იძულებით აღსასრულებლად წარადგინა აჭარისა და გურიის აღსრულების ეროვნულ ბიუროში. ქ. გ-ს მიეცა 7-დღიანი ვადა სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ. ამასთან, საინკასო დავალებით მისი ანგარიშიდან ჩამოჭრილ იქნა ანგარიშზე არსებული თანხა.

მოსარჩელის მითითებით, მან ვალდებულება შეასრულა სრულად ანუ ლ. ა-ს საინკასო დავალებით თანხის ანგარიშიდან ჩამოჭრით უსაფუძლოდ გამდიდრდა და, შესაბამისად, ის ვალდებულია, დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული სარგებელი.

გარდა ამისა, მოსარჩელე ითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი ლ. ა-სა და ბ. დ-ეს შორის დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, ვინაიდან ის დადებულია მოჩვენებით, იმ განზრახვის გარეშე, რომ მოპყროლდა შესაბამისი იურიდიული შედეგი.

მოპასუხე ბ. დ-ემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ის წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს და არ არსებობს მას და ქ. გ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოპასუხე ლ. ა-ამ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ. გ-ს მის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება არ შეუსრულებია, არ გადაუცია 7000 აშშ დოლარი, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, საინკასო დავალებით მის საბანკო ანგარიშებს ჩამოეჭრა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა. მოპასუხეს მიაჩნია, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. გ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ქ. გ-ის მოთხოვნა 7000 აშშ დოლარისა და 7000 აშშ დოლარის 7%-ის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ქ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ. ა-ს ქ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 აშშ დოლარისა და 490 აშშ დოლარის, სულ 7490 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება, რომლის „გ“ პუნქტის მიხედვით ქ. გ-ი, ვალდებულია, გადაუხადოს ლ. ა-ს 7000 აშშ დოლარი, აქედან 2000 აშშ დოლარის გადახდა წარმოებს წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს, ხოლო დანარჩენი 5000 აშშ დოლარის გადახდა უნდა განხორციელდეს ლ. ა-სა და ო. ა-ის მიერ ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის თემის საკრებულოში შემავალ სოფ. მ-ი - სოფ. ა-ი მდებარე ქ. გ-ის საკუთრებაში არსებული და მამის, ვ. ა-ის გარდაცვა-

ლების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლებისა და ქ. გ-ის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის თანავე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებაზე 2011 წლის 18 აგვისტოს ამავე სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღმასრულებელმა განახორციელა სააღსრულებო წარმოება. საინკასო დავალების საფუძველზე ქ. გ-ის საბანკო ანგარიშიდან ჩამოირიცხა 10138.18 ლარი. აღნიშნული თანხიდან აღსრულების საფასურის გამოკლებით 9664.43 ლარი გადაერიცხა ლ. ა-ას წარმომადგენელ ბ. დ-ეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგინდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2011 წლის 11 იანვარს ლ. ა-სა და ბ. დ-ეს შორის დაიდო გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ლ. ა-ამ მის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურში დ. ა-ის ქ. №56 ბ-ში მდებარე №4 საცხოვრებელი ბინა, გადახდის განვადებით, მიჰყიდა ბ. დ-ეს 15000 აშშ დოლარად. მყიდველს 2000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 2011 წლის 11 იანვარს, ხოლო 13000 აშშ დოლარი – 2011 წლის 25 ივლისს, რომელიც იყო გამოსყიდვის ბოლო ვადა.

ზემოაღნიშნული გარიგება თავად გარიგების მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

2011 წლის 20 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ბ. დ-ე საჯარო რეესტრში აღირიცხა ხელვაჩაურში დ. ა-ის ქ. №56 ბ-ში მდებარე №4 საცხოვრებელი ბინის შესაკუთრედ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებაზე 2011 წლის 18 აგვისტოს ამავე სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორებად მითითებულია დედა-შვილი ლ. ა-ა და ო. ა-ი. ასევე დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ სადავო ქონება სოფ. ა-ი 2006 წელს ო. ა-მა და ლ. ა-ამ გაათავისუფლეს და ნებაყოფლობით გადასცეს ქ. გ-ს.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. გ-სა და ო. და ლ. ა-ს შორის 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით დამტკიცებული მორიგების შემდგომ დღემდე მითითებულ დავასთან დაკავშირებით, რაიმე დამატებითი შეთანხმება არ ყოფილა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებაში მითითებული 7000 აშშ დოლარი უშუალოდ მიიღო ო. ა-მა – ერთ-ერთმა კრედიტორმა, რასაც ადასტურებს თავად ო. ა-ი საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით. იგი ამავე დოკუმენტში განმარტავს, რომ თანხა მიიღო მან პირადად და ის გამოიყენა საჭიროებისამებრ, დედის მკურნალობისა და სხვა სახის ხარჯებისათვის.

ო. ა-ი დედას პერიოდულად უგზავნიდა გარკვეულ თანხას, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი საბანკო დოკუმენტებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული მორიგებით განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში თანხის გადაცემის ნაწილში კრედიტორებად წარმოდგენილი არიან ლ. და ო. ა-ი, მოვალე კი, ქ. გ-ა; უძრავი ქონების განთავისუფლების ნაწილში, კრედიტორს წარმოადგენს ქ. გ-ი, მოვალეებს კი – ლ. და ო. ა-ი. მხარეთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია თანმიმდევრობით, ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულებაზე, შესაბამისად, მას შემდეგ, რაც ქ. გ-ის მიერ შესრულდა ვალდებულება, ანუ თანხა გადახდილ იქნა ერთ-ერთი კრედიტორის, ო. ა-ის, ო. ა-მა და ლ. ა-ამ ამის სანაცვლოდ ნებაყოფლობით ჩააბარა ქ. გ-ს ხელვაჩაურში სოფ. ა-ი მდებარე სადავო უძრავი ქონება. ო. და ლ. ა-მა აღნიშნული ქონება ნებაყოფლობით გაათავისუფლეს 2006 წელს და ამჟამადც არ ფლობენ მას, აგრეთვე, დადგენილია, რომ აღნიშნული მორიგების აქტის შემდგომ, მხარეებს შორის რაიმე სხვა სახის შეთანხმება არ გაფორმებულა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2006 წლიდან 2011 წლამდე ლ. ა-ას რაიმე პრეტენზია ან სადავო თანხის და ან უძრავი ქონების გათავისუფლებასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს.

გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 455-ე, 458-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ქ. გ-მა 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა მთლიანად.

პალატამ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ქ. გ-ის სარჩელი მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

რაც შეეხება მოთხოვნას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 477-ე, 56-ე, 185 მუხლებზე მითითებით და იმ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, რომ 2011 წლის 20 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები (ლ. ა-ა – გამყიდველი და ბ. დ-ე – მყიდველი) სადავოდ არ ხდიან არც ხელშეკრულებას და არც ნასყიდობის თანხის გადაცემისა და უძრავი ქონების საკუთრებაში მიღების ფაქტს, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველები არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამდენად, პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ არ არსებობდა, სადავო გარიგების მოჩვენებითად მიჩნევისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, ქ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, ლ. ა-ას ქ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 აშშ დოლარისა და 490 აშშ დოლარის, სულ 7490 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, აგრეთვე, ჩარიცხული სახელმწიფო ბაჟის 854 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ამ, მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია მტკიცებულებათა არასწორი შეფასების შედეგად, ამასთან, პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი.

კასატორი პრეტენზიას აცხადებს ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, ის მიუთითებს, რომ პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება ქ. გ-ის საბანკო ანგარიშიდან 10138.18 ლარის გადმორიცხვის თაობაზე, საიდანაც 9664.43 ლარი გადაერიცხა ლ. ა-ას წარმომადგენელ ბ. დ-ეს და განმარტავს, რომ საინკასო დავლებით გადმორიცხული 11121.50 ლარი შეადგენს 6089.95-ს და არა 7000 აშშ დოლარს, შესაბამისად, პალატამ არასწორად გამოიანგარიშა აღნიშნული თანხის ოდენობა, რის საფუძველზეც არასწორად გამოიანგარიშა სახელმწიფო ბაჟი. ის გაცდა მოთხოვნის ფარგლებს და მოპასუხეს დააკისრა იმაზე მეტი, ვიდრე მოსარჩელე ითხოვდა.

კასატორის განმარტებით, მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინება შედგება რამდენიმე პუნქტისაგან, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, თანხის მიღების ნაწილში კრედიტორს წარმოადგენს მხოლოდ ლ. ა-ა. განჩინების იმ ნაწილში კი, რომელიც ეხება სოფელ ა-ი მდებარე სადავო ბინის განთავისუფლებას მოვალედ მითითებულია არა მარტო ლ. ა-ა, არამედ ო. ა-იც. რაც შეეხება სადავო ბინის ნებაყოფლობით განთავისუფლების ფაქტს, ლ. ა-ა ამ ფაქტს აღიარებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მან და მისმა შვილმა სოფელ ა-ი მდებარე უძრავი ქონება ნებაყოფლობით გაათავისუფლეს 2006 წელს, არა ქ. გ-ის მიერ ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, არამედ იმ მიზეზით, რომ მას შეეშინდა 50000 ლარი არ ჰქონოდა გადასახდელი ბინის განთავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

კასატორი, აგრეთვე, მიუთითებს, რომ, მართალია ო. ა-ი ლ. ა-ას დროდადრო ურიცხავდა თანხას, მაგრამ საქმის მასალებით არ არის დადგენილი, რომ ეს იყო ის თანხა, რომელიც ქ. გ-მა მას გადასცა, ის ფულს უგზავნიდა ლ. ა-ას, როგორც შვილი დედას, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა.

პალატამ არასწორად დაადგინა, რომ ლ. ა-ა უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რადგან ერთადერთ კრედიტორს თანხის – 7000 აშშ დოლარის აღების ნაწილში წარმოადგენდა ლ. ა-ა და არა ო. ა-ი, რასაც ადასტურებს თავად მოსარჩელე, როგორც სარჩელში, ასევე სააპელაციო საჩივარში.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, კასატორს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ქ. გ-ი ვალდებულია გადაუხადოს ლ. ა-ას 7000 აშშ დოლარი, აქედან 2000 აშშ დოლარის გადახდა წარმოებს წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მეორე დღეს, ხოლო დარჩენილი 5000 აშშ დოლარის გადახდა უნდა განხორციელდეს ლ. ა-სა და ო. ა-ის მიერ ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის თემის საკრებულოში შემავალ სოფ. მ-ი - სოფ. ა-ი მდებარე ქ. გ-ის საკუთრებაში არსებული და მამის ვ. ა-ის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლებისა და ქ. გ-ის გადაცემისთანავე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ, ასევე დადგენილია, რომ მითითებული განჩინების საფუძველზე გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად ქ. გე-ის საბანკო ანგარიშიდან ჩამოირიცხა 10138.18 ლარი, საიდანაც აღსრულების ხარჯების გამოკლებით 9664.43 ლარი გადაერიცხა ლ. ა-ას წარმომადგენელ ბ. დ-ეს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელვაჩაურის სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებაში მითითებული 7000 აშშ დოლარი უშუალოდ მიიღო ერთ-ერთმა კრედიტორმა. მიღების ფაქტს ადასტურებს თვით ო. ა-ი საქმეში არსებული წერილობითი დოკუმენტით. იგი ამავე დოკუმენტში განმარ-

ტავს, რომ თანხა გადაეცა მას პირადად და ეს თანხა მოხმარდა დედის რჩენასა და მკურნალობას, ბინის ქირას და სხვა.

სააპელაციო პალატამ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ა-ი დედას პერიოდულად უგზავნიდა გარკვეულ თანხას, რაც დადასტურებლად მიიჩნია საქმეში არსებული საბანკო ამონაწერების მიხედვით.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და სადავო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ისმის შემდეგი კითხვები: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით, მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგებისა და ამის საფუძველზე გაცემული სააღსრულებლო ფურცლის თანახმად, 7000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში ქ. გ-ის კრედიტორებს წარმოადგენდნენ ლ. ა-ა და ო. ა-ი თუ მხოლოდ ლ. ა-ა; იმ შემთხვევაში თუ კრედიტორს წარმოადგენდა მხოლოდ ლ. ა-ა, ქ. გ-ის მიერ ო. ა-ის თანხის გადახდით შეასრულა თუ არა მან ვალდებულება ლ. ა-ას სასარგებლოდ.

უპირველეს ყოვლისა, გავამახვილოთ ყურადღება პროცესუალური ხასიათის პრეტენზიებზე. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა სათანადოთ საქმეში არსებული მტკიცებულებები და არასწორად მიიჩნია, რომ ქ. გ-ის კრედიტორს 7000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში ლ. ა-ას გარდა წარმოადგენდა, ასევე ო. ა-ი.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე (მაგალითად, მტკიცებულების არ შეფასება ან არასათანადოთ შეფასება), რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა ან დაუდგენლობა, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სამართლებრივმატერიალური ნორმის არასწორად გამოყენებით ან განმარტებით.

ამდენად, კასატორი უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულების არასათანადოთ შეფასებაზე, რაც გავლენას ახდენს სამართლებრივ შედეგებზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებაზე 2011 წლის 18 აგვისტოს გაცემულ სააღსრულებლო ფურცელზე, რომლის ტანახმად, ორივე მხარეს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ, როგორც უფლებები, ასევე – ვალდებულებები. კონკრეტულ შემთხვევაში, განსახილველი დავიდან გამომდინარე, ინტერესს წარმოადგენს ქ. გ-ის 7000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლების მქონე პირის განსაზღვრა.

კასატორის საკასაციო პრეტენზიების გათვალისწინებით ყურადსაღებია ამ დოკუმენტში მითითებული 7000 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში მოთხოვნის უფლების მქონე პირი, კერძოდ, სააღსრულებლო ფურცლის „გ“ პუნქტში მითითებულია, რომ „ქ. გ-ი ვალდებულია, გადაუხადოს ლ. ა-ას 7000 აშშ დოლარი...“ ასევე „დ“ პუნქტში მითითებულია, რომ ლ. ა-ა და ო. ა-ი იღებენ ვალდებულებას, „ლ. ა-ის მიერ თანხის მიღების შემდეგ“ არ აღძრან სარჩელი და ა.შ.

ამავე დოკუმენტის „ბ“ პუნქტში, ასევე მითითებულია, რომ ლ. ა-ა და ო. ა-ი ვალდებული არიან, ლ. ა-ის მიერ ქ. გ-ან შესაბამისი თანხის მიღების და გარკვეული პირობების დაცვით გამოათავისუფლონ და გადასცენ ქ. გ-ს ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი.

ამდენად, მითითებული დოკუმენტი ცხადყოფს, რომ მხარეებს გააჩნდათ სხვადასხვა ვალდებულებები, რასაც სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების და ამის საფუძველზე გაცემული სააღსრულებლო ფურცელი და დაადგინოს გამომდინარეობდა თუ არა ამ დოკუმენტიდან, რომ ქ. გ-ის მიერ 7000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება მხოლოდ ლ. ა-ას მიმართ უნდა შეესრულებინა თუ, ასევე ო. ა-ის მიმართაც.

იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ქ. გ-ს ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა ლ. ა-ას მიმართ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს არაუფლებამოსილი პირის (ო. ა-ი) მიერ შესრულების მიღების სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალე ვალდებულია, შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც, კანონით, ან სასამართლო გადაწყვეტილებით უფლებამოსილია, მიიღოს შესრულება, მაგალითად, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით შესრულების მიღების უფლებას ანიჭებს არასრულწლოვანის მშობლებს ან მეურვეებს და ა.შ.

ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შესრულებულად, თუკი კრედიტორმა ამის თანხმობა განაცხადა ან მიიღო შესრულებისგან სარგებელი.

ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ფარდობითი (რელატიური) ურთიერთობაა, შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა შეზღუდულია მოვალით. მოვალე ვალდებულებას ასრულებს კრედიტორის წინაშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი ითვალისწინებს იმ სამართლებრივ მარეგულირებელ მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს ერთი მხრივ უფლებამოსილ პირებს, ვის მიმართაც, მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, კერძოდ, ეს პირები არიან უშუალოდ კრედიტორი, ასევე კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი შესრულების მიღების უფლებამოსილი პირები, ხოლო მეორე მხრივ კანონი განსაზღვრავს არაუფლებამოსილი პირების მიერ ვალდებულების შესრულების მიღების წესებს, რა დროსაც ვალდებულება შესრულებულად ითვლება, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც არსებობს არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების კრედიტორის თანხმობა ან როდესაც ამ შესრულებით კრედიტორი იღებს სარგებელს. განსახილველ შემთხვევაში, არც პირველი და არც მეორე შემთხვევა გამოკვლეული არ არის.

სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა საქმეში წარმოდგენილ ო. ა-ის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის განჩინებაში მითითებული 7000 დოლარი უშუალოდ გადაეცა მას (ო. ა-ს) პირადად და ეს თანხა მოხმარდა დედის რჩენას, მკურნალობას, ბინის ქირას და სხვა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ის გარემოება, რომ ამ განცხადების მიხედვით სადავო თანხა ო. ა-იმ გადასცა ლ. ა-ას, ზემომითითებულ მტკიცებულებებთან ერთობლივად შეფასების მიხედვით (სსკ-ის 105-ე მუხლი) შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ამ თანხის მიღების უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა ლ. ა-ა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ (როგორც ეს დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ) „ეს თანხა მოხმარდა დედის რჩენას, მკურნალობას, ბინის ქირას და სხვა“, ანუ ყურადღება გამახვილებულია კრედიტორისათვის არა თანხის გადაცემაზე, არამედ იმაზე, რომ ეს თანხა კრედიტორს მოხმარდა სხვაგვარად. სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ ო. ა-ის განცხადებას, მაგრამ არ იკვლევს, მიიღო თუ არა სარგებელი ლ. ა-ამ.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას და დამატებით განმარტავს, რომ მითითებული გარემოებები წარმოადგენენ სადავოს და, შესაბამისად, იმ მხარემ, რომელიც ამ გარემოებებს იწვევს (სსკ-ის 373-ე მუხლის მიხედვით), თავისი სამართლებრივი პოზიციის დასასაბუთებლად უნდა დაამტკიცოს (საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე), თანახმა იყო თუ არა ლ. ა-ა, 7000 აშშ დოლარი მიეღო ო. ა-ს და მიიღო თუ არა ეს თანხა ამ უკანასკნელმა ანდა ო. ა-ის ვალდებულების შესრულებით, მიიღო თუ არა სარგებელი ლ. ა-ამ (სსკ-ის 373-ე მუხლი).

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება ო. ა-ის მიერ დედისთვის პერიოდულად თანხის გაგზავნის თაობაზე. გადაწყვეტილებით არ ირკვევა, თუ რომელ თანხაზეა ყურადღება გამახვილებული.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება (იხ. სასამართლო პრაქტიკა ან-951-989-2011 10.11.2011 წ.).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ა-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1251-1180-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ბ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. გ-ის მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 7 თებერვალს მოსარჩელესა და მ. ნ-ს შორის გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება. სესხად გაიცა 45000 აშშ დოლა-

რი, 3 თვის ვადით, თვეში 3% სარგებლით, გირავნობის საგანს წარმოადგენდა მოვალე მ. ხ-ის კუთვნილი წილის უფლება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ში“, 1-ლ სადარბაზოში, მე-11 სართულზე მდებარე 80 კვ.მ ბინაზე. ნასესხები თანხა, დადგენილი ვადის თანახმად, არ დაბრუნებულა და 2009 წლის 19 ოქტომბრის თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ. ფ-ის განკარგულების საფუძველზე გირავნობის საგანი მოსარჩელემ აუქციონზე 41940 ლარად იყიდა, რომელმაც აღნიშნული განკარგულების საფუძველზე მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა წილის რეგისტრაცია, რაზეც მიიღო უარი იმ მოტივით, რომ წილს საგადასახადო ორგანოები არეგისტრირებს. 2009 წლის 10 დეკემბერს ვ. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვა ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ში“ აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე ცვლილების რეგისტრაცია, რაზედაც ასევე უარი მიიღო იმ მოტივით, რომ მას უნდა წარმოედგინა საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ამხანაგობის უფლებამოსილი პირის (თავმჯდომარის) განკარგულება, რის გაცემასაც ამხანაგობის თავმჯდომარემ უარი განაცხადა. მ. ხ-ის წარმომადგენელმა ზ. მ-ემ ჩაიბარა მოსარჩელისგან განცხადება და თანდართული დოკუმენტების პაკეტი, თუმცა იგი შესაბამისი პასუხის გარეშე დატოვა და პრეტენზიის განხილვის მიზნით ვ. ბ-ის ნოტარიუს ნ. გ-ან წაიყვანა, რომლის მიერაა გაფორმებული ყველა სადამფუძნებლო საბუთი, ამხანაგობის რეგისტრაციის დოკუმენტაცია და კრების ოქმები, მათ შორის, უძრავი ქონების გაყოფის ხელშეკრულება. ნოტარიუს ნ. გ-ან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ხ-მა გაყიდა ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ში“ მდებარე თავის სახელზე რიცხული უძრავი ქონება, შესაბამისად, გამოირიცხა აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა, რადგან იგი არც მ. ხ-ის და არც ამხანაგობის სხვა წევრის სახელზე რეგისტრირებული არ არის. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი გირავნობის უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა არარსებულ ქონებაზე, რაც გამონეუული იყო ნოტარიუს ნ. გ-ის კანონშეუსაბამო მოქმედებით, კერძოდ, მან უგულვებლყო მისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობები და არასწორად შეაფასა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასაც მოჰყვა კიდევ გარიგების დადება არსებული სახით.

მოპასუხე ნ. გ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: ნოტარიუსის ქმედება იყო კანონშესაბამისი, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რასაც მისივე წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს. მოპასუხემ განმარტა, რომ ვ. ბ-ის მოთხოვნის ადრესატი შეიძლება მხოლოდ ზიანის მიმყენებელი იყოს, ნ. გ-ს კი, მისთვის რაიმე სახის ზიანი არ მიუყენებია, რის გამოც სრულიად გაუგებარი ხდება მის მიმართ არსებული საფუძვლებით მოთხოვნის წაყენება, რადგან, როგორც მოპასუხე უთითებს, იგი არც მოვალეა და მოსარჩელისათვის არც რაიმე ზიანი არ მიუყენებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვ. ბ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 7 თებერვლის სანოტარო აქტით დამონმებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე; ვ. ბ-ს უარი ეთქვა ნ. გ-სა და მ. ხ-ის მიმართ სოლიდარულად 83 790 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების თაობაზე; წარმოება შეწყდა მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილში ნ. გ-სა და მ. ხ-ის მიმართ 45 000 აშშ დოლარის, როგორც სესხის ძირითადი თანხის, პირგასამტეხლოს ყოველ დღეზე 90 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 1748.4 ლარის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინებით ვ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ბ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის განჩინებით ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, უარი ეთქვა ვ. ბ-ის მოთხოვნას 2008 წლის 7 თებერვლის სანოტარო აქტით დამონმებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე, უარი ეთქვა ვ. ბ-ის მოთხოვნას მ. ხ-სა და ნ. გ-ის სოლიდარულად 83 790 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 6009.22 ლარის დაკისრების თაობაზე; შეწყდა საქმის წარმოება მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილში ნ. გ-სა და მ. ხ-ის მიმართ 45 000 აშშ დოლარის, როგორც ძირითადი სესხის თანხის, პირგასამტეხლოს ყოველ დღეზე 90 აშშ დოლარის (2008 წლის 7 აგვისტოდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე) და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 1748.4 ლარის დაკისრების თაობაზე შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებით:

2008 წლის 7 თებერვალს მ. ხ-სა და ვ. ბ-ს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ვ. ბ-მა მ. ხ-ს ასესხა 45 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით. სესხის ხელშეკრულებასთან ერთად, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, დაიდო გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ხ-მა დააგირავა კუთვნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, კერძოდ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ში“ წილის უფლება მშენებარე მრავალბინიანი სახლის პირველი სადარბაზოს მე-11

სართულზე 80 კვ.მ ფართი. ხელშეკრულების მიხედვით სესხისათვის გათვალისწინებული სარგებელი განსაზღვრა თვეში 3%-ი.

პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა: ა) 2008 წლის 7 თებერვლის ნოტარიუს ნ. გ-ის მიერ დამოწმებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა გირავნობის ნაწილში; ბ) მ. ხ-სა და ნ. გ-ის ზიანის ანაზღაურების სახით სოლიდარულად 83 790 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 6009.22 ლარის დაკისრება. მოსარჩელე, სარჩელის დაკმაყოფილებას მოპასუხეებისათვის, მ. ხ-სა და ნ. გ-ის ვალდებულების სოლიდარულად დაკისრებით ითხოვს.

საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია რა ფაქტობრივი გარემოებები, გირავნობის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ მ.ხ-ის უფლება ჰქონდა, დაეგირავებინა მისი კუთვნილი წილის უფლება ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა ვ. ქუჩა №4-ში.

სამოქალაქო საქმეთა პალატა დაეთანხმა სასამართლოს ამ დასკვნას, თუმცა აქვე მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევდა არა მ. ხ-ის უფლებას საკუთრებაში არსებული წილის დაგირავებაზე, არამედ სადავო ხელშეკრულებაში აღნიშნული გირავნობის საგნის გირავნობის ხელშეკრულებაში მითითებული ნიშნებით – ვ. ქუჩა №4-ში მშენებარე მრავალბინიანი სახლის მე-11 სართულზე არსებული 80 კვ.მ განსაზღვრას და ამგვარი მახასიათებლების მქონე ნივთის, მ. ხ-ის საკუთრებაში არ არსებობის გამო, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების არაკანონიერად გამოყენებას.

პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლი. კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებმა გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივი საშუალება – გირავნობა. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ გირავნობის ხელშეკრულებაში სესხის ხელშეკრულება უზრუნველყოფილ იქნა მ. ხ-ის კუთვნილი წილის უფლებით, კერძოდ, ვ. ქ. №4-ში, მე-11 სართულზე მდებარე 80 კვ.მ ფართით. ამავე ხელშეკრულებით შემონიშნა ის ფაქტი, რომ გირავნობის საგანი – წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ვ. ქ. №4-ში საკუთრების უფლება ნამდვილად ეკუთვნის მ. ხ-ს – თანახმად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ის“ 2005 წლის 12 ივლისის სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა. საქმეში წარმოდგენილია ასევე მითითებული სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, მ. ხ-ს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში ეკუთვნის გასანაწილებელი ბინების 30%. აღნიშნული ხელშეკრულება მ. ხ-ის უფლებასთან დაკავშირებით არ მოიცავს მითითებას საცხოვრებელი ბინის კონკრეტულ სართულზე დაზუსტებული ფართის განთავსების თაობაზე. ამდენად, სესხისა და გირავნობის სადავო ხელშეკრულებაში მითითებული გირავნობის საგანზე – პირველ სადარბაზოში მე-11 სართულზე განთავსებულ 80 კვ.მ-ზე მ. ხ-ის წილის უფლების განსაზღვრის საფუძვლიანობა გირავნობის წარმოშობის დროისათვის არ დგინდება.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვ. ბ-მა სადავო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებით განიცადა ქონებრივი ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მ. ხ-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით ვერ იქნა გარანტირებული. მართალია, ვ.ბ-ი, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების იძულებით აღსასრულებლად აუქციონზე რეალიზებული ქონების – ქ.თბილისში, ვ. ქ. №4-ში, 1-ლ სადარბაზოში, მე-11 სართულზე არსებული 80 კვ.მ ფართის მყიდველი გახდა, მაგრამ ნივთის საკუთრებაში მიღება კანონით გათვალისწინებული წესით (საჯარო რეესტრში აღრიცხვა) ვერ განხორციელდა ნივთის ზემოდასახელებული ნიშნებით არარსებობის გამო. აღნიშნულით მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებამ თავისი ძირითადი დანიშნულება ვერ შეასრულა და ვალდებულების დარღვევით – მსესხებლის მიერ სესხის დაუბრუნებლობით გამოწვეული შეუსრულებლობა ვერ ჩაანაცვლა, შესაბამისად, კრედიტორმა აშკარად მიიღო ზიანი.

კრედიტორისათვის (მოსარჩელისათვის) მიყენებულ ზიანში მოპასუხეების ბრალის დადგენისა ან გამორიცხვის მიზნით პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: დადგენილია, რომ 2008 წლის 7 თებერვალს მ. ხ-სა და ვ. ბ-ს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვ. ბ-მა მ. ხ-ს ასესხა 45 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით, სარგებელი 3%-იანი სარგებლით. ამავე ხელშეკრულებით სესხის უზრუნველყოფის მიზნით მ. ხ-მა დააგირავა თავისი კუთვნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქუჩა №4“-ში, კერძოდ, უფლება ქ. თბილისში, ვ. ქ. №4-ში მშენებარე მრავალბინიანი სახლის 1-ლი სადარბაზო მე-11 სართულზე 80 კვ.მ ფართზე. დადგენილია ასევე, რომ სესხისა და გირავნობის სადავო ხელშეკრულებაში მითითებული გირავნობის საგანზე – პირველ სადარბაზოში, მე-11 სართულზე არსებულ 80 კვ.მ-ზე მ. ხ-ის წილის უფლების განსაზღვრის საფუძვლიანობა გირავნობის წარმოშობის დროისათვის არ დგინდებოდა. გირავნობის წარმოშობის დროისათვის საქმეში წარმოდგენილი სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, მ. ხ-ს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში ეკუთვნოდა გასანაწილებელი ბინების 30%. აღნიშნული ხელშეკრულება მ. ხ-ის უფლებასთან დაკავშირებით არ მოიცავდა მითითებას საცხოვრებელი ბინის კონკრეტულ სართულზე დაზუსტებული ფართის არსებობის თაობაზე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მ. ხ-ი წარმოადგენდა რა ხელშეკრულების მხარეს, გამოხატა რა ნება ხელშეკრულების დასაღებად, მას უნდა სცოდნოდა, თუ რეალურად რა სახის ქონება იყო მის საკუთრებაში, რა ნივთს სთავაზობდა კონტრაქტის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მ. ხ-ი წარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქუჩა №4-ის“ თავმჯდომარეს. ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ხ-ი დამდგარ ზიანთან მიმართებით მოქმედებდა ბრალეულად.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 258.2-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ დადგენილია, რომ სესხისა და გირავნობის სადავო ხელშეკრულებაში მითითებული გირავნობის საგანზე – პირველ სადარბაზოში მე-11 სართულზე განთავსებულ 80 კვ.მ-ზე მ. ხ-ის წილის უფლების განსაზღვრის საფუძვლიანობა გირავნობის წარმოშობის დროისათვის არ დგინდებოდა.

სამოქალაქო კოდექსის 3.2-ე მუხლზე მითითებით, პალატამ მიიჩნია, რომ ვ. ბ-მა გამოხატა რა ნება სადავო ხელშეკრულების დადების თაობაზე, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან და წინდახედულობის ნორმიდან გამომდინარე, მას გააჩნდა ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმიერად შეემოწმებინა გირავნობის საგანი, რაც არ შეუსრულებია, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის წარმოშობას ასევე ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 12 ივნისს, უძრავი ქონება მდებარე ქ.თბილისში, ვ. ქუჩა №4 საჯარო რეესტრში აღირიცხა იბა „ვ. ქუჩა 4-ის“ საკუთრებად. ვ. ბ-ს წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო, გადაემოწმებინა და გაერკვია სადავო უძრავი ნივთის ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლების არსებობის საკითხი და კანონით დადგენილი წესით მოეხდინა არსებული ვალდებულების სხვაგვარი უფლებრივი უზრუნველყოფა უძრავი ნივთების რეესტრში, რაც მას არ განუხორციელებია. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო ასევე დაზარალებულის მოქმედებამაც, ამდენად, ზიანის მიღებაში იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით გათვალისწინებული დაზარალებულის ბრალი.

პალატამ მიიჩნია, რომ ნოტარიუსმა ნ. გ-მა სადავო გარიგების დადასტურების დროს უგულებელყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის N2359 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“.

პალატამ აღნიშნა, რომ სანოტარო აქტში, რომელშიც აისახა მხარეთა შორის დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსმა დაადასტურა, რომ მ. ხ-ის საკუთრების უფლება გირავნობის საგანზე დგინდებოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, რომელიც ასევე დადასტურებული იყო იმავე ნოტარიუსის მიერ და სადაც აღნიშნული იყო, რომ მ. ხ-ს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში ეკუთვნოდა გასანაწილებელი ბინების 30%, საცხოვრებელი ბინის კონკრეტულ სართულზე დაზუსტებული ფართის განთავსების თაობაზე მითითების გარეშე. გარიგების დადებისას ნოტარიუსმა დაადასტურა რა მხარეთა შორის დადებული გარიგების შინაარსი და კანონიერება, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანზე მ. ხ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიუთითა ამხანაგობის ხელშეკრულება, რომლითაც გირავნობის საგნის იმ ნიშნებით არსებობა, რაც სადავო გარიგებაშია მითითებული, არ დგინდებოდა. ამდენად, ნოტარიუსმა სადავო გარიგების დადებისას არ დაადგინა გარიგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების არსებობა, რომლებსაც ვ. ბ-ი, როგორც გარიგების მხარე, განიხილავდა ხელშეკრულების დადების ძირითად საფუძვლად. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ დაშვებული ზემოაღნიშნული შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, რაც მის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენდა, ზიანი არ დადგებოდა, რადგან, ვ. ბ-ს რომ სცოდნოდა ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ, იგი მ. ხ-ს არ დადებდა სესხის ხელშეკრულებას, რადგან, მოსარჩელე ვ. ბ-ის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით გირავნობის საგნის არსებობას ხელშეკრულების დადების ძირითად საფუძვლად მიიჩნევდა.

პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი, რის გამოც ნაწილობრივ ბათილად უნდა ცნობილიყო 2008 წლის 7 თებერვალს მ. ხ-სა და ვ. ბ-ს შორის დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც დაგირავებულ იქნა მ. ხ-ის კუთვნილი წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ში“, პირველ სადარბაზოში, მეთორმეტე სართულზე მდებარე ბინა ოთხმოც (80) კვ.მ საერთო ფართის მქონე №1 ბინაზე.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 408.1-ე, 992-ე, 415-ე მუხლებით, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ დამდგარ ზიანთან მიმართებით მხარეთა პასუხისმგებლობის ხარისხი უნდა გადანაწილებულიყო შემდეგნაირად: მ. ხ-ს – 40%-ით, ვ. ბ-ს – 40%-ით და ნოტარიუს ნ. გ-ს – 20%-ით.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ბ-ის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მ. ხ-სა და ნ. გ-ის სოლიდარულად 83 790 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 6009.22 ლარის დაკისრება. გამომდინარე იქიდან, რომ დამდგარ ზიანთან მიმართებით მოპასუხეთა პასუხისმგებლობის ხარისხი გადანაწილდა შემდეგნაირად: მ. ხ-ს – 40% და ნოტარიუს ნ. გ-ს – 20%, მიიჩნია, რომ ნ. გ-ს ვ. ბ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისრებოდა 16 758 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 1201,84 ლარის ანაზღაურება. ხოლო მ. ხ-ს – 33 516 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 2403,68 ლარის ანაზღაურება.

პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება მის მიერ მიღებული ზიანის ოდენობის თაობაზე.

აღნიშნულთან მიმართებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ვ. ბ-ის საარბიტრაჟო პრეტენზია მთლიანად დაკმაყოფილდა და მოპასუხე მ. ხ-ს დაეკისრა 45 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – სესხის ძირითადი თანხა; 90 აშშ დოლარი – შესაბამისი ეკვივალენტი ლარში – ყოველდღიურად – 2008 წლის 7 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე სესხის ძირითადი თანხის 0,2%, ასევე 1748,4 ლარი – პრეტენდენტ ვ. ბ-ის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი. პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ აღნიშნულ მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო სსკ-ის 272-ე მუხლის „ვ“ და „ა“ პუნქტების შესაბამისად, ვინაიდან

დავა უკვე განხილული იყო კერძო არბიტრაჟის მიერ, რომლის გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში (ასევე არის უკვე აღსრულებული).

პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით განეული დანახარჯების თაობაზე, გამომდინარე იქედან, რომ საჯარო აუქციონზე უფლებების რელიზაცია განხორციელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის და „სამოქალაქო კოდექსის“ დებულებების შესაბამისად. საჯარო აუქციონში მხარე მონაწილეობს თავისი ფინანსებით და თავისი რისკით. ამიტომ მოსარჩელეს თუ რაიმე პრეტენზია შეიძლება გაუჩნდეს, აღნიშნული პრეტენზიის ადრესატი არ შეიძლება იყოს მოპასუხე. მოცემულ შემთხვევაში, აღსრულების ეტაპზე განეული მოსარჩელის რისკი და ფინანსები უკავშირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას და მოთხოვნის უზრუნველყოფას, რაც ვერ განხორციელდა სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით. შედეგად ვ. ბ-ს განეული ხარჯით გაეზარდა ზიანის ოდენობა, რაც, პალატის მოსაზრებით, პირდაპირ უკავშირდება სადავო გარიგების უზრუნველყოფის აღუსრულებლობით გამომწვეულ ზიანს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ბ-მა და ნ. გ-მა.

კასატორმა ვ. ბ-მა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებულ ნაწილში, გადაწყვეტილება გამოტანილია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი ანაზღაურების შედეგად, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, მართალია სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამართლის ის ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწორად განმარტა იგი.

კასატორის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად სრულად გაიზარა მათი სამართლებრივი არგუმენტაცია, როგორც მოპასუხეთა ქმედებაში ბრალეულობის ნიშნების, ისე ზიანის არსებობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას სადავო საკითხის არსებითად სწორად გადაწყვეტის თვალსაზრისით დაეთანხმნენ, მაგრამ აქვთ საფუძვლიანი პრეტენზია მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლების განაწილებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე აპელირებით, დამდგარი ზიანის ფარგლებში, მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლები იმგვარად განსაზღვრა, რომ ვ. ბ-სა და მ. ხ-ის ბრალეულობა 40-40%-ით დაადგინა, ხოლო ნოტარიუსის ბრალის ხარისხი განსაზღვრა 20%-ით, რაც არ შეესაბამება, როგორც დავის ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ლოგიკურ სამართლებრივ ანალიზს, ისე თავად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემულ ფაქტობრივ და სამართლებრივ შეფასებებს.

კასატორის აზრით, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები სწორედ ნოტარიუსის მიერ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში დაკისრებული ფუნქციის არაჯეროვნად განხორციელებით და კანონის უხეში დარღვევით არის არგუმენტებული. აღნიშნულს ადასტურებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4. პუნქტის მე-5 აბზაცი, რომელშიც სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნოტარიუსის მიერ დაშვებული შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, რაც მის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენდა, ზიანი არ დადგებოდა, რადგან ვ. ბ-ს რომ სცოდნოდა სადავო ფაქტის შესახებ, იგი მ. ხ-ს არ დადებდა სესხის ხელშეკრულებას, ვინაიდან ვ. ბ-ის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით გირავნობის საგნის არსებობას ხელშეკრულების დადების ძირითად საფუძველად განიხილავდა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დამდგარი ზიანი უმთავრესად გამოიწვია ნოტარიუსის მოქმედებამ, რაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა კიდევ. ყოველივე ამის ფონზე კი, ზიანის წარმოშობაზე პასუხისმგებლობის 80% გარიგების მხარეებზე გაანაწილა, რაც ნამდვილად არ შეესაბამება საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათი სამართლებრივი ანალიზის შედეგებს. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით დადგენილი წესით გამოყენება უადგილო არ არის, მაგრამ აღნიშნული ნორმა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პასუხისმგებლობის ფარგლები ასე არაადეკვატურად განაწილდეს. აღნიშნული ნორმა სააპელაციო სასამართლომ პრაქტიკულად იმგვარად გამოიყენა, რომ თითქოს იგი სასამართლოს ფართო დისკრეციის საშუალებას აძლევდეს პასუხისმგებლობის ფარგლების განაწილებასთან დაკავშირებით, თუმცა ხსენებული ნორმა არაა თუ დისკრეციულ უფლებამოსილებას განსაზღვრავს, არამედ მისი უმთავრესი პრინციპი ისაა, რომ პასუხისმგებლობა ზუსტად და ადეკვატურად განაწილდეს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორი კვალიფიკაციის და სამართლებრივი შეფასების შედეგად.

ამდენად, პასუხისმგებლობა ყველაზე მეტად ნოტარიუსს ეკისრება ყველაზე დიდი რისკი მოცემულ შემთხვევაში ნოტარიუსის ქმედებაშია, რომელსაც ვ. ბ-ი სრულად ენდობოდა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს და რეალურად მისი იურიდიული მომსახურებით სარგებლობდა. შესაბამისად, თუ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის ქრილში ვ. ბ-ს განესაზღვრება ბრალეულობის რაიმე ხარისხი, ეს უკანასკნელი ყველაზე მინიმალური ოდენობით მასთან მიმართებაში უნდა დადგინდეს და არა ნოტარიუსის მიმართ.

კასატორმა ნ. გ-მა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ნ. გ-მა მონააღმდეგე მხარეს მიაყენა ზიანი და ეს ზიანი არის სესხის ძირითადი თანხის და პირგასამტეხლოს – სულ 83790 აშშ დოლარის 20%.

სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და ასევე არ შეისწავლა საქმის გარემოებები, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამოიტანდა ასეთ გადაწყვეტილებას და უკვე ერთხელ არბიტრაჟის მიერ დაკისრებულ თანხას, მით უფრო აღსრულებულ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა მეორედ, ასევე არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იქნა ბათილად ცნობილი 2008 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც აშკარაა და დავას არ ექვემდებარება ის გარემოება, რომ აღსრულება აღნიშნულ საქმეზე დასრულებულია, ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ აუქციონზე გაიყიდა უძრავი ქონება 41940 ლარად.

მოცემულ საქმეში ვ. ბ-ი გვევლინება ერთის მხრივ მოგირავნე კრედიტორად, ხოლო, მეორეს მხრივ, მოძრავი ქონების შემძენად. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მონააღმდეგე მხარე ვ. ბ-მა 19.10.2012 წელს აუქციონზე შეიძინა სადავო ქონება 41940 ლარად, ხოლო მონააღმდეგე მხარე ვ. ბ-მა, როგორც კრედიტორმა მიიღო სესხის და გირავნობის თანხა 41940 ლარი სააღსრულებო ბიუროდან. მოცემულ შემთხვევაში, დაუდგენელია და სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ დაუსაბუთებია, თუ მხარე რა სახით ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. როგორც იპოთეკარი, რომელმაც აღასრულა რა რეალიზაცია მოახდინა უძრავი ქონების აუქციონზე და აუქციონის შედეგად მიიღო 41940 ლარი, თუ როგორც შემძენი, რომელმაც შეიძინა სადავო უძრავი ქონება ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამართულ აუქციონზე. პირველ შემთხვევაში მხარემ იპოთეკარმა მიიღო ნივთის რეალიზაციით 41940 ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და სესხის და გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მხარემ მიიღო. მეორე შემთხვევაში კი ქონების შემძენმა შეიძინა ქონება, მაგრამ ვერ მიიღო აღნიშნული ქონების თანხა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე მხარედ უნდა იქნას მიჩნეული სააღსრულებო ბიურო ვინაიდან ამ უკანასკნელმა გაყიდა ქონება საჯარო რეესტრის მიერ მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ამ შემთხვევაში ნოტარიუსი არ გვევლინება როგორც მხარე.

ასევე სასამართლოს მიერ არ არის გამოკვლეული რეესტრის ამონაწერი, სადაც რეგისტრირებულია სადავო ხელშეკრულება, ასევე არ არის გამოკვლეული რის საფუძველზე მოახდინა აღმასრულებელმა ქონების აუქციონზე რეალიზაცია მაშინ როდესაც სააღსრულებო ფურცელში კონკრეტულად არ იყო მითითებული მოცემული ქონების რეალიზაცია, აღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მოხდა სწორედ ქონების ჯერ იპოთეკით დატვირთვა და შემდგომ მისი რეალიზაცია აუქციონზე.

ასევე სასამართლომ არ გამოიკვლია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლის საფუძველზე, საჯარო რეესტრმა არ მოახდინა ქონების რეგისტრაცია, აღნიშნული დოკუმენტი რომ ყოფილიყო სათანადო წესით გამოკვლეული, სასამართლო არ დააკმაყოფილებდა სარჩელს, იმ შემთხვევაშიც კი თუ საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა ქონების რეგისტრაციაზე არა იმ საფუძველზე რომ ეს ქონება არ არსებობს არამედ იმ საფუძველზე, რომ იგი არ ექვემდებარება რეგისტრაციას ეს მხარეს არ უკარგავს ქონებაზე საკუთრების მოპოვების უფლებას. მოცემულ შემთხვევაში მხარეს უჩნდება მოთხოვნის უფლება ამხანაგობის მიმართ და თუ ასეთი არ იქნა აღმოჩენილი არც შემდგომ ეტაპზე მას უჩნდება მოთხოვნის უფლება სააღსრულებო ბიუროს მიმართ ხოლო რაც შეეხება იპოთეკას იგი ვიდრე არ მოხდა მის საფუძველზე ქონების რეალიზაცია რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ბ-სა და ნ. გ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 7 თებერვალს მ. ხ-სა და ვ. ბ-ს შორის დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება იმ ნაწილში, რომლითაც დაგირავებულ იქნა მ. ხ-ის კუთვნილი წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქ.4-ში“, პირველ სადარბაზოში, მეთორმეტე სართულზე მდებარე ბინა ოთხმოც (80) კვ.მ საერთო ფართის მქონე №1 ბინაზე.

ნ. გ-ს ვ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 16 758 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 1201,84 (ერთი ათას ორას ერთი და 84) ლარის ანაზღაურება;

მ. ხ-ს ვ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 33 516 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 2403,68 (ორი ათას ოთხას სამი და 68) ლარის ანაზღაურება;

ვ. ბ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხეებისათვის; ნ. გ-სა და მ. ხ-ის 33 516 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 2403,68 (ორი ათას ოთხას სამი და 68) ლარის სოლიდარულად დაკისრებაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენს ზიანის მიღებაში მხარეთა ბრალეულობის დადგენასთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ხ-ი დამდგარ ზიანთან მიმართებაში მოქმედებდა ბრალეულად, ხოლო ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო ასევე დაზარალებულის მოქმედებამაც, ამდენად, სახეზეა დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით, შესაბამისად, პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრაში მიიჩნია, რომ მ. ხ-ი და ვ. ბ-ი ზიანის ანაზღაურებაში პასუხს აგებენ 40-40 პროცენტით.

რაც შეეხება ნოტარიუსის ქმედებას გარიგების დადებისას, მან დაადასტურა რა მხარეთა შორის დადებული გარიგების შინაარსი და კანონიერება, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანზე მ. ხ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიუთითა ამხანაგობის ხელშეკრულება, რომლითაც გირავნობის საგნის იმ ნიშნებით არსებობა, რაც სადავო გარიგებაშია მითითებული, არ დგინდებოდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსმა სადავო გარიგების დადებისას არ დაადგინა გარიგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების არსებობა, რომლებსაც ვ. ბ-ი, როგორც გარიგების მხარე, განიხილავდა ხელშეკრულების დადების ძირითად საფუძველად. შესაბამისად, ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრა 20 პროცენტით.

საკასაციო საჩივარი შემოტანილია, როგორც ვ. ბ-ის, ასევე ნოტარიუსს ნ. გ-ის მიერ. ვ. ბ-ი საკასაციო საჩივარში სადავოდ ხდის პასუხისმგებლობის გადანაწილების ზემოაღნიშნულ წესს და აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის მეტი წილი ეკისრება ნოტარიუსს და არა მხარეებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის ოდენობის გადანაწილების პრინციპი ამ შემთხვევაში უკავშირდება მხარეთა ბრალის ფორმასა და ხარისხის განსაზღვრას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში, თავიდან აცილებინა ან შეემციროებინა ზიანი.

საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით ცხადია, რომ ვ. ბ-ისათვის ზიანი უფრო მეტად გამოწვეულია არა ნოტარიუსს ნ. გ-ის, არამედ, მ. ხ-ის მიერ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებზე იმასთან დაკავშირებით, რომ გირავნობის წარმოშობის დროისათვის საქმეში წარმოდგენილი სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, მ. ხ-ს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში ეკუთვნოდა გასანაწილებელი ბინების 30%. აღნიშნული ხელშეკრულება მ. ხ-ის უფლებასთან დაკავშირებით არ მოიცავდა მითითებას საცხოვრებელი ბინის კონკრეტულ სართულზე დაზუსტებული ფართის განთავსების თაობაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად შენიშნა, რომ მ. ხ-ი წარმოადგენდა რა ხელშეკრულების მხარეს, გამოსხატა რა ნება ხელშეკრულების დასადავად, მას უნდა სცოდნოდა, თუ რეალურად რა სახის ქონება იყო მის საკუთრებაში, რა ნივთს სთავაზობდა კონტრაქტს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მ. ხ-ი წარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. №4-ის“ თავმჯდომარეს.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ზიანის წარმოშობას ასევე ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, კერძოდ, ვ. ბ-მა გამოსხატა რა ნება სადავო ხელშეკრულების დადების თაობაზე, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან და წინდახედულობის ნორმიდან გამომდინარე, მას გააჩნდა ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმიერად შეემოწმებინა გირავნობის საგანი, რომელიც მან არ შეასრულა. შესაბამისად, ზიანის წარმოშობას ასევე ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ვ. ბ-ი არ უთითებს საკასაციო საჩივარში ნოტარიუსის ბრალის ფორმასა და ხარისხზე, რომლის სიმძიმემ მეტად უფრო განაპირობა ზიანის დადგომა, ვიდრე გარიგების მონაწილეთა ბრალეულმა ქმედებამ.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნოტარიუსმა ნ. გ-მა სადავო გარიგების დადასტურების დროს უგულებელყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის №2359 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო დადასტურების ან სანოტარო დამონმების ფორმით. სანოტარო დადასტურების დროს ნოტარიუსი ადასტურებს დასადასტურებელი გარიგების (დოკუმენტის) მთელ შინაარსს, მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და გარიგების მონაწილეთა ნების შესატყვისობას მოქმედ სამართალთან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სანოტარო დადასტურებისას ნოტარიუსი ადგენს სანოტარო აქტს ამ დებულებით დადგენილი წესების დაცვით, რა დროსაც იგი ვალდებულია: ა) დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობა; ბ) დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება; გ) დაადგინოს ყველა ის ფაქტი და გარემოება, რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადასტურებლად და ამ მიზნით გამოითხოვოს ყველა ის დოკუმენტი, რომლის გამოთხოვაც აუცილებელია ამ ინსტრუქციით, სხვა ნორმატიული აქტებითა და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე; დ) დაადგინოს მიზანი, რომლის მიღწევაც სურთ (მხარეს) მხარეებს; ე) განუმარტოს სანოტარო მოქმედების მონაწილეს სანოტარო აქტის სამართლებრივი შედეგები; ვ) დარწმუნდეს მხარეთა განზრახვის სერიოზულობასა და სანოტარო აქტის შინაარსის მხარის ნებასთან შესაბამისად. ზ) შეასრულოს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო პროცედურები.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არასწორად გაანალიზა პასუხისმგებლობის საკითხი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე იმის შესახებ, რომ სანოტარო აქტში, რომელშიც აისახა მხარეთა შორის დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსმა დაადასტურა, რომ მ. ხ-ის საკუთრების უფლება გირავნობის საგანზე დგინდებოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვ. ქ. №4-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, რომელიც ასევე დადასტურებული იყო იმავე ნოტარიუსის მიერ და, სადაც აღნიშნული იყო, რომ მ. ხ-ს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში ეკუთვნოდა გასანაწილებელი ბინების 30%, საცხოვრებელი ბინის კონკრეტულ სართულზე დაზუსტებული ფართის განთავსების თაობაზე მითითების გარეშე, შესაბამისად, ნოტარიუსის ბრალი გამოიხატა იმაში, რომ გარიგების დადებისას ნოტარიუსმა დაადასტურა რა მხარეთა შორის დადებული გარიგების შინაარსი და კანონიერება, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანზე მ. ხ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიუთითა ამხანაგობის ხელშეკრულება, რომლითაც გირავნობის საგნის იმ ნიშნებით არსებობა, რაც სადავო გარიგებაშია მითითებული, არ დგინდებოდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ვ. ბ-ის მოსაზრება და ნოტარიუსს დაეკისროს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვინაიდან, სადავო გარიგებაში მითითებული ნიშნებით გირავნობის საგანი არ არსებობდა, მაგრამ უდავოა, რომ მ. ხ-ს საკუთრებაში გააჩნდა 30% და ნოტარიუსის მიერ დაშვებული შეცდომა დაამძიმა მ. ხ-ის არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ შესასრულებელი ვალდებულებებისადმი.

აქედან გამომდინარე, არც ნ. გ-ის მოსაზრება არ შეიძლება იქნეს გაზიარებული მისი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ, რადგან მან უგულვებელყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის №2359 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ დებულების ზემომითითებული წესები.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორი ნ. გ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟის მიერ დაკისრებული და აღსრულებული თანხა ხელშეკრულებით დაეკისრა მას.

დადგენილია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. ბ-ის საარბიტრაჟო პრეტენზია მთლიანად და მოპასუხე მ. ხ-ს დაეკისრა 45 000 აშშ დოლარის – შესაბამისი ეკვივალენტი ლარში – სესხის ძირითადი თანხა; 90 აშშ დოლარი – შესაბამისი ეკვივალენტი ლარში – ყოველდღიურად -2008 წლის 07 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე სესხის ძირითადი თანხის 0,2%, ასევე 1748,4 ლარი-პრეტენდენტის ვ. ბ-ის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი.

აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გადაწყდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ამდენად, 2011 წლის 2 თებერვლის განჩინებით შეწყდა წარმოება ზემომითითებული საფუძვლით მოთხოვნის ნაწილში. კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, რაც გამოიხატება ვ. ბ-ის მიერ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დატული უფლების რეალიზაციის შეუძლებლობაში.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სამართლებრივმატერიალური ნორმის არასწორად გამოყენებით ან განმარტებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ვერ უთითებენ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს პრეტენზიების საფუძვლიანობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირბასამტეხლოს დაკისრება

განჩინება

№ას-1432-1351-2012

20 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სასესხო ვალდებულების შესრულება, საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ის მიმართ, 2005 წლის 6 სექტემბრის №29084 საბანკო საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხის – 5273,63 აშშ დოლარის, საპროცენტო სარგებლის – 5120,04 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 49231,34 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

2005 წლის 6 სექტემბერს მხარეებს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება სესხის სახით 6000 აშშ დოლარის გაცემის თაობაზე 60 თვის ვადით წლიური 19%-ის დარიცხვით.

მოპასუხემ გარიგებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და თანხის გადახდის გრაფიკს მნიშვნელოვნად გადააცილა. ამდენად, მას უნდა დაეკისროს სესხის ძირითადი თანხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს, სულ – 59 625,01 აშშ დოლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს მის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2006 წლის სექტემბერში. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 130-ე, 145-ე მუხლების, ასევე 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია და გ. დ-ს მისი შესრულების ვალდებულება აღარ ეკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. დ-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის 6 სექტემბრის №29084 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხის – 3082,78 აშშ დოლარისა და საპროცენტო სარგებლის – 652,58 აშშ დოლარის გადახდა, სარჩელი პირგასამტეხლოს სახით 49 231,34 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სს „ს. ბ-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2005 წლის 6 სექტემბერს სს „ს. ბ-სა“ და გ. დ-ს შორის დაიდო №29084 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელს 60 თვის ვადით გადაეცა საბანკო კრედიტი 6000 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 19%-ის ოდენობით სარგებლის დარიცხვით. მსესხებელმა მიიღო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 6 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მსესხებელი ვალდებული იყო, კრედიტი დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველი თვის 7-9 რიცხვში.

მოპასუხემ გრაფიკით გათვალისწინებული ბოლო გადახდა განახორციელა 2006 წლის 17 აგვისტოს.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით საკრედიტო თანხის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლომ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია, თავისი უფლების რელიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიიჩნია, რომ, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება თავიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „ს. ბ-ს“ შეიძლება, აუნაზღაურდეს მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე სამი წლით ადრე წარმოშობილი დავალიანება, კერძოდ, ვინაიდან სარჩელი აღძრულია 2011 წლის 15 სექტემბერს, მოსარჩელის მოთხოვნა 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით საკრედიტო თანხის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა აითვლება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში არსებობს ვალდებულება, რომელიც შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრა. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობით დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის განხორციელების ვადას შეადგენს სამი წელი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თითოეული პერიოდისათვის (რაც ამ შემთხვევაში დაყოფილია თვეების მიხედვით) ცალ-ცალკე წარმოშობილი მოთხოვნის უფლება. ამდენად, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა 2008 წლის ოქტომბრიდან მიუღებელი თანხის მიღების უფლება.

სს „ს. ბ-ის“ მიმართ მოპასუხის საკრედიტო დავალიანება (სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი) შეადგენს 3735,36 აშშ დოლარს (24 (2008 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი) X 155,64 (სესხის დაფარვის გრაფიკით დადგენილი ყოველთვიურად დასაფარი საკრედიტო ვალდებულება – კრედიტი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი).

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 317-ე მუხლის მიხედვით სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მხარეთა შორის წარმოიშვა საბანკო კრედიტთან დაკავშირებული ურთიერთობა.

სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის, 868-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეებმა გაითვალისწინეს სარგებელი სესხისათვის წლიური 19%-ის ოდენობით.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებები მოვალის მიერ სრულად არ შესრულებულა. ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით საკრედიტო თანხის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 145-ე მუხლის თანახმად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელე სს „ს. ბ-ს“ უნდა აუნაზღაურდეს გ. დ-ის მიერ 2005 წლის 6 სექტემბერს დადებული №29084 საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი 2008 წლის ოქტომბრიდან სესხის დაფარვის გრაფიკით დადგენილი ყოველთვიურად დასაფარი საკრედიტო ვალდებულების ფარგლებში, სულ – 3735,36 აშშ დოლარი.

სააპელაციო პალატა ასევე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ მიუთითებია პირგასამტეხლოს ოდენობაზე, ვალდებულების დარღვევის ვადაზე, იმ გარემოებებზე, დარიცხვა განხორციელდა მოპასუხის მიერ ყოველთვიურად შესატან თანხაზე მზარდი თანმიმდევრობით, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დარჩენილ მთლიან თანხაზე. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში მოთხოვნა ფაქტობრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლად მართებულად ჩათვალა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება სს „ს. ბ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად აითვალა ხანდაზმულობის ვადა, როდესაც ვადის ათვლის მომენტად, 2010 წლის ნაცვლად, 2005 წელი ჩათვალა. შესაბამისად, სესხის ნაწილი ხანდაზმული არ არის.

სასესხო ვალდებულება სასამართლომ პერიოდულად შესასრულებელ გარემოებად უკანონოდ მიიჩნია.

სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ გაუშვა 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით მოპასუხის მიერ გადასახდელი თანხის მოთხოვნისათვის კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მსესხებელმა ბოლო გადახდა განახორციელა 2006 წლის აგვისტოში, სასამართლომ კი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2005 წლის სექტემბრიდან, მაშინ, როდესაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2010 წლის სექტემბრიდან – ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

დაუშვებელია სესხის ნაწილი ჩაითვალოს ხანდაზმულად. ასევე სასესხო ვალდებულება ვერ მიიჩნევა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად. სესხი ან მთლიანად ხანდაზმულია, ან არა.

საკრედიტო ხელშეკრულების 4.1.11 პუნქტის შესაბამისად, სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას, ბ-ის მიერ დაკისრების შემთხვევაში, კლიენტი ბ-ს აუნაზღაურებს გადახდის დაგვიანებით მიყენებულ ზიანს და გადაიხდის პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის (ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი) 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ბ-ის მიერ მისი დაკისრების შემთხვევაში. პირგასამტეხლოს გადახდა კლიენტს არ ათავისუფლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. შესაბამისად, სამართლებრივ სა-

ფუძველს მოკლებულია სასამართლოს განმარტება, რომ პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სარჩელი ფაქტობრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რადგან პირგასამტეხლოს ოდენობა გათვალისწინებულ იქნა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს გ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მიერ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი საფუძველია სააპელაციო პალატის მიერ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა არასრულად გამოკვლევა, რასაც შედეგად საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა არასწორად დადგენა და უკანონო გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, ზემოხსენებული კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, იმპერატიულად ავალებს სასამართლოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განიხილოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებანი და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მიიღოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მტკიცებულების სრულყოფილად გამოკვლევა გულისხმობს თავდაპირველად მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ყოველი ფაქტობრივი გარემოება უნდა დაადგინოს მტკიცებულებათა სრულყოფილი ანალიზის შედეგად.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შესწავლა-გამოკვლევას მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კანონიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასრულად შეისწავლა და გამოიკვლია განსახილველი დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებანი, როდესაც უარი უთხრა სს „ს. ბ-ის“ გ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებაზე, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ დევასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ 2005 წლის 6 სექტემბერს სს „ს. ბ-ის“ და გ. დ-ს შორის დაიდო №29084 საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელს 60 თვის ვადით გადაეცა საბანკო კრედიტი 6000 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 19%-ის ოდენობით სარგებლის დარიცხვით. მსესხებელმა მიიღო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 6 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მსესხებელი ვალდებული იყო, კრედიტი დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველი თვის 7-9 რიცხვში.

მოპასუხემ გრაფიკით გათვალისწინებული ბოლო გადახდა განახორციელა 2006 წლის 17 აგვისტოს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით საკრედიტო თანხის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ მიუთითებია პირგასამტეხლოს ოდენობაზე, ვალდებულების დარღვევის ვადაზე, იმ გარემოებებზე, დარიცხვა განხორციელდა მოპასუხის მიერ ყოველთვიურად შესატან თანხაზე მზარდი თანმიმდევრობით, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დარჩენილ მთლიან თანხაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარში არსებულ მითითებას მხარეთა შორის 2005 წლის 6 სექტემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების 4.1.11 პუნქტზე, რომლითაც სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას, ბ-ის მიერ დაკისრების შემთხვევაში, კლიენტი ბანკს აუნაზღაურებს გადახდის დაგვიანებით მიყენებულ ზიანს და გადაიხდის პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის (ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი) 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ბ-ის მიერ მისი დაკისრების შემთხვევაში. პირგასამტეხლოს გადახდა კლიენტს არ ათავისუფლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

გარიგების მითითებული პუნქტის შეფასება ცხადყოფს, რომ მხარეები საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას მკაფიოდ შეთანხმდნენ კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის – ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ვადაგადაცილებული ყოველი დღისათვის პირგასამტეხლოს გადახდაზე, რომლის ოდენობაც განისაზღვრა მოთხოვნის მომენტისათვის გადაუხდელი თანხის (ძირითადი სესხისა და საპროცენტო დანარიცხის ჯამის) 0,5%-ით.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯერჯერობით, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა.

სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და მათი შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯერობნად შესრულებისათვის.

ამდენად, პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ვალდებულების არაჯერობნად, არასრულად შესრულება, ასევე მისი შეუსრულებლობაც.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არც ერთ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია და, კანონის ზემოხსენებული მოთხოვნის შესაბამისად, სრულად არ გამოუკვლევიან საქმის მასალებზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის გათვალისწინებით დართული მტკიცებულება – მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებასა და მის ფარგლებს მოიცავს. აღნიშნული გარემოება კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მითითებულ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობას წარმოადგენს.

ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შეაფასოს სს „ს. ბ-სა“ და გ. დ-ს შორის 2005 წლის 6 სექტემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება, კერძოდ კი, მისი 4.1.11 პუნქტი, რომელიც ზუსტად ასახავს მხარეთა ნებას სადავო პირგასამტეხლოს ოდენობის გამოთვლის წესთან დაკავშირებით და მხოლოდ აღნიშნულის შედეგად გამოიანგარიშოს პირგასამტეხლოს მოცულობა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილთან მიმართებით, რომელიც სასამართლოს მიერ ხანდაზმულად ცნობილი არ არის და რა ნაწილიც იგი დაკმაყოფილდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სადავო პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, შეამციროს მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა, თუ იგი მნიშვნელოვნად აჭარბებს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანს და განსაზღვროს პირგასამტეხლოს მოცულობა ვალდებულების დარღვევის თანაბარზომიერად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის არგუმენტს გ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, თუმცა მიიჩნევს, რომ დასაკისრებელი თანხის ოდენობის განსაზღვრა სააპელაციო პალატის მიერ მოცემული განჩინების კვლევით ნაწილში ასახული მტკიცებულების გამოკვლევის შედეგადაა შესაძლებელი.

რაც შეეხება კასატორის პოზიციას სააპელაციო სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ ხანდაზმულად ცნობის არამართლზომიერების შესახებ, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება სრულიად კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი წინამძღვრების არსებობა მხარემ ვერ დაადასტურა.

იურიდიულ დასაბუთებასაა მოკლებული სს „ს. ბ-ის“ მითითება, რომ სასამართლომ განსახილველი საესესო ურთიერთობა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს არასწორად მიაკუთვნა და უკანონოდ გაავრცელა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

უდავოა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2005 წლის 6 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, გ. დ-ს სს „ს. ბ-ისაგან“ კრედიტის სახით მიღებული 6000 აშშ დოლარი და მასზე დარიცხული 19%-იანი სარგებელი უნდა გადაეხადა გარკვეული პერიოდულობით, კერძოდ, თვეში ერთხელ 60 თვის განმავლობაში. შესაბამისად, მითითებული გარიგება წარმოშობს სწორედ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს, რომელთაგან უკანასკნელი შესრულდა 2006 წლის 17 აგვისტოს.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავ კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ პირის უფლება, სრული მოცულობით მოახდინოს საკუთარი კანონიერი ინტერესების რეალიზება ან სასამართლო წესით დაცვა, შეზღუდულია სამოქალაქო კანონმდებლობით სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებისათვის განსხვავებულად დადგენილი ვადებით. კანონმდებელი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის გამოანგარიშების წესს და მის ათვლას უკავშირებს დროს, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საკუთარი უფლების დარღვევის ფაქტი, ან დროს, როდესაც მას ასეთის თაობაზე ობიექტურად უნდა შეეტყო.

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს ერთგვარ სპეციფიკას იმ ვალდებულებათა მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვალასთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით სრულდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებული ვადა აითვლება ყოველი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომ სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე ხანდაზმულია, ვინაიდან სარჩელით ბანკმა სასამართლოს მიმართა 2011 წლის 15 სექტემბერს.

ამდენად, მოსარჩელეს სავსებით კანონიერად აუნაზღაურდა მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე სამი წლით ადრე წარმოშობილი დავალიანება და აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება.

დასკვნის სახით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ (გ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში) უნდა გაუქმდეს და საქმე მოცემული განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებული საკითხის ხელახლა გამოსაკვლეველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. დანარჩენ ნაწილში კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დასკვნა:

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინება გ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარდობის ხელშეკრულება

ბანკინება

№ას-484-458-2012

27 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს-ოს“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, სს „ს-ოს“ 2006 წლის 21 ივნისის №06-191/3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ჯარიმის – 107 775.38 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 21 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სს „ს-ოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, რისთვისაც უნდა გამოყოფილიყო 889 243 ლარი. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა სამი თვით, 21 სექტემბრამდე. 2006 წლის 11 სექტემბერს, 2006 წლის 24 ნოემბერსა და 2007 წლის 23 იანვარს აღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, საბოლოოდ ცვლილებების შესაბამისად, სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2007 წლის პირველ ივლისამდე. 2007 წლის 18 სექტემბრის №1/198 სამუშაოს დასრულების აქტის თანახმად, სამუშაოები აღნიშნულ ობიექტზე დასრულდა 2007 წლის 15 აგვისტოს, რაც ცხადყოფს, რომ სამუშაოები დასრულდა 44 დღის დაგვიანებით. არაერთი წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, სს „ს-ო“ უარს აცხადებს, 2006 წლის 21 ივნისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების გამო, დაკისრებული საჯარიმო თანხის გადახდაზე.

მოპასუხე სს „ბ-მ“ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ბ-ს“, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 107 775.38 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ბ-მ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 იანვრის განჩინებით სს „ბ-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ბ-მ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ 2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შეასრულა 44 დღის ვადაგადაცილებით, კერძოდ, 244944,05 ლარის ღირებულების სამუშაოები ნაცვლად 2007 წლის 1 ივლისისა, დასრულდა 2007 წლის 15 აგვისტოს.

2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ მხარეთა 2006 წლის 11 სექტემბრის, 2006 წლის 24 ნოემბრისა და 2007 წლის 23 იანვრის შეთანხმებების შესაბამისად, შპს „ბ-ს“ 2007 წლის 1 ივლისამდე უნდა განეხორციელებინა რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 860904,14 ლარი.

შპს „ბ-ს“ დირექტორის გ. რ-ის მიერ ხელმოწერილი სამუშაოს დასრულების №1/198 აქტით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2006 წლის 21 ივნისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულებით 833716,37 ლარის სამუშაოები შპს „ბ-მ“ დაასრულა 2007 წლის 15 აგვისტოს, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აპელანტის პრეტენზია მასზე, რომ სამუშაოს დასრულების აქტი არ წარმოადგენდა სამუშაოს დასრულების დადასტურებისათვის სათანადო დოკუმენტს, დაუსაბუთებლად მიიჩნია. მით უმეტეს, როდესაც ამ აქტის სისწორე დადასტურებულია მისივე ხელმოწერით. რაც შეეხება ცალკეული სამუშაოების შესრულების დროსა და ამ სამუშაოების ღირებულებას, პალატამ აღნიშნა, რომ ასახული იყო ფორმა №2-სა და ფორმა №3-ის შესაბამისად შედგენილი დოკუმენტებში, რასაც ეფუძნება სამუშაოს დასრულების №1/198 აქტი, კერძოდ, საქმეში არსებული ფორმა №2 ასახავს 2006 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, რომლის ოდენობა შეადგენს სულ 553710,28 ლარს, ხოლო ფორმა №3 შედგენილია ფორმა №2-ის მონაცემების საფუძველზე და შეიცავს საერთო ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს საერთო ღირებულებასთან დაკავშირებით. 2007 წლისათვის ასეთი სახის დოკუმენტაცია საქმის მასალებში არ მოიპოვება, არამედ სამუშაოს სრულად დასრულებას ასახავს მხოლოდ სამუშაოს დასრულების №1/198 აქტი. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს დასახელებულ აქტში ასახული ინფორმაციის სისწორის გამომრიცხავი გარემოება, აქტში მითითებულ დროს დასრულებულად უნდა ჩაითვალოს იმ ღირებულების სამუშაო, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა და 2006 წელს შესრულებული სამუშაოს ღირებულების სხვაობას – 244944,05 ლარს. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტს არ წარმოუდგენია. 2007 წლის 15 აგვისტომდე სამუშაოს დასრულების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ანგარიში სწორედ მას უნდა წარედგინა სამინისტროსათვის, თანახმად 2006 წლის 21 ივნისის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.2 პუნქტისა.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვალდებულების შესრულების ფაქტის მტკიცება სწორედ სს „ბ-ს“ ეკისრებოდა, თუმცა მის მიერ ვალდებულების ვადაში შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა. პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტი თვითონვე მიუთითებდა ვალდებულების შესრულების დადასტურებისათვის საჭირო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მტკიცებულებაზე – სამუშაოს შესრულების აქტზე ფორმა №2-ისა და ფორმა №3-ის შესაბამისად, თუმცა ასეთი აქტები 2007 წლისათვის მას არ წარუდგენია. ასევე არ ყოფილა წარდგენილი იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „ბ-მ“ სამინისტროს გადასცა შესრულებული სამუშაოების ანგარიში 2007 წლისათვის, რის საფუძველზეც უნდა გაფორმებულიყო სამუშაოს შესრულების აქტები. აპელანტის მითითება მასზე, რომ სამუშაოების დასრულება უნდა დადასტურებულიყო წერილით სამინისტროსადმი ან აუდიტორის დასკვნით, პალატის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა მისივე განმარტებებს ვალდებულების შესრულების დადგენისათვის საჭირო დოკუმენტებთან დაკავშირებით.

აპელანტის მტკიცება, რომლის მიხედვით სამუშაოების ვადაში შესრულება დასტურდება იმ გარემოებით, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სრულად გადაიხადა სამუშაოების ღირებულება, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ აპელანტი თვითონვე განმარტავდა, რომ 2006 წლის 22 ივნისის სამინისტრომ მის ანგარიშზე ავანსის სახით გადაიხადა 266773 ლარი, ხოლო 2006 წლის 18 ოქტომბერს გადარიცხა ამ დროისთვის დასრულებულ სამუშაოთა ღირებულება 558772,32 ლარის ოდენობით. ავანსის სახით გადახდილი თანხა არ ადასტურებდა რაიმე მოცულობის სამუშაოს შესრულების ფაქტს. ასეთ შემთხვევაში სამუშაოების დასრულებულად უნდა მიჩნეულიყო 2006 წლის 28 ოქტომბერი, რაც ეწინააღმდეგება 2006 წლის სამუშაოს შესრულების აქტებს;

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2006 წლის 21 ივნისის ხელშეკრულების ვადის გადაცილების საპატიო გარემოება საქმის მასალებიდან არ დასტურდებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების არგუმენტაცია და განმარტა, რომ საპატიო გარემოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების ვადის დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი) წარმოადგენდა პირისგან დამოუკიდებელი მიზეზით ისეთი პირობების წარმოქმნა, რაც შეუძლებელ ხდის ვალდებულების დროულად შესრულებას და რისი გათვალისწინებაც მხარეებს წინასწარ არ შეუძლიათ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომლის მიხედვით, საპატიო გარემოებას წარმოადგენდა სარემონტო ობიექტის მახასიათებლების გამოვლენა, ვინაიდან ამით იყო განპირობებული სამუშაოების გაჭიანურება. პალატამ ჩათვალა, რომ სარემონტო ობიექტის მახასიათებლები განიხილება იმ არსებით ფაქტორებად, რასაც ეფუძნება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების ვადები და ივარაუდება, რომ მეწარმე სუბიექტის მიერ ჩვეულებრივ წინდახედულობის ნორმების დაცვით იგი თავიდანვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

რაც შეეხება სახელშეკრულებო ვალდებულების კორექტირებას ლითონის ღობის ნაცვლად ბეტონის ღობის აღმართვასთან დაკავშირებით, პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი პირობის მიღება სს „ბ-ს“ მხრიდან საპირისპირო პირობის წარდგენის გარეშე მეტყველებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ამ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წლის 21 ივნისს №06-101/3 ხელშეკრულების 10.2 პუნქტით შესრულების გრაფიკის დარღვევისათვის განისაზღვრა საურავის გადახდის ვალდებულება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 1%-ის ოდენობით, რაც სადავო მხარეებს შორის არ გამხდარა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მხარეებმა დადებული ხელშეკრულებით მისი პირობების დარღვევის შემთხვევაში შეათანხმეს რა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოვალისათვის მართლზომიერად იქნა დაკისრებული პირგასამტეხლო 244944,05 ლარის ღირებულების ვალდებულების შესრულების დროის 44 დღით გადაცილებისათვის ვადაგადაცილებით შესრულებული ვალდებულების ღირებულების 1%-ი ყოველი გადაცილებული დღისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „ბ-ს“ სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ბ-მ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილ საფუძვლიან პრეტენზიებთან დაკავშირებით, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანილად მიჩნევისა და მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძვლიანია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სს „ბ-მ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ 2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით შეასრულა 44 დღის ვადაგადაცილებით. აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დანაწესს, ვინაიდან სასამართლომ სამუშაოს დასრულების №1/198 აქტით დადასტურებულად მიიჩნია შპს „ბ-ს“ მიერ 833,716.37 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების ფაქტი, რომ 144944.05 ლარი წარმოადგენს სხვაობას ხელშეკრულების საერთო ღირებულებასა და 2006 წელს შესრულებულ სამუშაოს ღირებულებას შორის, თუმცა საქმეზე წარმოდგენილი დამკვეთისადმი წარდგენილი დეკლარირებული დოკუმენტაციისა და შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო – საპროექტო დოკუმენტაციით, უდავოდ არის დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 833716.37 ლარის ოდენობით ჯერ კიდევ 2006 წლისათვის.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია №1/198 მიღება-ჩაბარების აქტი სამუშაოების დასრულების აქტად.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისიის 2007 წლის 12 ივლისის № ოქმი, რომლითაც დაკმაყოფილდა ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის დირექტორის 2007 წლის 4 ივნისის ღია წერილი პროფესიული ლიცეუმის სარემონტო სამუშაოების კორექტირების თაობაზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ, აღნიშნული განხორციელდეს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რასაც დაეთანხმა სს „ბ-ო“. სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ შემკვეთმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შემსრულებელს 2007 წლის 12 ივლისს სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაავალა რუსთავის პროფესიული ლიცეუმის სარემონტო სამუშაოებში კორექტირების განხორციელება და აღნიშნული ფაქტი ხომ არ გამოიწვევდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულებების დამთავრებას 2007 წლის პირველ ივნისს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი

ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის პასუხი უნდა გაიცეს კითხვას, გადააცილა თუ არა მოვალემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადას, რაზედაც იგი აგებს პასუხს. თუ გადააცილა რა ღირებულების სამუშაოები იქნა განხორციელებული.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება გასამახვილებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ უდავო ფაქტებზე, კერძოდ, 2006 წლის 21 ივნისის შპს „ხ-სა“ და განათლების სამინისტროს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების №06-101/3 ხელშეკრულება. დასახელებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რომლის თანხა განისაზღვრა 889243 ლარით, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 3 თვით. ხელშეკრულების 10.2 პუნქტი ითვალისწინებდა გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში საურავის დაკისრებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 1%-ის ოდენობით.

ასევე უდავო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ 2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ მხარეთა 2006 წლის 11 სექტემბრის, 2006 წლის 24 ნოემბრისა და 2007 წლის 23 იანვრის შეთანხმებების შესაბამისად, შპს „ხ-ს“ 2007 წლის 1 ივლისამდე უნდა განეხორციელებინა რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 860904,14 ლარი.

სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

მითითებული ნორმის თანახმად, განსახილველი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს წარდობის ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენდა სამუშაოს დროული შესრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 400-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ:

- ა. შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება;
- ბ. შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ხ-მ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ 2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შეასრულა 44 დღის ვადაგადაცილებით, კერძოდ, 244944,05 ლარის ღირებულების სამუშაოები, ნაცვლად 2007 წლის 1 ივლისისა, დასრულდა 2007 წლის 15 აგვისტოს.

აღნიშნული ფაქტი სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შპს „ხ-ს“ დირექტორ გ. რ-ის მიერ ხელმოწერილი სამუშაოს დასრულების №1/198 აქტის საფუძველზე, რომელშიც მითითებულია, რომ 2006 წლის 21 ივნისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები საერთო ღირებულებით 833716,37 ლარი შპს „ხ-მ“ დაასრულა 2007 წლის 15 აგვისტოს.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია №1/198 მირება-ჩაბარების აქტი სამუშაოების დასრულების აქტად, ასევე, არასწორად მიიჩნია, რომ 2007 წლის 15 აგვისტოსათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულებას წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო ღირებულებისა და 2006 წელს შესრულებული სამუშაოს ღირებულების სხვაობა – 244944,05 ლარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი უთითებს 2006 წლის ფორმა №2 და ფორმა №3-ზე, რომლითაც, კასატორის მოსაზრებით, დასტურდება 2006 წლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 833716,37 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე' ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს, რადგან გადანყვტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომწმება შეუძლებელია, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 21 ივნისის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.2 პუნქტის თანახმად, საბოლოო სამუშაოს შესრულებამდე „მიმნოდებელი“ (შპს „ხ-ო“), ვალდებულია „შემსყიდველს“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო ეტაპობრივად წარუდგინოს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა №2, ფორმა №3). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების მითითებული პუნქტით ფორმა №2 და ფორმა №3 წარმოადგენენ გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული

შესრულებული სამუშაოს შესრულების აქტს. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს ფორმა №2-თა და ფორმა №3-ით.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ამავე ხელშეკრულების მე-7.1 პუნქტი, რომლის თანახმად შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას, წინასწარ აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 30%, ხოლო „მიმწოდებელს“ დარჩენილი თანხა აუნაზღაურდება ეტაპობრივად, სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა №2, ფორმა №3) გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული პუნქტით განსაზღვრული წესიდან ირკვევა, რომ წინასწარ შესაძლებელია სამუშაოს ღირებულების 30%-ის გადახდა მხოლოდ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ხოლო დარჩენილი თანხის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ სამუშაოს შესრულების აქტის გაფორმების შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

საქმეში წარმოდგენილია ფორმა №2 და ფორმა №3 აქტები, რაც არ არის სათანადოდ შეფასებული. აღნიშნულ აქტებთან მიმართებით სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ ცალკეული სამუშაოების შესრულების დრო და ამ სამუშაოების ღირებულება ასახულია ფორმა №2-სა და ფორმა №3-ის შესაბამისად შედგენილი დოკუმენტებით, რასაც ეფუძნება სამუშაოს დასრულების №1/198 აქტი (სააპელაციო სასამართლოს განჩინების მე-11 გვ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ფორმა №2-ზე (რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობა-განფასება), რომელშიც მითითებული 2006 წლისათვის შესრულებული სამუშაოს დასახელება და ღირებულება, რაც შეადგენს 553710,28 ლარს. ასევე ფორმა №3-ის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებამ წლის დასაწყისიდან საანგარიშო თვის ჩათვლით შეადგინა 833716,37 ლარი, რასაც ხელს აწერს ორივე მხარე.

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ზემოთითხსნილი ხელშეკრულების 5.2 პუნქტი, რომლის თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს ფორმა №2-თა და ფორმა №3-ით. ამავე ხელშეკრულების მე-7.1 პუნქტის თანახმად თანხის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ სამუშაოს შესრულების აქტის გაფორმების შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ფორმა №2-თა და ფორმა №3-ით დასტურდება სამუშაოს შესრულების ფაქტი, რომლის წარდგინების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ღირებულება ანაზღაურებას ექვემდებარება სამინისტროს მიერ 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან ერთად საქმეში წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსისადმი მიმართული ამავე სამინისტროს ფინანსური დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათი, რომლის თანახმად, მხარეთა შორის 2006 წლის 21 ივნისს დადებული №06-10/3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სსიპ რუსთავის პროფესიულ ლიცეუმში სს „ბ-ს“ მიერ შესრულებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 833716,37 ლარი, ხოლო გადარიცხული თანხამ შეადგინა 855545,32 ლარი. ამდენად, სხვაობამ შეადგინა 21828,95 ლარი, რაც სს „ბ-მ“ დააბრუნა ბიუჯეტში (ეს ფაქტი დავას არ იწვევს).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად საქმეში წარმოდგენილი სამუშაოს დასრულების №1/198 აქტით დასტურდება, რომ 21.06.2006 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები დასრულდა 15.08.07 წელს, რომლის ღირებულებამ შეადგინა 833716,37 ლარი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტი არ არის საკმარისი სადავო ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის. მხარეთა შორის 2006 წლის 21 ივნისს დადებული ხელშეკრულების მე-10.2 პუნქტის თანახმად, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს“ საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 1%-ის ოდენობით.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: 2007 წლის 1 ივლისიდან 2007 წლის 15 აგვისტომდე (44 დღე) რა რაოდენობის (რა ღირებულების) სამუშაო იყო შესასრულებელი. თუ შესასრულებელი სამუშაოს საერთო რაოდენობამ შეადგინა 833716,37 ლარი 2007 წლის 15 აგვისტოსათვის (სამუშაოს დასრულების №1/198 აქტის მიხედვით), ხოლო, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაგვიანებით შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 244.944.05 ლარი, მაშინ 2007 წლის 1 ივლისამდე (ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადა) შპს „ბ-ს“ უნდა შეესრულებინა 588772,32 ლარის სამუშაოები (833716,37-244.944.05=588772,32), რაც არ დგინდება სააპელაციო სასამართლოს განჩინებით. პირიქით სააპელაციო სასამართლო შპს „ბ-ს“ წარმომადგენლის განმარტების შეფასებისას აღნიშნავს, რომ 588772,32 ლარი წარმომადგენს 2006 წლის 18 ოქტომბრისათვის დასრულებული სამუშაოების ღირებულებას, რაც გადაურიცხა სამინისტრომ (გასაჩივრებული განჩინების მე-12 გვ). მაგრამ, თუ დაუშვებთ, რომ შპს „ბ-ს“ მიერ 2007 წლის 1 ივლისამდე შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა 588772,32 ლარი, რით აიხსნება ის, რომ ფორმა №2-ის მიხედვით 2006 წლისათვის სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 553710,28 ლარი, ხოლო ამის შემდეგ განხორციელებული სამუშაოების ჩათვლით ფორმა №3-ის მიხედვით შეადგინა 833716,37 ლარი. მით უმეტეს გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ 2006 წლის ფორმა №2-სა და ფორმა №3-ს ეფუძნება 2007 წლის 18 სექტემბერს სამუშაოს დასრულების №1/198 აქტი (რომლითაც დასტურდება სამუშაოების დასრულება 15.08.2007წ.). ე.ი. ამ ფორმების საფუძველზე შედგა №1/198 აქტი. ამასთან ერთად გაურკვეველია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ-

ლის თანახმად 244944,05 ლარი (სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების მიხედვით ვადაგადაცილებული დროისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება) წარმოადგენს 553710,28 ლარის ღირებულებასა და №1/198 აქტი მიითითებული სამუშაოთა ღირებულებას (833716,37 ლარი) შორის სხაობას (იხ. განჩინების მე-11 გვ), რაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნას, რადგან ამ შემთხვევაში (833716,37 – 553710,28) სხაობას შეადგენს 280006,06 ლარი, და არა 244944,05 ლარი.

აქვე გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომლის თანახმად მან არ გაიზიარა შპს „ბ-ს“ მიერ სამუშაოების ვადაში შესრულების ფაქტი. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თვითონ შპს „ბ-ს“ განმარტებით, დასტურდება 2006 წლის 22 ივნისს სამინისტროს მიერ მის ანგარიშზე ავანსის სახით 266773 ლარის გადარიცხვა, ხოლო 2006 წლის 18 ოქტომბერს ამ დროისათვის დასრულებულ სამუშაოთა ღირებულება 558772,32 ლარი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ასკვნის, რომ ავანსის სახით გადახდილი თანხა არ ადასტურებს რაიმე მოცულობის სამუშაოს შესრულების ფაქტს, რაც ეწინააღმდეგება 2006 წლის სამუშაოს შესრულების აქტებს.

აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიან №2 და №3 ფორმების კანონიერებას, აგრეთვე, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის №06 – 101/3 ხელშეკრულება დაიდო 2006 წლის 21 ივნისს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავიზიარებთ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას დადგენილ ფაქტებთან მიმართებით, გამოდის, რომ სამინისტროს მიერ მის ანგარიშზე ავანსის სახით 266773 ლარის გადარიცხვა განხორციელდა 2006 წლის 22 ივნისს, ე.ი. – ხელშეკრულების დადების მომდევნო დღეს, ხოლო 2006 წლის 18 ოქტომბერს ამ დროისათვის დასრულებულ სამუშაოთა ღირებულება 558772,32 ლარის ოდენობით. ამდენად, მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ერთ დღეში შპს „ბ-ს“ სამუშაოებს ვერ დაასრულებდა, მაგრამ შპს „ბ-ს“ წარმომადგენლის ახსნა-განმარტების საფუძველზე სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ 2006 წლის 18 ოქტომბერს სამინისტროდან გადმოირიცხა ამ დროისათვის დასრულებულ სამუშაოთა ღირებულება 558772,32 ლარის ოდენობით. ე.ი. ავანსის სახით 266773 ლარის გადმოირიცხვის შემდეგ სამინისტრომ გადმოირიცხა უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება 558772,32 ლარის ოდენობით. თუ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას გვეყვებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2006 წლის 22 ივნისიდან 2006 წლის 18 ოქტომბრამდე გადმოირიცხული თანხა $(266773 + 558772,32 = 825545,32)$, წარმოადგენს 2006 წლის 18 ოქტომბრამდე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას, რაც უშუალოდ სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან არ დგინდება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან, ასევე არ დგინდება, რომ საავანსო თანხა გამოიქვითა საბოლოო შესრულებაში. ამდენად, არ არის გამოკვლეული 2007 წლის 1 ივნისამდე შპს „ბ-ს“ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი შეფასების შედეგად.

ამასთან ერთად არ არის გათვალისწინებული 2006 წლის ფორმა №2-სა და ფორმა №3-ის შედგენის თარიღი, რაც აძნელებს სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. არ არის გათვალისწინებული მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების დათქმა, რომელიც მიუთითებს სამუშაოს შესრულების დამადასტურებელ ფაქტზე, ასევე სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების წესზე (ხელშეკრულების 5.2, 7.1 პუნქტები), რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ფორმა №2-სა და ფორმა №3-ის შეფასებაში.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო შეფასებას არ აძლევს საქმეში წარმოდგენილ 2007 წლის 12 ივლისის საექსპერტო დასკვნას (რასაც ერთვის დანართები), რომლის თანახმად 2007 წლის ივლისის შემოწმების ეტაპზე შესრულებული იყო 810772,92 ლარის სამუშაოები. აღნიშნული რიცხვი ეწინააღმდეგება 2006 წლის ფორმა №2-სა და ფორმა №3-ის მონაცემებს, ამავდროულად გამოირიცხავს 2007 წლის 1 ივლისიდან 2007 წლის 15 აგვისტომდე 244944,05 ლარის ღირებულების სამუშაოს დაგვიანებით შესრულების ფაქტს.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 5.2 და 7.1 პუნქტების შესაბამისად სამუშაოს შესრულების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს ფორმა №2-თა და ფორმა №3-ით, რომლის წარმოდგენის შემდეგ ხორციელდებოდა ანაზღაურება, უნდა შესაბამისად შეფასდეს სამუშაოს დასრულების №1/198 აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს რა ღირებულების სამუშაოები ჰქონდა შესრულებული შპს „ბ-ს“ 2007 წლის 1 ივნისისათვის და რა ღირებულების სამუშაოები იყო დასრულებული 2007 წლის 15 აგვისტოს. იმ შემთხვევაში, თუ 833716,37 ლარის ღირებულების სამუშაოების დასრულებული იყო 2007 წლის 1 ივლისამდე, მაშინ რით აიხსნება №1/198 სამუშაოს დასრულების აქტის მიხედვით სამუშაოთა დასრულება 15.08.07 წელს. ამისათვის სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილ ფორმა №2 და ფორმა №3, ასევე, საექსპერტო დასკვნა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იკომთეკით დატვირთული ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-219-211-2012

15 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 30 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. ი-მა მოპასუხეების – მ. ს-სა და ნ. ლ-ის მიმართ და მოითხოვა:

1. მოპასუხე მ. ს-სათვის მის სასარგებლოდ 10000 აშშ დოლარის დაკისრება;
2. მ. ი-სა და ნ. ლ-ეს შორის 2009 წლის 13 თებერვალს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2011 წლის 22 თებერვალს, იმავე სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა ნ. ლ-ემ მოპასუხე მ. ი-ის მიმართ და მოითხოვა:

1. მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის – 25000 აშშ დოლარის, სარგებლის – 3750 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს – 33605 აშშ დოლარის დაკისრება;
2. სარჩელის აღძვრის დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე მონინაალმდეგე მხარისათვის ყოველდღიურად პირგასამტეხლოს სახით ძირითადი თანხის 0.22%-ის – 55 აშშ დოლარის დაკისრება;
3. დაკისრებული თანხების გადახდევინების სანაცვლოდ, მოპასუხე მ. ი-ის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ქ. თ-ი, ... გამზირის 30ა, ყოფილი ... გამზირი 29, კორპუსი 1, ბინა 92) მოსარჩელე ნ. ლ-ის საკუთრებაში გადაცემა და საჯარო რეესტრში ამ უკანასკნელის საკუთრებაში აღრიცხვა.

შეგებებული მოსარჩელის განმარტებით, მასა და მ. ი-ს შორის 2009 წლის 13 თებერვალს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ი-მა ისესხა 25000 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით, თვეში 5% სარგებლის დარიცხვით. სესხის დაბრუნების ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოც – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის 0.3%-ის ოდენობით. მითითებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, ... გამზირის 30ა-ში მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი ... გამზირი 29, კორპუსი 1, ბინა 92). ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ასევე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გადავიდოდა ნ. ლ-ის საკუთრებაში. შეგებებული მოსარჩელის განმარტებით, მისი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, შედეგად, მას ერიცხება დავალიანება, მათ შორის: ძირითადი თანხა – 25000 აშშ დოლარი; ხელშეკრულებიდან გამომდინარე 3 თვის სარგებელი – 3750 აშშ დოლარი (თვეში 5%-ის ოდენობით) და საურავი – 33605 აშშ დოლარი (0.22%-ის ოდენობით საურავი 611 დღეზე), ჯამში 62355 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, შეგებებულმა მოსარჩელემ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოპასუხემ არ შეასრულა ვალდებულება, დავალიანების გადახდევინების სანაცვლოდ მოსარჩელეს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ბინა.

შეგებებული სარჩელის მოპასუხემ – მ. ი-მა, შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს 2010 წლის ივნისის ჩათვლით ასრულებდა მ. ს-ა. შემდგომში, ვალდებულების (ძირითადი თანხის და სარგებლის გადახდა) შესრულებაც მან იკისრა, რაც დასტურდებოდა მისი ხელწერილებით. ამდენად, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა იმ ფაქტზე მითითება, რომ თითქოს მოსარჩელემ არაერთხელ მოსთხოვა მას ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვინაიდან მას ასეთი ვალდებულება არ გააჩნდა.

თ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით:

1. მოპასუხე მ. ს-ას მ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის გადახდა;
2. მ. ი-ის სარჩელი 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა;
6. ნ. ლ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა;
7. 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის – 25000 დოლარის, სარგებლის – 3250 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს – 33605 აშშ დოლარის, აგრეთვე, პირგასამტეხლოს სახით სარჩელის აღძვრის დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე სესხის ძირითადი

თადი თანხის 0.22%-ის გადახდის სანაცვლოდ მოსარჩელეს გადაეცა და მის საკუთრებაში აღირიცხა მოპასუხე მ. ი-ის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება (მდებარე ქ.თ-ი, ... გამზირი 30ა, ყოფილი ... გამზირის 29, კორპუსი 1, ბინა 92);

8. მ. ი-ს ნ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 3000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს დასაბუთება მ. ი-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ეფუძნება შემდეგს: მოპასუხე მ. ს-ამ მის მიერ შედგენილი ხელწერილით აღიარა მ. ი-ისგან 10000 აშშ დოლარის სესხად აღების ფაქტი. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ ცნო მოსარჩელის მოთხოვნა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა. რაც შეეხება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ამ ხელშეკრულების დადებისას მოპასუხე ნ. ლ-ის მიერ მისი მოტყუების ფაქტი, ამიტომ არ არსებობდა ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

ნ. ლ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა: საქმეზე დადგინდა, რომ მოპასუხე მ. ი-ის მიერ ნ. ლ-ის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულება შესრულებული არ იყო, მას არ ჰქონდა გადახდილი ძირი თანხა, არც ერთი თვის სარგებელი, არც პირგასამტეხლო ვადის გადაცილებისათვის. მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში გადასვლას. დასახელებული გარემოებები, სასამართლოს მოსაზრებით, იძლეოდა ნ. ლ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან, 417-418-ე, 286-ე მუხლებიდან, მე-300 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ი-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

1. მ. ი-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ლ-ის შეგებებული სარჩელი მ. ი-ის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
4. მ. ი-ს ნ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხა 25000 აშშ დოლარის ოდენობით, სესხისათვის სარგებელი – 3750 აშშ დოლარის ოდენობით და პირგასამტეხლო – 7637.50 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე, 2011 წლის 22 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – პირგასამტეხლო ყოველდღიურად სესხის ძირითადი თანხის 0.05%-ის ოდენობით, რაც ერთ დღეზე 12.5 აშშ დოლარს შეადგენს;
5. სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მ. ი-ის მიერ ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, სარეზოლუციო ნაწილში მითითებული უძრავი ქონება, მდებარე ქ.თბილისში, ... გამზირის №30ა-ში (ყოფილი ... გამზირი №29, კორპ. 1) ბინა №92, იპოთეკის საგნის მოთხოვნის ღირებულების, კერძოდ, 50000 ლარის ფარგლებში;
6. მ. ი-ის სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა;
7. მ. ი-ს ნ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1770 ლარის ოდენობით;
8. ნ. ლ-ეს მ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1713.85 ლარის ოდენობით;
9. ნ. ლ-ეს მ. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად ადვოკატისათვის განემოხარება მომსახურების ანაზღაურება 840 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ლ-ესა და მ. ი-ს შორის 2009 წლის 13 თებერვალს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ი-მა მიიღო 25000 აშშ დოლარი სესხის სახით, სამი თვის ვადით, თვეში 5% სარგებლის დარიცხვით. სესხის დაბრუნების ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოც – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის 0.3%-ის ოდენობით. მითითებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, ... გამზირის 30ა-ში მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი ... გამზირი 29, კორპუსი 1, ბინა 92). ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ასევე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გადავიდოდა ნ. ლ-ის საკუთრებაში;

მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია;

2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნა იპოთეკის საგნის (54.00 კვ.მ ფართის ბინა მდებარე თბილისში, ... გამზირის №30ა-92-ში, საკადასტრო კოდი ..., მესაკუთრე მ. ი-ი) მოთხოვნის ღირებულება 50000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ შეფასებით, 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნის საგნის ღირებულებაა 50000 ლარი, ადგენდა უზრუნველყოფის მოცულობას (ფარგლებს). ასეთი დასკვნის გაკეთების ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა თავად ხელშეკრულებაში არსებული დებულების ფორმულირება მოთხოვნის ღირებულებასთან დაკავშირე-

ბით, ასევე „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადებული გარიგების ღირებულებაა მოთხოვნის ღირებულება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა არა იპოთეკის საგნის ღირებულება, რომელიც ბევრად უფრო აღემატებოდა მოთხოვნის ღირებულებას, არამედ იმ მოთხოვნის ზღვრული ოდენობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიცვირთა აღნიშნული ქონება. შესაბამისად, მხარეებმა გაითვალისწინეს მოთხოვნის უზრუნველყოფის ფარგლები, რომელიც მოიცავდა როგორც ძირითად თანხას, ასევე პროცენტს, პირგასამტეხლოსა და ყველა შესაძლო ზიანს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო მ. ი-ი, თუმცა, ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მოტყუებით დადების თაობაზე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ ნაწილში სწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან აპელანტს (მოპასუხეს) სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეუსრულებია, ამიტომ მას უნდა დაკისრებოდა სესხის ძირითადი თანხის – 25000 აშშ დოლარის და 3 თვის მიუღებელი სარგებლის – 3750 აშშ დოლარის გადახდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში. სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე და განმარტა, რომ პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამომწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოთხოვნილი პირგასამტეხლოს წლიური ოდენობა შეადგენდა 80.3 %-ს, იგი შესაბამოდ მაღალი იყო და მოსარჩელის მხრიდან სამოქალაქო უფლების არამართლზომიერად გამოყენების მცდელობაზე მიუთითებდა. აქედან გამომდინარე, პალატამ სამართლიანად მიიჩნია პირგასამტეხლო, ყოველდღიურად, სესხის ძირითადი თანხის 0.05%-ის ოდენობით.

შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, უძრავი ნივთი შეიძლება, ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შეთანხმებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მისი საკუთრებაში გადაცემით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე ამავე კოდექსის მე-300 მუხლზე და განმარტა, რომ მითითებული მუხლი იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით ადგენს შემდეგ წესს: 1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით. 2. თუ მოვალე გააჩიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება, გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს. 3. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის მიხედვით, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებულ 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულებით, მართალია, გათვალისწინებულ იქნა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა მოვალის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული შეთანხმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლისათვის საკმარის საფუძველად. პალატამ აღნიშნა, რომ, როგორც სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გააჩიანურების გამო მხარეთა ერთობლივი განცხადება. აღნიშნული ნორმა შემდეგ აუცილებელ წინაპირობებს ითვალისწინებს: 1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, 2. კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; 3. ამ შეთანხმების საჯარო რეესტრში ერთობლივად წარდგენა რეგისტრაციის მიზნით. პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებაზე მოვალის იძულება დაუშვებელია. მითითებული ნორმის დანაწესი არეგულირებს ისეთ მდგომარეობას, რო-

დესაც მოვალე ვალდებულებას ვერ ასრულებს და აღნიშნულის გამო კრედიტორთან ერთად ერთობლივი განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრს კრედიტორის საკუთრებაში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული საგნის გადაცემის თაობაზე. კანონი არ კრძალავს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამომავლო განსახორციელებელ მოქმედებაზე წინასწარ შეთანხმებას, მაგრამ, ამასთან, ეს შეთანხმება მხოლოდ სამომავლო მოქმედების განხორციელებაზე – ერთობლივი განცხადების შედგენაზე თანხმობას უნდა ეხებოდეს. ამდენად, დაუშვებელია, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა, თუნდაც, ამგვარი შეთანხმების არსებობის პირობებში, თუ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ამგვარ ფორმაზე ვალდებული პირი თანახმა არ არის. შესაბამისად, მართალია, მოცემულ შემთხვევაში წერილობითი ფორმით გათვალისწინებულ იქნა მ. ი-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა ქონების პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის გზით, თუმცა, რადგან ვალდებულების დარღვევის ეტაპზე აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა მოვალის ნებას და იგი არ გამოთქვამდა თანხმობას ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ამგვარ ფორმაზე, ამიტომ მოვალე უნდა დაკმაყოფილებულიყო ქონების რეალიზაციის გზით. საკითხის ამგვარად შეფასება, პალატის მოსაზრებით, შეესაბამებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის განჩინება, საქმეზე №ას-1283-1538-09).

სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით ვალდებულების შესრულება წარმოადგენს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ამომწურავ საშუალებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკის) საკუთრებაში გადასვლისას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. უზრუნველყოფის სანივთო უფლების (იპოთეკის) დადგენისას მხარეები იმთავითვე ითვალისწინებენ საგნის ღირებულებას, ამიტომ, როგორც წესი, იპოთეკის საგნის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას. ამ შემთხვევაში წინდაწინ იქმნება იმის ვარაუდი, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციაა სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამ პირობებში ნათელია, თუ სად გადის მოვალის პასუხისმგებლობის ზღვარი. იგი ხელს უწყობს მოვალის ინიციატივას, აქტიურად გამოიყენოს იპოთეკა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. ამასთან, უცვლელი რჩება იმ მესაკუთრის სამართლებრივი სტატუსი, ვინც არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმებს შემოაქვს სახელშეკრულებო თავისუფლების ელემენტები სანივთო სამართალში, აძლევს რა მხარეებს შესაძლებლობას, წინასწარ შეთანხმდნენ სტანდარტულ წესზე, კერძოდ იმაზე, რომ რეალიზაციიდან ამონაგები თანხის ნაკლებობისას მოთხოვნის უფლება არ გაუქმდება.

სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში მხარეები თანხმდებიან ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულებაზე, ანუ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, თუ რა თანხის ფარგლებში უნდა მოხდეს მოვალის მოთხოვნის დაკმაყოფილება. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები უზრუნველყოფილ იქნა იპოთეკის საგნით მისი ღირებულების მხოლოდ 50000 ლარის ფარგლებში. მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა საშუალებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალე მ. ი-ი, თუ საკუთარი ნებით არ შეასრულებდა ვალდებულებას სრული ოდენობით, წინამდებარე ვალდებულების იძულებით აღსრულება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ 50000 ლარის ფარგლებში იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის გზით. 50000 ლარის ამოღების შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება წყდება, ვინაიდან 2009 წლის 13 თებერვლის გარიგებით დადგინდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის ფასი და მხარეები არ იყვნენ შეთანხმებულნი ისეთ პირობაზე, რომელიც კრედიტორს მიანიჭებდა უფლებას, მოვალის სხვა ქონებიდან ან ფულადი სახსრებიდან მოეხდინა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლომ, აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული განმარტება მომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან და ნორმის ამგვარმა განმარტებამ შემდეგ საკანონმდებლო ასახვა ჰპოვა ამავე მუხლის მე-11 ნაწილში. 2009 წლის 4 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე, აღნიშნული ნორმა სასამართლო პრაქტიკით სწორედ ამგვარად განმარტებოდა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის დიდი პალატის №ბს-1537-1494 (კ-08) გადაწყვეტილება).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელის მოთხოვნა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ი-მა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით, მ. ი-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების, ასევე იპოთეკის საგნის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ემ. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

ქონების საკუთრებაში გადაცემის ნაცვლად, მისი სარეალიზაციოდ მიქცევით (ისიც 50000 ლარის ფარგლებში), სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა;

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი. პალატის მოსაზრებით, კრედიტორს იპოთეკის საგანი საკუთრებაში ვერ გადაეცემოდა, რადგან საკუთრებაში გადასვლის მოთხოვნას წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების გამო მხარეთა ერთობლივი განცხადება. კასატორის განმარტებით, წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება შედგეს ერთობლივი განცხადება იმ პირობებში, როდესაც მოვალე საერთოდ არ აღიარებს ვალს და მოითხოვს ხელშეკრულების ბათილად ცნობას. ამასთან, თუ ერთობლივი განცხადება შედგება და დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში, მაშინ რა ფუნქცია აკისრია სასამართლოს. საქმის მასალებით და თავად გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოვალეს არ გადაუხდია არც ძირი თანხა, არც მასზე დარიცხული პროცენტი და არც პირგასამტეხლო. შესაბამისად, შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, დაკისრებული თანხების სანაცვლოდ, იპოთეკის საგნის პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე იყო კანონიერი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უკანონოდ უთხრა უარი მოსარჩელეს მისი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად შეამცირა პირგასამტეხლოს მოცულობა, სასამართლოს მიდგომა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აზრს უკარგავს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების არსებობას, ვინაიდან კრედიტორის უფლებები საგრძნობლად ირღვევა;

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-3 მუხლის განმარტება. ამ მუხლის პირველი ნაწილით ირკვევა, რომ შესაკუთრის განცხადებით, იპოთეკის საგნის მოთხოვნის ფასია 50000 ლარი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ეს არის ის ზღვრული თანხა, რაც შეიძლება შეიცავდეს ძირ თანხას, სარგებელს და შესაძლო ზიანს. გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება წინასწარ განისაზღვროს შესაძლო ზიანი, როდესაც 50000 ლარი თავისი მოცულობით უკვე ავსებს ძირ თანხას და სარგებელს ერთად, იგი ჯამში შეადგენს 28750 აშშ დოლარს. ხელშეკრულების შემოადგენილი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ იპოთეკის საგნით უზრუნველყოფილია სესხი, სარგებელი და შესაძლო ზიანი. აქ საუბარია სრულ საგანზე და არა ხელშეკრულების დადების დროისთვის განსაზღვრული საგნის ღირებულებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ლ-ესა და მ. ი-ს შორის 2009 წლის 13 თებერვალს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ი-მა ნ. ლ-ისგან ისესხა 25000 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით, თვეში 5% სარგებლის დარიცხვით;

სესხის დაბრუნების ვადის დარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირაგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარჩენილი თანხის 0.3%;

სესხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და შესაძლო ზიანის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვინათ მ. ი-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – ქ.თბილისში, ... გამზირის 30ა-ში (ყოფილი ... გამზირი №29, კორპუსი №1) მდებარე ბინა №92;

ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოვალის (მსესხებლის) მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი გადავიდოდა იპოთეკარის (გამსესხებლის) საკუთრებაში;

ამავე ხელშეკრულების მიხედვით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ დაფარავდა მოთხოვნის ოდენობას;

მ. ი-ს (მსესხებელს) ზემოსხენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია;

2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნა იპოთეკის საგნის (54.00 კვ.მ ფართის ბინა მდებარე თბილისში, ... გამზირის №30ა-92-ში, საკადასტრო კოდი ..., შესაკუთრე მ. ი-ი) მოთხოვნის ღირებულება 50000 ლარის ოდენობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის. კასატორი სადავოდ ხდის დადგენილი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობას, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობა

მოვალის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა დავას არ იწვევდა, სააპელაციო სასამართლომ მაინც არ დააკმაყოფილა კრედიტორის (მოსარჩელის) მოთხოვნა იპოთეკის საგნის მის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობა მოვალის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნული შეთანხმება არ წარმოადგენდა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის საკმარის საფუძველს. სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებაზე მოვალის იძულება არ დაიშვებოდა, კერძოდ, დაუშვებელი იყო, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ქონების პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა, თუნდაც, შეთანხმების არსებობის პირობებში, თუ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ამგვარ ფორმაზე ვალდებული პირი თანახმა არ იყო. ასეთ შემთხვევაში, მოვალე უნდა დაკმაყოფილებულიყო ქონების რეალიზაციის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დავის გადასაწყვეტად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას – სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლით დასაშვებია თუ არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლა, როცა ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით, თუ უნდა მოხდეს იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაცია, როცა მოვალე წინააღმდეგია კრედიტორთან ერთად განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის განმარტება. უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ნორმის სრულყოფილი განმარტებისათვის, იგი უნდა განიმარტოს არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ ასევე სხვა ნორმებთან კონტექსტში (სისტემურად), მისი მიზნისა და შინაარსის გათვალისწინებით.

სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მიზნის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მითითებული ნორმა სამოქალაქო კოდექსის სიახლეს წარმოადგენს, კერძოდ, 2007 წლის 29 ივნისის ცვლილებებამდე, სამოქალაქო კოდექსით აკრძალული იყო იპოთეკის საგნის პირდაპირ კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა (სკ-ის 302.2 მუხლი). ამ აკრძალვის გამო, მხარეები პრაქტიკაში სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ, რომლებიც ყოველთვის არ თავსდებოდა კანონის ფარგლებში. გარდა ამისა, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონზე გაყიდვის გართულებული პროცედურა აჭიანურებდა იპოთეკის საგნის რეალიზაციის პროცესს, რაც იწვევდა არა მარტო კრედიტორების უკმაყოფილებას, არამედ აფერხებდა სამოქალაქო ბრუნვას. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ზემოხსენებული ცვლილებების მიზანი იყო იპოთეკით დატვირთული ქონებიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო, ერთი მხრივ, იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაციის პროცესის გამარტივებით, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორისა და მოვალის შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იპოთეკის საგნის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემით.

სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი ითვალისწინებს სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა. მითითებული ნორმის მიხედვით: 1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით; 2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს; 3. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ზემოხსენებული ნორმა ადგენს შემდეგ წინაპირობებს: ა. კრედიტორი და მოვალე შეთანხმებული უნდა იყვნენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; ბ. უნდა არსებობდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი; გ. კრედიტორმა და მოვალემ ერთობლივი განცხადებით უნდა მიმართონ საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სკ-ის მე-300 მუხლის შინაარსი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს, მხოლოდ მოვალის თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა. მითითებული ნორმის ამგვარი განმარტებით, მთლიანად მოვალის კეთილსინდისიერებაზე იქნებოდა დამოკიდებული, დათანხმდებოდა თუ არა იგი იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას საჯარო რეესტრში ერთობლივი განცხადების წარდგენით. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ნორმის მიზანს – შეზღუდოს არაკეთილსინდისიერი მოვალე აღსრულების პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებაში, და ბოლოს, ამგვარი განმარტება, ფაქტობრივად, უმოქმედოდ გადააქცევდა ზემოხსენებულ ნორმას. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: – ასეთ შემთხვევაში რისი უფლება აქვს კრედიტორს? ცხადია, კრედიტორს არა აქვს უფლება, ცალმხრივად მიმართოს საჯარო რეესტრს და მოითხოვოს იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადაცემა, მაგრამ იგი უფლება-მოსილია, სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის

საკუთრებაში გადაცემა, თუ, რა თქმა უნდა, დაამტკიცებს, რომ: ა. იპოთეკის ხელშეკრულებით არსებობს შეთანხმება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; ბ. მოვალემ დარღვია ვალდებულება და, მიუხედავად ამისა, იგი წინააღმდეგია, კრედიტორს საკუთრებაში გადასცეს იპოთეკის საგანი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კრედიტორის ასეთი უფლებამოსილება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის მიხედვით, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ კრედიტორი და მოვალე ხელშეკრულებით შეთანხმდნენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე, შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია, იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაცვლად, მოითხოვოს ამ საგნის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის დასადგენად აუცილებელია ასევე გაირკვეს, დაარღვია თუ არა მოვალემ ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოვალემ (მოპასუხემ) დაარღვია 2009 წლის 13 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს უარი ეთქვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე და შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდა. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებაზე მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, შესაბამისად, იგი სადავოდ ველარ გახდის ვერც ხელშეკრულების ნამდვილობას და ვერც დაკისრებული თანხის ოდენობას, ვინაიდან ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადაცემის სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც საფუძვლიანს ხდის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას – იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა არა იპოთეკის საგნის ღირებულება, არამედ იმ მოთხოვნის ზღვრული ოდენობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დატვირთა მოვალის უძრავი ქონება. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული გარემოება მოცემული დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი არ არის, ვინაიდან არსებობს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადაცემის სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, რაც გამორიცხავს მოთხოვნის უზრუნველყოფის ფარგლების დადგენის საჭიროებას. ამ გარემოების დადგენის აუცილებლობა იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო, თუ კრედიტორის (იპოთეკარის) მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდებოდა არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით, არამედ იპოთეკის საგნის აუქციონზე გაყიდვით, რისი უფლებაც, მოთხოვნის დაკმაყოფილების აღტერნატივის სახით, კრედიტორს გააჩნდა (ხელშეკრულების 5.2 პუნქტი).

საკასაციო პალატა იზიარებს ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე და მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ამ ნაწილში დაუსაბუთებელია. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან კრედიტორს (იპოთეკარს) საკუთრებაში უნდა გადაეცეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი, ვალის ოდენობა აღარაა მნიშვნელოვანი, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას (ხელშეკრულების 5.1 პუნქტი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი, ხოლო, მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნ-

და დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის შეგვებულ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი უნდა დარჩეს უცვლელად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ლ-ის შეგვებულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 3000 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე – 2805.85 ლარი (მთლიანობაში, 5855.85 ლარი). მ. ი-ს სარჩელზე გადახდილი აქვს 630 ლარი, ხოლო, სააპელაციო საჩივარზე (როგორც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში) – 4850 ლარი. მას გადახდილი აქვს ასევე საადვოკატო მომსახურების ხარჯი 1750 ლარი. მ. ი-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის და შესაბამისი პროპორციით საადვოკატო მომსახურების ხარჯის, მხარეთა შორის განაწილების თაობაზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, ვინაიდან ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. აქედან გამომდინარე, მხარეთა შორის უნდა განაწილდეს მხოლოდ შეგვებულ სარჩელთან დაკავშირებით გაღებული ხარჯები. ნ. ლ-ის შეგვებულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით, როგორც აღინიშნა, გადახდილი აქვს 5855.85 ლარი. მოპასუხე მ. ი-ის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (4850 ლარის), ისევე როგორც საადვოკატო მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის (1750 ლარის), მხოლოდ ნახევარი წარმოადგენს შეგვებულ სარჩელთან დაკავშირებით გაღებულ ხარჯს, ვინაიდან მოპასუხეს სააპელაციო წესით გასაჩივრებული ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც თავისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. ამასთან, სარჩელისა და შეგვებულ სარჩელის დავის საგნის ღირებულება, მოცემულ შემთხვევაში, იდენტურია, ვინაიდან სარჩელის დავის საგანია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხოლო, შეგვებულ სარჩელის დავის საგანია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. მართალია, მ. ი-ის მიერ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მაგრამ დავა ქონებრივ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ, ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მას არ დაეკისროს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, ანუ – შეგვებულ სარჩელით მოთხოვნილი თანხის გადახდა. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ შეგვებულ სარჩელთან დაკავშირებით გადახდილად უნდა იქნეს მიჩნეული მის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის (4850 ლარის) ნახევარი – 2425 ლარი, ასევე საადვოკატო მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის (1750 ლარის) ნახევარი – 875 ლარი, სულ 3300 ლარი.

ზემოაღნიშნული ხარჯები მხარეთა შორის უნდა განაწილდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესით, კერძოდ, ვინაიდან ნ. ლ-ის შეგვებულ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამიტომ მოსარჩელეს მის მიერ გაღებული თანხა უნდა მიეკუთვნოს შეგვებულ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – შეგვებულ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეგვებულ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, მ. ი-ს ნ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა: 1. სესხის ძირითადი თანხა – 25000 აშშ დოლარი; 2. სამი თვის სარგებელი – 3750 აშშ დოლარი; 3. პირგასამტეხლო სარჩელის აღძვამდე – 7637.5 აშშ დოლარი; 4. პირგასამტეხლო სარჩელის აღძვრის დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე – ყოველდღიურად სესხის ძირითადი თანხის 0.05% – 12.5 აშშ დოლარი. ამდენად, შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის ღირებულება შეადგენს – 37737.5 (25000+3750+7637.5+1350) აშშ დოლარს, ანუ სადავო თანხის (70655 აშშ დოლარის) 53.41%-ს, ხოლო, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ღირებულება – 32917.5 აშშ დოლარს, ანუ სადავო თანხის 46.59%-ს. აქედან გამომდინარე, მხარეთა მიერ გაღებული ხარჯები მათ შორის უნდა განაწილდეს ზემოხსენებული პროპორციით, კერძოდ, მოპასუხეს მოსარ-

ჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5855.85 ლარის 53.41%, რაც შეადგენს 3127.6 ლარს, ხოლო, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 3300 ლარის 46.59%, რაც შეადგენს 1537.47 ლარს. ამასთან, ვინაიდან მოპასუხის მოთხოვნის მოცულობა ნაკლებია მოსარჩელის მოთხოვნის მოცულობაზე, იგი უნდა გაიქვიტოს და საბოლოოდ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1590.13 (3127.6-1537.47=1590.13) ლარის გადახდა.

კასატორის მონინალმდევე მხარის მოსაზრებით, კასატორი ფაქტობრივად სრულად ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამიტომ მისი საკასაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 80835 აშშ დოლარს, შესაბამისად, მას სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა გადაეხადა 6000 და არა 2805.85 ლარი.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ზემოხსენებულ მოსაზრებას და აღნიშნავს შემდეგს: მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორის მიერ გასაჩივრებულია ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შეგებებული სარჩელი. მართალია, კასატორი ითხოვს ასევე მოპასუხისათვის იმ თანხის დაკისრებას, რაც ისედაც დაკისრებული იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება მივიჩნიოთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გასაჩივრებად, რომელიც კასატორის სასარგებლოდ იყო გამოტანილი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკასაციო გასაჩივრების სუბიექტი უფლებამოსილია გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს ის გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი. მხარის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების ამავე მხარის მიერ გასაჩივრება ეწინააღმდეგება ელემენტარულ ლოგიკას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორს გასაჩივრებული აქვს მხოლოდ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. ამ ნაწილში კი, საკასაციო საჩივრის ღირებულება არ აღემატება საკასაციო საჩივარში მითითებულ ღირებულებას (33605 აშშ დოლარს).

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ლ-ის შეგებებული სარჩელი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემისა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით მ. ი-ისათვის ნ. ლ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების სანაცვლოდ, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი - ქ.თბილისში, ... გამზირის №30ა-ში (ყოფილი ... გამზირი №29, კორპუსი №1) მდებარე ბინა №92 (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) საკუთრებაში გადაეცეს ნ. ლ-ეს და ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში აღრიცხოს გადაცემული ქონების მესაკუთრედ;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი დარჩეს უცვლელად;
6. მ. ი-ს ნ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1590.13 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვალდებულ დაბრუნებისათვის

გაღანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1385-1307-2012 7 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საბანკო ხელშეკრულებებისა და სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს.ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ა-ის, რ. ა-სა და ნ. ა-ის მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მოპასუხეებისათვის 60042,01 ლარის დაკისრების მოთხოვნით, საიდანაც ძირითადი ვალდებულება 7410,05 ლარია, პროცენტი – 7369,45 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო 45262,51 ლარი. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ რ. ა-სა და ნ. ა-ის პასუხისმგებლობა თითოეულის მიმართ განისაზღვროს 16000 ლარით. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

2008 წლის 19 ივნისს სს „ს. ბ-სა“ და ა. ა-ეს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება 8000 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 12 თვით, წლიური საპროცენტო სარგებელი 30%-ით, ხოლო პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ით. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მოპასუხეებმა: ნ. ა-მა და რ. ა-მა წერილობით იკისრეს სოლიდარული თავდებობა ვალდებულების ორმაგი ოდენობით შესრულების შესახებ. 2011 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით ა. ა-ის დავალიანება შეადგენს 7410,05 ლარს – ძირ თანხას, 7369,45 ლარს – პროცენტსა და 45262,51 ლარს – ჯარიმას. საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ბანკის მხრიდან შესრულებულია, რაც გამოიხატება თანხის გაცემაში, ხოლო, საბანკო ამონაწერების თანახმად, მსესხებელი არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას – ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის შესაბამისად დაეფარა კრედიტი. მოპასუხემ შეწყვიტა სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვა. საკრედიტო დავალიანების თაობაზე მოპასუხეს ეცნობა წერილობით და მიეცა დამატებითი 2-კვირიანი ვადა ვალდებულების შესრულებისათვის, თუმცა, მას დავალიანება არ დაუფარავს. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მე-400, 873-ე და 411-ე მუხლები.

ა. ა-ემ სარჩელი ნაწილობრივ, ძირითადი ვალდებულებისა და ჯარიმის შესრულების მოთხოვნის ნაწილში ცნო და განმარტა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებული იყო 2008 წელს მომხდარი ომისა და მის შედეგად გამოწვეული ფინანსური კრიზისით, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

რ. ა-მა სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ ვალდებულება ა. ა-ეს უნდა შესრულებინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. ა-ს, ნ. ა-სა და ა. ა-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ 10619 ლარისა და 37 თეთრის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“ იმ ნაწილში, რომლითაც შემცირდა პირგასამტეხლო, ასევე მოსარჩელეს უარი ეთქვა საპროცენტო სარგებლის – 5160,13 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებაზე და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლო დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტს, რომლითაც საპროცენტო სარგებელი უნდა დაანგარიშებულიყო კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად და ამის გამო პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა ჩაეთვალა, რომ სარგებელი დარიცხული იყო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც. სასამართლომ მიუთითა აპელანტსა და ა. ა-ეს შორის 2008 წლის 19 ივნისს დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტზე და განმარტა, რომ ბანკმა ხელშეკრულების ამ პუნქტით მიინიჭა უფლება თანხის დაბრუნებამდე თავის ერთპიროვნული შეხედულებით დაარიცხოს პროცენტი დაუბრუნებელ თანხას. მართალია, ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 327-ე მუხლებიდან გამომდინარე, მხარეთა ნების გამოვლენა და მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე უნდა შეთანხმდნენ, მაგრამ ისეთ სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც გარიგების ერთი მხარე მსხვილი სანარმოა ბანკის სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი, მოლაპარაკების ძალთა ბალანსი არაა დაცული, რაც ძლიერ კონტრაქტებს უქმნის ნაყოფიერ ნიადაგს სუსტ კონტრაქტებს თავს მოახვიონ ხელშეკრულების არათანაბარი პირობები, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, მოცემულ შემთხვევაში, ბანკმა, რომელმაც მიინიჭა უფლება, დაერიცხა საპროცენტო სარგებელი კრედიტით სარგებლობის ყოველ დღეზე, იცოდა ამ ხელშეკრულებო დათქმის შესახებ, ეს დათქმა კაბალური გახდა მას შემდეგ, რაც სარჩელი გრაფიკის ვადის დარღვევიდან მხოლოდ 2 წლისა და 5 თვის შემდეგ წარადგინა. სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილისა და 115-ე მუხლის თანახმად, ბანკმა ისარგებლა საბაზრო ძალაუფლებიდან გამომდინარე მისი დომინირებული მდგომარეობით და კონტრაქტების სისუსტით, რაც მათ მიერ საბაზრო ძალაუფლების არქონაში გამოიხატა, არა მარტო მოათავსა თავის მიერვე შედგენილ ხელშეკრულებაში თავისათვის სასარგებლო ნორმა, არამედ ან ნორმის საფუძველზე მოითხოვა იმაზე სამჯერ უფრო მეტი თანხა, რაც მას ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების პირობებში უნდა მიეღო. სასამართლოს განმარტებით, ისეთი ვითარება, როდესაც ერთ მხარეს მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ ვალდებულებები, ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის არსს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილსა და 347-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტს. კოდექსი ზოგადად კრძალავს შეუსაბამოდ მაღალი შესრულების მიღებას და ეს დებულება უნდა გავრცელდეს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებზე, როდესაც მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ ვადაში ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში სარგებელი უნ-

და ყოფილიყო 2400 ლარი, ხოლო 2 წლისა და 5 თვის შემდეგ შეტანილი სარჩელით, ბანკმა, საბაზრო ძალა-უფლების შედეგად მიღწეული დომინანტური მდგომარეობისა და თავის მიერვე დაწერილი ხელშეკრულებით მიინჭებულ სამოქალაქო უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად საპროცენტო სარგებლის სახით მოითხოვა 7369,45 ლარი. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს არასწორ შემცირებაზე. ამ მიმართებით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ბანკმა სესხის ძირითადი დავალიანების თანხას, 7410 ლარს, პირგასამტეხლოს სახით არა მარტო 45262 ლარი დაარიცხა, არამედ მოითხოვა მისი დაკისრება სასამართლოსაგან. სააპელაციო მოთხოვნის დაზუსტებისას აპლენტმა მოითხოვა პირგასამტეხლოს სახით 4526,25 ლარის დაკისრება. ისეთ ვითარებაში, როდესაც სესხს დაერიცხა საპროცენტო სარგებელი იმ ოდენობით, რაც უნდა დარიცხულიყო მასზე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლომ პირგასამტეხლოს სახით დააკისრა მხარეს 1000 ლარი, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა საფუძველი მოწინააღმდეგე მხარისათვის პირგასამტეხლოს სახით კიდევ რაიმე თანხის დაკისრებისა. სასამართლოს მითითებით, 1000 ლარი წარმოადგენდა სესხის ძირითადი დავალიანებული თანხის – 7410 ლარის დაახლოებით 13,5%-ს და ეს საპროცენტო განაკვეთი გონივრული იყო პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების, დანიშნულების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარგებლის სახით მოწინააღმდეგე მხარეებისათვის 5160,13 ლარის სოლიდარულად დაკისრება შემდეგი საფუძველებით:

კასატორმა მიუთითა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველებზე და განმარტა, რომ 2008 წლის 19 ივნისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითადი თანხა 7410,05 ლარს შეადგენდა, საპროცენტო სარგებელი – 7369,45 ლარს, ჯარიმა – 45262,51 ლარს, სულ 60042,01 ლარს. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარგებლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ პროცენტის დარიცხვაზე შეთანხმების არარსებობა, ხოლო, სააპელაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმის არსებობისა, ბანკმა დომინირებული მდგომარეობის გამოყენებით მიინიჭა ფართო უფლებამოსილება, რითაც დაარღვია მოლაპარაკების ძალთა ბალანსი და სუსტ კონტრაქტს თავს მოახვია ხელშეკრულების არათანაბარი პირობები, სასამართლოთა აღნიშნული მსჯელობა არასწორია, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 327-ე მუხლების შესაბამისად, მხარეები ხელშეკრულების 2.2.1. პუნქტით სადავო პირობაზე შეთანხმდნენ. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლზე და განმარტა, რომ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, დათქმულ ვადაში ძირითადი თანხის დაუბრუნებლობა კრედიტორს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, აღნიშნული პრევენციული ხასიათის მატარებელი ნორმა და დამოკიდებულია მხარეთა ინციპატივაზე. ვადის გადაცილებით გამოწვეული პროცენტის დაკისრება დასაშვებია მაშინ, თუ კრედიტორს სხვა საფუძველიდან გამომდინარე, არ შეუძლია, მოითხოვოს უფრო მეტი. ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისას პროცენტის გადახდის დაკისრება მინიმალურ ზიანს წარმოადგენს, რომლის არსებობის დასადგენად საკმარისია მხოლოდ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, არსებობს მხარეთა შეთანხმება, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, კრედიტის დაფარვამდე პროცენტის გადახდევინების თაობაზე, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნის ვადის გადაცილების გამო, კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია. დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ თანხის გადაუხდელობით კასატორს მოწინააღმდეგე მხარემ მიაყენა ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებასა და დაქვემდებარებული არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, გამოიხატება მოვალის მიერ თანხის დაუბრუნებლობაში. თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში ბანკი მას იმავე პროცენტით გასცემდა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, რაც ადასტურებს სარჩელით მოთხოვნილი ოდენობით პროცენტის დაკისრების მართებულობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანია მოპასუხეებისათვის სოლიდარულად, სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ 5160,13 ლარის დაკისრება. მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს სხვაობას მოსარჩელის მიერ პროცენტის (სარგებლის) სახით მოთხოვნილ 7369,45 ლარსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ სარგებელს – 2209,32 ლარს შორის.

საკასაციო პალატა გნმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, განსაზღვრულია ის ფარგლები, რომელშიც შიძლება საკასაციო სასამართლომ განახორციელოს სამართლებ-

რივი შეფასება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს კასატორის მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების იმგვარ დარღვევას, რასაც შდგად საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორი დადგენა ან საერთოდ დაუდგენლობა მოჰყვა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორს დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია და მისი საკასაციო საჩივარი მხოლოდ მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევას ეხება.

როგორც გასაჩივრებული განჩინების შინაარსიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, დადგენილია, რომ:

2008 წლის 19 ივნისს სს „ს. ბ-სა“ და ა. ა-ის შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე 12 თვის ვადით გაიცა საბანკო კრედიტი 8000 ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო სარგებლით 30%, ხოლო პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა გადაუხდელი თანხის 0,5%-ით. მსესხებელი ვალდებული იყო კრედიტი დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. 2008 წლის 19 ივნისს სს „ს. ბ-ს“, რ. ა-სა და ნ. ა-ს შორის დაიდო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები. ამასთან, თითოეული თავდების პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრა 16000 ლარით. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებები მოპასუხეების მიერ არ შესრულებულა ჯეროვნად. 2011 წლის 10 ნოემბერს გაცემული ცნობის თანახმად, ა. ა-ის დავალიანება შეადგენს 60042,01 ლარს, საიდანაც 7410,05 ლარი ძირი თანხაა, 7369,45 ლარი პროცენტი, 45262,51 ლარი პირგასამტეხლო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკმა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ ხელოვნურად გაზარდა საპროცენტო სარგებლის ოდენობა, რაც მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებას წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლომ ა. ა-ის მიერ გადახდილი პროცენტის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა საპროცენტო სარგებლის დარიცხვის ნაწილში, საფუძვლიანად მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს „ს. ბ-ის“ აპელირება ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტზე, რომლითაც ბანკს ენიჭებოდა უფლება, ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, კრედიტის მიმღებისათვის დაერიცხა პროცენტი იძულებითი ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ხელშეკრულების აღნიშნული პირობა წარმოადგენდა ბათილ სტანდარტულ პირობას სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, ვინაიდან, შემთავაზებელს – სს „ს. ბ-ს“, მინიჭებული ჰქონდა უფლება, ხელშეკრულების მეორე მხარისათვის მოეთხოვა განუხლები ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების დარღვევისას, კანონმდებელმა, კრედიტორს მიანიჭა უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხლი), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408.1 მუხლი), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხლი) და ა.შ. საკასაციო პალატის შეფასებით, მხარეთა შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტი, რომლითაც ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დაარიცხოს კრედიტის მიმღებს ის პროცენტი, რაც გათვალისწინებულია სესხის სახით მიღებული თანხით სარგებლობისათვის, უნდა განვიხილოთ, როგორც მხარეთა შეთანხმება მინიმალურ ზიანზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის, როგორც საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ფორმით არსებობს (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). შესაბამისად, სს „ს. ბ-ს“, გაცემული კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეეძლო მიეღო ის მინიმალური სარგებელი, რასაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა. ნიშანდობლივია, რომ ბანკის მიერ სარგებლის მიღების პრეზუმფცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის ანაზღაურება უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა კანონის არ დაუშვა მისი მიღება.

სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამენარმო საქმიანობას, მიიჩნევა ბათილად შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საპროცენტო სარგებლის ფარგლებში, რაც დადგენილია კრედიტით სარგებლობისათვის. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ბანკი ითხოვს შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ კასაციის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მიუღებელი შემოსავლისათვის. სს „ს. ბ-ის“ ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ იგი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანისათვის, რაც გამოიხატა სესხის სახით გაცემული თანხის დაუბრუნებლობაში, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც, ანუ იმ დანაკლისისათვის, რაც ბანკმა ვერ მიიღო მოპასუხის ქმედებით. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მხარეები შეთანხმდნენ მინიმალური ზიანის ოდენობაზე, ამასთან, არსებობს პრეზუმფცია, რომ მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს კრედიტის კვლავ გაცემით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შემადგენლობა, რაც კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ, ვალდებულების დარღვევიდან 2 წლისა და 5 თვის გასვლის შემდეგ სარჩელის წარდგენით ბოროტად გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით რეგლამენტირებულია უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპი, კერძოდ, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, უფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი მოქმედებს არამართლზომიერად, ამასთან, ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების დაცვას ან აღდგენას. ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევიდან დაუყოვნებლივ არ წარადგინა სარჩელი სასამართლოში, არ შეიძლება განვიხილოთ უფლების ბოროტად გამოყენებად, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინა კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში და მისი ქმედება კანონიერ მიზნებს ემსახურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

წინამდებარე საქმეზე სარჩელის გამო სს „ს. ბ-მა“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდა 1805 ლარი, სარჩელის უბრუნველყოფის გამო – 150 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 388 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 300 ლარი, ანუ სს „ს.ბ-ის“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით სულ გადახდილ იქნა 2643.

პირველი ინსტანციის სასამართლომ, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, მოპასუხეებს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან დააკისრა 319,24 ლარი, საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების საფუძველზე სს „ს. ბ-ის“ სარჩელი დამატებით 5160,13 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა, ამ გარემოებისა და კანონის ზემოაღნიშნული დანაწესის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხეებს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დამატებით უნდა დაეკისროთ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 304,80 ლარი (5160,13X3%+150), სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 206,40 ლარი (5160,13X4%), ხოლო საკასაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი სრულად, სულ – 811,20 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს.ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინება სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ მოწინააღმდეგე მხარეებისათვის სარგებლის – 5160,13 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ა. ა-ის, რ. ა-სა და ნ. ა-ის მიმართ, საბანკო ხელშეკრულებებისა და სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, სარგებლის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდეს.

4. მოპასუხეებს: ა. ა-ეს (პ/№...), რ. ა-სა (პ/№...) და ნ. ა-ს (პ/№...), საბანკო ხელშეკრულებებისა და სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, სს „ს. ბ-ის“ (ს/№...) სასარგებლოდ დაეკისროთ 5160,13 ლარი.

5. ა. ა-ეს, რ. ა-სა და ნ. ა-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან სოლიდარულად დაეკისროთ 811,20 ლარი.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საბანკო გარანტია

ბანკინება

№ას-1353-1277-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-სა“ და შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, სოლიდარულად 3882.13 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 5 ივლისს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №88 ხელშეკრულება, რომლითაც მიმწოდებელმა შპს „მ-მა“ ივალდებულა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლის მიშენებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 178 900 ლარით, სამუშაოების შესრულება – 2011 წლის 5 სექტემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2011 წლის 30 ნოემბრამდე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო (გეგმა-გრაფიკის დარღვევა) სამინისტროს 2011 წლის 25 აგვისტოს წერილით შპს „მ-ი“ გაფრთხილდა, დროულად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები, 2011 წლის 5 სექტემბრის წერილით შპს „მ-ს“ ეცნობა ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,07%. მიუხედავად გაფრთხილებისა, შპს „მ-ს“ სამუშაოების წარმოება არ განუახლებია, რის გამოც სამინისტრომ 2011 წლის 6 ოქტომბრიდან შეწყვიტა ხელშეკრულება, რის შესახებაც აცნობა მოპასუხეს 2011 წლის 6 ოქტომბერს. შპს „მ-ის“ მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განმარტებითი ნაწილი შპს „გ-ის“ მიერ დადასტურებული, შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამუშაოები შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ, 2011 წლის 6 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 18 556.6 ლარი, შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულებამ კი – 160343.40 ლარი. შპს „მ-ის“ ავანსად ჩარიცხულია 89 450 ლარი, რასაც უნდა გამოაკლდეს შესრულებული სამუშაოს ღირებულება 18 556.6 ლარი, დარჩენილი 74 775.53 ლარი ექვემდებარება დაბრუნებას. ამასთან, მოპასუხეს ხელშეკრულების 9.1 პუნქტის თანახმად, ეკისრება 2011 წლის 5 სექტემბრიდან 2011 წლის 6 ოქტომბრამდე დარიცხული პირგასამტეხლო – 3 882.13 ლარი.

შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ მიერ 2011 წლის 5 ივლისს გაცემულია საავანსო ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიები, რომლის შესაბამისად, შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იკისრა საავანსო ანგარიშსწორების წესით გადახდილი თანხის 89 450 ლარის ფარგლებში ანაზღაურება, ასევე ერთჯერადი გადასახდელის 8 945 ლარის გადახდა. შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ს“ სამინისტროს წერილებით განესაზღვრა ვადა საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ და განსაზღვრა ვადა საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ, მან მოთხოვნილი თანხა ნაწილობრივ აანაზღაურა, კერძოდ, უარი განაცხადა პირგასამტეხლოს – 3882.13 ლარის ანაზღაურებაზე. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88 ხელშეკრულების მე-9 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის წესსა და პირობებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე, 327-ე, 361-ე, 417-419-ე, 879-890-ე მუხლების შესაბამისად,

მოითხოვა მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, სოლიდარულად პირგასამტეხლოს – 3882.13 ლარის გადახდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: შპს „მ-ს“ და შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 3479.46 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით, მოპასუხეებს: შპს „მ-ს“ და შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის – 104 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 აგვისტოს განჩინებით შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „მ-ი“ რეგისტრირებულია 2004 წლის 23 აგვისტოს ბოლნისის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე დგას ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგადასახადო ინსპექციაში, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ბოლნისის რაიონი, სოფ. რ-ი. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორი ზ. თ-ი და დირექტორი თ. ჩ-ი. საზოგადოების 100% წილის მფლობელია ზ. თ-ი, რაც დასტურდება საქმეში არსებული ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

2011 წლის 5 ივლისს აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №88 ხელშეკრულება, რომლითაც მიმწოდებელმა – შპს „მ-მა“ ივალდებულა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლის მიშენებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 178 900 ლარით, სამუშაოების შესრულება – 2011 წლის 5 სექტემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2011 წლის 30 ნოემბრამდე ხელშეკრულების 11.6 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც დასტურდება სარჩელზე დართული 2011 წლის 5 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №88 ხელშეკრულებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შპს „მ-მა“ ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, 2011 წლის 6 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 18 556,6 ლარი, შეუსრულებული სამუშაოს ღირებულებამ კი – 160343.40 ლარი.

შპს „მ-ან“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გამოცხადდა ხელახალი ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ს-ა“, რომელმაც შეასრულა დარჩენილი, შპს „მ-ის“ მიერ შეუსრულებელი სამუშაო. შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ვ-ის“ დასკვნა არ შეიცავს დასაბუთებას, რა კრიტერიუმებით იქნა გამიჯნული შპს „მ-სა“ და შპს „ს-ას“ მიერ შესრულებული სამუშაოები, დადგენილია, რომ „ვ-ის“ მიერ დასკვნის მომზადებისას შპს „ს-ას“ დასრულებული ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის მიერ 2011 წლის 5 ივლისს გაცემულია საავანსო ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიები, რომლის შესაბამისად, შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იკისრა საავანსო ანგარიშსწორების წესით გადახდილი თანხის 89 450 ლარის ფარგლებში ანაზღაურება, ასევე ერთჯერადი გადასახდელის 8 945 ლარის გადახდა. შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ს“ სამინისტროს წერილებით ეცნობა შპს „მ-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ და განესაზღვრა ვადა საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ, მან მოთხოვნილი თანხა ნაწილობრივ აანაზღაურა, კერძოდ, უარი განაცხადა პირგასამტეხლოს თანხის – 3 882.13 ლარის ანაზღაურებაზე.

მოსარჩელესა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის წესსა და პირობებზე. ამავე ხელშეკრულების მე-10.5 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია (გარანტიები) შემსყიდველის მიერ გამოყენებული იქნებოდა ნებისმიერი ზიანისა და გადაუხდელი თანხის, მათ შორის პირგასამტეხლოს ანაზღაურების მიზნით (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88 ხელშეკრულების მე-10.5 პუნქტი).

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316.1-ე, 317-ე, 361.2-ე, 405.1-ე, 879-ე, 880.1-ე, 881-ე, 417-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო კანონების ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარჩელი სწორად დააკმაყოფილა ნაწილობრივ, შესაბამისად, მოპასუხეებს: შპს „მ-ს“ და შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ს“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სასარგებლოდ, სოლიდარულად სწორად დააკისრა 3479.46 (სამი ათას ოთხას სამოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო განიხილა საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მ“, მოითხოვა მისი გაუქმება ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა, უგულებელყო და არ გაითვალისწინა აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები და სამართლებრივი საფუძველები. პალატამ არასწორად დაადგინა და შესაბამისად, არასწორად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების 9.1 მუხლით დადგენილი შეთანხმება პირგასამტეხლოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვრცელდება მხოლოდ გარანტიის ფარგლებში მისი შინაარსის გათვალისწინებით. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 880-ე, 879-ე მუხლებზე, თუმცა არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს გარანტიის ფარგლებს. კასატორის აზრით, ბენეფიციარმა საავანსო ანგარიშსწორების სახით გადახდილი თანხა შესრულებული სამუშაოების სახით ნაწილობრივ მიიღო პრინციპალისაგან, ხოლო დარჩენილი ნაწილი ანაზღაურდა სადაზღვევო კომპანიის მიერ, ამდენად, სრულად შესრულდა ვალდებულება და ამოიწურა ყველაწილი მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ, შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა შეიძლება, გააჩნდეს პრინციპალის მიმართ, თუმცა გარანტისათვის მისი დაკისრება გამოირიცხება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, დადგენილია, რომ 2011 წლის 5 ივლისს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №88, რომლითაც მიმწოდებელმა – შპს „მ-მა“ ივალდებულა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №1 საჯარო სკოლის მიშენებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 178 900 ლარით, სამუშაოების შესრულება – 2011 წლის 5 სექტემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2011 წლის 30 ნოემბრამდე, ხელშეკრულების 11.6 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც დასტურდება სარჩელზე დართული 2011 წლის 5 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №88 ხელშეკრულებით.

დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შპს „მ-ის“ მიერ შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ, 2011 წლის 6 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 18 556,6 ლარი, შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულებამ კი შეადგინა 160343.40 ლარი.

დადგენილია, რომ შპს „მ-ან“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გამოცხადდა ხელახალი ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ს-ა“, რომელმაც შეასრულა დარჩენილი, შპს „მ-ის“ მიერ შეუსრულებელი სამუშაო. შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ვ-ის“ დასკვნა არ შეიცავს დასაბუთებას, რა კრიტერიუმებით იქნა გამიჯნული შპს „მ-სა“ და შპს „ს-ას“ მიერ შესრულებული სამუშაოები.

დადგენილია, რომ „ვ-ის“ მიერ დასკვნის მომზადებისას შპს „ს-ას“ დასრულებული ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

დადგენილია, რომ შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ მიერ 2011 წლის 5 ივლისს გაცემულია საავანსო ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიები, რომლის შესაბამისად, შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იკისრა საავანსო ანგარიშსწორების წესით გადახდილი თანხის 89 450 ლარის ფარგლებში ანაზღაურება, ასევე ერთჯერადი გადასახდელის – 8 945 ლარის გადახდა. შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ს“ სამინისტროს წერილებით ეცნობა შპს „მ-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ და განესაზღვრა ვადა საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ, მან მოთხოვნილი თანხა ნაწილობრივ ანაზღაურა, კერძოდ, უარი განაცხადა პირგასამტეხლოს თანხის 3 882.13 ლარის ანაზღაურებაზე. დადგენილია, რომ მოსარჩელესა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88 ხელშეკრულების მე-9.1 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის წესსა და პირობებზე. ამავე ხელშეკრულების მე-10.5 პუნქტის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია (გარანტიები) შემსყიდველის მიერ გამოყენებული იქნებოდა ნებისმიერი ზიანისა და გადაუხდელი თანხის, მათ შორის – პირგასამტეხლოს ანაზღაურების მიზნით (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88 ხელშეკრულების მე-10.5 პუნქტი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან მათ წინააღმდეგ არ არის შემოტანილი საკასაციო საჩივარი (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო სასამართლოში დავას იწვევს საკითხი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ პირგასამტეხლოს ანაზღაურების ნაწილში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დავას არ იწვევს საკითხი, რომ სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის (კასატორის) მიერ ბენეფიციარის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულ-

ტურისა და სპორტის სამინისტროს) მოთხოვნა არ არის ანაზღაურებული მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილი.

ისმის კითხვა: გარანტიის მიერ ანაზღაურებული თანხა მოიცავდა თუ არა, ასევე პირგასამტეხლოს ანდა ითვალისწინებდა თუ არა საბანკო გარანტიას?

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ, ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულს გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გასათვალისწინებელია, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ფულის გადახდა ბენეფიციარი-სათვის განისაზღვრება საბანკო გარანტიის პირობებით. ამავე კოდექსის 887-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებას საქმეში წარმოდგენილი საბანკო გარანტიები (№FR/11-1070 05.07.2011წ. და №FR/11-1069 05.07.2011წ.).

აღნიშნული გარანტიების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იკისრა საავანსო ანგარიშსწორების წესით გადახდილი თანხის – 89 450 ლარის ფარგლებში ანაზღაურება, ასევე ერთჯერადი გადასახდელის გადახდა 8 945 ლარის ოდენობით.

როგორც სხდომის ოქმიდან ირკვევა, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ 1070 გარანტია ეხებოდა საავანსო ანგარიშსწორებას, ანუ ავანსად გადახდილი 89450 ლარს გამოაკლდა პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარჯი 18556.60 ლარი და სხვაობა 70 893.40 ლარი დაფარა გარანტმა, ხოლო 1069 გარანტია ეხებოდა არა საავანსო, არამედ ხელშეკრულების პირობების დარღვევას, მათ შორის, პირგასამტეხლოს გადაუხდელობას, რაც გამოიხატა 8 945,00 ლარის ზღვრულ ოდენობაში. ეს თანხაც დაფარა გარანტმა, რაც უდავოა (2012 წლის 27 აგვისტოს სხდომის ჩანაწერი, 16.20.57). ამდენად, გარანტიის მიერ სულ დაიფარა 79 893,40 ლარი.

გასათვალისწინებელია, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ფულადი თანხის გადახდა ბენეფიციარისათვის განისაზღვრება საბანკო გარანტიის პირობებით. ამავე კოდექსის 887-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.

საბანკო გარანტიის ერთერთ პირობას წარმოადგენს შეთანხმებას გადასახდელი თანხის ოდენობასთან მიმართებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლი არეგულირებს გარანტის ვალდებულების ფარგლების საკითხს, რომლის თანახმად საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია. ასევე, გარანტიის პირობას შეიძლება წარმოადგენდეს, თუ რომელი ვალდებულების შესასრულებლად იქნა გაცემული საბანკო გარანტია. ამავე კოდექსის 880-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

საქმეში წარმოდგენილი №FR/11-1070 05.07.2011წ საბანკო გარანტიის თანახმად (გარანტიის თანხა 89450 ლარი), გარანტმა იკისრა ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს მას საავანსო ანგარიშსწორების წესით პრინციპალისათვის გადახდილი თანხა, მაგრამ არა უმეტეს გარანტიის თანხისა, პრინციპალის მიერ პროექტით ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.

საქმეში წარმოდგენილი №FR/11-1069 05.07.2011 საბანკო გარანტიის თანახმად (გარანტიის თანხა 8945 ლარი) გარანტმა იკისრა ვალდებულება, ბენეფიციარის წინაშე გადაიხადოს მითითებული თანხა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ აფასებს ამ მტკიცებულებებს (გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ზემომითითებული მტკიცებულებების შეფასებასთან მიმართებით) და არ იკვლევს გარანტიის პირობებს.

აღნიშნული მტკიცებულებები შეფასებას მოითხოვენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №88 ხელშეკრულებასთან ერთად, კერძოდ, ხელშეკრულების 9.1 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის წესსა და პირობებზე. ამავე ხელშეკრულების მე-10.5 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია (გარანტიები) შემსყიდველის მიერ გამოყენებული იქნებოდა ნებისმიერი ზიანისა და გადაუხდელი თანხის, მათ შორის, პირგასამტეხლოს ანაზღაურების მიზნით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს ინსტიტუტი წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

ამდენად, პირგასამტეხლოს გადახდა გათვალისწინებულია ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამ მხრივ ინტერესს იწვევს საბანკო გარანტიები, რომლებიც ითვალისწინ

ნებენ ვალდებულების შეუსრულებლობის დარღვევის შემთხვევაში გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდას.

სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი გარანტიები და დაადგინოს, ვალდებულების დარღვევაში, იგულისხმებოდა თუ არა პირგასამტეხლოც, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს №FR/11-1069 05.07.2011 საბანკო გარანტიაზე, რომელშიც მითითებულია ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საბანკო გარანტიით გათვალისწინებული 8945 ლარის გადახდის თაობაზე, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პირგასამტეხლოს სადაზღვევო კომპანიისათვის დაკისრებას ითხოვს №FR/11-1070 05.07.2011 საბანკო გარანტიის საფუძველზე (2012 წლის 27 აგვისტოს სხდომის ჩანაწერი, 16.42.09), რაც, ასევე უნდა შეაფასოს სააპელაციო სასამართლომ და გამიჯნოს გარანტიის პასუხისმგებლობის კრიტერიუმები (№FR/11-1070 05.07.2011 წ. და №FR/11-1069 05.07.2011) საბანკო გარანტიების შეფასების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე უნდა იმსჯელოს იმაზე, თუ გარანტმა რამდენად სრულად შეასრულა გარანტიით ნაკისრი ვალდებულება, წარმოდგენდა თუ არა ამ საბანკო გარანტიებში მითითებული ორივე თანხა გარანტიის პასუხისმგებლობის ზღვრულ ოდენობას, კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ ორივე გარანტიით გათვალისწინებულ თანხას შეადგენს 98395 ლარი. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „მ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 18 556.6 ლარი, შესაბამისად, გარანტორმა აუნაზღაურა ბენეფიციარს შეუსრულებული სამუშაოსათვის გადასახდელი სხვაობა, გარანტიის თანხა 70 893.40 ლარი, ხოლო ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული 8945 ლარი ბენეფიციარს აუნაზღაურდა სრულად, რამაც ჯამში შეადგინა 79838.40 ლარი. აქედან გამომდინარე, თუ ორივე საბანკო გარანტიის ზღვრულ თანხას შეადგენს 98395 ლარი, 18 556.6 ლარის გამოკლებით, მაშინ გარანტიის მიერ მთლიანად შესრულდა გარანტიის ნაკისრი ვალდებულება.

საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან სააპელაციო სასამართლო არ აფასებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არ ადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს (სააპელაციო სასამართლო მხოლოდ უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებსა და შეფასებებზე, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ შემონიშნული იქნეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება), რაც ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით საქმის უკან დაბრუნების საფუძველია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე¹ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონიშნება შეუძლებელია.

ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

- 1 შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1677-1573-2012

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა, ნასყიდობის ფასის დაბრუნება, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ე-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ა. პ-2-ის“ შპს „ა+-სა“ და შპს „ს. ს. კ-ის“ წინააღმდეგ ხელშეკრულებიდან გასვლისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 29 დეკემბერს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ა. პ-2-სა“ და შ. ე-ას შორის გაფორმდა ს. სახლის მშენებლობაში ნილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ ხელშეკრულება. 2007 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულების მესამე მუხლის მიხედვით, შ. ე-ამ შესატანის სახით ამხანაგობაში შეიტანა 58 166 აშშ დოლარი. ხელშეკრულებით განისაზღვრა ბინის მშენებლობის ვადა – 2009 წლის 30 ივნისი. 2005 წლის 8 სექტემბერს შპს „ს. ს. კ-სა“ და შპს „ა+-ს“ შორის დაიდო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „ს. ს. კ-სა“ (მესაკუთრის) და შპს „ა+-ის“ გადაწყვეტილება მესაკუთრის კუთვნილი უძრავი ქონების ბაზაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე კომპლექსის მშენებლობის განხორციელების შესახებ. მესაკუთრის შენატანს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთი, ხოლო „ა+-ის“ – შენობა-ნაგებობის დაპროექტება და აშენება. დამფუძნებლებმა ვალდებულება სოლიდარულად იკისრეს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ა. პ-2-ის“ დებულება, რომელსაც ხელს აწერს იმა „ა. პ-2-ის“ თავმჯდომარე და შპს „ა+-ის“ დირექტორი ო. და-ა, ასევე შპს „ს. ს. კ-ის“ დირექტორები. მოსარჩელემ ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, მაგრამ ამხანაგობას ვალდებულება დათქმულ ვადაში არ შეუსრულებია. არსებული მდგომარეობით, ს. სახლი მხოლოდ 5 სართულია აშენებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს შენატანის დაბრუნება, ასევე მიუღებელი შემოსავლის – 10 469, 88 აშშ დოლარის გადახდა. თანხა რომ განთავსებულიყო საბანკო დაწესებულებაში ანაბარზე, სწორედ ამ ოდენობის საპროცენტო სარგებელი დაერიცხებოდა. ასევე მოსარჩელე ითხოვს მიყენებული ზიანის – ბანკში იპოთეკური სესხის დაფარვისას დაკისრებული საკომისიოს – 553,65 აშშ დოლარის, კონვერტაციის საფასურის – 144, 21 აშშ დოლარისა და ადვოკატის მომსახურების საფასურის 3000 ლარის გადახდის დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ე-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „ა+-ს“ შ. ე-ას სასარგებლოდ დაეკისრა 58 166 აშშ დოლარის გადახდა; შპს „ა+-ს“ შ. ე-ას სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით, დაეკისრა 10 469,88 აშშ დოლარის გადახდა; მოსარჩელე შ. ე-ას მოთხოვნა ზიანის 553,65 აშშ დოლარის და 144,21 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; შპს „ა+-ს“ შ. ე-ას სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ განეული სასამართლო ხარჯების 3000 ლარის გადახდა; მასვე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის 3000 ლარის გადახდა; შ. ე-ას სარჩელი შპს „ს. ს. კ-ის“ მიმართ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „ა+-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 აპრილის განჩინებით, დადგინდა ზემომითითებული გადაწყვეტილების აღსრულება მის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ.

აღნიშნული განჩინება შ. ე-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 ნოემბრის განჩინებით შპს „ა+-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2007 წლის 29 დეკემბერს ამხანაგობა „ა. პ-2-სა“ და შ. ე-ას შორის გაფორმდა №აპ2-296 ხელშეკრულება ს. სახლის მშენებლობაში ნილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობის წევრად მიღების) შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, შ. ე-ა მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრად; წევრის წილი ამხანაგობაში შეადგენს ოროთახიან ბინას, ფართობი 71,43 კვ.მ; წევრის შენატანის ოდენობა განისაზღვრა ბინის ღირებულებით, კერძოდ, 58 166 აშშ დოლარით. ბინის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 30 ივნისს;

2. შ. ე-ამ სახელშეკრულებო ვალდებულება – გადაეხადა ბინის ღირებულება, შესრულებულია სრულყოფილად;

3. 2011 წლის 13 ივნისს მოსარჩელემ ამხანაგობა „ა. პ-2“-ს განცხადებით აცნობა ვალდებულების დარღვევის გამო, 2007 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ;

4. მოსარჩელეს 2007 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ნივთი არ გადასცემია. ამასთან, გაურკვეველია მოსარჩელისათვის გადასაცემი ს. სახლის დასრულების კონკრეტულ ვადები;

5. 2005 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობა „ა. პ-2“ დაფუძნებულია შპს „ა+-ის“ და შპს „ს. ს. კ-ის“ მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 29 დეკემბრის ერთი მხრივ, ამხანაგობა „ა. პ-2-სა“ და მეორე მხრივ, შ. ე-ას შორის დადებული გარიგებით წარმოიშვა წარდობის სამართლებრივი ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე აშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს. მოსარჩელემ შეუკვეთა ს. ფართი მშენებარე საცხოვრებელ სახლში. შემკვეთმა შეუკვეთა კონკრეტულ მისამართზე მდებარე მშენებარე სახლში, კონკრეტულ სართულზე მდებარე განსაზღვრული ფართის ბინა და გადაიხადა მისი ღირებულება. მენარდემ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ხელშეკრულების თანახმად, ს. სახლის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 30 ივნისისათვის; მენარდის მიერ ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა მშენებლობის დაწყებიდან – 30.12.2006წ. – 30 თვე. ამდენად, აღნიშნული ვადა წარმოადგენდა ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო გონივრულ ვადას. მოცემულ შემთხვევაში, ს. ბინა აშენებული არ არის, შესაბამისად, მოსარჩელეს 2007 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ნივთი არ გადასცემია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ სადავო ურთიერთობაში ვალდებულება არსებითად დაირღვა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემდგომაც ს. სახლის მშენებლობა დასრულებული არ არის და გაურკვეველია, რა ვადა დასჭირდება მენარდეს მშენებლობის დასასრულებლად; ამდენად, კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებით ვადის მიცემა აშკარად გამოიწვევს შემკვეთის უფლებების უხეშ დარღვევას. ვინაიდან მოსარჩელემ გადაიხადა ბინის აშენებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა სრულად, ხოლო მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ააშენა ბინა, მოსარჩელეს, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

აპელანტი სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი მოსარჩელის წინაშე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2005 წლის 8 სექტემბერს, ერთი მხრივ, შპს „ს. ს. კ-მა“ და მეორეს მხრივ, შპს „ა+-მა“ საწარმოო ფორმის დაცვით გააფორმეს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, „ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, შპს „ს. ს. კ-ი“, მისი დირექტორების: გ. დ-ის და ლ. გ-ის სახით, შემდგომში „მესაკუთრე“ და მეორეს მხრივ, შპს „ა+“, მისი დირექტორის – ო. დ-ას სახით, შემდგომში „კომპანია“ (ერთად შემდგომში „ამხანაგობის წევრები“).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს 2005 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე განმარტების შედეგად, თავისი სამართლებრივი ბუნებით, ეს ხელშეკრულებაც წარმოადგენს წარდობის შესახებ გარიგებას, რომლის მხარეები არიან – შპს „ს. ს. კ-ი“ (დამკვეთი) და შპს „ა+“ (მენარდე). მითითებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ შპს „ს. ს. კ-ის“ ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „ა+-ის“ გადაცემა, რომელსაც ამ მიწის ნაკვეთზე უნდა აეშენებინა ს. კ-ი; ამასთან, კ-ის ასაშენებლად კომპანიის მიერ განხორციელებული დანახარჯი უნდა ყოფილიყო მინიმუმ 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ, კომპანიას შპს „ს. ს. კ-ის“ მის მიერ აშენებული ფართიდან უნდა გადაეცა საკუთრებაში 1500 კვ.მ. უდავოა, რომ შპს „ს. ს. კ-ი“ წარმოადგენს ისეთსავე კრედიტორს შპს „ა+-ის“ მიმართ, როგორც მოსარჩელე შ. ე-ა იმ განსხვავებით, რომ მენარდეს, თანხის ნაცვლად საკუთრებაში გადასცა მიწის ნაკვეთი, რომელზეც შპს „ა+-ს“ უნდა აეშენებინა ს. კ-ი. ამ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სახეზეა წარდობის ხელშეკრულება და მისგან წარმოშობილი უფლება-მოვალეობები შ. ე-სა და შპს „ა+-ს“ და არა ამხანაგობა „ა. პ-2“ ან/და შპს „ს. ს. კ-ს“ შორის. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია შპს „ა+“, როგორც მენარდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს წარდობის და არა ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიუღებელი შემოსავალი არის სავარაუდო შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს ხარჯებს, რომელსაც პირი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივ პირობებში, მისი უფლებები რომ არ დარღვეულიყო, მაგალითად, ხელშეკრულება რომ შესრულებულიყო სათანადო წესით. ჩვეულებრივ პირობებში, უნდა გავიგოთ ბაზრის ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი ტიპური პირობები, რომელზეც გავლენას არ ახდენს გაუთვალისწინებელი გარემოებები, ან გარემოებები, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით. კონკრეტულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საბანკო დაწესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის, შეგროვებად ანაბარზე განთავსების შედეგად. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვიდრე მხარეებს შორის არ წარმოშობილა დავა, არსებობს ვარაუდი, რომ მხარეებს აკმაყოფილებთ და მოქმედებენ მათ შორის არსებული ურთიერთობების პირობებში. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება წარმოეშვა იმ პერიოდიდან, როდესაც მან ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნით, წერილობით მიმართა მოპასუხეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და საბანკო დაწესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთის მხედველობაში მიღებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ა+-ს“ შ. ე-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით 10 469,88 აშშ დოლარის გადახდა.

იმავე სასამართლოს 2012 წლის 6 ნოემბრის განჩინებით შ. ე-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 აპრილის განჩინებით.

ნება, შპს „ა+-ის“ განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 4 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების 1 წლით გადადების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ა+-მა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ შპს „ა+“ წარმოადგენს მენარდეს და მითითებული სამართალურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ნარდობის და არა ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმებით; ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე 2007 წლის 29 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით გახდა ამხანაგობის წევრი. ამრიგად, სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მითითებული დავის განხილვისათვის არ უნდა გამოყენებინა ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ გაუქმებულად ჩათვალა იბა „ა. პ-2“, ამხანაგობის წევრები კი, საქმეში ჩართული არ ყოფილან. სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „ა+-მა“ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. რადგან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება დადებულია ამხანაგობასა და შ. ე-ას შორის და ამდენად, შპს „ა+“ არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მხარეს, მოსარჩელეს შპს „ა+-ის“ მიმართ მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

კასატორის განმარტებით, მშენებლობის ვადის დარღვევა გამოწვეულია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი კრიზისით. მხარეთა ინტერესების თანაბრად დასაცავად, აუცილებელია, ახალი პრაქტიკის დამკვიდრება. ბინათმენაშენეთა ამხანაგობის ხელშეკრულება არ უნდა იქნეს მიჩნეული ნარდობად, ასევე, ბინების აშენების ვადებზე უნდა დაწესდეს გარკვეული შეღავათი.

გარდა ამისა, კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ეწინააღმდეგება. შ. ე-ამ ვერ დაასაბუთა, რაში გამოიხატა ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის. მხოლოდ ვარაუდი, რომ თანხის სხვაგვარად გამოყენებაც შეიძლებოდა, არ უნდა გამხდარიყო მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „ა+-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უმართებულობის შესახებ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის, მიუღებელია შემოსავალი, რომლის მიღებაც პროგნოზირებადი იყო კონკრეტული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მაგრამ, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირმა ვერ მიიღო, შესაბამისად, მიუღებელია შემოსავლის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს თავად იმ ვალდებულების ხასიათი, რომლის არაჯეროვანი შესრულების გამოც, მხარე ამგვარი შემოსავლის ანაზღაურებას ითხოვს.

კონკრეტულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს ის შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო შ. ე-ას 2007 წლის 29 დეკემბერს ამხანაგობა მას და „ა. პ-2-ს“ შორის გაფორმებული ს. სახლის მშენებლობაში ნილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობის წევრად მიღების) შესახებ №აპ2-296 ხელშეკრულებიდან გამომდინარე. მიუღებელი შემოსავლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი) სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებით ურთიერთობით და დამოკიდებულია ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შედეგად მისაღებ სარგებელზე (სუსგ №ას-899-845-2012). ხელშეკრულების თანახმად, შ. ე-ა მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრად; წევრის წილი ამხანაგობაში შეადგენს ოროთახიან ბინას, ფართით 71,43 კვ.მ; წევრის შენატანის ოდენობა განისაზღვრა ბინის ღირებულებით, კერძოდ, 58 166 აშშ დოლარით. ბინის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 30 ივნისს, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ შპს „ა+-ის“ მიერ ზემოაღნიშნული ფართის გადაცემასთან ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა შემოსავალს მიიღებდა და ვალდებულების დარღვევის შედეგად არ მიიღო შ. ე-ამ, ანუ, არა ფულადი სახსრების, არამედ ამ ბინის გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა ოდენობის შემოსავალს მიიღებდა მოსარჩელე და რაში გამოიხატებოდა ყოველივე აღნიშნული. მითითებულ ფაქტებზე მოსარჩელე არ უთითებს. შპს „ა+-ის“ მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შ. ე-ა მიიღებდა ბინას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თანხის სხვაგვარად გამოყენების, კერძოდ კი, ანაზღაურება განთავსების შემთხვევაში, მას შეეძლო, მიეღო საპროცენტო სარგებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შ. ე-ამ ბინის ღირებულება სს „ს. ბ-ან“ 2008 წლის 7 თებერვალს დადებული იპოთეკური სესხის ხელშეკრულების მეშვეობით გადაიხადა. ხელშეკრულების სა-

ფუძველზე სს „ს. ბ-მა“ შ. ე-ას 52 700 აშშ დოლარი ასესხა 60 თვის ვადით. ხელშეკრულების 2.1.4 პუნქტის თანახმად, სესხის მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ს. ქ. №34-ში მდებარე ს. სახლის 1-ლი სადარბაზოს მე-15 სართულზე არსებული №43 ბინის შექმნა. 2.1.6 პუნქტის მიხედვით, სესხის გაცემამდე წარდგენილი უნდა ყოფილიყო თანამონაწილეობის არსებობის დამადასტურებელი საბუთი 5466 აშშ დოლარზე (გადახდის ქვითარი), ასევე სესხის გაცემიდან 1 დღის ვადაში წარდგენილი უნდა ყოფილიყო 52 700 აშშ დოლარის სამშენებლო კომპანია „ა. პ-2-ის“ გადახდის ქვითარი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ სს „ს. ბ-ან“ სესხად მიღებულ თანხას შ. ე-ა სხვაგვარად ვერ განკარგავდა, ამასთან, სესხის მიღების მიზნით, მას უნდა დაედასტურებინა 5466 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი, რაც, ამ შემთხვევაში, მისი პირადი სახსრების სხვაგვარად გამოყენებასაც გამორიცხავდა. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, შპს „ა+-ის“ მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კი, შ. ე-ა ბინას მიიღებდა და არა სხვაგვარ შემოსავალს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუღებელი შემოსავლის, 10 469,88 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შ. ე-ას სარჩელი უსაფუძვლო იყო, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ამ ნაწილში თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ასევე ფაქტობრივი გარემოებები დადგენას არ საჭიროებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. ე-ას სარჩელი მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება კასაციის დანარჩენ საფუძველებს, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას:

1. 2007 წლის 29 დეკემბერს ამხანაგობა „ა. პ-2-სა“ და შ. ე-ას შორის გაფორმდა №აპ2-296 ხელშეკრულება ს. სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობის წევრად მიღების) შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, შ. ე-ა მიღებულ იქნა ამხანაგობის წევრად; წევრის წილი ამხანაგობაში შეადგენს ოროთახიან ბინას, ფართით 71,43 კვ.მ; წევრის შენატანის ოდენობა განისაზღვრა ბინის ღირებულებით, კერძოდ, 58 166 აშშ დოლარით. ბინის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 30 ივნისს;

2. შ. ე-ას სახელშეკრულებო ვალდებულება – გადაეხადა ბინის ღირებულება, შესრულებულია სრულყოფილად;

3. 2011 წლის 13 ივნისს მოსარჩელემ ამხანაგობა „ა. პ-2-ს“ განცხადებით აცნობა ვალდებულების დარღვევის გამო, 2007 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ;

4. მოსარჩელეს 2007 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ნივთი არ გადასცემია. ამასთან, გაურკვეველია მოსარჩელისათვის გადასაცემი ს. სახლის დასრულების კონკრეტული ვადები;

5. 2005 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობა „ა. პ-2“ დაფუძნებულია შპს „ა+-ის“ და შპს „ს. ს. კ-ის“ მიერ.

კასატორი მიიჩნევს, რომ იმა „ა. პ-2-სა“ და შ. ე-ას შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ წარმოადგენდა წარდობას, არამედ შ. ე-ა ამხანაგობის წევრად იქნა მიღებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის განმარტება მნიშვნელოვანია, როგორც მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 2007 წლის 29 დეკემბრის ერთი მხრივ, ამხანაგობა „ა. პ-2-სა“ და მეორე მხრივ, შ. ე-ას შორის დადებული გარიგებით წარმოიშვა წარდობის სამართლებრივი ურთიერთობა.

2007 წლის 29 დეკემბერს ამხანაგობა „ა. პ-2-სა“ და შ. ე-ას შორის გაფორმდა №აპ2-296 ხელშეკრულება ს. სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობის წევრად მიღების) შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ამხანაგობას წარმოადგენდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წევრის – შ. ე-ას ვალდებულება შეიტანოს შენატანი და ამხანაგობის წევრების საერთო მიზანი: ს. სახლის მშენებლობა, გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, არსებითია თავად გარიგების მონაწილე სუბიექტების აღქმა მათ მიერ გამოვლენილი ნების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, თავად შ. ე-ა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრი გახდა, ანუ, ხელშეკრულების სუბიექტი ადასტურებს მის მიერ ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების მონაწილეობის თაობაზე ნების გამოვლენას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ შპს „ა+“ შ. ე-ას წინაშე პასუხისმგებელი არ არის.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 8 სექტემბერს, ერთი მხრივ, შპს „ს. ს. კ-მა“ და მეორე მხრივ, შპს „ა+-მა“ სანოტარო ფორმის დაცვით გააფორმეს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, „ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, შპს „ს. ს. კ-ი“, მისი დირექტორების: გ. დ-ის და ლ. გ-ის სახით, შემდგომში „მესაკუთრე“ და მეორეს მხრივ, შპს „ა+“, მისი დირექტორის – ო. დ-ას სახით, შემდგომში „კომპანია“ (ერთად შემდგომში „ამხანაგობის წევრები“).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ 2005 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს. მითითებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ შპს „ს. ს. კ-ის“ ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „ა+-ის“ გადაცემა, რომელსაც ამ მიწის ნაკვეთზე უნდა აეშენებინა ს. კ-ი. ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ, კომპანიას შპს „ს. ს. კ-ის“ მის მიერ აშენებული ფართიდან უნდა გადაეცა საკუთრებაში 1500 კვ.მ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების პირობები არ არის დამახასიათებელი ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობისათვის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შპს „ს. ს. კ-ი“ არის დამკვეთი, ხოლო შპს „ა+“ – მენარდე. საკასაციო სასამართლო ამ მტკიცებას არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს. ს. კ-ი“, მიწის ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ, საკუთრებას იძენს აბსტრაქტულ 1500 კვ.მ ფართზე, იმავდროულად, „ა+-ის“ ვალდებულება იყო, მინიმუმ 2 000 000 აშშ დოლარის ინვესტირება მშენებლობაში, რაც მის შენატანს წარმოადგენდა ამხანაგობაში, შესაბამისად, მოცემული ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი არსით, ამხანაგობას წარმოადგენს და არა ნარდობას. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა შენატანები ამხანაგობაში და საერთო მიზანი – ს. სახლის მშენებლობა.

ამრიგად, შ. ე-ა გახდა იმა „ა. პ-2-ს“ წევრი, რომლის წევრები ასევე იყვნენ შპს „ს. ს. კ-ი“ და შპს „ა+“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსის ერთობლივი საქმიანობის შესახებ ნორმების საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულების პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, შ. ე-ას წინაშე ვალდებული პირები არიან შპს „ს. ს. კ-ი“ და შპს „ა+“ მათი წილების პროპორციულად. ამ თვალსაზრისით, კასატორის მტკიცება დასაბუთებულია, თუმცა საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ე-ას სარჩელი თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თანხის გადახდა შპს „ა+-ს“ დაეკისრა. შ. ე-ას სარჩელი შპს „ს. ს. კ-ის“ მიმართ არ დაკმაყოფილდა. შპს „ა+-მა“ კი, გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მხოლოდ მისთვის თანხის დაკისრების ნაწილში გაასაჩივრა, შესაბამისად, დანარჩენ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და შპს „ს. ს. კ-ის“ ვალდებულება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შ. ე-ას სასარჩელო მოთხოვნა, ფაქტობრივად, არის ამხანაგობიდან გასვლა და შენატანის დაბრუნება. სამოქალაქო კოდექსი ამხანაგობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის სპეციალურ წესებს ითვალისწინებს.

სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის. თუ მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა, ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსაცემი მიზეზების არსებობისას. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით უნდა მიეღოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2007 წლის 29 დეკემბრის ამხანაგობა „ა. პ-2-ის“ წევრად შ. ე-ას მიღების შესახებ ხელშეკრულების 5.3-5.4 მუხლები ითვალისწინებს ამხანაგობიდან გასვლის წესსა და პირობებს, სააპელაციო სასამართლოს კი, ეს დებულებები არ შეუფასებია და არ დაუდგენია, რა წესით უნდა მომხდარიყო შ. ე-ას გასვლა ხელშეკრულებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ

კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებით, გამოიყენოს ერთობლივი საქმიანობის შესახებ სამოქალაქო კოდექსის დებულებები, იხელმძღვანელოს შ. ე-ას ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებით, დაადგინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვროს შ. ე-ას მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის წესი.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. შპს „ა +-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ნოემბრის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შ. ე-ას სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით 10 469,88 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. ხელშეკრულებიდან გასვლისა და შენატანის დაბრუნების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ნოემბრის განჩინება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-833-781-2012 23 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ე. XXI-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ე-პ. ჯ-ს“ მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 14 ოქტომბერს სს „ე. XXI-ს“ და სს „ე-პ. ჯ-ს“ შორის გაფორმდა შეთანხმება ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე. ამ შეთანხმების საფუძველზე 2007 წლის 25 ოქტომბერს ჩატარებული ოპერაცია, დაექვემდებარა დღგ-თი დაბეგვრას, კერძოდ, სს „ე-პ. ჯ-ს“ საგადასახადო მიზნებისთვის წარმოადგენდა დღგ-თი დაბეგვრის ოპერაციას, თუმცა, არ დაბეგრილა, რითაც მან ზიანი მიიყენა სახელმწიფო ბიუჯეტს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სს „ე-პ. ჯ-მ“ ზიანი მიიყენა ასევე სს „ე. XXI-ს“, რადგან 2007 წლის 25 ოქტომბერს განხორციელებული დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციისათვის მას საგადასახადო ანგარიშფაქტურა უნდა გამოეწერა არა უგვიანეს 2007 წლის 26 ოქტომბრისა, მაგრამ გამოწერა 2008 წლის 31 იანვარს, ამიტომ მოპასუხემ დასაბეგრი ოპერაციად არ მიიჩნია განეული მომსახურება, რის გამოც არ იქნა დაბეგრილი დღგ-თი, ხოლო „სს ე. XXI-მ“ ვერ მიიღო და იზარალა 205 932 ლარით. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაბამისი სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობას, სს „ს. გ. ს. ე-ის“ (შემდგომში სგსე), შპს „ა. ე-სა“ და „ე. ეი-ეს-ს“ და სს „ე-პ. ჯ-ს“ შორის დაიდო ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ სგსე და აჭარის ენერჯოკომპანია აღარ არიან უფლებამოსილი, ამოიღონ მიწოდებული ელექტროენერჯის საფასური. ამავე ხელშეკრულების 5.4 მუხლის თანახმად, დასრულების თარიღის შემდეგ მყიდველის მიერ მიღებული ნაღდი ფული ეკუთვნის მყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ნაღდი სახსრები მიღებულია შესაბამისი გამყიდველის მიერ დასრულების თარიღამდე გაცემული ანგარიშფაქტურების საფუძველზე, რომელიც, მოქმედი სტანდარტული ბილინგის ციკლის შესაბამისად, დას-

რულების თარიღამდე მომხმარებლისათვის გაიცა. აღნიშნული მუხლი ცხადყოფს, რომ სს „ე.-პ. ჯ-ა“ წარმოადგენს ხელშეკრულების დასრულების თარიღად განსაზღვრული 2007 წლის 29 ივნისის შემდგომ მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრების მესაკუთრეს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე 2007 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულების დადებამდე. ამ ხელშეკრულების თანახმად, სს „ე. XXI“ უფლებამოსილებას ანიჭებს მოპასუხეს, აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე სდსე-სა და ა. ე-ის მიერ აბონენტებზე დარიცხული და დაურიცხავი ელექტროენერჯის საფასური ამოიღოს და ამოღებული თანხა სს „ე. XXI-ს“ გადასცეს, რის სანაცვლოდაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, სს „ე.-პ. ჯ-ს“ განუელი მომსახურებისათვის გადაუხადოს მომსახურების საფასური 1350000 ლარი. ამავე ხელშეკრულებით სს „ე.-პ. ჯ-ა“ უბრუნებს სს „ე.-XXI-ს“ ხელშეკრულების დღისათვის ჩარიცხულ თანხას - 9 317 870,01 ლარს. ამრიგად, 25 ოქტომბერს თანხის გადარიცხვით მომსახურების განევა კი არ განხორციელდა, არამედ უკვე ამოღებულ თანხაზე - საკუთრების უფლების გაცემა, ანუ ენერგოკომპანიამ ის თანხა, რომელიც ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს უკვე ამოღებული ჰქონდა, ოქტომბერში დაუბრუნა მესაკუთრეს. ამასთან, დადასტურებულია, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის მომხმარებლიდან 9317870,01 ლარი უკვე ამოღებული იყო. 2007 წლის 25 ოქტომბერს კი, მოპასუხემ სს „ე. XXI-ს“ გადაურიცხა აღნიშნული თანხა, რითაც მან განახორციელა საკუთრების უფლების გაცემა. საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით, მომსახურების მიწოდებას არ განეუთვნება ისეთი მომსახურების განევა, რომელიც დღე-ის მიხედვითისათვის გულისხმობს ფულზე ან მინაზე საკუთრების უფლების გადაცემას ან დაქირავებით მუშაობას. ამდენად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ თანხის გადარიცხვა არ წარმოადგენს დღე-ით დასაბეგრ მომსახურებას და არ წარმოშობს საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერის ვალდებულებას. იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, ეს ოპერაცია წარმოადგენს დღე-ით დასაბეგრ ოპერაციას, მოპასუხე არ იყო ვალდებული, გამოენერა ანგარიშფაქტურა მომსახურების მიმღების მოთხოვნის გარეშე, ასეთი მოთხოვნა კი მოპასუხეს არ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ე.-პ. ჯ-ს“ სს „ე. XXI-ის“ სასარგებლოდ 205 932 ლარის გადახდა დაეკისრა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სს „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2007 წლის 10 ოქტომბრის №1-3/736 ბრძანებით სს „რ-ის“, სს „გ. კ-ის“, სს „ლ-ის“, სს „შ-ის“, შპს „ა-ის“, სს „ს. გ. ს. ე-ის“, შპს „ა. ე-ის“ შერწყმით შეიქმნა სს „ე. XXI“, რომელიც წარმოადგენს ამ სანარმოების უფლებამოსილებას. 2007 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობას, სს „ს. გ. ს. ე-ს“, შპს „ა. ე-ს“ და „ე.-პ. ეი.ეს-ს“ და სს „ე.-პ. ჯ-ს“ შორის დაიდო „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება“. ამ ხელშეკრულებით აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების ფაქტობრივი თარიღის 2007 წლის 29 ივნისის შემდეგ სგსე და „ა. ე-ა“ აღარ არიან უფლებამოსილი, ამოიღონ მიწოდებული ელექტროენერჯის საფასური და სგსე-ს და ა. ე-ის ყველა აბონენტი გახდა „ე.-პ-ს“ აბონენტი. ამავე ხელშეკრულების 5.4 მუხლის თანახმად, დასრულების თარიღის შემდეგ მყიდველის მიერ მიღებული ნაღდი ფული ეკუთვნის მყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ნაღდი ფული მიღებულია შესაბამისი გამყიდველის მიერ დასრულების თარიღამდე გაცემული ანგარიშფაქტურების საფუძველზე, რომელიც გაიცა მოქმედი სტანდარტული ბილინგის ციკლის შესაბამისად დასრულების თარიღამდე მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერჯისათვის ან განუელი მომსახურებისათვის. ნასყიდობის ხელშეკრულების განხორციელების მიზნით სს „ე. XXI-ს“ და სს „ე.-პ. ჯ-ს“ შორის 2007 წლის 18 ოქტომბერს დაიდო შეთანხმება ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე. ამ ხელშეკრულების „ზ“ ქვეპუნქტით, აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების ფაქტობრივი თარიღის - 2007 წლის 29 ივნისის შემდეგ, ამავე ხელშეკრულების 5.4 პუნქტის საფუძველზე სგსე-მ და ა. ე-მ არ დაარიცხეს მათ მიერ აბონენტებისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის ნაწილი. სს „ე. XXI-მა“ მოპასუხეს მიანიჭა უფლებამოსილება, ხოლო ამ უკანასკნელმა აიღო ვალდებულება, დასრულების თარიღამდე მოსარჩელის მიერ მის აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერჯის საფასურის ამოღებასა და ამოღებული თანხების მოსარჩელისათვის გადაცემაზე, ამ მომსახურების სანაცვლოდ, სს „ე. XXI-მა“ ივალდებულა მოპასუხისათვის 1350000 ლარის გადახდა. უდავოა, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე.-პ. ჯ-მ“ მოსარჩელეს გადაურიცხა 9317870,01 ლარი. 2008 წლის 31 იანვარს სს „ე.-პ. ჯ-მ“ გამონერა ანგარიშფაქტურა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველად მიღებული მომსახურების ღირებულებაზე. იმავე დღეს მოპასუხემ გამონერა კორექტირების საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე. XXI-სთვის“ 9 317 870,01 ლარის გადარიცხვა მიეკუთვნებოდა დასაბეგრი ოპერაციების კატეგორიას - მომსახურების განევას. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოპასუხის მიერ ჩატარებული ოპერაცია წარმოადგენდა ფინანსურ მომსახურებას, რაც საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით თავისუფლდება დღე-ს გადახდისაგან. ფინანსური მომსახურების სახეები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით (სადავო ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით) მხარეთა შორის 2007 წლის 18 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების „თ“ ქვეპუნქტით სს „ე.-პ ჯ-ა“ მიზნად ისახავს, დაეხმაროს სს „ე. XXI-ს“ ამავე

ხელშეკრულების „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დაურიცხავი ელექტროენერჯის რაოდენობის დადგენასა და მისი საფასურის ამოღებაში ამავე ხელშეკრულების პირველი პუნქტით „ე. XXI“ უფლებამოსილებას ანიჭებს „ე-პ-ს“, ხოლო ეს უკანასკნელი იღებს ვალდებულებას, განხორციელოს აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე სდსე-სა და აჭარის ენერჯოკომპანიის მიერ მათ აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი საფასურის ამოღება და ეს თანხა გადასცეს „ე. XXI-ს“ (შემდგომში – მომსახურება). ამრიგად, „ე-პ-ს“ მიერ მომსახურების განე-ვა გულისხმობდა დაურიცხავი ელექტროენერჯის ოდენობის დადგენას და მისი საფასურის ამოღებას. აღნიშნული კი არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ფინანსური მომსახურების არც ერთ სახეს.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ სს „ე-პ ჯ-მ“ მოსარჩელეს საკუთრების უფლება გადასცა ფულზე, რაც ასევე არ მიიჩნევა მომსახურების განევა და თავისუფლდება დღგ-ს გა-დახდისაგან საგადასახადო კოდექსის 20-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, მომსახურების გა-ნევა ითვლება სხვა პირისათვის მისივე ნებით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედე-ბის შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. მომსახურების მიწოდებას არ განეკუთვნება ასევე ისეთი მომსახურების განევა, რომელიც დღგ-ს მიზნებისთვის გულისხმობს ფულზე ან მინაზე სა-კუთრების უფლების გადაცემას ან დაქირავებით მუშაობას. განხორციელებული ოპერაცია არ წარმოად-გენს ფულზე საკუთრების უფლების გადაცემას. მოპასუხის ეს მოსაზრება ემყარება მხარეებს შორის არ-სებული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების №5.4 მუხლს, რომლითაც, დასრულების თარიღის (2007 წლის 29 ივნისის) შემდეგ მყიდველის მიერ მიღებული ნაღდი სახსრები ეკუთვნის მყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ნაღდი ფულადი სახსრები მიღებულია შესაბამისი გამყიდველის მიერ დასრულების თარიღამდე გაცემული ანგარიშფაქტურების საფუძველზე, რომელიც გაიცა მოქმედი სტან-დარტული ბილინგის ციკლის შესაბამისად დასრულების თარიღამდე მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერჯისათვის ან განეული მომსახურებისათვის. მართალია, ხსენებული პუნქტის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2007 წლის 29 ივნისის შემდეგ მიღებული თანხა ეკუთვნოდა მყიდველს, მაგ-რამ 2007 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ 2007 წლის 29 ივნისამდე სსე-ს და აჭარის ენერჯოკომპანიის მიერ დარიცხული ან მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროე-ნერჯის საფასური წარმოადგენს სს „ე. XXI-ის“ საკუთრებას და მოპასუხე ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით ახორციელებდა ამ თანხის ამოღებას და „ე. XXI-სთვის“ გადაცემას და არა საკუთრების უფლების გადაცემას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოითხოვა ანგარიშფაქტურის გამოწერა საგა-დასახადო კოდექსის 248-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და არ იზიარებს მოპასუხის განმარტე-ბას იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ განხორციელებული ოპერაცია წარმოად-გენდა დასაბეგრ ოპერაციას, იგი ვალდებული არ იყო, გამოეწერა ანგარიშფაქტურა მომსახურების მიმღე-ბის, ე.ი სს „ე. XXI-ის“ მხრიდან მოთხოვნის არარსებობის გამო. მოსარჩელე თავის პოზიციას ამყარებს იმით, რომ რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოთხოვნის არსებობას, საქმეში წარ-მოდგენილი არ არის, ასევე, სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, მოსარჩელის დირექტორმა აღიარა და სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მას წერილობითი მოთხოვნა ანგარიშფაქტურის გამოწერაზე მოპასუხისათვის არ წარუდგენია არც მეორე და არც მესამე დღეს, მოითხოვა დაგვიანებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ, საგადასახადო კოდექსის ზემოთ მოყვანილი ნორმის თანახმად, ანგარიშფაქტურის გამო-წერისათვის აუცილებელი არ არის, რომ მოთხოვნა წარდგენილი იყოს წერილობით. სასამართლო ამ სადა-ვო გარემოების დადგენისას ეყრდნობა ასევე იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ, მართალია, დავიანებით, მაგრამ 2009 წლის 30 იანვარს გამოწერა ანგარიშფაქტურა 2007 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულების სა-ფუძველზე განეულ 1350000 ლარის მომსახურებაზე. ეს ანგარიშფაქტურა მოპასუხემ იმავე დღეს გააუქმა და გამოწერა კორექტირების ანგარიშფაქტურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის ანგარიშფაქტურის გამოწერა.

სს „ე. XXI-სა“ და სს „ე-პ ჯ-ს“ შორის 2007 წლის 18 ოქტომბერს დადებული ელექტროენერჯის საფასუ-რის ამოღების თაობაზე შეთანხმების „ზ“ ქვეპუნქტით, აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებული დასრულების ფაქტობრივი თარიღის – 2007 წლის 29 ივნისის შემდეგ, ამავე ხელშეკრულე-ბის 5.4 პუნქტის საფუძველზე სსე-მ და აჭარის ენერჯოკომპანიამ არ განახორციელეს მათ მიერ აბონენ-ტებისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის ნაწილის დარიცხვა. ხელშეკრულების 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სს „ე. XXI-მ“ მოპასუხეს მიანიჭა უფლებამოსილება, ხოლო ამ უკანასკნელ-მა აიღო ვალდებულება დასრულების თარიღამდე მოსარჩელის მიერ მის აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერჯის საფასურის ამოღებასა და ამოღებული თანხის მოსარჩელისათვის გადაცემაზე. ამ მომსახურების სანაცვლოდ, სს „ე. XXI-მა“ ივალდებულა მოპა-სუხისათვის 1 350 000 ლარის გადახდა. უდავო გარემოებაა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე 2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე-პ ჯ-მ“ მოსარჩელეს გადაურიცხა 9 317 870,01 ლარი. 2008 წლის 31 იანვარს სს „ე-პ ჯ-მ“ გამოწერა ანგარიშფაქტურა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველად მიღებულ მომსახურების ღი-რებულებაზე და იმავე დღეს ასევე გამოწერა კორექტირების საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა.

2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე. XXI-სათვის“ 9 317 870,01 ლარის გადარიცხვა მიეკუთვნებოდა დასა-ბეგრი ოპერაციების კატეგორიას – მომსახურების განევას, შესაბამისად, განხორციელებული ოპერაცია არ წარმოადგენდა ფინანსურ მომსახურებას, რაც საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლით თავისუფლდე-

ბა დღგ-ს გადახდისაგან. ფინანსური მომსახურების სახეები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით (სადავო ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით). მხარეთა შორის 2007 წლის 18 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების „თ“ ქვეპუნქტით სს „ე-პ ჯ-ა“ მიზნად ისახავს, დაეხმაროს სს „ე. XXI-ს“ ამავე ხელშეკრულების „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დაურიცხავი ელექტროენერგიის რაოდენობის დადგენასა და მისი საფასურის ამოღებაში. სს „ე. XXI“ უფლებამოსილებას ანიჭებს „ე-პ-ს“, ხოლო ეს უკანასკნელი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე სდსე-ს და აჭარის ენერჯოკომპანიის მიერ მათ აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი საფასურის ამოღება და ეს თანხა გადასცეს „ე. XXI-ს“ (შემდგომში – მომსახურება). ამრიგად, ე-პ-ს მიერ მომსახურების განევა გულისხმობდა დაურიცხავი ელექტროენერგიის რაოდენობის დადგენას და მისი საფასურის ამოღებას, აღნიშნული კი არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ფინანსური მომსახურების არც ერთ სახეს. ოპერაცია არ წარმოადგენს ფულზე საკუთრების უფლების გადაცემას. არასწორია მოპასუხის პოზიცია, რომ იგი ვალდებული არ იყო, გამოეწერა ანგარიშ-ფაქტურა სს „ე. XXI-ის“ მხრიდან მოთხოვნის არარსებობის გამო. საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ანგარიშფაქტურის გამოწერისათვის აუცილებელი არ არის მოთხოვნა წარდგენილი იყოს წერილობით. როგორც უკვე აღინიშნა, 2009 წლის 30 იანვარს მოპასუხემ გამოწერა ანგარიშფაქტურა 2007 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე განეულ 1350 000 ლარად ღირებულ მოსახურებაზე, რომელიც შემდეგ გააუქმა და გამოწერა კორექტირების ანგარიშ-ფაქტურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადასტურდა მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის ანგარიშფაქტურის გამოწერა. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულება წარმოიშვა ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველზე. განსახილველ დავაში მოსარჩელე ვალდებულების წარმოშობის საფუძველად დელიქტზე მიუთითებს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოცემული მუხლით პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ არსებობს ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის.

სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, დღგ-ის ჩათვლის უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ჩასათვლელი დღგ-ის თანხა არის გადასახადი, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ამ კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურების ან საბაჟო დეკლარაციების მიხედვით დასაბეგრ ოპერაციებზე დასაბეგრ იმპორტზე, თუ საქონელი მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის. უდავოა, რომ სს „ე. XXI“ რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად და ანგარიშფაქტურის დროულად გამოწერის შემთხვევაში იგი მიიღებდა ჩათვლას 205932 ლარზე. სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 251-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დღგ-ის სხვა გადამხდელებს ჩასათვლელი თანხის გადამეტება საანგარიშო პერიოდში დარიცხულ დღგ-ის თანხაზე ჩაეთვლებათ დღგ-ის მომავალი პერიოდების გადასახდელში ან 6 თვის შემდეგ უბრუნდებათ ამ კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილი წესით. ამრიგად, თანხის ჩათვლის შემთხვევაში, მოსარჩელეს ჩასათვლელი თანხა ჩაეთვლებოდა დღგ-ს მომავალი პერიოდის გადასახდელში ან დაუბრუნდებოდა 6 თვის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილია, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიერ ანგარიშფაქტურის დროულად გამოწერაში მიაღდა 205 932 ლარის ზიანი, ასევე დადგენილია, რომ ზიანი გამოწვეულია მოპასუხის არამართლზომიერი ქმედებით, რაც გამოიხატება, მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, ანგარიშფაქტურის დროულად გამოწერაში. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, იმ პირმა, რომელმაც უნდა აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამდენად, მართებულია სს „ე-პ ჯ-სთვის“ სს „ე. XXI-ის“ სასარგებლოდ ზიანის – 205 932 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ე-პ ჯ-მ“ შემდეგი დასაბუთებით: დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი უწყებრივი ქვემდებარეობა, რომლის თანახმად, რადგან მოსარჩელე მხარე კასატორს ბრალს სდებს საგადასახადო კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენაში და, აქედან გამომდინარე, ითხოვს ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. დავის არსის გადწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო გარემოების – საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადასტურებას, ამ სადავო საკითხის განხილვა და მასზე გადწყვეტილების მიღება საგადასახადო ორგანოს კომპეტენციაა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა სარჩელი, სამოქალაქო წესით შექმნა სს „ე-პ ჯ-ს“ მხრიდან საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტობრივი მტკიცებულება და ამავე დროს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე მითითებით დააკმაყოფილა სარჩელი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ საქმე განიხილა შეჯიბრებითობის პრინციპის სრული უგულებელყოფით, რადგან ანგარიშფაქტურის მოთხოვნის არსებობა დადასტურებულად ჩათვალა მოსარჩელის ახსნა-განმარტების საფუძველზე, სათანადო მტკიცებულების არსებობის გარეშე და იმავე ფაქტზე ახსნა-განმარტება კი არ გაიზიარა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მარტო ზიანის არსებობა არ არის საკმარისი საფუძველი ზიანის ასანაზღაურებლად. იგი უნდა ანაზღაურდეს სახელშეკრულებო ან დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მაგრამ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოვალე შეიძლება, საერთოდ გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ზიანის დადგომას ხელი დაზარალებულის მოქმედებამ შეუწყო. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მიყენებული ზიანი შეიძლება ნაწილობრივ ან საერთოდაც გამოირიცხოს, თუ დადასტურდება, რომ ზიანის დადგომაში დაზარალებულის ბრალი უფრო მეტია, ვიდრე მოვალის. სს „ე. 21-ის“ დირექტორმა სასამართლოსთვის მიცემულ განმარტებაში დაადასტურა, რომ ანგარიშფაქტურის გამოწერა არ მოუთხოვია არც მეორე და არც მესამე დღეს და რომ მან ასეთი მოთხოვნა დააყენა დაგვიანებით. მოცემულ გარემოებაზე კი წარმომადგენელმა რ. მ-მა განმარტა, რომ ზიანის დადგომაში მათი ბრალიც იკვეთება ანგარიშფაქტურის გამოწერის მოთხოვნის დაგვიანების გამო. ამ გარემოების დასადასტურებლად, წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 ოქტომბრის სასამართლო სსდომის ოქმი, სადაც დაფიქსირებულია მოსარჩელის წარმომადგენელ რ. მ-ის განმარტება – „ვინაიდან ზიანში მათი ბრალიც იკვეთება ანგარიშფაქტურის გვიან მოთხოვნის გამო, გვთავაზობს მოთხოვნის თანხის განახევრებას“. ის გარემოება, რომ სს „ე-პ ჯ-მ“ 2009 წლის 30 იანვარს გამოწერა ანგარიშფაქტურა, სრულებითაც არ ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელემ, საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისთანავე ან არა უგვიანეს მეორე დღისა, მოითხოვა სს „ე-პ ჯ-ს“ მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის გაცემა. 2009 წლის 30 იანვარს ანგარიშფაქტურა გამოწერა სს „ე. 21-ის“ მოთხოვნის საფუძველზე და არა იმიტომ, რომ მას ასეთი მოთხოვნა მანამდეც ჰქონდა.

2007 წლის 18 ოქტომბერს ხელშეკრულებით სს „ე-პ ჯ-მ“ დაურიცხავი თანხის დარიცხვა-ამოღების ვალდებულებასთან ერთად იკისრა ვალდებულება, გადაერიცხა მოსარჩელისათვის ხელშეკრულების დადებამდე ამოღებული თანხა. პირველი ვალდებულების შესრულება არ განეკუთვნება ფინანსურ მომსახურებას, მაგრამ ხელშეკრულების მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება სწორედაც, რომ ფინანსური მომსახურებაა და არ მიეკუთვნება დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების კატეგორიას. აღნიშნული მოსაზრება დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი შპს „ტ. ა-ი კომპანიის 07.10.09 საექსპერტო აუდიტორული დასკვნითაც, რომლის თანახმად, 2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე. 21-სთვის“ განხორციელებული გადარიცხვა არ განეკუთვნება დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციას, არამედ იგი წარმოადგენს ფინანსურ მომსახურებას და, შესაბამისად, ენერგოკომპანიაც არ იყო ვალდებული, გამოეწერა ანგარიშფაქტურა. ენერგოკომპანიის მიერ კომპენსაციის მიღება არის ვალების ამოღების უფლების გაყიდვა და, საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, განხილულია ფინანსურ მომსახურებად და დღგ-სგან გათავისუფლებულია. ამდენად, 2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე. 21-სთვის“ 9 317 870,01 ლარის გადარიცხვა არ განეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციას, რადგან 2007 წლის 25 ოქტომბერს დაურიცხავი ელექტროენერჯის ოდენობა არ დადგენილია, არამედ უკვე ამოღებული თანხა გადარიცხვა ანუ ჩატარდა ფინანსური ოპერაცია, ამიტომ, სს „ე-პ ჯ-ა“ არ იყო ვალდებული, გამოეწერა სს „ე. 21-სთვის“ საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ე-პ ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სს „ე. XXI-ის“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია, სადავოა ამ გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებით ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო ინსტანციაში შესაძლებელია, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია, რომ 2007 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობას, სს „ს. გ. ს. ე-ს“, შპს „ა. ე-სა“ და „ე-პ ეი.ეს-ს“ და სს „ე-პ ჯ-ს“ შორის დაიდო „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება“. ხელშეკრულებით 2007 წლის 29 ივნისის შემდეგ სს „ე. ე-ა“ აღარ არიან უფლებამოსილი, ამოიღონ მინოდებული ელექტროენერჯის საფასური და სს „ე-პ ჯ-ს“ და სს „ე-პ ჯ-ს“ შორის დაიდო აბონენტი გახდა „ე-პ-ს“ აბონენტი. ხელშეკრულების 5.4 მუხლით, დასრულების თარიღის შემდეგ მყიდველის მიერ მიღებული ნაღდი ფული ეკუთვნის მყიდველს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ნაღდი ფული მიღებულია შესაბამისი გამყიდველის მიერ დასრულების თარიღამდე გაცემული ანგარიშფაქტურების საფუძველზე, რომელიც გაიცა მოქმედი სტანდარტული ბილინგის ციკლის შესაბამისად დასრულების თარიღამდე მომხმარებლისათვის მინოდებული ელექტროენერჯისათვის ან განუული მომსახურებისათვის. ნასყიდობის ხელშეკრულების განხორციელების მიზნით სს „ე-ა XXI-ს“ და სს „ე-პ ჯ-ს“ შორის 2007 წლის 18 ოქტომბერს დაიდო შეთანხმება ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე. ამ ხელშეკ-

რულების „ზ“ ქვეპუნქტით, აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების ფაქტობრივი თარიღის – 2007 წლის 29 ივნისის შემდეგ, ამავე ხელშეკრულების 5.4 პუნქტის საფუძველზე სესე-მ და აჭარის ენერჯოკომპანიამ არ დაარიცხეს მათ მიერ აბონენტებისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის ნაწილი. სს „ე. XXI-მა“ მოპასუხეს მიანიჭა უფლებამოსილება, ხოლო ამ უკანასკნელმა აიღო ვალდებულება, დასრულების თარიღამდე მოსარჩელის მიერ მის აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერჯის საფასურის ამოღებასა და ამოღებული თანხის მოსარჩელისათვის გადაცემაზე, ამ მომსახურების სანაცვლოდ, სს „ე. XXI-მა“ ივალდებულა მოპასუხისათვის 1350000 ლარის გადახდა. უდავოა, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2007 წლის 25 ოქტომბერს სს „ე. ჯ-მ“ მოსარჩელეს გადაურიცხა 9317870,01 ლარი. 2008 წლის 31 იანვარს სს „ე-პ ჯ-მ“ გამოწერა ანგარიშფაქტურა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველად მიღებულ მომსახურების ღირებულებაზე. იმავე დღეს მოპასუხემ გამოწერა კორექტირების საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა.

სს „ე. XXI-მა“ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სს „ე-პ ჯ-ს“ 2007 წლის 25 ოქტომბერს განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციისათვის საგადასახადო ანგარიშფაქტურა უნდა გამოეწერა არა უგვიანეს 2007 წლის 26 ოქტომბრისა, მაგრამ გამოწერა 2008 წლის 31 იანვარს. სს „ე. XXI“ რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად და ანგარიშფაქტურის დროულად გამოწერის შემთხვევაში იგი მიიღებდა ჩათვლას 205 932 ლარზე.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა, რომ ზიანი გამომწვეულია მოპასუხის არამართლზომიერი ქმედებით, რაც გამოიხატება, მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, ანგარიშფაქტურის დროულად გამოუწერლობაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის აუცილებლობაზე. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოცემული მუხლით პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ არსებობს ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბრალი არ დგინდება, რაც გამორიცხავს მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ვალდებულებას. სასამართლოს დასკვნა ემყარება შემდეგს:

სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, დღგ-ის ჩათვლის უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ჩასათვლელი დღგ-ის თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ამ კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურების ან საბაჟო დეკლარაციების მიხედვით დასაბეგრი ოპერაციებზე დასაბეგრი იმპორტზე, თუ საქონელი მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის. ამავე კოდექსის 251-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დღგ-ის სხვა გადამხდელებს ჩასათვლელი თანხის გადამეტება საანგარიშო პერიოდში დარიცხულ დღგ-ის თანხაზე ჩეთვლებათ დღგ-ის მომავალი პერიოდების გადასახდელეებში ან 6 თვის შემდეგ უბრუნდებათ ამ კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილი წესით.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს მომავალი პერიოდების გადასახდელეებში უკვე გადახდილი დღგ-ის ჩათვლით. ჩასათვლელი თანხის არსებობა კანონით ზუსტად გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტით, მათ შორის, მიღებული საგადასახადო ანგარიშფაქტურით უნდა დასტურდებოდეს. ამ უფლების რეალიზაციას წინ უნდა უსწრებდეს დღგ-ის ჩათვლაზე უფლებამოსილი პირის რამდენიმე მოქმედება. სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია, საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას მოთხოვნიდან არა უგვიანეს მეორე დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს. ამდენად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაცემის ვალდებულება მომსახურების მიმწოდებელს მხოლოდ მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში აკისრია.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ მიიჩნევს ანგარიშ-ფაქტურის გამოწერაზე მის ვალდებულებას სს „ე. XXI-ის“ მხრიდან მოთხოვნის არარსებობის გამო. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ანგარიშფაქტურის გამოწერისათვის აუცილებელი არ არის მოთხოვნა წარდგენილი იყოს წერილობით. 2008 წლის 30 იანვარს მოპასუხემ გამოწერა ანგარიშფაქტურა 2007 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე განეულ 1 350 000 ლარად ღირებულ მოსახურებაზე, რომელიც შემდეგ გააუქმა და გამოწერა კორექტირების ანგარიშფაქტურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოითხოვა ანგარიშფაქტურის გამოწერა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და დასაბუთებულ საკასაციო საჩივრის ფარგლებში (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი) მხარეთა ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს კონტრაქტის (მყიდველის) მიერ ორი დღის ვადაში ანგარიშფაქტურის გამოწერის მოთხოვნის აუცილებლობა, არამედ სადა-

ვოა მოთხოვნის ფაქტი. კანონით მოთხოვნის წერილობითი ფორმა გათვალისწინებული არ არის, თუმცა ზეპირი ფორმით ამ მოქმედების განხორციელება იმ მხარემ უნდა ამტკიცოს, რომელიც ამ გარემოებაზე აყრდნობს თავის სასარჩელო მოთხოვნასა თუ შესაგებელს. სს „ე. XXI“ ამ გარემოების დამადასტურებლად კასატორის მიერ კორექტირების ანგარიშფაქტურის გამოწერას მიიჩნევს. მხარის ეს მტკიცება არაადამა-ჯერებლია, ვინაიდან 2007 წლის 18 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე წლის 25 ოქტომბერს განუვლ მოსახურებაზე, 2008 წლის 30 იანვარს კასატორი მხარის მიერ ანგარიშფაქტურის გამოწერა რაი-მე სამართლებრივი შედეგის მომცემი არ არის, და შესაბამისად, იურიდიული ძალის მქონედ ვერ ჩაით-ვლება. საკასაციო სასამართლოს დასკვნა ეფუძნება საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტს, რომლის ძალითაც დღგ-ის ჩათვლა არ წარმოებს იმ საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი მყიდველის (ჩათვლის მიმღების) მიერ დღგ-ის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს 45 კალენდარული დღისა.

დასაბუთებას მოკლებულია კასატორის მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ მან კანონით განსაზ-ღვრულ ვადაში მოსთხოვა კასატორს ანგარიშფაქტურა და სწორედ ამიტომ გამოიწერა კორექტირების ან-გარიშ-ფაქტურა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მომსახურების განწვეიდან საკმაოდ დაგვიანებით – კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით არის გამოწერილი. საგულისხმოა, რომ საქმეში წარმოდგენილია სს „ე. XXI-ის“ დირექტორის განმარტება ანგარიშ-ფაქტურის დაგვიანებით მოთხოვნაზე, რაც ამყარებს კა-სატორის პოზიციას.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ანგარიშფაქტურის გამოწერი-სათვის მომსახურების მიმღების მოთხოვნის განუხორციელებლობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სს „ე. XXI-ს“, სადავო მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობისათ-ვის არ მიუმართავს. ანგარიშფაქტურის გამოწერისათვის მომსახურების მიმღების მოთხოვნის შეუსრუ-ლებლობას კანონი სამართალდარღვევად მიიჩნევდა და მისთვის გარკვეულ პასუხისმგებლობას ადგენ-და(ის. სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ამდენად, სს „ე. XXI-ისთვის“ მიყენებული ზიანი სს „ე-პ ჯ-ს“ არამართლზომიერი ქმედებით არ არის გა-მონვეული, რაც გამორიცხავს მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

სს „ე-პ ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 აპრი-ლის განჩინება.

სს „ე. XXI-ის“ სარჩელი ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

სს „ე. XXI-ს“ დაეკისროს სს „ე-პ ჯ-ს“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 15 000 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1291-1218-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ნ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „დ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის, მის სა-სარგებლოდ მატერიალური და მორალური ზიანის – 146 194 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი მისი მარწმუნებლის სახლს 2011 წლის 18 ოქტომბერს შეეჯახა თურქული კომპანიის შპს „დ-ის“ საკუთრებაში არსებული ა/მ „ვოლ-ვო“, რის გამოც ნ. ნ-მა განიცადა, როგორც მატერიალური, ისე, მორალური ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ შპს „დ-ის“ საკუთრებაში არსებული ავტო-მანქანა ნამდვილად შეეჯახა ნ. ნ-ის სახლს, მაგრამ ზიანი მოსარჩელის მიერ მომატებულია და იგი თანახ-მაა, მას გადაუხადოს 30 000 ლარი.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „დ-ს“ ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 123 872 ლარი, სარჩელი, მოპასუხისათვის 5622 ლარისა და მორალური ზიანის – 15000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საადავოკატო მომსახურებისათვის გადახდილი – 1000 ლარი, ექსპერტიზის ჩასატარებლად შესრულებული სამუშაოსათვის – 700 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 3716.16 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, კერძოდ, მისთვის, ნ. ნ-ის“ სასარგებლოდ 31 993 ლარის დაკისრება.

ნ. ნ-მა შეგებებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „დ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ნ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „დ-ს“ ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 123 872 ლარის გადახდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „დ-ს“ ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 87 972 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 22 ოქტომბრის საჯარიმო ქვეთრით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დადგენილია, რომ 2011 წლის 18 ოქტომბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი მძღოლმა დაარღვია მანევრირების წესები და შეეჯახა ნ. ნ-ის საცხოვრებელ სახლს.

2007 წლის 27 მარტის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ დაზიანებული სახლი, მდებარე ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი, ეკუთვნის მოსარჩელე ნ. ნ-ს.

2009 წლის 11 აგვისტოს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის გ. გ-ი.

საქმეში წარმოდგენილია 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება საცხოვრებელი ბინის ქირავნობის თაობაზე, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად ინდემნარმე გ. გ-მა თავისი საცხოვრებელი სახლი მდებარე ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი მიაქირავა ნ. ნ-ს 500 ლარად. რაც ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 6000 ლარს.

პალატის განმარტებით, მართალია, მოსარჩელემ წარმოადგინა გ. გ-ან დადებული საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულება, სადაც ქირის თანხა 500 ლარითაა განსაზღვრული, მაგრამ რეალურ გარემოებათა შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ საბაზრო ღირებულებასთან შეუსაბამოდ მაღალ თანხად მიიჩნევს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი მდებარე სახლის ქირავნობისათვის თვეში 500 ლარის გადახდას (გასათვალისწინებელია, რომ ეს სახლი ზღვის სანაპიროდან რამდენიმე კოლომეტრითაა დაცილებული, ხოლო გონივრულად მიაჩნია მოპასუხისათვის, ქირის სახით გადასახდელი თანხის, თვეში 250 ლარით განსაზღვრა, რაც ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 3000 ლარს (მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ გამქირავებელი და დამქირავებელი ნათესავეები არიან).

საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2011 წლის 7 ნოემბრის დასკვნის თანახმად, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ს-ი მდებარე ნ. ნ-ის დაზიანებული სახლის აღდგენა ტექნიკურად გაუმართლებელია. ანალოგიური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 115 000 ლარს, ღობის აღდგენის ღირებულება – 600 ლარს. 6 ცალი მაგიდის საბაზრო ღირებულება შესაძლოა, განისაზღვროს 900 ლარით, 7 ცალი ხის სკამის საბაზრო ღირებულება – 105 ლარით, 1 კომპლექტი ნაჭრის სამეულის საბაზრო ღირებულება შესაძლოა განისაზღვროს 350 ლარით, 1 ცალი ფარდის საბაზრო ღირებულება – 27 ლარით, 2 ცალი სანაოლის საბაზრო ღირებულება – 240 ლარით, სამზარეულოს კარადის, ხის ტუმბოს და კამოდის საბაზრო ღირებულება – 550 ლარით, წისქვილისა და მაცივრის ელ. ძრავების აღდგენითი სამუშაო – 100 ლარით.

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 2 თებერვლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, შპს „დ-ის“ კუთვნილი ავტომანქანის მიერ ავტოავარიის შედეგად დაზიანებული ნ. ნ-ის საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალი შეადგენს საცხოვრებელი სახლის დაზიანებული ნაწილის აღდგენით ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით და შეადგენს 31 993 ლარს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტისა და აუდიტორის დასკვნები შეიცავენ შეუსაბამოდ დიდ განსხვავებას ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, კერძოდ, იმ ფაქტის დასადასტურებლად, თუ რა ოდენობის მატერიალური ზიანი იქნა მიყენებული ავტოავარიის შედეგად ნ. ნ-ის და არის თუ არა შესაძლებელი და მიზანშეწონილი დაზიანებული სახლის აღდგენა, სააპელაციო სასამართლომ დასკვნათა შევსებისა და მათზე განმარტების მიცემის მიზნით, სხდომაზე მოიწვია როგორც ექსპერტიზის დასკვნის ავტორი, ექსპერტი ი. ბ-ე, ასევე აუდიტორული დასკვნის შემდგენელი, აუდიტი ა. ბ-ე (ამ უკანასკნელის წარმოდგენა თავად აპელანტმა ივალდებულა). სააპელაციო სასამართლომ მიერ დასმულ შეკითხვაზე ექსპერტმა განმარტა, რომ როგორც დათვალა იერებითა და ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, სახლის ერთი ნაწილი მთლიანად დანგრეულია, მეორე ნაწილი დაზიანებული (სახლის ამ ნაწილს არა აქვს შუა და უკანა კედელი), ხოლო მესამე ნაწილი არ არის დაზიანებული, მაგ-

რამ იმის გათვალისწინებით, რომ საყრდენი კედლები დანგრეულია, მდგრადობით, სიმყარითა და სტანდარტებით ეს ნაწილი რომ წინა ორ ნაწილს გაუთანაბრდეს, მიზანშეწონილია არსებულის მთლიანი დემონტაჟი და ახალი სახლის აშენება.

სასამართლოს კითხვაზე სახლის მესამე, დაუნგრეველ ნაწილთან დაკავშირებით, ექსპერტმა დაუნგრეველი ნაწილის სიმყარის შესახებ განმარტა, რომ ზუსტ პასუხს მხოლოდ სეისმოლოგიური დასკვნა გაცემს, რისი ჩატარებაც ძალიან ძვირი ღირს. ექსპერტის განმარტებით, მართალია, მას არც ნახაზები შეუდგენია და არც ხარჯთაღრიცხვა, სახლის აღდგენის ღირებულების განსაზღვრისათვის, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში დაეყრდნო თავის სამუშაო გამოცდილებას, სამუშაო ანალოგებს და სახლის კვადრატულობიდან გამომდინარე, საორიენტაციო ფასი მიუთითა. საორიენტაციო იმიტომ, რომ შესაძლოა, სახლის აშენება დაჯდეს განსაზღვრულზე ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები. რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, ექსპერტ ი. ბ-ის განმარტებით, აქ არ არის გათვალისწინებული არც საძირკვლის, არც სარტყელის მოწყობა. ამ დასკვნას არ ერთვის ნახაზები, რომლის გარეშეც ამგვარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია აუდიტის დასკვნაში აღწერილია მხოლოდ მასალის, ხელფასის და ტრანსპორტის ხარჯთა ჯამი. ექსპერტიზის დასკვნაში კი, მან პირდაპირ ხარჯებს დაუმატა დაახლოებით 40% – მოგების, დღგ-ს 18%, ზედნადები ხარჯების 10%, გაუთვალისწინებელი ხარჯი 5%, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ მშენებლობას მენარმე იურიდიული პირი აწარმოებს.

ექსპერტის განმარტებით ამჟამად ამ სახლში ცხოვრება უსაფრთხო არ არის, შეიძლება ითქვას, საშიშია. დადგენილია, რომ სეისმოლოგიური დასკვნა იმის შესახებ, რამდენად მყარია სახლის გადარჩენილი მესამედი, საქმეში არ არის წარმოდგენილი, მსგავსი შუამდგომლობის დაყენებაზეც მოპასუხე მხარემ უარი განაცხადა.

აღნიშნულ გარემოებათა შეფასებით, პალატამ გაიზიარა ექსპერტის დასკვნა და მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის აღდგენა გაუმართლებელია.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ნ. ნ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და განმარტა, რომ საქმის მასალებით დაუდასტურებელია ფაქტობრივი გარემოება მორალური ზიანის არსებობის თაობაზე.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებით პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობა – დელიქტური ვალდებულებითი ურთიერთობისათვის გათვალისწინებული წესებით მოწესრიგებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო პალატა შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს ქმედებებს, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას სამართალდარღვევად და ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს.

2011 წლის 12 ოქტომბრის №100112 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმით დადგენილია, რომ 2011 წლის 18 ოქტომბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ს-ი მძლოლმა დაარღვია მანევრირების წესები, შეეჯახა ნ. ნ-ის საცხოვრებელ სახლს, შესაბამისად დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომის შედეგად, მოსარჩელეს მიადგა ზიანი.

პალატამ მიუთითა საქართველოს სკ-ის 999.1-ე და 992-ე მუხლებზე და განმარტა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ნორმის შემადგენლობა, ყველა პირობა, რაც ზიანის დაკისრებისათვის აუცილებელია. ამასთან, გამომდინარე იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ დაუდასტურებელია საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ან სამომავლო აღდგენაში მენარმე სუბიექტის მონაწილეობა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს „დ-ის“ მიერ ნ. ნ-ის მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს პირდაპირ მასალის, მუშახელის ხელფასისა, მშენებლობისას გამოვლენილი გაუთვალისწინებელი ხარჯისა და მოძრავი ნივთების ღირებულების 2872 ლარის დაანგარიშებით, რაც, ექსპერტის დასკვნის მიხედვით, შეადგენს 87 972 ლარს.

პალატამ მიიჩნია, რომ სარწმუნო მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას გააბათილებდა – მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

პალატის განმარტებით, ზიანი უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა პირმა. იმ პირობა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში დაუდასტურებლად იქნა მიჩნეული, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება.

პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განადგურდა მატერიალური სიკეთე, ქონება, რომელიც მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო ზიანის რაოდენობა კი, კონკრეტულ მტკიცებულებათა შეფასებით უნდა გადანიშნულიყო (და ამაზე გადაწყვეტილებაში უკვე იყო საუბარი).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ჯანმრთელობის შესახებ საქმეში არსებული სამედიცინო ცნობები და მკურნალობისათვის გადახდილი თანხის ქვითრები არ მიიჩნია საკმარის მტკიცებულებებად მორალური ზიანის დაკისრებისათვის და აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა;

კასატორის აზრით, სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი ადვოკატის მომსახურების საფასურის ნაგებულ მხარეზე დაკისრების მოთხოვნაზე;

კასატორის მოსაზრებით, საქმეში არსებული 2011 წლის პირველი ნომბრის ხელშეკრულებით, საცხოვრებელი სახლის ქირავნობის საფასური შეადგენს 500 ლარს, რაც ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 6000 ლარს. სასამართლომ აღნიშნული თანხა გაანახევრა იმაზე დაყრდნობით, რომ რეალურ გარემოებათა შეფასებით, საბაზრო ღირებულებასთან შეუსაბამოდ მაღალ თანხად მიიჩნია, იმიტომ, რომ ეს სახლი ზღვის ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული. სინამდვილეში აღნიშნული სახლი ზღვის ნაპირიდან დაცილებულია სულ 2 კილომეტრით, კეთილმოწყობილი და კაპიტალური შენობაა, რის შესახებაც ხელშეკრულებაში სრულად არის ასახული რომლის გათვალისწინებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ დაადგინა, რომ რეალურ გარემოებათა შეფასებით მითითებული თანხა შეუსაბამოდ მაღალია;

ამასთან, კასატორის აზრით, არასაკმარისადაა დასაბუთებული, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის აღდგენა გაუმართლებელია და ასევე არასწორია, თითქოსდა ექსპერტიზის დასკვნით ახალი სახლის მშენებლობის ხარჯების განისაზღვრება 87 972 ლარით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში დავას არ იწვევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი იმის შესახებ, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის აღდგენა გაუმართლებელია. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ექსპერტის დასკვნა და დადგენილად მიიჩნია მითითებული ფაქტი, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა შპს „დ-ის“ მიერ ნ. ნ-ის ზიანის მიყენების ოდენობა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ დაუდასტურებელია საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ან სამომავლო აღდგენაში მენარმე სუბიექტის მონაწილეობა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს „დ-ის“ მიერ ნ. ნ-ის მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს პირდაპირ მასალის, მუშახელის ხელფასისა, მშენებლობისას გამოვლენილი გაუთვალისწინებელი ხარჯისა და მოძრავი ნივთების ღირებულების 2872 ლარის დაანგარიშებით, რაც, ექსპერტის დასკვნის მიხედვით, შეადგენს 87 972 ლარს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებიდან არ ირკვევა რა მნიშვნელობა გააჩნია საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ან სამომავლო აღდგენაში მენარმე სუბიექტის მონაწილეობას მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაში.

საქმის მასალებიდან და ექსპერტის დაკითხვის ოქმიდან გამომდინარე (12.07.12 სასამართლო სხდომის 16:26:27 – 16:28:59 ჩანაწერი), შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ მასალის, ხელფასის, მექანიზმების გამოყენებისათვის გასაღები ხარჯები და არა ის ხარჯები, რომლებიც გადასახდელი იქნებოდა მენარმე სუბიექტისათვის.

იმ შემთხვევაშიც, თუ გავიზიარებთ სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას, არ ირკვევა სააპელაციო სასამართლომ რა ფაქტობრივი გარემოებისა და სამართლებრივი წინაპირობების საფუძველზე მიიჩნია, რომ მიღებული ზიანი 87972 ლარია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებაზე იმის თაობაზე, რომ დაუდასტურებელია საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ან სამომავლო აღდგენაში მენარმე სუბიექტის მონაწილეობა. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაადასტურებდა მენარმე სუბიექტის მიერ სახლის აღდგენისა თუ თავიდან აშენების გარემოებას, მაშინ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა.

ამასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე მიღებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს სხვადასხვა სახის ზიანის ინსტიტუტს, მათ შორის რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მიუხედავად იმისა, რომ ეხება მიუღებელ შემოსავლის ანაზღაურების ინსტიტუტს, მიგვიითითებს იმაზე, რომ ზიანს შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი და მიუღებელი შემოსავალი. კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლებში განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, რადგან საკითხი ეხება შპს „დ-ის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ნ. ნ-ის საცხოვრებელი სახლის დაზიანებას.

ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, წარმოადგენს დადებით, ანუ მატერიალიზებულ ზიანს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატა მართლსაწინააღმდეგო, გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებულ ზიანით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებული გარემოება. საკასაციო პალატა ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თამაზე, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის აღდგენა გაუმართლებელია.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიცნევს, რომ არსებობს ამავე კოდექსის 409-ე მუხლის გამოყენების საფუძველი, რომლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეიძლება, მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი წინადადების თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. სადავო ურთიერთობის გათვალისწინებით განსახილველი ნორმა უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის 992-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს მესამე პირის მიერ მისი საკუთრების უფლების ხელყოფისაგან დაცვა. შესაბამისად, დაზარალებული ინტერესი გამოიხატება იმ ვითარების, მდგომარეობის აღდგენაში, რაც ვალდებულების დარღვევამდე არსებობდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი გარემოებების გარკვევას: თუ რამდენად შესაძლებელია ისეთივე საცხოვრებელი სახლის აშენება მენარმე სუბიექტის მონაწილეობის გარეშე და თუ შესაძლებელია რა რისკებს შეიძლება ეს უკავშირდებოდეს, რაც დაზარალებულის ინტერესის დამყოფილებას შეუშლის ხელს.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ოდენობის დადგენას არ უნდა მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ამ შემთხვევაში უნდა გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია ზიანის ანაზღაურების საკომპენსაციოდ, მაგრამ, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს დანაზღაურების სახლის ნაცვლად, ახალი სახლის აშენება რამდენად შესაძლებელია მხოლოდ მასალის, მუშახელის ხელფასის, მშენებლობისას გამოვლენილი გაუთვალისწინებელი ხარჯის გათვალისწინებით მენარმე სუბიექტის მონაწილეობის გარეშე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლების გაშქმება ნატურით გაყოფისას

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1656-1553-2012

2 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანასაკუთრებიდან რეალური 1/2 წილის გამოყოფა, ხელშეშლის აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ტ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ტ-ის მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 156-ე, 164-ე, 170-ე, 172-ე, 956-ე, 959-ე მუხლების შესაბამისად, თანასაკუთრებიდან 1/2 წილის გამოყოფისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვის მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

ქ.ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი 1/2-1/2 ნაწილი ძმების, ა. და თ. ტ-ის თანასაკუთრებაა, უძრავი ქონება მხარეებმა 1985 წლის 11 იანვარს მშობლებისაგან ჩუქების გზით მიიღეს. მოსარჩელე კუთვნილი წილით ვერ სარგებლობს, რადგანაც მოპასუხეს სრულად აქვს დაკავებული პირველი სართული – ნახევრად სარდაფი, მეორე სართულის ის ნაწილი, რომელიც მშობლებმა სიცოცხლეშივე მას არგუნეს და სახლის ეს ნაწილი 1988 წლიდან მის ფაქტობრივ მფლობელობაშია. ის ასევე სრულად ფლობს მიწის ნაკვეთს. მთლიანი ფართის ნახევრის გათავისუფლების მოთხოვნაზე, მოპასუხე თანხმობას არ აცხადებს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მოპასუხემ სარეგისტრაციოდ წარადგინა საცხოვრებელი ბინის შიდა

საკადატრო აზომვითი ნახაზი, რომელიც მოიცავდა ნახევარსარდაფს – პირველ სართულს სრულად და საცხოვრებლის მეორე სართულს იმ ნაწილს, რომელსაც ის ფლობს 1988 წლიდან. 2011 წლის 2 სექტემბერს განხორციელებული რეგისტრაციით, სამართლებრივად, აღდგა მოპასუხის საკუთრების უფლება თანასაკუთრებაში, რაც არ შეესაბამება ფაქტობრივ ფლობას, უფრო მეტიც, მუდმივი უთანხმოების არიდების მიზნით, ა. ტ-ე ვერ ახერხებს მშობლების მიერ მისთვის გადაცემული საცხოვრებელი ბინის შეკეთებას და მინის ნაკვეთის გამოყენებას. მოპასუხის მიერ საკუთრების აღრიცხვისას არათანაბარი აზომვითი ნახაზის შედგენის გამო, სადაც დაცული არ არის თანამესაკუთრეთა რეგისტრირებული წილობრივი თანაფარდობა, ა. ტ-ე იძულებული გახდა, სპეციალური დაწესებულებისათვის მიმართვის გზით გამოერკვია კუთვნილი წილის ოდენობა. 2011 წლის 17 ოქტომბრის წერილთან ერთად მოპასუხეს გაეგზავნა ექსპერტის დასკვნა სადავო ფართის რეალურად გაყოფის თაობაზე, რასაც თ. ტ-ე არ დაეთანხმა.

თ. ტ-ემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და აღნიშნა, რომ 1985 წელს მშობლებმა მას და ა. ტ-ეს აჩუქეს ქ. ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე უძრავი ქონება თანაბარი წილით. მხარეებს, წერილობითი დოკუმენტის გაფორმების გარეშე, გაყოფილი ჰქონდათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და მოსარჩელესთან შეთანხმებით იყენებდა იმ ფართს, რომლის აღრიცხვაც უნდოდა საჯარო რეესტრში, აღნიშნულის თაობაზე უკანასკნელ დრომდე ა. ტ-ეს პრეტენზია არ გამოუთქვამას. მას მოსარჩელისათვის არასდროს შეუშლია ხელი თავადაც გამოეყენებინა კუთვნილი ფართი და, სურვილის არსებობის შემთხვევაში, რეალურად გაეყოთ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სარჩელზე დართული ექსპერტიზის დასკვნა არ იძლევა პასუხს იმასთან დაკავშირებით, რომ გარდა დასკვნაში მითითებული ვარიანტისა, არსებობს თუ არა უძრავი ქონების სხვაგვარად, ორ თანაბარ წილად გაყოფის სხვა შესაძლებლობა ისე, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს და არ აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში. შენობა-ნაგებობისა და მინის ნაკვეთის განლაგება იძლევა ქონების დასკვნაში მითითებული ვარიანტისაგან განსხვავებული გაყოფის შესაძლებლობას. ა. ტ-ის შეთავაზებაზე, სადავო საკითხის მორიგების გზით მოგვარების თაობაზე, თ. ტ-ემ მორიგების რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნა მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ვარიანტის შესაბამისად ქონების გაყოფაა, რაც არასწორია. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხემ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ, ვიდრე თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან თითოეულის კუთვნილი წილი არ გაიყოფა და ინდივიდუალურ საკუთრებაში არ აღირიცხება, თ. ტ-ე თანასაკუთრებაში არსებული ქონების უკანონო მფლობელად არ შეიძლება იქნას მიჩნეული, შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება არ აქვს, მისგან მოითხოვოს თანასაკუთრებაში არსებული რაიმე ქონება, ამ ქონებაზე მხარეთა თანაბარი უფლებრივი მდგომარეობის არსებობის გამო, მოსარჩელეს, როგორც თანამესაკუთრეს, მოთხოვნის წაყენება მხოლოდ მესამე პირების მიმართ შეუძლია.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. ბორჯომში ს-ის ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მინის ნაკვეთი გაიყო ორ თანაბარ ნაწილად ისე, როგორც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 თებერვლის №004366-2012/03/1 დასკვნაში საცხოვრებელი სახლის გაყოფის გეგმაში იყო მოცემული, ა. ტ-ეს მიეკუთვნა ქ. ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, კერძოდ, მის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლის პირველი სართულისა და ნახევარსარდაფის მხარე, რაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 თებერვლის №004366-2012/03/1 დასკვნის დანართ №3-4-ში საცხოვრებელი სახლის გამიჯვნის გეგმაში მუქად იყო დაშტრიხული, ასევე მინის ნაკვეთის გამიჯვნის გეგმაში დანართ №5-ში მუქ ფრად დაშტრიხული მინის ნაკვეთი, თ. ტ-ეს მიეკუთვნა ქ. ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, კერძოდ, მის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის მხარე, ასევე, ნახევარსარდაფის ის მხარე, რაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 თებერვლის №004366-2012/03/1 დასკვნის დანართ №3-4-ში საცხოვრებელი სახლის გამიჯვნის გეგმაში ყვითლად იყო დაშტრიხული, ასევე, მინის ნაკვეთის გამიჯვნის გეგმაში დანართ №5-ში ღია ფრად დაშტრიხული მინის ნაკვეთი, მოპასუხე თ. ტ-ეს აეკრძალა მოსარჩელე ა. ტ-ის საკუთრებით სარგებლობის უფლება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ტ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის საოქმოდ განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 162-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო სხდომაზე მოწვეულ იქნა ექსპერტი და ჩათვალა, რომ არ არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი, ამავდროულად პალატის 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით თ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას და საჯარო რეესტრის ამონაწერი დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე უძრავ ქონებაზე აღრიცხულია მოსარჩელე ა. ტ-სა და მოპასუხე თ. ტ-ის თანასაკუთრების უფლება თითოეულზე 1/2-1/2 იდეალური წილის უფლებით. უძრავ ქონებაზე მხარეების თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია 1985 წლის 11 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ლ. ს. ასულმა ტ-ემ, ო. ლ. ძე ტ-ის სახელით აჩუქა მის შვილებს ა. ო. ძე ტ-სა და თ. ო. ძე ტ-ეს საცხოვრებელი სახლი თანაბარ ნაწილად. პალატის განმარტებით, საზიარო უფლება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. საზიარო უფლების მოწილებებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ

შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება. მოდავე მხარეები არიან საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეები, სახლი საზიარო უფლების ობიექტს წარმოადგენს, ხოლო მიწის ნაკვეთი საერთო სარგებლობის დანიშნულების მქონე ნივთს და მხარეები ერთმანეთთან იმყოფებიან კანონისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მონილის მოთხოვნაც. ამავე კოდექსის 963-ე მუხლის თანახმადაც, ქონების გაყოფის ორი პირობაა დადგენილი: ნივთი უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად და ნივთი უნდა გაიყოს ღირებულების შემცირების გარეშე. ეზოს ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას არ არის აუცილებელი, რომ ეზო იყოფოდეს სახლის მესაკუთრეებზე ზუსტად, მათი კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისად. მიწის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მიწის ცალკეული ნაწილების დანიშნულება და მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, მხარეთა ინტერესები მისი თითოეული ნაწილის მიმართ, მიწის მდებარეობა და მისი განლაგება მისასვლელ გზასთან, არ უნდა ჩაითვალოს, რომ არ შეიძლება მიწის გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, თუ შესაძლებელია თანაბრად იქნეს გათვალისწინებული მხარეთა საყოფაცხოვრებო ინტერესები. შესაძლებელია მიწის შედარებით დიდი ფართი მიეცეს ერთ მხარეს, მაგრამ მეორე მხარისათვის გადაცემული მიწის ფართი, თავისი დანიშნულებითა და მდებარეობით, იმგვარი ღირებულების იყოს, რომ მას გაუთანაბრდეს. პალატის განმარტებით, ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება. სახლის ეზო უნდა იყოფოდეს ისე, რომ გაყოფის შედეგად წარმოქმნილმა ეზოებმა საყოფაცხოვრებო დანიშნულება არ დაკარგონ. ერთგვაროვნებასთან ერთად გაყოფამ საზიარო საგანს არ უნდა დაუკარგოს ის სამომხმარებლო ღირებულება, რაც მას გაყოფამდე გააჩნდა.

სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 თებერვლის №004136-12 დასკვნაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ქ.ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მოთხოვნათა დაცვით გაყოფა 1/2 ნილის შესაბამისად შესაძლებელია დასკვნის დანართი №1, №2, №3, №4 და №5-ში მოცემული პირობების შესაბამისად, ამავე დასკვნითა და სააპელაციო სასამართლოში მიწვეული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ გ. გ.-ას განმარტების გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ნივთის გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, მისი ღირებულების შემცირების გარეშე შესაძლებელი იყო. სასამართლომ მიუთითა აპელანტის განმარტებაზეც, რომ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნახევარსარდაფის მთელ ფართს იყენებდა თ. ტ-ე, რომელსაც მოწყობილი ჰქონდა პირველ სართულზე ასასვლელი შიდა კიბე. საერთო საკუთრებაში არსებული სახლის პირველი სართულის აივნის მხარეს ფლობდა ა. ტ-ე, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა სარჩელი საზიარო საგნის გაყოფის ნაწილში საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის (დანართი №3, №4 და №5) შესაბამისად, აგრეთვე, მხარეთა მიერ სადავო სახლის ფაქტობრივი ფლობის გათვალისწინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ საკუთრებაში სარგებლობის ხელშეშლა გულისხმობდა მესაკუთრისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომლის გათვალისწინებითაც მესაკუთრეს შეეზღუდებოდა თავისი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა და, ამასთან, ამის რაიმე საფუძველი ხელშემშლელს არ გააჩნდა. საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის უფლება წარმოიშობოდა თუ იარსებებდა შემდეგი საფუძვლები: ა) მოსარჩელე ნივთის მესაკუთრეა; ბ) ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან არ იყო გასული; გ) მოპასუხე ხელყოფდა ან სხვაგვარად უშლიდა ხელს მოსარჩელეს თავისი საკუთრებით სარგებლობაში. სასამართლოს შეფასებით, ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან, მოსარჩელის საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის ფაქტის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, თ. ტ-ე შესაგებებელი განმარტავდა, რომ „ა. ტ-ე ცხოვრობდა თბილისში და ამის გამო არ სარგებლობდა სახლის პირველი სართულის ფართით, ხოლო თ. ტ-ეს ხელი ეშლებოდა მეორე სართულზე არსებული ფართით სარგებლობაში, რის გამოც მან, მოსარჩელესთან შეთანხმებით, პირველი და მეორე სართულის დამაკავშირებელი კიბე დაამონტაჟა. თ. ტ-ე მოსარჩელესთან შეთანხმებით იყენებდა მოსარჩელის კუთვნილ ფართს, რაზედაც მოსარჩელეს უკანასკნელ დრომდე არ გამოუთქვამს პრეტენზია და ამის გამო მოპასუხემ საჭიროდ მიიჩნია, რომ მის მიერ რეალურად დაკავებული ფართი საკუთრების უფლებით აღერიცხა საჯარო რეესტრში, რის გამოც აღნიშნულ ფართზე გააკეთებინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე რეალურად ფლობდა იმაზე მეტ ფართს, ვიდრე თანასაკუთრებაში მისი კუთვნილი 1/2 ნაწილი შეადგენდა, რაც ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატის განჩინებები: განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის, ასევე სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ტ-ემ, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4, 105-ე, 225-ე, 244-ე მუხლებს, 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებს, რადგანაც განჩინების სამოტივაციო ნაწილი და სამართლებრივი დასაბუთება შემოიფარგლება იმაზე მითითებით, რომ სადავო ქონების ნატურით გაყოფა მხოლოდ ექსპერტიზის 2012 წლის 13 თებერვლის დასკვნის №3, №4 და №5 დანართებში მოცემული ვარიანტის შესაბამისადაა შესაძლებელი. სასამართლოს არ უმსჯელია მისი დასკვნა რა სამართლებრივ

საფუძველს ემყარება, ამასთანავე, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომელიც თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფას არეგულირებს. აღნიშნული ადასტურებს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონის ნორმას არ ემყარება, ვინაიდან, გაუგებარია, თ. ტ-ეს რატომ მიეკუთვნა ქონების გამიჯვნის შედეგად ნაკლები ფართი, რატომ აღარ აქვს მისთვის მიკუთვნებულ ფართს კავშირი გზასთან და სხვა კომუნიკაციასთან და ან კომუნიკაციების მოწყობისათვის რატომ უნდა გაილოს მან დამატებითი ხარჯები. სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შინაარსიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება შეუძლებელია.

სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთების უსწორობას ადასტურებს ის გარემოება, რომ სასამართლომ არ შეუფასებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლზე მითითებით დაადგინა, რომ ქონების გაყოფა მისი ღირებულების შემცირების გარეშე შესაძლებელია, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თანასაკუთრებაში არსებული მიწის მდებარეობაზე, მიუთითა მისი ნაწილების მიმართ მხარეთა დამოკიდებულებაზე, თუმცა, დაადგინა, რომ გაყოფა მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად იყო შესაძლებელი. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობისას არ გათვალისწინებია საყოფაცხოვრებო პირობები, ქონების შემცირების საკითხი, მხარეთა ინტერესი ქონების თითოეულ ნაწილზე, რითაც სასამართლომ განჩინება ამავე განჩინებით დადგენილ გარემოებებს ეწინააღმდეგება. სასამართლომ, მართალია, ქონების გაყოფა დაამყარა საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, მაგრამ ეს დასკვნა არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლით გათვალისწინებულ თანასაკუთრების გაყოფის კანონისმიერ შესაძლებლობას, კერძოდ, დასკვნაში მითითებულია, რომ გაყოფის ექსპერტის მიერ შეთავაზებული ვარიანტი განხორციელებულია ე.წ. დაბალანსების პრინციპით და აღნიშნული ექსპერტმა დაადასტურა სასამართლო სხდომაზეც. ამავე დასკვნის საფუძველზე ა. ტ-ეს მიეკუთვნა უფრო მეტი ფართი, ვიდრე კასატორს, რაც წილთა თანაბრობის პრინციპის დარღვევაზე მიუთითებს. სასამართლომ მიერ განხორციელებული გამიჯვნის შედეგად ა. ტ-ეს მიეკუთვნა პირველ სართულზე მდებარე აივანი და ამ აივნის ქვეშ მდებარე ფართი, ხოლო კასატორს არანაირი დამატებითი ფართი არ მიკუთვნებია, მონინალმდევე მხარეს ასევე მიეკუთვნა 8,08 კვ.მ სამზარეულო, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ფლობდა კასატორი და მის მიერ არის გარემონტებული, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ კასატორს სამზარეულოს მოწყობისათვის დასჭირდება საცხოვრებელი ფართის გამოყენება, რითაც კიდევ შემცირდება საცხოვრებელი ფართის ოდენობა, ა. ტ-ეს ასევე მიეკუთვნა ტყეში მისასვლელი გზა, ხოლო კასატორს – არა. გამიჯვნის შედეგად სამხრეთით – მზიან მხარეს მდებარე უძრავი ქონება მიეკუთვნა მხოლოდ ა. ტ-ეს, ხოლო კასატორს – ჩრდილოეთით მდებარე ნესტიანი ქონება. საყურადღებოა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არაა მითითებული თანასაკუთრების ნატურით გაყოფის აუცილებელ პირობაზე – შესაძლებელი თუ არა ქონების გაყოფა მისი ღირებულების შემცირების გარეშე, ხოლო სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნა ემყარება მხოლოდ გაყოფის ტექნიკურ შესაძლებლობას, ზემოაღნიშნული საკითხის გაუთვალისწინებლად. ექსპერტიზის ამავე დასკვნაში თ. ტ-ის მიკუთვნებულ უძრავ ქონებას არ გააჩნია მასთან მისასვლელი გზა, ეს საკითხი სააპელაციო პალატის განჩინების მსჯელობის საგანი არ გამხდარა, ამასთანავე, უძრავ ქონებასთან მისასვლელი გზის მოსაწყობად, სავალდებულოა კასატორის მიერ ქონების რეკონსტრუქცია და დიდი ხარჯების გაღება, რაც არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის დისპოზიციიდან. საყურადღებოა, რომ არც ექსპერტის დასკვნით და არც სასამართლო გადაწყვეტილებით არაა შეფასებული ის გარემოება, რომ კასატორისათვის მიკუთვნებულ უძრავი ქონების ნაწილს არ გააჩნია კავშირი კანალიზაციის, წყლის, გაზის გაყვანილობასთან, ხოლო მონინალმდევე მხარისათვის მიკუთვნებულ ფართს ზემოაღნიშნული კავშირი გაჩნია, აღნიშნული მიუთითებს ქონების ღირებულების შემცირებაზე, სასამართლომ გამიჯვნა შესაძლებლად მიიჩნია ექსპერტიზის დასკვნის დანართ №3, №4 და №5-ის შესაბამისად, ისე, რომ არ გაითვალისწინა მხარეთა მიერ სადავო ფართის ფაქტობრივი ფლობა, ამასთანავე, მონინალმდევე მხარეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე კასატორს, ხოლო გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ვალდებული იყო, სულ ცოტა, მხარეთა შორის გაენაწილებინა სამზარეულო, აივანი და მის ქვეშ არსებული ფართი. არასწორია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეული ის გარემოება, რომ თ. ტ-ე თანასაკუთრებიდან ფლობდა 1/2 ნაწილზე მეტ ფართს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი, რეალურად, წლების განმავლობაში ფლობდა ექსპერტიზის დასკვნის დანართ №4-ში მითითებულ ნახევარსარდაფის 8,08 კვ. მეტრსა და 4,50 კვ.მ სამზარეულოს, 16,65 და 21,84 კვ.მ ოთახებს, ა. ტ-ის მიერ ამავე დასკვნის №3 დანართში მითითებული უძრავი ქონების პირველ სართულზე მდებარე 23,98 კვ.მ აივნისა და მის ქვეშ არსებული თავისუფალი ფართის ფლობის სანაცვლოდ, შესაბამისად, არასწორია გადაწყვეტილების დასკვნა საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლისა და ამ ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე. ზემოაღნიშნული ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის უსრულობას, რაც ვერ იქნა შევსებული სააპელაციო სასამართლოში დაკითხული ექსპერტის განმარტებითაც, რომელმაც დაადასტურა თ. ტ-ის მიკუთვნებულ უძრავ ქონებისათვის მისასვლელი გზის გაუთვალისწინებლობა. სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მოთხოვნის ზოგადი განმარტებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4, 105-ე, 244-ე და 249-ე მუხლები.

საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არასრული იყო და მისი შევსება ვერც ექსპერტის დაკითხვის გზით გახდა შესაძლებელი, აპელანტმა განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა იმ საფუძველით, რომ, ექსპერტ გ. გ-ას განმარტებით, შეივსო ექსპერტიზის დასკვნის უსრულობა და აღარ არსებობდა და-

მატებითი ექსპერტიზის ჩატარების წინაპირობა, რაც არასწორია, ვინაიდან ზემოაღნიშნული სადავო გარემოებების დადგენა მხოლოდ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების გზითაა შესაძლებელი, რათა დადგინდეს სარჩელის მოთხოვნის შესაბამისობა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლთან.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ, გარდა ფაქტობრივი უსწორობებისა, ასევე დაარღვია სამართლის ნორმა, რაც გამოიხატა შემდეგში: სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4, 105-ე, 225-ე, 243-ე, 244-ე და 249-ე მუხლები, ასევე სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი და 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი, პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, შესაბამისად, გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით თ. ტ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, თ. ტ-ის საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია და მხარეს საწინააღმდეგო მოსაზრება არ წარმოუდგენია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ.ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე უძრავ ქონებაზე აღრიცხულია მოსარჩელე ა. ტ-სა და მოპასუხე თ. ტ-ის თანასაკუთრების უფლება, თითოეულზე 1/2-1/2 იდეალური წილის სახით.

უძრავ ქონებაზე მხარეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი 1985 წლის 11 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულებაა, რომლითაც ლ. ს. ასულმა ტ-ემ, ო. ლ. ძე ტ-ის სახელით აჩუქა მის შვილებს: ა. ო. ძე ტ-სა და თ. ო. ძე ტ-ეს საცხოვრებელი სახლი თანაბარ წილით, ამდენად, დადგენილი გარემოებაა, რომ სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს უძრავ ქონებაზე გააჩნიათ თანასაკუთრების უფლება.

უდავოა, რომ ა. ტ-ემ მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება წილის ნატურით გამოყოფის გზით.

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ზემოაღნიშნულ გარემოებებს სავალდებულო ძალა გააჩნიათ საკასაციო სასამართლოსათვის, რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს თანასაკუთრებიდან რეალური წილის მიკუთვნების მართლზომიერება და ნივთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელობა ენიჭება საზიარო უფლების ინსტიტუტის გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. დასახელებული ნორმის დისპოზიციით განსაზღვრულია საზიარო უფლების მქონე პირის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით (სსკ 963-ე მუხლი), ხოლო თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია – საზიარო საგნის რეალიზაციით (სსკ 964-ე მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ საზიარო უფლების გაუქმებისათვის ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარისია.

ვინაიდან განსახილველი საკასაციო საჩივრის საგანს საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმება წარმოადგენს, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

დასახელებული ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1) საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებუ-

ლებში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 თებერვლის დასკვნაზე დამყარებით უძრავი ქონების ნატურით დაყოფა შესაძლებლად მიიჩნია და დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას საზიარო უფლების ნატურით დაყოფისა და ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე. კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ნივთის გაყოფა მისი ღირებულების შემცირებას არ იწვევს.

საკასაციო პალატა თ. ტ-ის საკასაციო პრეტენზიის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მხარემ ნივთის გაყოფის ნაწილში დასაბუთებული შედეგება წარმოადგინა, აღნიშნული კი, თავის მხრივ, მიუთითებს სასამართლოს ვალდებულებაზე, შეისწავლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, შეფასება მისცეს გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებსაც მხარე სადავოდ მიიჩნევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილების მართლზომიერებას საფუძვლად დაუდო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა უკრიტიკოდ გაიზიარა დასკვნაში მოცემული გარემოებები და ჩათვალა, რომ ნივთის იმგვარი გაყოფა, როგორც ეს მოცემული იყო ექსპერტიზის დასკვნის №1, №2, №3, №4 და №5 დანართებში, სრულ შესაბამისობაში იყო სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მიზნებთან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია რა გარკვეული საკითხების მიმართ ამ საკითხების მცოდნე პირის - ექსპერტის დასკვნის შეფასების შესაძლებლობა, კანონმდებელი ამ პირის დასკვნას, როგორც მტკიცებულებას, სავალდებულოდ არ მიიჩნევს და სხვა მტკიცებულებებთან ერთად სასამართლოს მიერ მისი შეფასების აუცილებლობას ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. ამავე კოდექსის 105-ე მუხლით კი დადგენილია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ტ-ე სადავოდ ხდის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ნივთის გამიჯვნას იმ მოტივით, რომ ექსპერტს დასკვნის შედეგისა არ გაუთვალისწინებია მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, დასკვნაში მოცემული ვარიანტებით ნივთის გამიჯვნის შემთხვევაში, კასატორისათვის მიკუთვნებულ ქონებას არ გააჩნია ჯეროვანი კომუნიკაციები: მისასვლელი გზა, წყალგაყვანილობის სისტემა, გაზი, ელექტროენერგია, საკანალიზაციო ქსელი, სახლთან მისასვლელად საჭიროა კიბის კონსტრუქციის მონყობა, რაც ამცირებს ქონების ღირებულებას, მაშინ, როდესაც მოსარჩელისათვის მიკუთვნებულ ნივთს ზემოაღნიშნული საყოფაცხოვრებო კომუნიკაციები გააჩნია.

საკასაციო პალატა იზიარებს თ. ტ-ის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს და მიუთითებს სააპელაციო პალატის 2012 წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმზე, რომელზეც მიწვეულ იქნა ექსპერტი გ. გ-ა. ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნის შედგენისას მან იხელმძღვანელა დაბალანსების პრინციპით და იმსჯელა ნივთის ტექნიკური თვალსაზრისით დაყოფის შესაძლებლობაზე, მას არ გაუთვალისწინებია კომუნიკაციების მონყობის შესაძლებლობა, ამასთან აღნიშნა, რომ სამშენებლო ნორმებისა და ნესების შესაბამისად, აივანი საერთო ფართში არ იანგარიშება და არ ყოფილა გათვალისწინებული, ხოლო ტექნიკური თვალსაზრისით, მის მიერ წარმოდგენილი დაყოფის ვარიანტი ერთადერთი ალტერნატივაა. წარმოდგენილი ვარიანტით წილის ნატურით დაყოფის შემთხვევაში, თ. ტ-ემ უნდა განახორციელოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მოაწყოს კიბე, ასევე სველი წერტილი, სამზარეულო და სხვა.

საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც დაემყარა სასამართლო, არ შეიცავს მითითებას ქონების დაყოფისას ნივთის ღირებულების შემცირების საკითხზე. ამ მხრივ საყურადღებოა, სასამართლოს 2012 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე ექსპერტ გ. გ-ას მიერ გაკეთებული განმარტება იმის შესახებ, რომ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის კვლევის საგანი ნივთის ტექნიკური თვალსაზრისით დაყოფა და არა ამ დაყოფის შედეგად ნივთის ღირებულების შემცირება-არშემცირება. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლოს სადავო გარემოებების დადგენისას საექსპერტო კვლევის სრულყოფილად, საქმის სხვა მასალებთან ერთობლიობაში შეფასების გზით არ გაუთვალისწინებია ზემოაღნიშნული საკითხები, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნივთის დაყოფისას მისი ღირებულების შემცირების ნაწილში საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს თ. ტ-ის მოსაზრებას, რომ 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მას არასწორად ეთქვა უარი განმეორებით ექსპერტიზის დანიშვნაზე. მართალია, საოქმო განჩინებით სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი დაამყარა იმ გარემოებას, რომ ექსპერტმა სხდო-

მაზე უპასუხა სასამართლოს შეკითხვას, შესაძლებელი იყო თუ არა ღირებულების შემცირების გარეშე ნივთის გაყოფა, რაც, რეალურად არ დასტურდება (იხ. 2012 წლის 10 ოქტომბრის სსდომის ოქმი), თუმცა საკასაციო პალატა თვლის, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც დადგენილია გაყოფის ალტერნატიული გზები და ირკვევა ნივთის თითოეული ნაწილის ფაქტობრივი მდგომარეობა, სასამართლოს თანასაკუთრებიდან რეალური წილის გამოყოფის მოთხოვნის სწორად გადაწყვეტისათვის ეძლევა სრული შესაძლებლობა, შეაფასოს და დაადგინოს ტექნიკური თვალსაზრისით გაყოფის შედეგად ნივთის თითოეული ნაწილის ფუნქციონალური, ღირებულებითი ნაწილის შემცირება-არშემცირების საკითხი. ამასთანავე, სასამართლო არ არის შეზღუდული, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ თ. ტ-ე არ ფლობს მის კუთვნილ 1/2 იდეალურ წილზე მეტს და, რომ სასამართლომ უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებით არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამ თვალსაზრისით პალატა ყურადღებას გაამახვილებს თავად მხარის განმარტებაზე, რომ ის ფართის ზედმეტ ნაწილს მონინალმდევე მხარესთან შეთანხმებით ფლობს, სანაცვლოდ კი ა. ტ-ის მფლობელობაში აივანი და მის ქვეშ არსებული ფართია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქმეში არსებულ საჯარო რეესტრის ამონაწერზე, სადაც მხარეთა იდეალური წილები თანასაკუთრებიდან 1/2 ნაწილითაა განსაზღვრული, სანინალმდევეს მტკიცების ტვირთი თ. ტ-ის ვალდებულებაა, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც კასატორს საქმის განხილვისას არ წარმოუდგენია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში მხარეს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ხოლო მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება წინამდებარე დავაზე, შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც მტკიცებულებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის გზით უნდა დაადგინოს ქ.ბორჯომში, ს-ის ქ. №34-ში მდებარე უძრავი ქონება შეიძლება თუ არა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ისე, რომ მისი სამომხმარებლო ღირებულება არ შემცირდეს.

რაც შეეხება თ. ტ-ის შუამდგომლობას, საკასაციო პალატის მიერ საქმეზე განმეორებითი ექსპერტიზის დანიშნის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები (მათ შორის ექსპერტის დასკვნა) ვერც სასამართლოს მიერ იქნება მიღებული და გაზიარებული, მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა მანამდე მოეპოვებინა თუ წარედგინა ის სასამართლოსათვის. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. თ. ტ-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმებისა და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

ბანკინება

№ას-1249-1269-2011 4 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ძირითად სარჩელში – უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხის დაკისრება, შეგებულ სარჩელში – ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. გ-ის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების გზით მიღებული თანხის – 15320 ლარისა და სასამართლო ხარჯების გადახდის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა დავა, რომლითაც ს. გ-ი ლ. ჯ-ისაგან მოითხოვდა ბინის ნასყიდობის თანხის – 6200 აშშ დოლარისა და ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების – 10000 აშშ დოლარის დაბრუნებას, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ნასყიდობის საფასურის – 5200 აშშ დოლარის, ასევე ნივთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯის – 14247.25 ლარის გადახდა. სასამართლომ მხარეთა შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნია ბათილად. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა და თავის გადაწყვეტილებით სამოქალაქო კოდექსის 979-ე და 980-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხეს 6200 აშშ დოლარის ნაცვლად დააკისრა 4300 აშშ დოლარის გადახდა. ამ დავის დასრულების შემდგომ ს. გ-ი, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე აგრძელებს უძრავი ნივთით სარგებლობას, რაც, მოსარჩელის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის, 979-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

მოპასუხე ს. გ-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ უძრავ ნივთს კანონიერი საფუძვლით ფლობს, ამასთან შეგებულ სარჩელით მიმართა სასამართლოს ლ. ჯ-ის მიმართ მოპასუხის ქმედებით მიყენებული ზიანის – 20347.75 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. შეგებულ სარჩელის საფუძველად მითითებულია შემდეგი:

სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია, ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის დაუცველად დადების გამო, ლ. ჯ-ის შეგებულ სარჩელის ავტორის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის – ნასყიდობის ფასისა და ნივთის გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურება, რის სანაცვლოდაც ს. გ-ს დაეკისრა ლ. ჯ-ისათვის ბინის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა. თანხის დაბრუნების ვალდებულება ლ. ჯ-ის არ შეუსრულებია. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხით – 4300 აშშ დოლარითა და 14247.25 ლარით შეგებულ სარჩელის ავტორი ველარ შეიძენს ბინას, მაშინ, როდესაც 2003 წელს მან საცხოვრებელი ფართი სწორედ ამ ფასად იყიდა და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღურიცხაობა ლ. ჯ-ის დაუდევრობამ გამოიწვია. შეგებულ სარჩელის ავტორის მითითებით, ბინის შესაძენად საჭიროა 23000 აშშ დოლარის გადახდა, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხისა და ამ თანხის სხვაობის გათვალისწინებით კი ლ. ჯ-ის უნდა დაეკისროს 20347.75 ლარის ანაზღაურება.

ს. გ-ის შეგებულ სარჩელი ასევე არ ცნო ლ. ჯ-ემ და განმარტა, რომ მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვერ დაეკისრება, რადგანაც ს. გ-ისათვის ნივთის გადაცემის ვალდებულება მას არ ეკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ის სარჩელი უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ს. გ-ის შეგებულ სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჯ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ს. გ-მა მისი შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილების თხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებით ს. გ-ისა და ლ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ჯ-ე არის ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონის №326 კორპუსის №18 ბინის მესაკუთრე. 1998 წლიდან 2010 წლის მაისამდე ლ. ჯ-ის კუთვნილ ბინაში ცხოვრობდა ს. გ-ი ოჯახთან ერთად. 2008 წელს ს. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონის, №326 კორპუსის №18 ბინის ნასყიდობის საფასურის დაბრუნება და ბინაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების სახით დახარჯული თანხის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ს. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ლ. ჯ-ეს ს. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 6200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 14247.25 ლარის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ლ. ჯ-ეს ს. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 6200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ლ. ჯ-ეს ს. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლ. ჯ-ის სარჩელი, ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონში მდებარე №326 კორპუსის №18 ბინა გამოთხოვილ იქნა ს. გ-ისა და მ. ს-ის უკანონო მფლობელობიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები განსახილველ დავასთან მიმართებაში პრეიუდიციული მნიშვნელობისაა, კერძოდ, გაზიარებულ იქნა, რომ 2002 წლიდან მხარეთა შორის არსებობდა ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება სადავო უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენდა ბათილ გარიგებას. აუდიტორული დასკვნის თანახმად კი, 1998-2010 წლებში, ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 „ა“ მიკრორაიონის №326 კორპუსში მდებარე ერთთახიანი საცხოვრებელი ბინის ქირის ოდენობა შეადგენს 15 320 ლარს. პალატამ არ გაიზიარა აპელანტ ს. გ-ის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ხსენებული აუდიტორული დასკვნა გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია, ასევე არ იქნა გაზიარებული ს. გ-ის მოსაზრება ზიანის წარმოშობის საფუძვლებთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ ის ზიანის წარმოშობა უკავშირდება არა ლ. ჯ-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (საკუთრების უფლების გადაცემა) შეუსრულებლობას, არამედ იმ გარემოებას, რომ გარიგების ბათილობის გამო, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არახელსაყრელი აღმოჩნდა მისთვის, ვინაიდან, ამ დროისათვის იმავე თანხით შეუძლებელია ბინის შექენა. ამასთან, ლ. ჯ-ე შვიდი წლის განმავლობაში იყენებდა მოსარჩელის მიერ გადაცემულ თანხას, ხოლო მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონება ამ დროისათვის წარმოადგენს ძვირადღირებულ ბინას. სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის მიერ ზიანის წარმოშობის საფუძვლად მითითებული გარემოებები სწორედაც, რომ უკავშირდება მოპასუხის მხრიდან უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობას, ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მხარეებს შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები არ წარმოშობილა, კერძოდ, ლ. ჯ-ეს არ წარმოშობია ს. გ-ის მიმართ უძრავი ქონების გადაცემის ვალდებულება. აღნიშნული გარემოება გამორიცხავს ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობასაც. ვალდებულების არარსებობის პირობებში კი, ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოა თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტ ლ. ჯ-ის მტკიცება, რომ ს. გ-ი ბინის ქირის დაზოგვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ სარჩელზე რომლის თანახმადაც, ლ. ჯ-ის მოთხოვნას წარმოადგენს 1998 წლიდან 2010 წლის მაისის ჩათვლით უძრავი ქონების სარგებლობის საზღაურის მოპასუხისათვის დაკისრება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მოთხოვნას არ წარმოადგენს ქირის თანხის ანაზღაურება და არც მიუღებელი შემოსავალი არ ყოფილა გაანგარიშებული ამ ურთიერთობის საფუძველზე. სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. ქონების უსაფუძვლოდ შექენა ნიშნავს შექენის ქონების გაზრდას სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლების მიხედვით უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებულის დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელია, თუ ა) ვალდებულება გარიგების

ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა. მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ 1998 წლიდან 2002 წლამდე ს. გ-ი სადავო ბინას ფლობდა მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. პალატამ მიუთითა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, დადგენილად არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ ს. გ-ი მითითებულ პერიოდში სწორედ ლ. ჯ-ესთან შეთანხმების შედეგად ცხოვრობდა ამ ბინაში, მასში არ შეჭრილა და არც სარემონტო სამუშაოები განუხორციელებია მისი ნების საწინააღმდეგოდ, რაც კანონიერს ხდის ს. გ-ის მიერ 2002 წლამდე სადავო ბინის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ფლობის ფაქტს. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლებიდან გამომდინარე, პირის ქონების გაზრდა ან დაზოგვა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებას და წარმოშობს უსაფუძვლოდ შექენილის ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულებას, შესაბამისად, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული მოსარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 979-ე, 991-ე მუხლებზე 1998 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში უძრავი ქონების სარგებლობის საზღაურის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ მითითებით.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 991-ე მუხლით და განმარტა, რომ ამ ნორმათა ძირითადი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაში) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არ არის, მაშინ მხოლოდ ქონების დაზოგვა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის დანაწესით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთი პირის გამდიდრება, მეორის ხარჯზე. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ობიექტურ შედეგს, კერძოდ, ერთი პირის მიერ, მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექენა (დაზოგვა) უნდა მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისიც, რომ გამდიდრება უნდა მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა მოხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე. პალატამ მიუთითა იმ პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტზე, რომ მხარეთა შორის 2002 წლიდან არსებობდა ფორმალური ნასყიდობის ხელშეკრულება (ბათილი გარიგება), რომლის საფუძველზეც ს. გ-მა ლ. ჯ-ეს გადაუხადა 4300 აშშ დოლარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების მიხედვით, ს. გ-ი მიჩნეულ იქნა სადავო ბინის კეთილსინდისიერ, თუმცა არაუფლებამოსილ მფლობელად. სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა. გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ლ. ჯ-ის კუთვნილ ბინაში ს. გ-ის ცხოვრება, ამ უკანასკნელის მხრიდან ქონების დაზოგვისა და ამის საფუძველზე გამდიდრების ფაქტს არ ადასტურებს. ლ. ჯ-ე წლების განმავლობაში სარგებლობდა ბათილი გარიგების საფუძველზე მოპასუხის მიერ გადაცემული ნასყიდობის თანხით, რაც გამორიცხავს ს. გ-ის გამდიდრებას ლ. ჯ-ის ხარჯზე. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით – სყიდვაუნარიანობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. იგი ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს შესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი და იმ გარემოებას, რომ ს. გ-ი და ლ. ჯ-ე უსაფუძვლოდ სარგებლობდნენ ერთმანეთის ქონებით, მათი გამდიდრება არ მოჰყოლია, რადგან ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე მხარეების მიერ ერთმანეთისთვის გადაცემულ თითოეულ ქონებას (საცხოვრებელი ბინა და ფული) გააჩნდა ერთმანეთის თანაზომიერი პოტენციალი, მოეტანა მისი მფლობელისთვის შემოსავალი. პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხის ნება მიმართული იყო არა ქირავნობის, არამედ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისაკენ. მოპასუხის მიზანს წარმოადგენდა უძრავი ქონების შექენა, რის გამოც, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული აპელანტის მითითება, რომ ს. გ-მა სადავო ბინაში ცხოვრებით დაზოგა ქირის თანხა. მართალია, ს. გ-ს დაუბრუნდა ბათილი გარიგების საფუძველზე მოსარჩელისათვის გადაცემული თანხა, მაგრამ საბაზრო ურთიერთობიდან გამომდინარე, სყიდვაუნარიანობის თვალსაზრისით, მან ვერ მიიღო იმავე ხარისხის ქონება (ფულადი თანხა), შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის კუთვნილ ბინაში მოპასუხის ცხოვრებას შედეგად ს. გ-ის ქონების დაზოგვა და უსაფუძვლო გამდიდრება არ მოჰყოლია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ იქნა გაზიარებული აპელანტის ის მოსაზრება, რომ ბინაში ცხოვრებით ს. გ-მა დაზოგა ქონება, აღნიშნული არ გამომდინარეობს კონდიქციური ვალდებულების შინაარსიდან. პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ მოპასუხეს სხვა საცხოვრებელი, გარდა ზემოაღნიშნული ბინისა არ გააჩნია. ამავე განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლის შესაბამისად, გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჯ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

გასაჩივრებული განჩინებით ლ. ჯ-ეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლოდ. არასწორია სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩელის კუთვნილ ბინაში მოპასუხის ცხოვრების ფაქტი მის

მიერ თანხის დაზოგვას არ ადასტურებს და ს. გ-ს, ლ. ჯ-ის ბინით სარგებლობის გამო, შემოსავალი არ მიუღია. 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით უდავო ფაქტობრივ გარემოებადაა მიჩნეული 1998 წლიდან სადავო ბინაში ს. გ-ისა და მის ოჯახის ცხოვრების ფაქტი. ასევე უდავო გარემოებაა, რომ მხარეთა შორის არსებობდა ბათილი გარიგება ნასყიდობის თაობაზე, რომელსაც სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია. ამდენად, ს. გ-ი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად ლ. ჯ-ის ბინაში და მან ამ დროის განმავლობაში დაზოგა თანხა, რასაც დღეს ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე იხდის. პალატამ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესი ვრცელდება ყველაფერზე, რამაც ერთი პირის გამდიდრება გამოიწვია, ეს შეიძლება იყოს როგორც შეძენილი ქონება, ისე ამ ქონებით მიღებული სარგებელი თუ მასთან დაკავშირებული შემოსავალი. ასევე სწორია პალატის განმარტება, რომ კონდიქციური ვალდებულება დაზარალებულისათვის მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნებას არ გულისხმობს. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, ვალდებულია, დააბრუნოს ყველაფერი, რაც ამ ქონებით მოიპოვა ან უნდა მოეპოვებინა იმ დღიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო ქონების უსაფუძვლოდ მიღების შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის ამგვარი განმარტების შემდგომ არასწორია სასამართლოს დასკვნა, რადგანაც ს. გ-მა იცოდა, რომ ბინა მას არ ეკუთვნოდა და მან კასატორის ნივით სარგებლობით დაზოგა თანხა, რაც ქირის სახით უნდა გადაეხადა. ქირის სახით თანხის მოთხოვნა წარმოადგენს გამდიდრების ფაქტის მატერიალურ გამოხატულებას, სარგებელი მატერიალური ღირებულების კრიტერიუმით უნდა გამოიხატოს და წარმოადგენს ანალოგიური შემთხვევის ობიექტურ მაჩვენებელს. სარჩელზე დართული აუდიტის დასკვნა 1998-2010 წლებში სადავო მისამართზე მდებარე ერთთახიანი ბინის ქირავნობის თანხის ოდენობასთან დაკავშირებით სწორედ ზემოაღნიშნული მაჩვენებელია. პალატა, ერთი მხრივ, მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე დადასტურებულად თვლის 1998-2010 წლებში მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე ს. გ-ის მიერ უძრავი ნივთის ფლობის ფაქტს, რის გამოც ამ პერიოდის განმავლობაში თანხის დაკისრებაზე აცხადებს უარს, მეორე მხრივ, ეწინააღმდეგება ამავე მსჯელობას და განმარტავს, რომ 2002 წლიდან მხარეთა შორის არსებობდა ნასყიდობის ფორმდაუცველი, ბათილი გარიგება და, სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის თანახმად, არ არსებობდა თანხის ანაზღაურების მოვალეობა. იმის გამო, რომ მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ, ისე აღმოჩნდა ს. გ-ი სამართლებრივად უპირატეს მდგომარეობაში, ნიშნავს სწორედ მოწინააღმდეგე მხარის გამდიდრებას სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ნივთის ფლობის ფაქტი სწორედ სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის შესაბამისად, სარგებლობის საზღაურის ანაზღაურების წინაპირობაა. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია მხარეთა შორის სასყიდლის გარეშე ნივით სარგებლობის თაობაზე შეთანხმების არარსებობა, რაც მიანიშნებს მოპასუხის მიერ მოსარჩელის სურვილის გარეშე ნივთის უსასყიდლოდ ფლობის ფაქტზე. სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის თანახმად, უსაფუძვლოდ მიღებული სიკეთე ანაზღაურებას ექვემდებარება, თუ ის მიღებულია „სხვის ხარჯზე“, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის მესაკუთრე კასატორია და რადგანაც ნივით სარგებლობას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უსაფუძვლოდ მიღებული სარგებელი ექვემდებარება დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ლ. ჯ-ე არის ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონის №326 კორპუსის №18 ბინის მესაკუთრე.

1998 წლიდან 2010 წლის მაისამდე ლ. ჯ-ის კუთვნილ ბინაში ცხოვრობდა ს. გ-ი ოჯახთან ერთად. 1998 წლიდან 2002 წლამდე ს. გ-ი სადავო ბინას ფლობდა მესაკუთრესთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. ს. გ-ი მითითებულ პერიოდში სწორედ ლ. ჯ-ესთან შეთანხმების შედეგად ცხოვრობდა ამ ბინაში, მასში არ შეჭრილა და არც სარემონტო სამუშაოები განუხორციელებია მისი ნების საწინააღმდეგოდ.

2002 წლიდან მხარეთა შორის არსებობდა ფორმდაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულება სადავო უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენდა ბათილ გარიგებას. ს. გ-ი და ლ. ჯ-ე უსაფუძვლოდ სარგებლობდნენ ერთმანეთის ქონებით, ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე მხარეების მიერ ერთმანეთისთვის გადაცემულ თითოეულ ქონებას (საცხოვრებელი ბინა და ფული) გააჩნდა ერთმანეთის თანაზომიერი პოტენციალი, მოეტანა მისი მფლობელისთვის შემოსავალი.

2008 წელს ს. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონის, №326 კორპუსის №18 ბინის ნასყიდობის საფასურის დაბრუნება და ბინაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების სახით დახარჯული თანხის დაკისრება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ის ს. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ასევე ბინის გაუმჯობესების ხარჯების 14247.25 ლარის ანაზღაურება.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება) დაკმაყოფილდა ლ. ჯ-ის სარჩელი, ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონში მდებარე №326 კორპუსის №18 ბინა გამოთხოვილ იქნა ს., ა., ნ. გ-ისა და მ. ს-ას უკანონო მფლობელობიდან.

აუდიტორული დასკვნის თანახმად, 1998-2010 წლებში, ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 „ა“ მიკრორაიონის №326 კორპუსში მდებარე ერთთახიანი საცხოვრებელი ბინის ქირის ოდენობა შეადგენს 15 320 ლარს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება), რომლის მიხედვით, ს. გ-ი მიჩნეულ იქნა სადავო ბინის კეთილსინდისიერ, თუმცა არაუფლებამოსილ მფლობელად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლის შესაბამისად, ნიშნავს იმას, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აქედან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება ან არდაკმაყოფილება მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმ საპროცესო უფლებების რეალიზაციით, რომელიც თითოეულ მხარეს აქვს კანონით მინიჭებული.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ლ. ჯ-ე ითხოვს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის 15320 ლარის დაკისრებას, რომელიც მოპასუხემ დაზოგა 1998-2010 წლებში მოსარჩელის ქონებით უსაფუძვლო სარგებლობით, რითაც ეს უკანასკნელი გამდიდრდა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. ჯ-ე არის ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის მე-3 მიკრორაიონის №326 კორპუსის №18 ბინის მესაკუთრე. 1998 წლიდან 2002 წლამდე ს. გ-ი სადავო ბინას ფლობდა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ხოლო 2002 წლიდან 2010 წლამდე მოსარჩელის ბინას ფლობდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ვინაიდან მხარეთა შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ფორმადუცველი ხელშეკრულება (ბათილი გარიგება). როგორც საკასაციო საჩივრის ანალიზიდან ირკვევა, კასატორს 1998 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში მოწინააღმდეგე მხარის მიერ ბინის მართლობიერ მფლობელობასთან დაკავშირებით დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოდგენია, შესაბამისად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას 1998 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში უძრავი ქონების სარგებლობის საზღაურის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩელის კუთვნილ ბინაში მოპასუხის ცხოვრების ფაქტი მის მიერ თანხის დაზოგვას არ ადასტურებს და ს. გ-ს, ლ. ჯ-ის ბინით სარგებლობის გამო, შემოსავალი არ მიუღია.

კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება ხდება მოთხოვნის სხვა საფუძველთან სუბსიდიალურად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია), უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება ბოლოს უნდა განხორციელდეს, ანუ მას შემდეგ რაც გამოირიცხება მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველებიდან. ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილები-სათვის სახეზე უნდა იყოს რამდენიმე პირობა კუმულატიურად, კერძოდ: მოპასუხის გამდიდრება; მოპასუხის გამდიდრების შესატყვისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლების უსაფუძველობა.

სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და აღნიშნა, რომ ს. გ-ი წარმოადგენდა სადავო ბინის კეთილსინდისიერ, თუმცა არაუფლებამოსილ მფლობელს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ინტერესებს იცავს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლი, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით. ამდენად, მოცემული მუხლი ითვალისწინებს ქონებაზე განეული დანახარჯებისა და ამ ქონების სარგებლობით მიღებული სამართლებრივი სიკეთის დაბალანსების შესაძლებლობას, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს შესაბამის მსჯელობას იმის შესახებ, მოხდა თუ არა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ სადავო ნივთზე განეული ხარჯების კომპენსირება ამ ნივთის სარგებლობით.

სააპელაციო სასამართლომ ლ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მთავარ საფუძვლად მიიჩნია ის გარემოება, რომ ს. გ-ი და ლ. ჯ-ე უსაფუძვლოდ სარგებლობდნენ ერთმანეთისთვის გადაცემული ქონებით, ამასთან, თითოეულ ქონებას (საცხოვრებელი ბინა და ფული) გააჩნდა ერთმანეთის თანაზომიერი პოტენციალი, მოეტანა მისი მფლობელისთვის შემოსავალი. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს მოცემულ დასაბუთებას გაიზიარებდა იმ შემთხვევაში, თუკი დადგენილი იქნებოდა ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რა თანხა დაზოგა ს. გ-მა 2002 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში ბინით სარგებლობით (ბინის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობის პერიოდი) და იმავედროულად რა სარგებელი მიიღო ლ. ჯ-ემ ს. გ-ის თანხის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობით, ასევე ის ფაქტი, რომ თითოეული მხარის ქონებრივი სიკეთე და დანაკლისი თანაზომიერია.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე, რომლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების აღწერისას დადგენილი ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასკვნები, რომლებითაც ის უსაფუძვლოდ მიიჩნევს ლ. ჯ-ის სარჩელს, არ ემყარება მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვა-გამოკვლევას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორმა მიწინააღმდეგე მხარის უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამასთან, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან, პალატის მოსაზრებით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რაც საკასაციო სასამართლოს საპროცესო-სამართლებრივ უფლებამოსილებას სცილდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოარკვიოს ლ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინის) უსაფუძვლო (არამართლზომიერი) გამოყენებით ერთის მხრივ გამდიდრდა თუ არა ს. გ-ი, ხოლო მეორე მხრივ იმავედროულად განიცადა თუ არა ზარალი ლ. ჯ-ემ. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ არამართლზომიერი მფლობელის ინტერესები, როგორც ეს ს. გ-თან მიმართებაში დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, ასევე ბინის მესაკუთრის ინტერესები. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება საკასაციო სასამართლო უფლებამოსილი შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. დასახელებული ნორმის გათვალისწინებით, ვინაიდან საქმე სააპელაციო სასამართლოს უბრუნდება ხელახლა განსახილველად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო ხარჯების განსაზღვრა სწორედ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროს უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინება ლ. ჯ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამეწარმეო სამართალი

სანაესდებო კაპიტალში უპირავი ქონების შეტანის წესი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-333-318-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „კ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა თ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ისა და შპს „კ-ის“ დამფუძნებელი პარტნიორების – ა. გ-ისა და ა. ბ-ის მიმართ, ა. გ-სა და გ. გ-ს შორის 2009 წლის 14 აპრილს დადებული ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №22-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ამავე უძრავი ქონების შპს „კ-ის“ საკუთრებად, როგორც სანაესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის, აღიარების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

2002 წლის 25 ოქტომბერს თ. მ-მა და ა. გ-მა დააფუძნეს შპს „კ-ი“ 50%-50% წილობრივი მონაწილეობით. საზოგადოების სანაესდებო კაპიტალი განისაზღვრა 19 300 ლარით. შპს „კ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა, 50%-ის მფლობელმა ა. გ-მა საზოგადოების სანაესდებო კაპიტალში განახორციელა არაფულადი შენატანი უძრავი ქონების სახით. იმ დროს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ კანონის 3.3 და 5.5 მუხლების თანახმად, საზოგადოების დაფუძნებისას სანაესდებო კაპიტალში შესატანი შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო არაფულადი სახით, რომელიც უნდა შეეფასებინა აუდიტორს.

არაფულადი შენატანის საზოგადოების კაპიტალში შეტანისათვის აუცილებელი იყო, ამ შენატანის შემტანი ყოფილიყო მისი მესაკუთრე.

არაფულადი შენატანი შეფასდა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. დასკვნაში აღინიშნა, რომ შეფასდა 300 კვ.მ შენობა. მოგვიანებით გაიცა დამატებითი ინფორმაცია, სადაც დადასტურდა, რომ აუდიტორმა შეაფასა სანაესდებო კაპიტალში შესატანი ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №22-ში მდებარე უძრავი ქონება. საკუთრების უფლებაში დასაწმენებლად ა. გ-მა აუდიტორს წარუდგინა №23/214 საკუთრების მონაწილეობა.

სასამართლოში წარდგენილ იქნა დამფუძნებელ პარტნიორთა სანოტარო წესით დამონმებული განცხადება, რომლითაც ასევე დასტურდება ა. გ-ის ნება, საზოგადოების სანაესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით.

2002 წლის 1 ნოემბერს სასამართლოს მიერ რეგისტრაციაში გატარდა შპს „კ-ი“, რომლის სანაესდებო კაპიტალში შეტანილად ჩაითვალა სადავო უძრავი ქონება. შესაბამისად, შპს „კ-ი“ ამ შენატანის მესაკუთრე გახდა. ა. გ-ს კი არ უსარგებლია „მენარმეთა შესახებ“ კანონის 3.3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოთხოვნით და არ მოუთხოვია შენატანის უკან დაბრუნება, ვინაიდან საზოგადოების სანაესდებო კაპიტალი არ შემცირებულა.

2009 წლის 13 აპრილამდე სადავო ქონება რეგისტრირებული იყო ინდივიდუალური მენარმე ა. გ-ის სახელზე, რაც არ ცვლის 2002 წლის 25 ოქტომბერს მის მიერ გამოვლენილ ნებას, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო დადგენილების არსს, ვინაიდან ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ვადები შეზღუდული არ არის.

სადავო უძრავი ქონება 2002 წლის 1 ნოემბრიდან, ანუ სანარმოს სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან გახდა შპს „კ-ის“ და არა ინდივიდუალური მენარმე ა. გ-ის საკუთრება.

სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ბათილია, როგორც მოჩვენებითი გარიგება. იგი დაიდო ძმებს შორის მხოლოდ იმ მიზნით, რომ ა. გ-ს თავი აერიდებინა სანაესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის შპს „კ-ის“ სახელზე აღრიცხვისაგან.

გარიგება დაიდო დავის პერიოდში, ა. გ-მა 2009 წლის 15 მარტიდან, ანუ კრების მოწვევიდან გარიგების დადებამდე იცოდა მოსარჩელის, როგორც პარტნიორის მოთხოვნის შესახებ, ქონება დადგენილი წესით აღრიცხულიყო სანარმოს სახელზე. მისთვის ცნობილი გახდა, რომ დავა გაგრძელდებოდა სასამართლოში და შეეცადა, მოჩვენებითი გარიგებით გაეხსვისებინა ქონება, რათა არ შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება.

სამენარმეო რეესტრშიც სანარმოს იურიდიულ მისამართად მითითებულია ა-ის ქ. №22, ანუ ის მისამართი სადაც მდებარეობს რესტორანი „კ-ი“. გ. გ-ი ვერ ისარგებლებს საკუთრების უფლებით, თუ არ მოითხოვა სადავო შენობიდან რესტორან „კ-ის“ გამოსახლება. შპს „კ-ის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორია ა. გ-ი. ამდენად, წარმოუდგენელია, რომ მან საკუთარი თავის საწინააღმდეგო გარიგება დადო.

მორიგების მისაღწევად პარტნიორთა კრება სამჯერ გადაიდო, მორიგების ინიციატორები მოპასუხეების წარმომადგენლები იყვნენ. მოსარჩელემ ა. გ-ს შესთავაზა საზოგადოებაში წილის გაყიდვა, წილის ფასი კი სადავო უძრავი ქონების სავარაუდო ღირებულებით განისაზღვრა. მოპასუხე არ დაეთანხმა შეთავაზებულ მაღალ ფასს და საზოგადოების ქონება უფრო მცირე ფასად გაყიდა.

მოპასუხე გ-ებმა სადავო გარიგება დადეს, მოსარჩელის, როგორც პარტნიორის მოსატყუებლად, იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო სადავო ქონების შპს „კ-ის“ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად 2009 წლის 15 მარტიდან მოყოლებული ხდებოდა პარტნიორთა კრების ჩატარების გაჭიანურება, რათა ა. გ-ს მოესწრო დაუკანონებელი შენობის დაკანონება 30 მარტს, მისი აღრიცხვა საჯარო რეესტრში 10 აპრილს, ნასყიდობის ხელშეკრულებით სადავო უძრავი ქონების გასხვისება 11 აპრილს და 13 აპრილს მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. გ. გ-ი ა. გ-ის ოჯახის წევრია და, შესაბამისად, ის ფლობდა ინფორმაციას პარტნიორთა შორის წარმოქმნილ დავაზე.

სადავო ქონების გასხვისებას ასევე ხელი შეუწყო 2009 წლის 24 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქვამ.

მოპასუხეებმა ა. გ-მა, გ. გ-მა და ა. ბ-მა არ ცნეს სარჩელი შემდეგი დასაბუთებით:

1997 წლის 8 აპრილს ა. გ-მა თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გამოისყიდა ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №22-ში მდებარე ცალკე მდგომი შენობა.

თბილისის სახელმწიფო მართვის დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 14 აპრილს ა. გ-ის სახელზე გაიცა №23/214 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. აღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა ა. გ-ის სახელზე.

თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამაშენებლო კონტროლის ინსპექციამ 1999 წლის 4 ოქტომბერს ა. გ-ს მისცა №373 მშენებლობის დანყების ნებართვა, კერძოდ, ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №22-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციაზე. შედგა და დამტკიცდა შესაბამისი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ 2002 წლის 26 მარტს №78 აქტით დამთავრებული ობიექტი მიიღო ექსპლუატაციაში.

2002 წლის 25 ოქტომბერს ა. გ-მა და მოსარჩელემ დააფუძნეს შპს „კ-ი“, რომლის იურიდიულ მისამართად დაფიქსირდა ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №33. საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 19 300 ლარით.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის განცხადება, რომ შპს „კ-ის“ საწესდებო კაპიტალის დაფინანსების შემდეგ ა. გ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გადაეცა შპს „კ-ს“. შპს „კ-ის“ დამფუძნებელთა კრების ოქმში, წესდებაში და რეგისტრაციის დადგენილებაში არ არის მითითებული, რომ უძრავი ქონება წარმოადგენდა შპს „კ-ის“ საკუთრებას. აუდიტორული დასკვნით კი არ დგინდება, რომელი და ვის სახელზე აღრიცხული ქონება იქნა შეფასებული 19 300 ლარად.

მოსარჩელე თ. მ-ის მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

შპს „კ-ი“ არ იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. მას „თ-ის“ მიმართ გააჩნია 3 892 ლარის, „თ-ის“ მიმართ – 7 138 ლარის, დასუფთავების სამსახურის მიმართ – 8 100 ლარის დავალიანება. აღნიშნულის გადახდა დაეკისრა ა. გ-ს, რაც ფინანსური სირთულეების გამო ვერ შეძლო.

2009 წლის 27 აპრილიდან შპს „კ-მა“ შეწყვიტა ფუნქციონირება.

საჯარო რეესტრის ამონაწერით, დღეისათვის, ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №22-ში მდებარე შენობა-ნაგებობა საკუთრების უფლებით ირიცხება გ. გ-ის სახელზე.

გ. გ-მა, თავის მხრივ, სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ-ის“ მიმართ და მოითხოვა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ნივთის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2009 წლის 11 აპრილს ა. გ-ისაგან შეიძინა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა, სადაც ფუნქციონირებდა რესტორანი შპს „კ-ი“.

2009 წლის აპრილში მოსარჩელემ წერილობით მიმართა შპს „კ-ის“ დირექტორს შენობის გამოთავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. მოპასუხე წლების განმავლობაში შეგნებულად არ იხდიდა კომუნალურ გადასახადებს და ფუნქციონირება შეწყვიტა, თუმცა მოსარჩელის კუთვნილ ფართს არ ათავისუფლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით ზემოხსენებული ორივე სარჩელი გაერთიანდა ერთ წარმოებად.

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით შპს „კ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე გ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა, გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება გამოთხოვილ იქნეს შპს „კ-ის“ უკანონო მფლობელობიდან და თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს, გ. გ-ის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „კ-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „კ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „კ-ი“ ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე

რე უძრავი ქონების შესაკუთრედ, ბათილად იქნა ცნობილი ა. გ-სა და გ. გ-ს შორის 2009 წლის 11 აპრილს დადებული უძრავი ქონების №090041462 ნასყიდობის ხელშეკრულება, გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „კ-ის“ დამფუძნებელთა 2002 წლის 25 ოქტომბრის №1 კრების ოქმის მიხედვით, თ. მ-მა და ა. გ-მა მიიღეს შპს „კ-ის“ დაფუძნების გადაწყვეტილება. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 19 300 ლარით და საწესდებო კაპიტალში დამფუძნებელთა წილები განაწილდა შემდეგი სახით: თ. მ-ი – 50%, 9 650 ლარი, ა. გ-ი – 50%, 9 650 ლარი. დამტკიცდა საზოგადოების წესდება და საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ა. გ-ი.

თბილისის ისანი-სამოგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა შპს „კ-ი“, საიდენტიფიკაციო №..., რომლის დამფუძნებლები იყვნენ თ. მ-ი (50%) და ა. გ-ი (50%). თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 16 სექტემბრის ბრძანებით საზოგადოების დირექტორად ა. ბ-ის ნაცვლად დაინიშნა თ. მ-ი, რომელსაც გააჩნდა საზოგადოების სრული წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

საქმეში წარდგენილი თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მიერ 1997 წელს გაცემული №23/214 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით, ა. გ-ს საკუთრებაში გადაეცა თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტთან 1997 წლის 8 აპრილს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გამოსყიდული, ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე დანგრეული ცალკე მდგომი შენობა.

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო ინდივიდუალურ მენარმე ა. გ-ის საკუთრებად. განცხადება დარეგისტრირდა 1999 წლის 13 ივლისს.

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 1999 წლის 13 დეკემბერს გაიცა მშენებლობის დაწყების ნებართვა №373 არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით. ობიექტი ექსპლუატაციაში იქნა მიღებული სახელმწიფო მიმღები კომისიის 2002 წლის 26 მარტის №78 აქტით.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 30 მარტის №ლეგ-240 ბრძანების მიხედვით, ა. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ.თბილისში, ისნის რაიონის ა-ის ქ. №22-ში მდებარე ინდივიდუალურ მენარმე ა. გ-ის საკუთრებაში არსებული პროექტის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობა.

საქმეში წარდგენილი შპს „კ-ის“ დამფუძნებელი პარტნიორების: ა. გ-ის და თ. მ-ის ერთობლივი განცხადებიდან ირკვევა, რომ საწარმოს სარეგისტრაციო განაცხადში მათ საწესდებო კაპიტალად მიუთითეს 19 300 ლარი, რომელიც შეივსო პარტნიორთა ქონებრივი შენატანების სახით.

თბილისის ისანი-სამოგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 19 300 ლარის ქონებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე განხორციელდა შპს „კ-ის“ რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 21 ოქტომბრის №103981/02-05 წერილის მიხედვით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 19 300 ლარის ქონებას (2002 წლის 15 ოქტომბრის ინდივიდუალური აუდიტორის – ლ. შ-ის აუდიტორული დასკვნა).

ინდივიდუალურ აუდიტორ ლ. შ-ის 2002 წლის 15 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, აუდიტორის მიერ მოხდა თ. მ-ისა და ა. გ-ის მიერ შპს „კ-ის“ საწესდებო კაპიტალში არაფულად შენატანად განსაზღვრული ქონების შეფასება, კერძოდ, 300 კვ.მ შენობა შეფასდა 18 350 ლარად, 2 ცალი კარადა-მაცივარი – 300 ლარად, გაზის ქურა – 200 ლარად, ელექტრო ქურა – 200 ლარად, კამერა-მაცივარი – 250 ლარად, სულ – 19 300 ლარად.

იმავე აუდიტორის მიერ 2009 წლის 10 თებერვალს გაცემული დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, 2002 წლის 15 ოქტომბერს შეფასდა ა. გ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელზეც წარდგენილ იქნა №23/214 საკუთრების მოწმობა.

2006-2007 წლების ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, შესაბამისი ცვთის დარიცხვის შემდგომ შპს „კ-ის“ ქონების ღირებულება 2006 წლის მდგომარეობით შეადგენდა 15 799.31 ლარს, ხოლო 2007 წლის მდგომარეობით – 15 395.35 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკითხულმა მოწმემ – შპს „კ-ის“ ყოფილმა ბუღალტერმა ხ. ს-ბ-მა დაადასტურა ის გარემოება, რომ უძრავი ქონება, სადაც რესტორანი იყო განთავსებული წარმომადგენდა შპს „კ-ის“ საკუთრებას საწარმოს ბალანსის მიხედვით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წინა წლების საწარმოს საბუღალტრო დოკუმენტაცია, მათ შორის, საწარმოს ბალანსები შპს „კ-ის“ ყოფილმა დირექტორმა ა. ბ-მა არ წარადგინა სააპელაციო სასამართლოში ამ უკანასკნელის დავალების მიუხედავად. მან განაცხადა, რომ საზოგადოების საბუთები გადასცა ახალ დირექტორს, რაც ამ უკანასკნელმა უარყო. ყოფილი დირექტორისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ დოკუმენტაციის და, ზოგადად, მატერიალური ფასეულობების გადაცემა, ხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით.

ასევე შპს „კ-ის“ ყოფილმა ბუღალტერმა ც. კ-მა განმარტა, რომ აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ისიც სადავო ქონებას შპს „კ-ის“ საკუთრებად მიიჩნევდა.

შპს „კ-ის“ ყოფილმა ბუღალტერმა ხ. ს-ბ-მა განმარტა, რომ ქონებაში, რომელიც ქონების გადასახადით იბეგრებოდა და გასულ წლებში საზოგადოება იხდიდა, მოიაზრებოდა შენობა, სადაც განთავსებული იყო რესტორანი.

საქმის მასალებით არ დადასტურდა ის გარემოება, რომ შპს „კ-ის“ პარტნიორმა ა. გ-მა აღნიშნული საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი შეავსო ფულადი სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მტკიცებულებათა შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „კ-ის“ საწესდებო კაპიტალში ა. გ-მა შეიტანა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება.

უძრავი ქონების ნასყიდობის 2009 წლის 11 აპრილის №090041462 ხელშეკრულების თანახმად, ინდივიდუალურმა მენარმე ა. გ-მა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე მისი კუთვნილი უძრავი ქონება 150 000 აშშ დოლარად გადასცა მყიდველ გ. გ-ს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა გ. გ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამონმებულია 2009 წლის 11 აპრილს.

ა. და გ. გ-ის წარმომადგენლის განმარტებით, 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის თანხა, 150 000 აშშ დოლარი, სრულად არ იქნა გადახდილი.

მხარეთა ახსნა-განმარტების თანახმად, 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, შპს „კ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა თ. მ-მა ა. გ-ს შესთავაზა, ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული წილის შეძენა 200 000 აშშ დოლარად, რაზეც ა. გ-მა უარი განაცხადა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ სანამ 2009 წლის 11 აპრილს ა. და გ. გ-ებს შორის უძრავი ქონების №090041462 ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდებოდა, საზოგადოების პარტნიორებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება უძრავი ქონების შპს „კ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვის თაობაზე და თ. მ-ის მიერ პარტნიორთა წილის შეძენის თაობაზე, რაც უშედეგოდ დასრულდა.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო პალატამ აღნიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად, დავის გადაწყვეტას არასწორი სამართლებრივი შეფასება დაედო საფუძვლად. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა.

შპს „კ-ის“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის დროისათვის, 2002 წლის 1 ნოემბერს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის რეგისტრაციისათვის განცხადება უნდა შეიცავდეს სანარმოსთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის დეტალურ ჩამონათვალს. ამავე კანონის 5.5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოების განცხადებას თან უნდა ერთვოდეს არაფულადი შესატანი დაფუძნებისას, შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი.

2002 წელს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს არაფულადი სახით, რომელიც დამოუკიდებელმა ექსპერტმა უნდა შეაფასოს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილია ინდივიდუალური აუდიტორის – ლ. შ-ის მიერ 2002 წლის 15 ოქტომბრის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა შპს „კ-ის“ დამფუძნებლები: თ. მ-ისა და ა. მ-ის მიერ საწესდებო კაპიტალში არაფულად შენატანად განსაზღვრული ქონება. ამასთან, დადგინდა, რომ უძრავი ქონება, რომელიც აუდიტორულ დასკვნაზე გაცემული დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, წარმოადგენდა ა. გ-ის კუთვნილ, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავ ქონებას, შეფასებულ იქნა 18 350 ლარად, საწესდებო კაპიტალის დარჩენილი ნაწილი კი შეივსო მოძრავი ნივთებით. მთლიანი ქონების ღირებულება განისაზღვრა 19500 ლარის ოდენობით.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში 2002 წელს წარდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ხარვეზიანი იყო და მარეგისტრირებელ მოსამართლეს უნდა მიეთითებინა დამფუძნებლებისათვის, რომ საზოგადოების რეგისტრაციის განხორციელებამდე საჭირო იყო მოპასუხე ა. გ-ის საკუთრებაში არსებული ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონების შპს „კ-ის“ საკუთრებად აღრიცხვა, ვინაიდან ამ უკანასკნელმა სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მიხედვით გამოავლინა ნება, რომ შენატანი საზოგადოებაში განეხორციელებინა ხსენებული ქონების სახით.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა შპს „კ-ი“, შესაბამისად, ივარაუდება, რომ სასამართლომ სრულყოფილად ჩათვალა წარდგენილი დოკუმენტები სანარმოს დასარეგისტრირებლად.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 19300 ლარის ღირებულების ქონებას. სწორედ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე განხორციელდა შპს „კ-ის“ რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ შპს „კ-ის“ დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი ფულადი სახით არ შევსებულა. დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით იგი ქონებრივი სახით უნდა შევსებულიყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ დოკუმენტაცია წესრიგში ჩათვალა, რეალურად არსებობდა ხარვეზი, ვინაიდან სადავო უძრავი ქონება შპს „კ-ის“ სახელზე საკუთრების უფლებით არ აღრიცხულა.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ავალდებულებს, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი კი, ღირექტორებს ავალდებულებს, კეთილსინდისიერად გაუძღვნენ საზოგადოების საქმეებს, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ წლების განმავლობაში საზოგადოების პარტნიორებს და თანამშრომლებს შეცდომით მიაჩნდათ, რომ სადავო უძრავი ქონება შპს „კ-ის“ საკუთრებას წარმოადგენდა და იხდიდნენ სადავო უძრავი ქონების გადასახადს. საგადასახადო ორგანოც სადავო უძრავ ქონებას ასევე საზოგადოების საკუთრებად მიიჩნევდა. პალატის მითითებით, 2007 წლის 1 თებერვალს, მოქმედი საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი არ არის, პირს საკუთრების უფლებით ჰქონდეს აღრიცხული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, არამედ სრულიად საკმარისია, საზოგადოებას ბალანსზე ჰქონდეს აყვანილი აღნიშნული ქონება.

მას შემდეგ, რაც შპს „კ-ის“ ღირექტორებმა, მათ შორის, პარტნიორებმა – ა. გ-მა და ა. ბ-მა სხვადასხვა წლებში გაიგეს ხარვეზის არსებობის შესახებ, ისინი ხსენებული ნორმებიდან, ანუ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებული იყვნენ, ემოქმედათ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და ყველა ღონისძიებას, რათა საზოგადოების დაფუძნებისას გამოვლენილი პარტნიორთა ნება, საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ქონებით შევსების შესახებ, განხორციელებულიყო სრულყოფილად და თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება აღრიცხულიყო საზოგადოების საკუთრებად.

ასეთი მცდელობა ჰქონდა შპს „კ-ის“ ახალ ღირექტორ თ. მ-ს, მაგრამ მან პარტნიორთა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. გაუგებარია ა. ბ-ის პოზიცია, რომელიც, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მაინც მომხრე უნდა ყოფილიყო სადავო უძრავი ქონების საზოგადოების საკუთრებაში აღრიცხვისა, მას ხომ საზოგადოებაში 25% წილი გააჩნია.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში შპს „კ-ის“ დამფუძნებლებს შორის დადებული იყო გარიგება, რადგან პარტნიორების გადანყვეტილება და ერთობლივი განცხადებები, მათი საერთო ნება, წარდგენილ იქნა მარეგისტრირებელ ორგანოში. უფრო მეტიც, დამფუძნებელთა აღნიშნული ნების გამოვლენა დამოწმდა როგორც ნოტარიუსის, ასევე თავად მარეგისტრირებელი ორგანოს მიერაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შპს „კ-ს“ გააჩნია იურიდიული ინტერესი, რათა მის საკუთრებაში აღირიცხოს სადავო უძრავი ქონება, ვინაიდან ეს წარმოადგენდა საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო ნებას.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით და საქმის მასალებით, რის შედეგადაც დაადგინა, რომ 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ძმებს – ა. და გ. გ-ებს შორის.

ა. და გ. გ-ების წარმომადგენლის განმარტებით, 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის თანხა სრულად არ იქნა გადახდილი.

მხარეთა ახსნა-განმარტების თანახმად, 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, შპს „კ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა თ. მ-მა შესთავაზა ა. გ-ს ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული წილის შექენა 200 000 აშშ დოლარად, რაზეც ა. გ-მა უარი განაცხადა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ სანამ ა. და გ. გ-ებს შორის 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდებოდა, მანამდე საზოგადოების პარტნიორებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება უძრავი ქონების შპს „კ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვის თაობაზე და თ. მ-ის მიერ პარტნიორთა წილის შექენის თაობაზე, რაც უშედეგოდ დასრულდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. გ-მა თავის დაზღვევის მიზნით, მოსაჩვენებლად დადო გარიგება თავის ძმასთან, რათა აპელანტის მიერ სასამართლო დავის მოგების შემთხვევაში თავი აერიდებინა სადავო ქონების საზოგადოების საკუთრებად აღრიცხვისაგან.

სააპელაციო პალატამ შპს „კ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა 2009 წლის 11 აპრილის №090041462 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ აღიარა შპს „კ-ის“ უფლება სადავო ქონებაზე, ხოლო ა. და გ. გ-ებს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ცნო.

მოცემული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების გამო სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა შპს „კ-ის“ მიმართ ამ უკანასკნელის მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე უსაფუძვლო იყო, ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილებით შპს „კ-ი“ წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელსა და მესაკუთრეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ბ-მა, ა. და გ-ი გ-ებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შპს „კ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, თუმცა არ უმსჯელია იმის შესახებ, რომ თ. მ-საც კეთილსინდისიერად უნდა განეხორციელებინა ნაკისრი ვალდებულებები.

მონინალმდევე მხარეს არ წარუდგენია თავისი სარჩელის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ კანონის დარღვევით და მხოლოდ ბუღალტრების ჩვენებების საფუძველზე მიიჩნია სადავო ქონება შპს „კ-ის“ საკუთრებად.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხს და უძრავი ქონების შემთხვევაში ადგენს ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ სადავო ნივთი ჯერ კიდევ შპს „კ-ის“ პირველადი რეგისტრაციის დროს 2002 წლის 1 ნოემბერს ა. გ-ის სახელზე იყო აღრიცხული საჯარო რეესტრში, რაც გამორიცხავდა პარალელურ რეჟიმში სხვა პირის საკუთრებას სათანადო დოკუმენტის გარეშე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ ხარვეზიანად ჩათვალა შპს „კ-ის“ რეგისტრაციას და მიიჩნია, რომ მარეგისტრირებელმა სასამართლომ სრულყოფილად მიიჩნია წარდგენილი დოკუმენტაცია საწარმოს დასარეგისტრირებლად. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შპს „კ-ის“ დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი ფულადი სახით არ შევსებულა, დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით ის ქონებრივი სახით უნდა შევსებულიყო, თუმცა ფაქტია, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ ჩათვალა, რომ დოკუმენტები წესრიგში იყო და ამ დროს არსებობდა ხარვეზი და სადავო უძრავი ქონება შპს „კ-ის“ სახელზე საკუთრების უფლებით არ იყო აღრიცხული.

სააპელაციო სასამართლომ ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტებით დაადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები და არასწორი შეფასებით მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება.

გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივი საფუძვლები თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ნივთის საზოგადოების საკუთრებად აღრიცხვისა და გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, დარღვეულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, რადგან საზოგადოების დამფუძნებელმა, რომელიც 2002 წელს აღირიცხა სამეწარმეო რეესტრში, მხოლოდ 2011 წელს გახადა სადავოდ მის ბალანსზე სხვა პირის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვის საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული დოკუმენტები და არ გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ 2002 წელს რეგისტრირებულ შპს „კ-ს“ დასჭირდა 2009 წლის 10 თებერვლით დათარიღებული დამატებითი ინფორმაცია 2002 წლის 15 ოქტომბრის აუდიტის დასკვნასა და ა. გ-ის უძრავ ქონებაზე, მაშინ, როდესაც თბილისის მერიის სისპ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 30 მარტის №ლგ-240 ბრძანების მიხედვით, ა. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში ინდივიდუალურ მენარმე „ა. გ-ის“ საკუთრებაში არსებული პროექტის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობა.

თუკი სადავო ქონება საზოგადოების საკუთრებაში ან მის ბალანსზე აღრიცხებოდა, მერიაში აღნიშნული საკითხი ინდივიდუალური მენარმე ა. გ-ის საკუთრებად ვერ განიხილებოდა.

სამართლებრივ დასაბუთებაში სააპელაციო სასამართლომ დააფიქსირა, რომ შპს „კ-ის“ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტისათვის მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განცხადება შეიცავდა გარკვეულ პუნქტებს, რაც უნდა შევსებულიყო. მათ შორის, არის დაფიქსირებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შესატანის შესახებ. სასამართლომ საბუთი შესრულებული შესატანის შესახებ არც მოსარჩელეს მოსთხოვა და არც მისი კუთვნილი 50%-ის შესატანის ოდენობაზე გაამახვილა ყურადღება. გაუგებარია, ა. გ-ს რატომ უნდა შეეტანა ერთპიროვნულად 18 350 ლარად შეფასებული კუთვნილი ქონება საწესდებო კაპიტალში და რა სამართლებრივი საფუძვლებით შეიძლება დასაბუთდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია შინაგანი რწმენით და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების სათანადო შეფასების გარეშე.

უკანონოა სასამართლოს მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ნასყიდობა დადებულია ძმებს შორის, რადგან აღნიშნულს კანონი არ კრძალავს.

სასამართლო არასწორად დაეყრდნო წარმომადგენლის განმარტებას, რომ 2009 წლის ხელშეკრულების ნასყიდობის საფასური (150 000 აშშ დოლარი) სრულად არ იქნა გადახდილი. აღნიშნული განმარტება არასწორია, რადგან წარმომადგენელი, 2011 წელს აყვანილმა წარმომადგენელმა გააკეთოს განმარტება 2009 წლეს დადებულ გარიგებაზე და ამ გარიგების შესრულების საკითხზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2009 წლის 11 აპრილის ხელშეკრულების დადებამდე, შპს „კ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა, თ. მ-მა აწარმოა მოლაპარაკება ა. გ-თან, რაც ასევე უსაფუძვლო არგუმენტია.

მოსარჩელე თ. მ-მა მოახერხა სასამართლოს შეცდომაში შეყვანა და ისე, რომ არანაირი შესატანი არ შეუტანია საზოგადოებაში, სასამართლოს გზით ცდილობს უსაფუძვლოდ, ყოველგვარი მტკიცებულებე-

ბის გარეშე მიითვისოს სხვისი უძრავი ქონება, მხოლოდ და მხოლოდ მოწმეთა, ბუღალტრების ჩვენებების საფუძველზე შექმნა მისთვის სასურველი სურათი და შინაგანი რწმენა.

თ. მ-ის მხრიდან ა. გ-ისათვის სადავო წილის 200000 აშშ დოლარად შეძენის შეთავაზების ვარაუდი, რაზედაც ა. გ-მა უარი განაცხადა, მხარეთა შორის არსებული გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძველი არ უნდა გახდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ ა. გ-ის, გ. გ-ის და ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: შპს „კ-ის“ დამფუძნებელთა 2002 წლის 25 ოქტომბრის №1 კრების ოქმის მიხედვით, თ. მ-მა და ა. გ-მა მიიღეს შპს „კ-ის“ დამფუძნებლის გადაწყვეტილება. საზოგადოების სანესდებო კაპიტალი განისაზღვრა 19 300 ლარით და სანესდებო კაპიტალში დამფუძნებელთა წილები განაწილდა შემდეგი სახით: თ. მ-ი – 50%, 9 650 ლარი, ა. გ-ი – 50%, 9 650 ლარი. დამტკიცდა საზოგადოების წესდება და საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ა. გ-ი.

თბილისის ისანი-სამოგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა შპს „კ-ი“, საიდენტიფიკაციო №..., რომლის დამფუძნებლები იყვნენ თ. მ-ი (50%) და ა. გ-ი (50%). თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 16 სექტემბრის ბრძანებით საზოგადოების დირექტორად ა. ბ-ის ნაცვლად დაინიშნა თ. მ-ი, რომელსაც გააჩნდა საზოგადოების სრული წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

საქმეში წარდგენილი თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის მიერ 1997 წელს გაცემული №23/214 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით, ა. გ-ს საკუთრებაში გადაეცა თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტთან 1997 წლის 8 აპრილს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გამოსყიდული, ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე დანგრეული ცალკე მდგომი შენობა.

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო ინდივიდუალურ მენარმე ა. გ-ის საკუთრებად. განცხადება დარეგისტრირდა 1999 წლის 13 ივლისს.

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 1999 წლის 13 დეკემბერს გაიცა მშენებლობის დაწყების ნებართვა №373 არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით. ობიექტი ექსპლუატაციაში იქნა მიღებული სახელმწიფო მიმღები კომისიის 2002 წლის 26 მარტის №78 აქტით.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 30 მარტის №ლევ-240 ბრძანების მიხედვით, ა. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ლეგალიზებულად ჩაითვა ქ. თბილისში, ისნის რაიონის ა-ის ქ. №22-ში მდებარე ინდივიდუალურ მენარმე ა. გ-ის საკუთრებაში არსებული პროექტის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობა.

საქმეში წარდგენილი შპს „კ-ის“ დამფუძნებელი პარტნიორების: ა. გ-ის და თ. მ-ის ერთობლივი განცხადებიდან ირკვევა, რომ საწარმოს სარეგისტრაციო განაცხადში მათ სანესდებო კაპიტალად მიუთითეს 19 300 ლარი, რომელიც შეივსო პარტნიორთა ქონებრივი შენატანების სახით.

თბილისის ისანი-სამოგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ სანესდებო კაპიტალი შეადგენს 19 300 ლარის ქონებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე განხორციელდა შპს „კ-ის“ რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 21 ოქტომბრის №103981/02-05 წერილის მიხედვით, საზოგადოების სანესდებო კაპიტალი შეადგენდა 19 300 ლარის ქონებას (2002 წლის 15 ოქტომბრის ინდივიდუალური აუდიტორის – ლ. შ-ის აუდიტორული დასკვნა).

ინდივიდუალურ აუდიტორ ლ. შ-ის 2002 წლის 15 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, აუდიტორის მიერ მოხდა თ. მ-ისა და ა. გ-ის მიერ შპს „კ-ის“ სანესდებო კაპიტალში არაფულად შენატანად განსაზღვრული ქონების შეფასება, კერძოდ, 300 კვ.მ შენობა შეფასდა 18 350 ლარად, 2 ცალი კარადა-მაცივარი – 300 ლარად, გაზის ქურა – 200 ლარად, ელექტრო ქურა – 200 ლარად, კამერა-მაცივარი – 250 ლარად, სულ – 19 300 ლარად.

იმავე აუდიტორის მიერ 2009 წლის 10 თებერვალს გაცემული დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, 2002 წლის 15 ოქტომბერს შეფასდა ა. გ-ის კუთვნილი ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელზეც წარდგენილ იქნა №23/214 საკუთრების მოწმობა.

2006-2007 წლების ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, შესაბამისი ცვეთის დარიცხვის შემდგომ შპს „კ-ის“ ქონების ღირებულება 2006 წლის მდგომარეობით შეადგენდა 15 799.31 ლარს, ხოლო 2007 წლის მდგომარეობით – 15 395.35 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკითხულმა მოწმემ – შპს „კ-ის“ ყოფილმა ბუღალტერმა ხ. ს-ბ-მა დაადასტურა ის გარემოება, რომ უძრავი ქონება, სადაც რესტორანი იყო განთავსებული წარმომადგენდა შპს „კ-ის“ საკუთრებას საწარმოს ბალანსის მიხედვით.

ასევე შპს „კ-ის“ ყოფილმა ბუღალტერმა ც. კ-მა განმარტა, რომ აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ისიც სადავო ქონებას შპს „კ-ის“ საკუთრებად მიიჩნევდა.

შპს „კ-ის“ ყოფილმა ბუღალტერმა ხ. ს-ბ-მა განმარტა, რომ ქონებაში, რომელიც ქონების გადასახადით იბეგრებოდა და გასულ წლებში საზოგადოება იხდიდა, მოიაზრებოდა შენობა, სადაც განთავსებული იყო რესტორანი.

საქმის მასალებით არ დადასტურდა ის გარემოება, რომ შპს „კ-ის“ პარტნიორმა ა. გ-მა აღნიშნული საზოგადოების დაფუძნებისას სანესდებო კაპიტალი შეავსო ფულადი სახით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „კ-ის“ სანესდებო კაპიტალში ა. გ-მა შეიტანა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება.

საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. უფრო მეტიც, 2002 წლის 25 ოქტომბრისათვის შპს „კ-ის“ დამფუძნებელთა მიერ შპს „კ-ის“ დაფუძნების გადაწყვეტილების მიღებისას სამოქალაქო კოდექსის მითითებული მუხლი კიდევ უფრო მეტ მოთხოვნას უყენებდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის მსურველთ. კერძოდ, იმ პერიოდისათვის მოქმედი იმავე ნორმის თანახმად, საკმარისი არ იყო მხოლოდ წერილობითი გარიგების დადება. გარიგება იმავდროულად უნდა დადასტურებულიყო სანოტარო წესით და მხოლოდ ამის შემდეგ რეგისტრირდებოდა საჯარო რეესტრში. სამოქალაქო კანონმდებლობა უძრავი ქონებაზე საკუთრების შექმნის სხვა ფორმას არ იცნობს. არც „მენარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს რაიმე განსხვავებულ წესს მენარმის მიერ სანესდებო კაპიტალში უძრავი ქონების შესატანად და მასზე საკუთრების უფლების შესაძენად. შესაბამისად, შეუძლებელია, საკუთრების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე განხორციელდეს რაიმე სხვა წესით, გარდა 183-ე მუხლით დადგენილი წესისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. კანონი ანუ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი კატეგორიულად ადგენს იმ მტკიცებულებათა წრეს, რომელთა მეშვეობითაც უნდა დადასტურდეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნა. ასეთი მტკიცებულებებია წერილობითი ფორმით (სანოტარო წესით-საზოგადოების დაფუძნებისას) დადებული გარიგება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულება. სააპელაციო სასამართლო ვერ უთითებს ვერც ერთ აქ მითითებულ მტკიცებულებაზე, რაც თავისთავად გამორიცხავს შპს „კ-ის“ საკუთრების უფლებას სადავო ქონებაზე. მოწმეთა ჩვენებები, სანარმოს რეგისტრაციის განაცხადში, სანესდებო კაპიტალსა თუ ქონებრივ დეკლარაციებში დაფიქსირებული ფულადი (და არა არაფულადი) შენატანები, არ შეიძლება განიხილებოდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის საფუძველად, როგორც ამას უთითებს სააპელაციო სასამართლო. შესაბამისად, შეუძლებელია, დაკმაყოფილდეს სარჩელი ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე ქონების შპს „კ-ის“ მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეუძლებელია შპს „კ-ის“ სარჩელის დანარჩენ მოთხოვნათა დაკმაყოფილება, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა წარმოადგენს აღიარებით სარჩელს და მის დასაკმაყოფილებლად საჭიროა, მოსარჩელეს გააჩნდეს იურიდიული ინტერესი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად. პალატა მიიჩნევს, რომ გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი სადავო ქონება აღრიცხული დარჩება ა. გ-ზე, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით წარმოადგენდა ქონების მესაკუთრეს. მისი საკუთრების უფლება ნაკლის მქონე არ ყოფილა სადავო ნივთის გასხვისებამდე. ასეთზე ვერ უთითებს მოსარჩელე. შესაბამისად, შეუძლებელია, გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი სადავო ქონება აღმოჩნდეს შპს „კ-ის“ საკუთრებაში, რაც თავისთავად მიუთითებს იურიდიული ინტერესის არქონაზე.

სააპელაციო სასამართლომ გ. გ-ის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ მან შპს „კ-ი“ სადავო ქონების მესაკუთრედ და, შესაბამისად, მის მართლზომიერ მფლობელად მიიჩნია. მიღებული გადაწყვეტილებით კი შეუძლებელია, შპს „კ-ის“ ცნობა მართლზომიერ მფლობელად, რადგან სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება გააჩნია გ. გ-ს. შესაბამისად, მისი მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით უნდა დაკმაყოფილდეს გ. გ-ის სარჩელი, ხოლო შპს „კ-ს“ უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში დავა გადაწყდა გ. გ-ის სასარგებლოდ, შესაბამისად, შპს „კ-ს“ გ. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი 120 ლარის, ხოლო ა. ბ-ის, ა. და გ. გ-ების სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი 6000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

ა. და გ. გ-ების, ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

ქ.თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე უძრავი ნივთი გამოთხოვილ იქნეს შპს „კ-ის“ უკანონო მფლობელობიდან და თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცეს გ. გ-ს.

შპს „კ-ს“ უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შპს „კ-ს“ დაეკისროს გ. გ-ის სასარგებლოდ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის გადახდა, ხოლო ა. ბ-ის, ა. და გ. გ-ების სასარგებლოდ – საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 6000 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პარტნიორის გარიცხვა ღირექტორის პასუხისმგებლობა

განჩინება

№ას-764-715-2010

18 აპრილი, 2011წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა, გაუნაწილებელი მოგების თანხის საზოგადოებისათვის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 28 აპრილს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს შპს „გ-ომ“ და მისმა პარტნიორებმა დ. კ-ძემ და მ. ს-ძემ მოპასუხე მ. ხ-ძის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა. მოპასუხის საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ შპს „გ-ოს“ პარტნიორთა რიგგარეშე №3 კრების 2009 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა; ბ. მ. ხ-ძისათვის, როგორც შპს „გ-ოს“ ყოფილი დირექტორისათვის, შპს „გ-ოს“ სასარგებლოდ აუდიტორული დასკვნით დადგენილი და საზოგადოების პარტნიორებს შორის გაუნაწილებელი მოგების 26444.79 ლარის დაკისრება; გ. მ. ხ-ძისათვის მოსარჩელის მიერ განუხლები და გასანევი სხვადასხვა ხარჯების, მთლიანობაში 2715.32 ლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, შპს „გ-ო“ დააფუძნეს დ. კ-ძემ და გ. ხ-ძემ. საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს ავტონაწილების რეალიზაცია. 1996 წლის სამენარმო რეესტრის ჩანაწერებით საზოგადოების პირველი პარტნიორები არიან: მ. ს-ძე და დ. კ-ძე (მეუღლეები), აგრეთვე, გ. ხ-ძე და მ. ხ-ძე (მამა-შვილი). დაფუძნების დღიდან საზოგადოების დირექტორს წარმოადგენდა გ. ხ-ძე, ხოლო 2001 წლის 5 დეკემბრიდან 2009 წლის 24 მარტამდე – მისი ვაჟი მ. ხ-ძე, რომელსაც გ. ხ-ძემ დაუთმო თავისი წილიც და ის გახდა 50%-იანი წილის მესაკუთრე.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2008 წლის თებერვლიდან საზოგადოებაში აუდიტორული შემონმების ჩატარების მიზნით ორჯერ უშედეგოდ სცადეს პარტნიორთა კრების მოწვევა. მათი ინიციატივით ჩატარებული აუდიტორული შემონმების შედეგად საზოგადოებაში გამოვლენილია დირექტორის სხვადასხვა სახის კანონდარღვევები. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში არ მოიპოვება კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულოდ შესანახი მთელი რიგი დოკუმენტები. აუდიტორული შემონმებისათვის წარდგენილი არასრული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შპს „გ-ოს“ მთლიანობაში მოგების სახით მიღებული აქვს 26444.79 ლარი. ეს თანხა პარტნიორთა შორის არ განაწილებულა. აუდიტორული დასკვნის გაცნობის შემდგომ მოსარჩელე პარტნიორებმა საზოგადოების პარტნიორსა და დირექტორ მ. ხ-ძეს გაუგზავნეს შეტყობინება პარტნიორთა კრების ჩატარების, ადგილმდებარეობის, დროისა და განსახილველი საკითხების მითითებით. მიუხედავად ამისა, მ. ხ-ძე კრებაზე არ გამოცხადებულა. იგი ასევე არ გამოცხადებულა განმეორებით, იმავე პირობებით დანიშნულ კრებაზე. აღნიშნულ კრებაზე გამოცხადებული პარტნიორების, მ. ს-ძისა და დ. კ-ძის წარმომადგენლებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დირექტორობიდან მ. ხ-ძის გათავისუფლებისა და პარტნიორობიდან მისი გარიცხვის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მოტივად დასახელდა წლების მანძილზე საზოგადოებაში მ. ხ-ძის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა, პარტნიორებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება. კრების მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ მომავალში მ. ხ-ძესთან ერთად საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. პარტნიორთა კრებამ საზოგადოების დირექტორად დანიშნა ი. ს-ძე. საზოგადოების ახალმა დირექტორმა ი. ს-ძემ განცხადებით მიმართა საგადასახადო სამსახურს საზოგადოების რეგისტრაციაში

ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით. სამეწარმეო რეესტრის 2009 წლის 26 მარტის ამონაწერით შპს „გ-ოს“ დირექტორია ი. ს-ძე.

2009 წლის 5 ივნისს იმავე სასამართლოს სარჩელით მიმართეს მ. და გ. ხ-ძეებმა მოპასუხე შპს „გ-ოს“ მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა. შპს „გ-ოს“ ქონების გაუმჯობესებისათვის განუღი ხარჯების ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის გ. ხ-ძის სასარგებლოდ 11248 ლარის დაკისრება; ბ. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, შპს „გ-ოს“ წარმომადგენლებისათვის გ. ხ-ძის საკუთრებაში არსებული 8837 ლარის ღირებულების ავტონაწილების ფლობის შეწყვეტისა და აღნიშნული ქონების გ. ხ-ძისათვის დაბრუნების დავალება; გ. შპს „გ-ოსათვის“ მოსარჩელების სასარგებლოდ ხარჯების დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ შპს „გ-ოს“ სამეწარმეო საქმიანობა მოიცავდა ავტონაწილებით ვაჭრობას. გ. ხ-ძე, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა საზოგადოების პარტნიორსა და დირექტორს, ვაჭრობდა ავტონაწილების მაღაზიაში. შპს „გ-ოს“ ჩამოყალიბებისას ავტონაწილების მაღაზიაში არსებული მატერიალური ფასეულობა – ავტონაწილები, წარმოადგენდა მის საკუთრებას. გ. ხ-ძე ამ ქონებას ავითარებდა შპს „გ-ოს“ დაფუძნების შემდგომაც, რაშიც დანარჩენ პარტნიორებს მონაწილეობა არ მიუღიათ. შპს „გ-ოს“ მთლიანი საქმიანობა წესდებისა და კანონის შესაბამისად ასახულია საწარმოს ყოველწლიურ ბალანსში, რომელშიც მოცემულია საწარმოს მთლიანი საბალანსო მოგება, გადარიცხვები ბიუჯეტში და წმინდა მოგება.

მოსარჩელების მითითებით, საქმეზე წარდგენილი აუდიტორული დასკვნით დასტურდებოდა, რომ შპს „გ-ოს“ მატერიალური ფასეულობების (ძირითადად ავტონაწილები) შექენასთან დაკავშირებით განუღი ხარჯები (ხელფასები, სოცანარიცხვები, სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯები) ძირითადად რეალურად არის ასახული საბუღალტრო დოკუმენტაციაში და რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა არ დაფიქსირებულა. 2002-2006 წლებში შპს „გ-ოს“ სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-გაფართოების მიზნით გ. ხ-ძემ შეასრულა სხვადასხვა სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები. აღნიშნული რემონტისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო თანხები მოსარჩელებმა გაიღო როგორც შპს „გ-ოს“ სამეწარმეო საქმიანობიდან დარჩენილი წმინდა მოგებიდან, ისე თავისი პირადი სახსრებიდან.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 ივლისის საოქმო განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელით განსახილველი საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „გ-ოს“, შპს „გ-ოს“ პარტნიორების დ. კ-ძისა და მ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკმაყოფილდა გ. და მ. ხ-ძეების სარჩელი.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

შპს „გ-ო“ რეგისტრირებულ იქნა 1996 წლის 22 ივლისს სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ. მისი პარტნიორები არიან: მ. ხ-ძე – კაპიტალის 50%-იანი წილით, დ. კ-ძე – 40%-იანი წილით და მ. ს-ძე – 10%-იანი წილით;

2009 წლის 24 მარტს გაიმართა შპს „გ-ოს“ პარტნიორთა №3 კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოების სანესდებო კაპიტალის 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორების, მ. ს-ძისა და დ. კ-ძის წარმომადგენლები ზ. ს-ძე და ე. ს-ძე. აღნიშნულ კრებაზე მოხდა საზოგადოების სანესდებო კაპიტალის 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მ. ხ-ძის საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება და საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვა;

2004 წლიდან რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დრომდე შპს „გ-ოს“ შედარების აქტი არ შემდგარა;

ავტონაწილების მაღაზიის დალუქვის შემდგომ მაღაზიის გასაღები გადაეცა შპს „გ-ოს“ დირექტორ ი. ს-ძეს. რამდენადაც მიღება-ჩაბარების აქტი არ შემდგარა, ავტონაწილების სახეობებიც და ღირებულებაც დაუდგენელია.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის №3 კრება ჩატარდა შპს „გ-ოს“ წესდების დარღვევით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 91 მუხლით გათვალისწინებულია პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია იმ შემთხვევაში, თუ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. შპს „გ-ოს“ წესდების 7.7 მუხლის თანახმად, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომლებსაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ თავმჯდომარე ან დირექტორი იწვევს კრებას კიდევ ერთხელ იმავე დღის წესრიგით. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდა პარტნიორთა უმრავლესობა, მაგრამ დამსწრე პარტნიორთა წილი სანესდებო კაპიტალში უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის სხდომას ესწრებოდნენ დ. კ-ძისა და მ. ს-ძის წარმომადგენლები, რომელთა წილი სანესდებო კაპიტალში ზუსტად შეადგენდა და არ აღემატებოდა 50%-ს, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „გ-ოს“ პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი ვერ იქნებოდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეში არ მოიპოვებოდა სათანადო მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა საზოგადოებაში გაუნაწილებელი მოგების 26444.79 ლარის არსებობა, ან შპს „გ-ოს“ ქონებაზე გ. ხ-ძის მიერ 11248 ლარის ოდენობით ხარჯების განევა და შპს „გ-ოს“ მიერ გ. ხ-ძის კუთვნილი 8837 ლარის ღირებულების ავტონაწილების ფლობა. მხარეებმა აღნიშნულის დასადასტურებლად

წარადგინეს სხვადასხვა აუდიტის მიერ შედგენილი ორი აუდიტორული დასკვნა, რომელთა შედეგები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა შპს „...-ის“ მიერ შესრულებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემები მასში ასახული ხარჯების ყ. (გ.) ხ-ძის მიერ გაღების თაობაზე, ვინაიდან მონინალმდევე მხარეს ხარჯთაღრიცხვის შედეგად დადგენილი თანხა – 19263 ლარი, არ უღიარებია. პირიქით, მათ სარჩელი არ ცნეს. სხვა მტკიცებულებები ამ ხარჯების ყ. (გ.) ხ-ძის მიერ გაღების შესახებ საქმეში არ მოიპოვებოდა.

რაიონულმა სასამართლომ ავტონაწილების ღირებულების (ნაშთის) 8837 ლარის ნახევრის შპს „გოსათვის“ დაკისრების მოთხოვნაც უსაფუძვლოდ მიიჩნია, რაც იმით დაასაბუთა, რომ ავტონაწილების მალაზიის დალუქვის შემდეგ არ შემდგარა მღება-ჩაბარების აქტი, ამიტომ ავტონაწილების სახეობები და ღირებულება დაუდგენელი იყო. ამასთან, საქმეში წარდგენილი სასაქონლო ზედდებულებით ავტონაწილების შესყიდვები განხორციელებული იყო შპს „გოს“ სახელით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მათი სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. და გ. ხ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება, კერძოდ: ა. ქონების გაუმჯობესებისათვის განუხორციელოს ხარჯების ასანაზღაურებლად ამ ხარჯების (11248 ლარი) ნახევარის – 5624 ლარის შპს „გოსათვის“ დაკისრება; ბ. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, შპს „გოსათვის“ გ. ხ-ძის საკუთრებაში არსებული 4418 ლარის ღირებულების ავტონაწილების ფლობის შეწყვეტისა და აღნიშნული ქონების გ. ხ-ძისათვის დაბრუნების დავალება; გ. მ. და გ. ხ-ძეების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 402 ლარის შპს „გოსათვის“ დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მათი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს აგრეთვე შპს „გომ“ და მისმა პარტნიორებმა მ. ს-ძემ და დ. კ-ძემ. აპელანტების საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც: ა. კანონიერად იქნებოდა ცნობილი მოპასუხე მ. ხ-ძის საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ შპს „გოს“ პარტნიორთა რიგგარეშე №3 კრების 2009 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება; ბ. მ. ხ-ძეს დაეკისრებოდა შპს „გოს“ სასარგებლოდ საზოგადოების პარტნიორებს შორის გაუნაწილებელი მოგების 10122.93 ლარის გადახდა; გ. მ. ხ-ძეს მ. ხ-ძისა და დ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრებოდა აუდიტორული მომსახურების გამო გადახდილი 1200 ლარის, სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, მთლიანობაში 1833.32 ლარის, აგრეთვე სააღვოკატო მომსახურების თანხის 600 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით შპს „გოს“, შპს „გოს“ პარტნიორების – მ. ხ-ძისა და დ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მ. ხ-ძისა და გ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარს ასევე უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე; უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა შემდეგი:

საქმეში განთავსებული საჯარო რეესტრის ამონაწერისა და მხარეთა განმარტებების მიხედვით, სამტრედიისაში, ... ქ.№31-ის I ჩიხში მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ, 125.8 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 51.6 კვ.მ დამხმარე შენობა წარმოადგენდა შპს „გოს“ საკუთრებას;

სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული №... ექსპერტის დასკვნის თანახმად, სამტრედიისაში, ... პირველი ჩიხის №31-ში მდებარე შპს „გოს“ საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განუხორციელებილი სარემონტო სამუშაოების ღირებულება 2003 წლის ფასებით შეადგენდა 9487 ლარს;

სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალი გაკეთდა მხარეთა მითითებების საფუძველზე, თუმცა ამ სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები არც საქმეში მოიპოვებოდა და არც მხარეებს წარუდგენიათ;

შპს „გოს“ მიერ 1998 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 10122.93 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად დაუსაბუთებლად მიიჩნია მ. ხ-ძისა და გ. ხ-ძის სარჩელის მოთხოვნა ქონების ნახევრის დაბრუნების, ან მისი ღირებულების 4 418 ლარის ანაზღაურების თაობაზე, რამდენადაც საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ გ. ხ-ძემ პირადი თანხებით შეიძინა მოძრავი ნივთები, კერძოდ, 8 837 ლარის ღირებულების ავტონაწილები, რაც შპს „გოს“ მფლობელობაში იმყოფებოდა. №... ექსპერტის დასკვნით დგინდებოდა, რომ სამტრედიისაში, ... პირველი ჩიხის №31-ში მდებარე შპს „გოს“ საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განუხორციელებილი სარემონტო სამუშაოების ღირებულება 2003 წლის ფასებით შეადგენდა 9487 ლარს, თუმცა ამ სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები არც საქმეში მოიპოვებოდა და არც მხარეებს წარუდგენიათ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელის მოთხოვნა ზემოთთქველ ქონებაზე განხორციელებულ სარემონტო სამუშაოებზე განუხორციელებილი ხარჯების ნახევარის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, №... ექსპერტის დასკვნით დგინდებოდა, რომ შპს „გოს“ მიერ 1998 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 10122.93 ლარს, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტის განმარტებით, საბუღალტრო დოკუმენტებით არ ირკვეოდა, თუ რა მიზნით განიკარგა აღნიშნული თანხა, საზოგადოების თუ სხვა პირის სასარგებლოდ.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „გ-ოს“ სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომ გაუნაწილებელი მოგება 10122.93 ლარი პირადი მოხმარების მიზნით გაიხარჯა საზოგადოების ყოფილი დირექტორის მ. ხ-ძის მიერ, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის მოთხოვნა დასახელებული თანხის შპს „გ-ოს“ სასარგებლოდ მ. ხ-ძისათვის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საზოგადოებიდან პარტნიორის (მ. ხ-ძე) გარიცხვის შესახებ დადგენილების კანონიერად ცნობის მოთხოვნის ნაწილში შპს „გ-ოსა“ და მისი პარტნიორების სარჩელის დაუკმაყოფილებლობა სააპელაციო სასამართლომ შემდეგი ძირითადი არგუმენტებით დაასაბუთა:

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორის წილი საზოგადოებაში წარმოადგენს მის საკუთრებას. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში პარტნიორი კარგავს საკუთრებას წილზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია და მისი ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში. საკორპორაციო ურთიერთობათა სპეციფიკა და სახელშეკრულებო პირობები, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს პარტნიორისათვის წილის ჩამორთმევას მისი წილის გარეშე.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 9¹ მუხლის შესაბამისად, თუ ამ კანონით ან სანარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. 3.7 მუხლის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებამ პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა 2009 წლის 24 მარტამდე კრების ჩატარებისა და მასზე მ. ხ-ძის მიწვევის დამადასტურებელი მტკიცებულება, ამიტომ 50% წილის მქონე პარტნიორთა მიერ პირველივე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო იყო. გარდა ამისა, შპს „გ-ოს“ პარტნიორების, მ. ხ-ძისა და დ. კ-ძის მიერ მ. ხ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძვლის, კერძოდ, 10122.93 ლარის პირადი მოხმარების მიზნით გახარჯვის, დაუდასტურებლობა, ასევე დაუსაბუთებელს ხდიდა პარტნიორების მიერ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „გ-ომ“ და მისმა პარტნიორებმა მ. ხ-ძემ და დ. კ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხისათვის საზოგადოების სასარგებლოდ გაუნაწილებელი მოგების 10122.93 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში შპს „გ-ოს“ სარჩელის დაუკმაყოფილებლობა იმით დაასაბუთა, რომ შპს „გ-ოს“ სასამართლოსათვის არ წარუდგენია ამ თანხის მოპასუხის მიერ პირადი მოხმარების მიზნით გახარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულება. კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მოცემულ მსჯელობას და აღნიშნავენ, რომ საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება შემდეგი გარემოებები: 1998 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე შპს „გ-ოს“ გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 10122.93 ლარს (მტკიცებულება სასამართლო ექსპერტისა და დასკვნა); შპს „გ-ოს“ 2001 წლამდე მართავდა გ. ხ-ძე, ხოლო 2001 წლიდან 2009 წლის 1 მაისამდე მ. ხ-ძემ; შპს „გ-ოს“ პარტნიორებს უნდა მიეღოთ წმინდა მოგება დივიდენდების სახით, თავად მოწინააღმდეგე მხარეც აღიარებს, რომ დივიდენდები არ განაწილებულა პარტნიორებს შორის; შპს „გ-ოს“ საბუღალტრო დოკუმენტაციაში ასახული გაუნაწილებელი მოგება, 10122.93 ლარი ყოფილ დირექტორ მ. ხ-ძეს არ გამოუყენებია საზოგადოების საჭიროებისათვის, საამისოდ აუცილებელი იყო პარტნიორთა კრების ჩატარება.

ამდენად, კასატორთა მოსაზრებით, შპს „გ-ომ“ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დაუდასტურა სასამართლოს, რომ 10 წლის განმავლობაში საზოგადოების გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 10122.93 ლარი, რის გამოც წესდების 9.4 მუხლის შესაბამისად შპს „გ-ომ“ მოითხოვა ყოფილი დირექტორის მიერ ამ მოგების თანხის საზოგადოებისათვის დაბრუნება. კასატორები მიიჩნევენ, რომ მ. ხ-ძის მიერ მოგების თანხის პირადი საჭიროებისათვის მოხმარების ფაქტი ნათელია, რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ: გაუნაწილებელი მოგება დივიდენდების სახით გაუნაწილა პარტნიორებს, ამასთან, მოგების გადასახადი (პროცენტული 1909 ლარი) სახელმწიფოსათვის გადახდილი აქვს, მოგების თანხა გამოიყენა საზოგადოების საჭიროებისათვის ან ეს თანხა განთავსებულია ბანკში შპს „გ-ოს“ ანგარიშზე. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რაში გამოიყენა აღნიშნული თანხა ან აქედან რა შეიძინა პირადი საჭიროებისათვის მ. ხ-ძემ, ამის დამტკიცება შპს „გ-ოს“ მხრიდან შეუძლებელია და ეს ბუნებრივიცაა. აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი კასატორებს არ აკისრიათ, იგი აკისრია შპს „გ-ოს“ ყოფილ დირექტორ მ. ხ-ძეს.

კასატორები თვლიან, რომ შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის №3 კრება გადაწყვეტილება-უნარიანი იყო. კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 47.2, 9.1 მუხლებისა და წესდების 7.3 პუნქტის თა-

ნახმად, პარტნიორებს ჰქონდათ რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება. პარტნიორთა კრების მოწვევის შე-სახებ ორჯერ წინასწარ ეცნობა მ. ხ-ძეს, რასაც ცხადყოფს საქმეში არსებული მასალები. მოპასუხე შეგნე-ბულად არ გამოცხადდა კრებაზე, უფრო მეტიც, მან არც კი აცნობა საზოგადოებას კრებაზე გამოუცხა-დებლობის მიზეზი. გარდა ამისა, დირექტორები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ აწარმოებ-დნენ ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას, მალაგდნენ შემოსავალს, სრულად არ იხდიდნენ სახელ-მწიფო გადასახადებს, არ ატარებდნენ პარტნიორთა კრებას, არ ადგენდნენ შედარების აქტებს, პარტნიო-რებს უფლებას არ აძლევდნენ გაეკონტროლებინათ საზოგადოების საქმიანობა. ამდენად, მოწინააღმდეგე მხარე მოქმედებდა საზოგადოების პარტნიორების ინტერესების სანაღმდეგოდ, მარტოდენ პირადი მოტივით. მ. ხ-ძის კანონსანაღმდეგო საქციელმა უნდობლობა გამოიწვია საზოგადოების პარტნიორებ-ში, რომელთაც შემდგომში მოპასუხესთან ერთად საქმიანობის განხორციელება შეუძლებლად მიაჩნიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედე-გად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორების მოთხოვნას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქ-მება მათი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ: ა. შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის №3 კრე-ბის გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა, რომლითაც მოპასუხე მ. ხ-ძე გაირიცხა საზოგადოების პარ-ტნიორობიდან; ბ. მოპასუხე მ. ხ-ძისათვის, როგორც შპს „გ-ოს“ ყოფილი დირექტორისათვის, შპს „გ-ოს“ სასარგებლოდ საზოგადოების პარტნიორებს შორის გაუნაწილებელი მოგების – 10122.93 ლარის დაკისრე-ბა; გ. მოპასუხისათვის სასამართლო ხარჯების გადახდის დაკისრება.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „გ-ო“ რეგისტრირებულია 1996 წლის 22 ივლისს სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ. მისი პარტნიორები არიან: მ. ხ-ძე – კაპიტალის 50%-იანი წილით, დ. კ-ძე – 40%-იანი წილით და მ. ს-ძე – 10%-იანი წილით;

2009 წლის 24 მარტს გაიმართა შპს „გ-ოს“ პარტნიორთა №3 კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგა-დოების სანესდებო კაპიტალის 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორების, მ. ს-ძისა და დ. კ-ძის წარმო-მადგენლები ზ. ს-ძე და ე. ს-ძე. აღნიშნულ კრებაზე მოხდა საზოგადოების სანესდებო კაპიტალის 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მ. ხ-ძის საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება და საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვა;

შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის №3 კრება არ იყო გადაწყვეტილებასწარმომადგომელი არ მოიპოვებოდა 2009 წლის 24 მარტამდე პარტნიორთა კრების მოწვევის და აღნიშნულის თაობა-ზე საზოგადოების პარტნიორის – მ. ხ-ძის გაფრთხილების დამადასტურებელი მტკიცებულებები;

№... ექსპერტის დასკვნის მიხედვით, 1998 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შპს „გ-ოს“ გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 10122.93 ლარს. დადგენილია ასევე, რომ მითითებული თანხა და-ხარჯულია, თუმცა ვერ ირკვევა, თუ რა მიზნით დაიხარჯა იგი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებუ-ლი პრეტენზია (შედავება).

კასატორებს მიაჩნიათ, რომ შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის №3 კრება გადაწყვეტილე-ბასწარმომადგომელი იყო. მათი მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტი იმის შესა-ხებ, რომ 50% წილის მფლობელმა პარტნიორებმა პირველივე მოწვევის კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. კასატორთა მითითებით, საქმეში არსებული მტკიცე-ბულებები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული კრება განმეორებით იყო მოწვეული.

საკასაციო სასამართლო კასატორების ხსენებულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს და მიუთითებს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეე-ბი. დასახელებულ ნორმათა დანაწესიდან გამომდინარე, კასატორებს ეკისრებოდათ იმ გარემოების დამ-ტკიცების ტვირთი, რომ 2009 წლის 24 მარტის №3 კრება განმეორებით იყო მოწვეული და, რომ აღნიშნუ-ლის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობა საზოგადოების პარტნიორს მ. ხ-ძეს. ხსენებულ გარემო-ებათა დასადასტურებლად საკასაციო საჩივარში მითითებულია საფოსტო გზავნილებზე. საკასაციო პა-ლატა აღნიშნავს, რომ მითითებულ მტკიცებულებათა მიღებაზე მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის საოქმო განჩინებით, რომელიც მათ მიერ კანონით დად-გენილი წესით გასაჩივრებული არ ყოფილა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.3 მუხლი). შესაბამი-სად, ეს მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია და მათზე ვერც საკასაციო სასამარ-თლო იმსჯელებს, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა. სადავო გა-რემოებათა დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები კი კასატორებს არ წარმოუდგენიათ.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შპს-ის შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წერიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

აღნიშნული ნორმის თანახმად, პარტნიორთა კრება, რომელიც კონკრეტული დღის წესრიგით პირველადაა მოწვეული, გადაწყვეტილებაუნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის (50%-ზე მეტი ხმის) მქონე პარტნიორი (პარტნიორები). მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „გ-ოს“ პარტნიორთა 2009 წლის 24 მარტის კრებას, რომელიც პირველად იყო მოწვეული, ესწრებოდნენ მხოლოდ 50% წილის მქონე პარტნიორები. შესაბამისად, ეს კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი და, ამდენად, უფლებამოსილი საზოგადოებიდან გაერიცხა 50% წილის მფლობელი პარტნიორი მ. ხ-ძე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების კანონიერად ცნობის თაობაზე დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება, შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

საკასაციო საჩივარი მოითხოვს ასევე გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი შპს „გ-ოს“ სასარგებლოდ მოპასუხისათვის საზოგადოების გაუნაწილებელი მოგების დაკისრების თაობაზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ 1998 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შპს „გ-ოს“ მოგება შეადგენდა 10122.93 ლარს. დადგენილია ასევე, რომ მითითებული თანხა დახარჯულია, თუმცა ვერ ირკვევა, თუ რა მიზნით დაიხარჯა იგი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულებები საწარმოს გაუნაწილებელი მოგების მოპასუხის მიერ პირადი საჭიროებისათვის გახარჯვის თაობაზე, ამიტომ სარჩელი ამ ნაწილში დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს აღნიშნულ მსჯელობას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის, კერძოდ, საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოსარჩელეს (საზოგადოებას), მაშინ როცა ეს გარემოება მოპასუხეს (საზოგადოების ყოფილ დირექტორს) უნდა ემტკიცებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადაო საკითხი ეხება საზოგადოების წინაშე ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობას, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ საწარმოს მოგების დაუსაბუთებელ ხარჯვას და ამით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას. სამენარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე.ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო პერიოდში საწარმოს ჰქონდა მოგება, რომელიც გახარჯულია. საწარმოში მოგების არსებობის და მისი გახარჯვის ფაქტს არც მოპასუხე მ. ხ-ძე უარყოფს, მაგრამ მისი შესაგებელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სადავო თანხით მოხდა საწარმოში რემონტის ჩატარება და საწარმოს საქმიანობისათვის ავტონაწილების შექმნა. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი კი ეკისრება მოპასუხეს (საზოგადოების ყოფილ დირექტორს) და არა მოსარჩელეს. სწორედ საზოგადოების ყოფილმა დირექტორმა უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომ საწარმოს მოგება მან დახარჯა არა პირადი საჭიროებისათვის, არამედ – მართლზომიერად, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის იმ გარემოების დამტკიცების ტვირთის დაკისრება, რომ საზოგადოების ყოფილმა დირექტორმა მოგება არა საზოგადოების, არამედ პირადი მიზნებისათვის გამოიყენა (დახარჯა). როგორც ითქვა, ეს გარემოება მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ზემოხსენებული გარემოება, ვინაიდან ეს მისი მტკიცების ტვირთი არ იყო. ამასთან, ვინაიდან მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების გამო, სააპელაციო სასამართლოს არ უმ-

სჯელია მოპასუხის შესაგებელზე, კერძოდ, მის მიერ მითითებულ გარემოებებზე და შეფასება არ მიუცია ამ გარემოებათა დასადასტურებლად საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებისათვის, ამიტომ საკასაციო სასამართლო მოკლებულია ამ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია საწარმოს გაუნაწილებელი მოგების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების საფუძველზე, უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადანაწილოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა :

1. შპს „გ-ოს“ დირექტორის, ი. ს-ძის და შპს „გ-ოს“ პარტნიორების – მ. ს-ძის და დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საწარმოს გაუნაწილებელი მოგების მოპასუხე მ. ხ-ძისათვის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დირექტორის პასუხისმგებლობა

განჩინება

№ას-899-1185-09

26 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს-მა“ სარჩელი აღძრა ბ. ფ-ძის მიმართ ზიანის 11915 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველით: ბათუმის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა სააქციო საზოგადოების ყოფილ თანამშრომელთა სარჩელი საზოგადოების მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, რა დროსაც საზოგადოების წარმომადგენელ ბ. ფ-ძეს არაერთხელ დაევალა სადავო საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნულის გამო რამდენიმე სასამართლო სხდომა გადაიდო, თუმცა ბ. ფ-ძეს სასამართლოს დავალება არ შეუსრულებია, რითაც დაარღვია „მენარმეთა შესახებ“ კანონის 56.3 და 56.4 მუხლები. ამავე სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სს „ს-ს“ დაეკისრა 12600 ლარის გადახდა. ბ. ფ-ძის განმარტებით, იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, რადგან გაემგზავრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე სხვა საქმის განხილვასთან დაკავშირების მისაღებად, რაც სასამართლომ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალია და დაუსრულებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამდენად, ბ. ფ-ძის მიერ სადავო დოკუმენტაციის წარუდგენლობამ და სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობამ მოსარჩელეს ზიანი მიაყენა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ სადავო სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით მას რაიმე დოკუმენტაცია არ გააჩნდა, შესაბამისად, მას ვერც სასამართლოს ვერ წარუდგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას სს „ს-სათვის“ არანაირი ზიანი არ მიუყენებია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სს „ს-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ს-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სს „ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ფ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12600 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ ბ. ფ-ძე სს „ს-ის“ დირექტორად მუშაობდა 2003 წელს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „ს-ის“ ყოფილი თანამშრომლების – ნ. გ-იას, ა. ხ-იანის, გ. დ-ძის, რ. ბ-ძის, ბ. ა-ძის, ლ. ს-ძის, ნ. უ-ძის, ე. ბა-ძისა და ნ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და სს „ს-ს“ მათ სასარგებლოდ დაეკისრა ხელფასის, სამივლინებო და საშვებულებო თანხების ანაზღაურება 12600 ლარის ოდენობით. სს „ს-ი“ სარჩელით მოითხოვდა საზოგადოების ყოფილი დირექტორის ბ. ფ-ძისაგან ზიანის ანაზღაურებას იმ მოტივით, რომ მან, როგორც დირექტორმა, არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებას მიაყენა ზიანი. სააპელაციო პალატამ მიუთითა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებაზე და მიიჩნია, რომ მათი ხელახლა დადგენა ან კანონიერების შემონახვა მის კომპეტენციაში არ შედის. საზოგადოების ყოფილი თანამშრომლების მიერ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოში სააქციო საზოგადოების ინტერესს თავად დირექტორი ბ. ფ-ძე იცავდა. სასამართლო სხდომა აღნიშნულ საქმეზე სამჯერ გადაიდო, რადგან ბ. ფ-ძემ იშუამდგომლა სარჩელში მითითებული გარემოებების გამაქარწყლებელ დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენის თაობაზე. პალატამ ასევე დაადგინა, რომ სასამართლო სხდომაზე დათქმულ დროს სააქციო საზოგადოების დირექტორი არ გამოცხადდა, მომდევნო დღეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩანიშნულ პროცესზე მონაწილეობის მისაღებად გამგზავრების გამო. სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება სარჩელის ხანდაზმულად ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მოსარჩელის მითითებით, მას მიადგა ზიანი 2003 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მხარემ აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით კი სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2007 წლის 11 ივლისს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადის დაცვით. პალატამ მიიჩნია, რომ დავა ყოფილ დირექტორსა და საზოგადოებას შორის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს. სასამართლომ იხელმძღვანელა მითითებული კანონის 56.1, 56.4 და 9.7 მუხლებით და მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმები ითვალისწინებს საზოგადოების დირექტორის ვალდებულებას, კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „ს-ს“ სხვა პირთა სასარგებლოდ დაეკისრა რა 12600 ლარის გადახდა, საზოგადოების ქონება დასახელებული ოდენობით შემცირდა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია გამოუცხადებელი მოპასუხის მიერ საქმისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდი და მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის აღიარება, რომელიც გამოუცხადებელი მხარისათვის ერთგვარი სანქციაა. პალატამ მიიჩნია, რომ სს „ს-ს“ დავის მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს, ამდენად, საზოგადოების დირექტორი ვალდებული იყო, სრულფასოვნად დაეცვა საზოგადოების ინტერესები, თავად გამოცხადებულიყო სხდომაზე ან უზრუნველყო მასში საზოგადოების წარმომადგენლის მონაწილეობა. სს „ს-ის“ მიერ მოსარჩელეთა მოთხოვნის მთლიანად, ან ნაწილობრივ გაზიარების შემთხვევაში, საზოგადოება ცნობდა სარჩელს ან დაასრულებდა დავას მორიგებით, რაც მას დამატებით ხარჯებს აარიდებდა. აღნიშნული საპროცესო მოქმედება სს „ს-ს“ არ განუხორციელებია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხარე სარჩელს არ ეთანხმებოდა. კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სასამართლომ სს „ს-ის“ დირექტორის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა მიიჩნია რა არასაპატიოვად, ბ. ფ-ძეს სს „ს-ის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განუხორციელებლობის საპატიო მიზეზი არ გააჩნდა. იგი მოქმედებდა განზრახ, ბრალეულად და აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო მტკიცებულებები მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სანარმოს ინტერესებთან თავის ქმედებათა შესაბამისობის მტკიცების ტვირთი ბ. ფ-ძეს ეკისრებოდა, იგი მოვალე იყო, გარკვეული მტკიცებულებებით უარყო საზოგადოებისათვის წარდგენილი ბრალდებები. მოპასუხეს კი არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების წარდგენის ან ზეპირი განმარტებით თავისი, როგორც დირექტორის კეთილსინდისიერება არ დაუსაბუთებია. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ავებულობს რა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რისი შეუსრულებლობაც მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბ. ფ-ძის წარმომადგენელმა რ. ფ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, მე-4, 102-ე მუხლების მოთხოვნები და არასწორად განსაზღვრა დავის როგორც საგანი, ისე საფუძველი, რადგან სს „ს-ის“ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენდა მოპასუხისათვის 11915 ლარის დაკისრება, ხოლო სარჩელი ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაე-

კისრა 12600 ლარის გადახდა, რაც საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევაზე მეტყველებს. სს „ს-ის“ ყოფილი თანამშრომლების სახელფასო დავალიანების საზოგადოებისათვის დაკისრების მოთხოვნით სარჩელზე საქმის განხილვა დაინიშნა 2003 წლის 2 აპრილს, რა დროსაც ორგანიზაციის ინტერესებს იცავდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ი. დ-ძე. სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ საქმის განხილვა მტკიცებულებათა წარმოდგენის თაობაზე, ბ. ფ-ძის შუამდგომლობის გამო, გადაიდო, ვინაიდან ამ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა ი. დ-ძემ. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე ინფორმირებული იყო სს „ს-ის“ დირექტორი ბ. ფ-ძე და წარმომადგენელი ი. დ-ძე. ბ. ფ-ძე საქმის განხილვაზე საპატიო მიზეზით, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვაზე გამგზავრების გამო, არ გამოცხადდა. სს „ს-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სახელით სარჩელი შეიტანეს პირებმა, რომელთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ფაქტი სათანადო მტკიცებულებით არ დასტურდება. არასათანადო მხარეს წარმოადგენს ბ. ფ-ძეც, რადგან დავაში, რომელზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, საზოგადოებას წარმოადგენდა მაშინდელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ი. დ-ძე და პრეტენზია უნდა წარდგენოდა მას. პალატამ არ იმსჯელა იმ ფაქტზე, რომ, საქმის მასალებით, სადავო სხდომაზე არც საზოგადოების წარმომადგენელი ი. დ-ძე არ გამოცხადდა. სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-15, 56.3 და 56.4 მუხლები, როდესაც სასარჩელო ხანდაზმულობაზე მსჯელობისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები. პალატამ საერთოდ არ იმსჯელა სადავო ურთიერთობის სამოქალაქო კოდექსის 992-1008-ე მუხლის მეშვეობით გადაწყვეტის მოთხოვნაზე. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ საზოგადოებას ზიანი მიადგა 2003 წლის 17 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წლის 11 ივლისს, შესაბამისად, სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2003 წლის 17 აპრილს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საკითხი სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაედგინა. დირექტორთან ერთად საზოგადოებას ჰყავდა წარმომადგენელი, რომელიც ასევე ინფორმირებული იყო სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე, რაც ადასტურებს ბ. ფ-ძის მიერ საზოგადოების წარმომადგენლის დანიშვნის დროულად უზრუნველყოფის ფაქტს. სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 56.3 და 56.4 მუხლები, როდესაც ბ. ფ-ძის საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ და განზრახ ბრალეულად ჩათვალა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან გასაჩივრებულები გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა მდგომარეობს შემდეგში:

მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის საფუძველია, სააქციო საზოგადოების დირექტორის არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი მოქმედების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დირექტორის ამგვარი მოქმედება გამოიხატა იმაში, რომ სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის განსახილველად დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მისი, როგორც საზოგადოების წარმომადგენლის – დირექტორის გამოუცხადებლობის გამო, გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საზოგადოებას დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ თანხის გადახდა.

უპირველესად, საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის უხეშ დარღვევაზე. აღნიშნული ნორმით, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მოცემულ დავაში მოსარჩელე ითხოვდა (და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვაზეც დაადასტურა) მოპასუხისათვის 11 915 ლარის დაკისრებას. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით მოპასუხეს დააკისრა 12 600 ლარი, რითაც კანონდარღვევით გასცდა სასარჩელო მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლომ თავისი დასკვნა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დააყრდნო იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „ს-ს“ დაეკისრა 12 600 ლარის გადახდა. ამ ფაქტობრივი გარემოებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ზიანის არსებობა. ზიანის ცნებას სამენარმეო სამართალი არ იცნობს, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომელიც აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების წესს. ზიანის ანაზღაურების წესზე სამოქალაქო კოდექსის დანაწესების ანალიზიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებისთვის, როგორც წესი, აუცილებელია ოთხი კომპონენტის არსებობა: თვით ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის. ამდენად, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზემოაღნიშნული ოთხივე წინაპირობის არსებობა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას „მენარმეთა შესახებ“ კანონის 56.3 და 56.4 მუხლებით დავის სამართლებრივი შეფასების თაობაზე. აღნიშნული ნორმებით, სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები. დირექტორები არ შეიძლება იყვნენ სასამართლოში წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ამავე კანონის 9.6 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოების დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოების დირექტორს, როგორც ხელმძღვანელ ორგანოს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით, თუმცა, ამავდროულად, საზოგადოების ინტერესები და უფლებები დაცულია არა მხოლოდ დირექტორის, არამედ სააქციო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ორგანოების (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო) კანონშესაბამისი ხელმძღვანელობითი და მაკონტროლირებელი საქმიანობით. უდავოა, რომ სააქციო საზოგადოების დირექტორს თავის მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ, ამავდროულად, დავის შემთხვევაში ზუსტად უნდა გაირკვეს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც მოჰყვა უშუალოდ ზიანი. დირექტორის არამართლზომიერი ქმედება ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე.წ. კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული), ხოლო მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

საგულისხმოა, რომ კანონი ითვალისწინებს რა დირექტორის პასუხისმგებლობას ვალდებულების დარღვევისათვის, ამავდროულად ადგენს სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც იმ უფლებამოსილი პირების – სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, თუკი ისინი დირექტორებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებულ არამართლზომიერ ქმედებაში. კანონი სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს განიხილავს, როგორც საზოგადოების ძირითად ორგანოს, ამომწურავად განსაზღვრავს მის კომპეტენციას და სხვა მის მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად სწორედ მას აკისრებს საზოგადოების დირექტორების დანიშვნას და მათი გამონწვევის უფლებამოსილებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა კანონით პირდაპირ დაკისრებული აქვს დირექტორს, მისი ამ საქმიანობის სათანადოდ განუხორციელებლობა არ გამორიცხავს სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობას უმოქმედობისათვის, თუკი მისთვის ცნობილი იყო დირექტორის არამართლზომიერი ქმედების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ მიმართებით სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, ვინაიდან თვით სააქციო საზოგადოების სარჩელით და საქმეში წარმოდგენილი მხარეთა არა ერთი განმარტებებით დადგენილია, რომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის მიმდინარეობისა და ამავე დავაში საზოგადოების მიერ სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებათა (სარჩელის საწინააღმდეგო მტკიცებულებათა) წარდგენის საჭიროების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მითითებულია საზოგადოების 2007 წლის 1 მაისის სასარჩელო განცხადებაში, სადაც მოსარჩელე საზოგადოება უთითებს, რომ საზოგადოების ყოფილ თანამშრომლებთან მიმდინარე დავაზე დანიშნული სასამართლო სხდომა საზოგადოების დირექტორის ბ.ფ-ძისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ი. დ-ძის შუამდგომლობით, არა ერთხელ იქნა გადადებული სარჩელის საწინააღმდეგო მტკიცებულებათა წარმოსადგენად. ამდენად, მხარეც არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო დავის თაობაზე ცნობილი იყო არა მარტო ბ. ფ-ძისათვის, რაც არ გამორიცხავს უფლებამოსილ პირთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლოს უტყუარად არ დაუდგენია ზიანის არსებობის ფაქტი. როგორც ირკვევა, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია სააქციო საზოგადოებაში მომუშავე პირთა მოთხოვნები მიუღებელი ხელფასების, სამივლინებოდ და საშვებულებო თანხების ანაზღაურების თაობაზე. საზოგადოება განსახილველი სარჩელით აღიარებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც 12600 ლარის გადახდა დაკისრებული, 1000 ლარის დაკისრების ნაწილში არ არის სწორი. ამავე სარჩელით საზოგადოება უარყოფს და ზიანად მიიჩნევს 11915 ლარის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ მას გააჩნდა სათანადო მტკიცებულებები გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების არარსებობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ ისე გაიზიარა სარჩელის ეს საფუძველი, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობა სასამართლოს რწმენა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების არარსებობის თაობაზე. ამავდროულად, საკა-

საციო სასამართლო განმარტავს, რომ საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი დირექტორის მიერ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა ვალდებულების დარღვევაა და მან პასუხი უნდა აგოს ამ მოქმედებისათვის, თუმცა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ზიანი მიადგა საზოგადოებას. ამასთან, უტყუარად უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალის არსებობაც.

დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ საზოგადოების დირექტორის ვალდებულებაა, კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერად ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი იმ მხარეზეა, ვინც ეჭვქვეშ აყენებს სხვის კეთილსინდისიერებას, რადგან ივარაუდება, რომ ყველა ქცევა კეთილსინდისიერია (კეთილსინდისიერების პრეზუმფცია).

ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული საკითხები და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და
დ ა ა ღ გ ი ნ ა :

ბ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზოგადოების წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1375-1212-2010 23 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ვ. ჯ-იამ“ განცხადებით მიმართა სასამართლოს შპს „ი-ის“ მიმართ და მოითხოვა გამარტივებული წესით დავალიანების გადახდის ბრძანების მიღების გზით მოპასუხისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების თანხის – 3960 ლარის, ასევე სასამართლო ხარჯების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 7 ოქტომბრის გადახდის ბრძანებით განცხადება დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ი-ის“ დაეკისრა 3960 ლარის გადახდა, ასევე სასამართლოს ხარჯების განმცხადებლის სასარგებლოდ ანაზღაურება.

შპს „ი-მა“ შესაგებლით მიმართა სასამართლოს და წარდგენილი მოთხოვნა არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 იანვრის განჩინებით გაუქმდა ამავე კოლეგიის 2009 წლის 7 ოქტომბრის გადახდის ბრძანება და სს „ვ. ჯ-იას“ განცხადება განხილულ იქნა საერთო სასარჩელო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „ვ. ჯ-იას“ სარჩელი შპს „ი-ის“ მიმართ დავალიანების გადახდევინების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ვ. ჯ-იას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სს „ვ. ჯ-იას“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ი-ის“ სს „ვ. ჯ-იას“ სასარგებლოდ დაეკისრა 3960,00 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 477-ე მუხლით და მიუთითა, რომ სს „ვ. ჯ-ია“ ითხოვს შპს „ი-ისათვის“ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდის დაკისრებას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ხელშეკრულებები სანვავის ნასყიდობაზე დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც მას ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 21 მარტს გაფორმებული №... გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები იმყოფებოდნენ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სანვავისა და მომსახურების შექმნა. სს „ვ. ჯ-იამში“ წარდგენილი შპს „ი-ის“

დირექტორ ი. მ-შვილის 2008 წლის 10 მაისის №... ბრძანების თანახმად, სანავის შექმნას შპს „ი-ის“ სახელით ახორციელებდა და შექმნის დოკუმენტებზე ხელს აწერდა ნ. ქ-შვილი.

სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ქ-შვილის უფლებამოსილება წარმოიშვა დაკავლების (მინდობილობის) საფუძველზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ი-ის“ შესაგებელში გაკეთებული მითითება, რომ, კანონმდებლობიდან გამომდინარე, შპს-ში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება პარტნიორების მიერ და შპს-ს დირექტორი არ არის უფლებამოსილი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭოს პირს, თუ ამის შესახებ არ არსებობს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მონინალმდევე მხარის წარმომადგენლის ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნებს. ხსენებული მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის 1-ლი წინადადების თანახმად, მოპასუხის, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სახელით ხელშეკრულების დადების უფლება ჰქონდა მის დირექტორს, რომელმაც ზემოთ ნახსენები ბრძანებით ამ უფლების დელეგირება მოახდინა ნ. ქ-შვილზე.

სააპელაციო სასამართლომ იხლემძღვანელმა სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 107-108-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში ნ. ქ-შვილის უფლებამოსილება (რწმუნებულება), შპს „ი-ის“ სახელით დაედო გარიგებები, საზოგადოების ახალი დირექტორის მიერ არ გაუქმებულა, შესაბამისად, სს „ვ. ჯ-იას“ ამ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არ შეიძლება სცოდნოდ.

ამდენად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოპასუხე შპს „ი-ის“ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებები არ განუხორციელებია, შესაბამისად, უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაში წინდახედულობისა და მენარმისათვის დამახასიათებელი გულისხმიერების ნორმები დაარღვია არა სს „ვ. ჯ-იამ“, არამედ შპს „ი-მა“.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ი-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველზე: სააპელაციო პალატამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 103-104-ე მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.9' და მე-10 მუხლები, რომელთა საფუძველზეც მოცემული ურთიერთობა უნდა მონესრიგებულიყო. მოცემულ შემთხვევაში სასამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა ორ საზოგადოებას შორის, შესაბამისად, აღნიშნული დავა უნდა გადაწყვედეს სპეციალური კანონის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს წარმომადგენლობას სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლიდა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებები სანავის მინორების თაობაზე შპს „ი-ის“ მხრიდან ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირების მიერ, რის გამოც მას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. აღნიშნული მოსაზრება სასამართლომ უარყო იმ საფუძველით, რომ მხარეები 2007 წლის 21 მარტს გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდნენ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ანგარიშსწორებას შპს „ი-ის“ სახელით ახორციელებდა და შექმნის დოკუმენტებზე ხელს აწერდა ნ. ქ-შვილი შპს „ი-ის“ დირექტორის ი. მ-შვილის 2008 წლის 10 მაისის ბრძანების საფუძველზე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე საზოგადოების დირექტორმა მოახდინა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებების დელეგირება ნ. ქ-შვილზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს ასეთი სახის შეფასება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. როგორც საქმეში წარმოდგენილი ბრძანების შინაარსიდან ირკვევა, ნ. ქ-შვილს მიენიჭა უფლებამოსილება, უზრუნველყო ყოველნაირი კომერციული გარიგებები, შეედგინა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან და პარტნიორ დაწესებულებებთან ხელშეკრულებები. მასვე ნება დაერთო, დირექტორის სახელით ხელმოწერის, ორგანიზაციის ბეჭედის გამოყენების, კადრების შერჩევის. მასვე დაევა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ასეთი სახის უფლებამოსილებათა მინიჭება გულისხმობს პირისათვის როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობის, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებათა მინიჭებას. სამენარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მკაცრად რეგლამენტირებული „მენარმეთა შესახებ“ კანონში. მითითებული საკითხის ასეთი სახის რეგულირება ქმნის სამენარმეო იურიდიული პირების საქმიანობისას საზოგადოების კონტრაპენტების უფლებათა დაცვის გარანტიას.

ზემოთ მითითებული კანონის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობენ და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენენ საზოგადოების დირექტორები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი). მითითებული ნორმატიული აქტი ცალსახად განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ამ პირთათვის ზემოთ აღნიშნულ უფლებამოსილებათა მინიჭება („მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9' მუხლის მე-6 პუნქტი) და რა მოთხოვნათა დაცვა აუცილებელი მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ნამდვილობისათვის. კანონის თანახმად, საზოგადოების დირექტორების შერჩევა ხდება პარტნიორთა კრებაზე და მათ შესახებ მონაცემები აისახება სამენარმეო რე-

ესტრუქტურაში, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მათ მიერ საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედებები სავალდებულოა საზოგადოებისათვის. ბუნებრივია, ნ. ქ-შვილი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი სახის უფლებამოსილებამოსილების მატარებელ პირად.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი იცნობს საზოგადოების წარმომადგენლობითი (და არა ხელმძღვანელობის) უფლებამოსილების მინიჭების სხვა შემთხვევებსაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირები – პროკურისტები, რომლებიც მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკურისტებს საზოგადოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ (გარდა მინის გასხვისების უფლებამოსილებისა, რომლის მისანიჭებლადაც აუცილებელია სპეციალური ნებართვა). აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლები და მისი წამდვილობისათვის აუცილებელი მოთხოვნებიც მკაცრად რეგლამენტირებული კანონში. პროკურის გაცემა მითითებული კანონის მე-9¹ მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა კრების კომპეტენციაა, მაგრამ ეს უფლებამოსილება შეიძლება მიანიჭონ დირექტორებმაც (მე-10 მუხლი). ამასთან, კანონი შეიცავს ამ პირთა სამენარმეო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნას. ხოლო ამ უფლებამოსილების ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში. ამასთან, პროკურა, განსხვავებით ბრძანებისაგან, არ წარმოადგენს ცალმხრივ აქტს და იგი იურიდიული ძალის მქონე აქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იღებს პირი, რომელიც უნდა გახდეს პროკურისტი.

მითითებულ ნორმებში რეგლამენტირებული დებულებებით უზრუნველყოფილია საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების კონტრაჰენტთა დაცულობის გარანტიას წარმოადგენს.

გარდა პროკურისა, კანონი იცნობს წარმომადგენლობის სხვა სახესაც. მაგალითად სავაჭრო წარმომადგენელს, მაგრამ მას ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტულ გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით.

შპს „ი-ის“ დირექტორის 2008 წლის 10 მაისის ბრძანებით ნ. ქ-შვილს მინიჭებული აქვს არა კონკრეტული მოქმედების, არამედ ზოგადად საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შეუძლებელია, ზემოთ მითითებულ მოთხოვნათა დაცვის გარეშე ასეთი უფლებამოსილების მინიჭება. იმ პირობებში, როდესაც ნ. ქ-შვილისთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია პარტნიორთა კრებას, დირექტორმა კი უფლებამოსილება მიანიჭა ცალმხრივი აქტის საფუძველზე და საჯარო რეესტრში ყოველგვარი ფიქსაციის გარეშე, შეუძლებელია ამ აქტის იურიდიული ძალის მქონედ მიჩნევა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პალატა მიიჩნევს, რომ გასაზიარებელია შპს „ი-ის“ მოსაზრება ნ. ქ-შვილის არაუფლებამოსილ პირად მიჩნევის თაობაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატა თვლის, რომ მითითებული გარემოება ცალსახად არ გამოირიცხავს შპს „ი-ის“ პასუხიმგებლობას სს „ვ. ჯ-იას“ მიმართ. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებამ თუნდაც არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად საწვავი მიიღო და გამოიყენა საზოგადოების საჭიროებისათვის, მას წარმოეშვება პასუხისმგებლობა სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლების საფუძველზე. აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს არ უმსჯელია და შესაბამისად არ დაუდგენია ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საკასაციო პალატას მისცემდა შესაძლებლობას, გამოეტანა გადაწყვეტილება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, მიიღო თუ არა შპს „ი-მა“ სს „ვ. ჯ-იასაგან“ სარჩელში მითითებული საწვავი და გამოყენებულია თუ არა იგი საზოგადოების საჭიროებისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

ღ ა ა ღ ბ ი ნ ა:

შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზოგადოების წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის საგნის ღირებულებისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „გ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ი-ის“ მიმართ მიწოდებული საწვავის ღირებულების – 8875 ლარისა და თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს – 2010 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით წარმოებული გაანგარიშების საფუძველზე – 9809,84 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით: მოპასუხეს 2008 წლის ოქტომბრის თვეში შპს „გ-მა“ მიანოდა 13875 ლარის ღირებულების საწვავი, საიდანაც მოპასუხემ ანაზღაურა მხოლოდ ნაწილი, შესაბამისად, მოსარჩელე სასამართლო წესით მოითხოვს მოპასუხისათვის ვალდებულების სრულყოფილად შესრულების დავალდებულებას და მისი შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას.

მოპასუხე შპს „ი-მა“ სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი: შპს „ი-ს“ არ გამოუხატავს ხელშეკრულების დადების ნება, ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული სანარმოს კანონიერი წარმომადგენლის – დირექტორ ნ. გ-ლის მიერ და ხელშეკრულების დადებ პირს არც ამ უკანასკნელისაგან ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება დაედო გარიგება, შესაბამისად, საზოგადოება არ არის ვალდებული, მოსარჩელეს გადაუხადოს თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით შპს „გ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „გ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი, რომლითაც შპს „გ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ი-ს“ შპს „გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 13875 ლარიდან აუნაზღაურებელი 8875 ლარის, ასევე პირგასამტეხლოს – 934,84 ლარის, სულ – 9809 ლარისა და 84 თეთრის გადახდა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ 2008 წლის 20 ოქტომბერს შპს „გ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის გაფორმდა საწვავის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საწვავის მიწოდებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის დაგვიანებით ჩარიცხვის შემთხვევაში მოხდებოდა პირგასამტეხლოს დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02%-ის ოდენობით. შპს „ი-ის“ სახელით ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ნ. რ-ლმა. სარჩელის საგანს წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, ანუ მიწოდებული საწვავის ღირებულებიდან – 13875 ლარიდან აუნაზღაურებელი 8875 ლარის გადახდა, ასევე გადაწყვეტილების აღსრულებამდე საურავის დაკისრება, რაც 2010 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით შეადგენდა 934,84 ლარს.

მოპასუხე სადავოდ ხდის 2008 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირის – ნ. რ-ლის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, შესაბამისად, სარჩელის საფუძველიანობის შესამოწმებლად უნდა დადგინდეს: ჰქონდა თუ არა ნ. რ-ლს გარიგების დადების უფლება და ამ გარიგების საფუძველზე წარმოეშვა თუ არა შპს „ი-ს“ საწვავის დარჩენილი ღირებულებისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება. სადავო ხელშეკრულების თანახმად, ნ. რ-ლი შპს „ი-ის“ დირექტორის მოადგილეა და ხელშეკრულება დადასტურებულია შპს „ი-ის“ ბეჭდით. შპს „ი-ის“ სახელით საწვავის მიღება დადასტურა და 2008 წლის 20 ოქტომბრიდან 2008 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით გაცემულ საგადასახადო ანგარიშფაქტურებზე შესაბამისი ხელმოწერა განახორციელა ნ. რ-ლმა, მიწოდებული საწვავის ღირებულება, ანგარიშფაქტურების მიხედვით, განისაზღვრა 13875 ლარის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის 2010 წლის 18 მარტის წერილზე დაყრდნობით, პალატამ ჩათვალა, რომ თბილისის რეგიონალურ ცენტრში შპს „ი-ის“ მიერ 2008 წლის ოქტომბრის თვის დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციასთან ერთად წარმოდგენილია სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, ხოლო შპს „ი-ის“ 2008 წლის ოქტომბრის დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციაზე სანარმოს ხელმოწერის გრაფაში დაფიქსირებულია ხელმოწერა „ნ. რ-ლი“. ამდენად, 2008 წლის ოქტომბრის თვეში შპს „ი-ის“ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ნ. რ-ლი ახორციელებდა არა მხოლოდ შპს „გ-თან“, არამედ საგადასახადო ორგანოებთან მიმართებაშიც.

მენარმეთა და არაკომერციულ იურიდიულ პირთა რეესტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით, პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 14 ივლისიდან შპს „ი-ის“ დირექტორად რეესტრში რეგისტრირებულია ნ. გ-ლი, ამ უკანასკნელის რეგისტრაციამდე კი 2006 წლის 10 ივლისიდან 2008 წლის 14 ივლისამდე რეგისტრირებული იყო ი. მ-ლი. შპს „არბიტრაჟის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შპს „ი-ის“ დირექტორის უფლებამოსილება შეუწყდა ი. მ-ლს, ამასთან საქმეში წარმოდგენილია ი. მ-ლის, როგორც შპს „ი-ის“ დირექტორის მიერ 2008 წლის 10 მაისს, იმ პერიოდში, როდესაც იგი იყო შპს „ი-ის“ რეგისტრირებული დირექტორი, გაცემული ბრძანება, რომლითაც ნ. ქ-ლს, როგორც დირექტორის მოადგილეს, დაე-

ვალა, უზრუნველყო ყველანაირი კომერციული გარიგებები და ნება დაერთო ხელი მოეწერა შპს „ი-ის“ მიერ დადებულ გარიგებებზე და გამოეყენებინა ორგანიზაციის ბეჭედი. ის ფაქტი, რომ ბრძანებაში მითითებული ნ. ქ-ლი იგივე ნ. რ-ლია, სადავო არ არის.

პალატამ მიიჩნია, რომ მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ გამოცემული ბრძანება საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე შინაარსობრივად წარმოადგენს საწარმოს სახელით გაცემულ მინდობილობას, დირექტორის შეცვლა, თავისთავად არ იწვევს წინა დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის ბათილობას, ხოლო რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ამ მინდობილობის 2008 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით ახალი დირექტორის მიერ გაუქმებას, საქმეში არ მოიპოვება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ საწარმოს მთელ საბუღალტრო დოკუმენტაციას, ბეჭედს სადავო პერიოდში ფლობდა ნ. რ-ლი, რომელიც მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენდა საწარმოს, არსებობდა საწარმოს ძველ და ახალ დირექტორს შორის დაპირისპირება, არ შეიძლება გახდეს საწარმოს სახელით დადებული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისაგან საწარმოს განთავისუფლების საფუძველი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის პოზიცია, რომ ნ. რ-ლი, როგორც გარიგებით წარმომადგენელი, უფლებამოსილი იყო, 2008 წლის 20 ოქტომბერს დაედო საწვავის ნასყიდობის ხელშეკრულება. პალატამ ასევე გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მაშინაც კი, რომ არ არსებობდეს ნ. რ-ლის სახელზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმნიჭებელი ბრძანება, ნ. რ-ლის მიერ შპს „ი-ის“ სახელით 2008 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშვა შპს „ი-ს“.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლზე და განმარტა, რომ ნ. რ-ლის მიერ შპს „ი-ის“ ბეჭდით გარიგების დამოწმება, ასევე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შპს „ი-ის“ სახელით საგადასახადო ორგანოში წარდგენა, ისეთი ურთიერთობებია, რაც სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილეს შეუქმნიდა ვარაუდს, რომ იგი შპს „ი-ის“ უფლებამოსილი წარმომადგენელია.

მოპასუხეს მოთხოვნილი თანხის დაანგარიშება სადავოდ არ გაუხდია, ხოლო მოსარჩელე თავად ადასტურებს მოპასუხის მხრიდან საწვავის ღირებულების ნაწილის ანაზღაურებას და ითხოვს 13875 ლარიდან დარჩენილი 8875 ლარის გადახდას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 477-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ვალდებულება ჯერონდ და კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაეკისროს როგორც მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 13875 ლარიდან აუნაზღაურებელი 8875 ლარის გადახდა, ასევე პირგასამტეხლოს გადახდა 934,84 ლარის ოდენობით, ანუ ჯამში 9809,84 ლარის გადახდა. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით, 418-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 420-ე მუხლით და განმარტა, რომ 2010 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით დაანგარიშებული პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულია და მთელ პერიოდზე მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ ამ ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ი-ის“ წარმომადგენელმა ნ. გ-ლმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განხილვისათვის შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 9¹ და მე-10 მუხლები.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „გ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის ადგილი ჰქონდა კომერციული გარიგების დადებას, საწვავის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს არა საზოგადოების დირექტორი, არამედ ნ. რ-ლი, ხოლო ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ნ. რ-ლი შპს „ი-ის“ დირექტორის მოადგილეა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დირექტორი უფლებამოსილია, საზოგადოების სახელით დადოს გარიგება, მასვე აქვს უფლება მისი ზემოაღნიშნული უფლებამოსილების დელეგირებაზე, რაც ყოფილმა დირექტორმა განახორციელა კიდევაც 2008 წლის 10 მაისის №1/17-08 ბრძანებით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემული დავა შეეხება ორ სამენარმეო სუბიექტს, მისი რეგულირება უნდა მოხდეს სპეციალური კანონით – „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და არა სამოქალაქო კოდექსის 103-104-ე მუხლებით.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს საზოგადოების სახელით გარიგების დადებას ნესს და განსაზღვრავს სუბიექტებს, ვინც უფლებამოსილია აწარმოოს გარიგებები, ამ სუბიექტებს განეკუთვნებიან დირექტორი, პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი.

კანონით ასევე განსაზღვრულია, რომ წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე უნდა მიეთითოს სამენარმეო რეესტრში, ხოლო თავად გენერალური სავაჭრო მინდობილობის გაცემის უფლებამოსილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვს პარტნიორთა კრებას და არა საწარმოს დირექტორს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინებით შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულება დაამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ მითითებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება სანჯავის მიწოდების თაობაზე შპს „ი-ის“ მხრიდან ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც მას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. აღნიშნული მოსაზრება სასამართლომ უარყო იმ საფუძველით, რომ მხარეები 2008 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ანგარიშსწორებას შპს „ი-ის“ სახელით ახორციელებდა და შეძენის დოკუმენტებზე ხელს აწერდა ნ. ქ-ლი შპს „ი-ის“ დირექტორ ი. მ-ლის 2008 წლის 10 მაისის ბრძანების საფუძველზე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე საზოგადოების დირექტორმა მოახდინა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებების დელეგირება ნ. ქ-ლზე (რ-ლზე).

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. რ-ლი, როგორც გარიგებით წარმომადგენელი, უფლებამოსილი იყო, 2008 წლის 20 ოქტომბერს დაედო სანჯავის ნასყიდობის ხელშეკრულება. ასევე მაშინაც კი, რომ არ არსებობდეს ნ. რ-ლის სახელზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმნიჭებელი ბრძანება, ნ. რ-ლის მიერ შპს „ი-ის“ სახელით 2008 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშვა შპს „ი-ის“.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევაზე, კერძოდ:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. როგორც საქმეში წარმოდგენილი ბრძანების შინაარსიდან ირკვევა, ნ. ქ-ლს მიენიჭა უფლებამოსილება, უზრუნველყო ყოველნაირი კომერციული გარიგებები, შეედგინა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან და პარტნიორ დაწესებულებებთან ხელშეკრულებები, მასვე ნება დაერთო, დირექტორის სახელით ხელმოწერის, ორგანიზაციის ბუჯედის გამოყენების, კადრების შერჩევის, ასევე დაევალა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ასეთი სახის უფლებამოსილებათა მინიჭება გულისხმობს პირისათვის, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობის, ასევე წარმომადგენლობით უფლებამოსილებათა მინიჭებას.

სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მკაცრად რეგლამენტირებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში. მითითებული საკითხის ასეთი სახის რეგულირება ქმნის სამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობისას საზოგადოების კონტრაჰენტების უფლებათა დაცვის გარანტიას. მართალია გარიგების წარმომადგენლის მეშვეობით დადების საკითხი მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ნორმებით (სკ-ის 103-114 მუხლები), თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენცია, რაც გადაწყვეტილია სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლით.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობენ და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენენ საზოგადოების დირექტორები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი). მითითებული კანონი ცალსახად განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ამ პირთათვის დასახელებულ უფლებამოსილებათა მინიჭება („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-6 პუნქტი) და რა მოთხოვნათა დაცვაა აუცილებელი მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ნამდვილობისათვის. კანონის თანახმად, საზოგადოების დირექტორების შერჩევა ხდება პარტნიორთა კრებაზე და მათ შესახებ მონაცემები აისახება სამეწარმეო რეესტრში, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მათ

მიერ საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედებები სავალდებულოა საზოგადოებისათვის. ბუნებრივია, ნ. ქ-ლი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი სახის უფლებამოსილების მატარებელ პირად.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს საზოგადოების წარმომადგენლობითი (და არა ხელმძღვანელობის) უფლებამოსილების მინიჭების სხვა შემთხვევებსაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირები – პროკუტისტები, რომლებიც, მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკუტისტებს საზოგადოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ (გარდა მინის გასხვისების უფლებამოსილებისა, რომლის მისანიჭებლაც აუცილებელია სპეციალური ნებართვა). აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლები და მისი ნამდვილობისათვის აუცილებელი მოთხოვნებიც მკაცრად რეგლამენტირებული კანონში. პროკუტის გაცემა მითითებული კანონის 9¹ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა კრების კომპეტენციაა, მაგრამ ეს უფლებამოსილება შეიძლება მიანიჭონ დირექტორებმაც (მე-10 მუხლი). ამასთან, კანონი შეიცავს ამ პირთა (პროკუტისტების) სამენარმეო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნას, ხოლო ამ უფლებამოსილების ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდით ორგანოში. პროკურა, განსხვავებით ბრძანებისაგან, არ წარმოადგენს ცალმხრივ აქტს და იგი იურიდიული ძალის მქონე აქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იღებს პირი, რომელიც უნდა გახდეს პროკუტისტი.

მითითებულ ნორმებში რეგლამენტირებული დებულებებით უზრუნველყოფილია საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების კონტრაქტუალური და ცულობის გარანტიას წარმოადგენს.

გარდა პროკუტისა, კანონი იცნობს წარმომადგენლობის სხვა სახესაც. მაგალითად სავაჭრო წარმომადგენელს, მაგრამ მას ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტული გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ი-ის“ დირექტორის 2008 წლის 10 მაისის ბრძანებით ნ. ქ-ლს მინიჭებული აქვს არა კონკრეტული მოქმედების, არამედ ზოგადად საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რაც შეუსაბამოა ზემოთ მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობასთან. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ნ. ქ-ლისთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია პარტნიორთა კრებას, დირექტორმა კი უფლებამოსილება მიანიჭა ცალმხრივი აქტის საფუძველზე და სამენარმეო რეესტრში ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, პალატა მიიჩნევს, რომ ამ აქტის ნამდვილად აღიარება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რაც კიდევ ერთხელ უთითებს საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ცალსახად არ შეიძლება გამოირიცხოს შპს „ი-ის“ პასუხისმგებლობა შპს „გ-ის“ მიმართ. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებამ თუნდაც არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად სანვავი მიიღო და გამოიყენა საზოგადოების საჭიროებისათვის, მას წარმოეუვა პასუხისმგებლობა სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლების საფუძველზე. მართალია სააპელაციო სასამართლომ დადგინოთ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „ი-ის“ სახელით სანვავის მიღება დაადასტურა და 2008 წლის 20 ოქტომბრიდან 2008 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით გაცემულ საგადასახადო ანგარიშფაქტურებზე შესაბამისი ხელმოწერა განახორციელა ნ. რ-ლმა, თუმცა, იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ სადავო გარიგებაში ნ. რ-ლი მოქმედებდა როგორც არაუფლებამოსილი პირი, მის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე ხელმოწერა და შპს „ი-ის“ მიერ დღე-ში ჩათვლის მიღება ცალსახად არ ადასტურებს შპს „ი-ის“ მიერ სანვავის მიღების ფაქტს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, შპს „ი-ის“ მიერ სანვავის მიღება, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დივიდენდის მოთხოვნის უფლება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: დივიდენდის გადახდა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. ს-შვილმა მოპასუხე შპს „თ-ის“ მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ შპს „თ-სათვის“ 126937.2 ლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, ნ. ს-შვილი წარმოადგენდა შპს „თ-ის“ პარტნიორს. მის საკუთრებაში იყო აღნიშნული საზოგადოების 1.1%-იანი წილი. ამ წილზე საკუთრების უფლება მას წარმოეშვა შპს „თ-ის“ რეგისტრაციის დღიდან და ეს უფლება არსებობდა 2006 წლის 2 მაისამდე, ვიდრე ნ. ს-შვილი კუთვნილ წილზე საკუთრების უფლებას გადასცემდა შპს „თ-ს“, რის სანაცვლოდაც მიიღო საკუთრების უფლება სს „თ-ის“ გარკვეული რაოდენობის აქციებზე. 2004 და 2005 წლებში შპს „თ-ს“ ჰქონდა წლიური მოგება, რის შედეგადაც ნ. ს-შვილს კუთვნილი დივიდენდის ოდენობა შეადგენდა 68550 ლარს, კერძოდ, 2004 წლის წმინდა მოგებიდან ნ. ს-შვილს დივიდენდის სახით უნდა მიეღო 23010 ლარი, ხოლო 2005 წლის მოგებიდან კი 45540 ლარი. დასახელებული თანხიდან შპს „თ-ის“ მიერ გადახდილ იქნა მხოლოდ მცირე ნაწილი – საზოგადოებაში ნ. ს-შვილი გადასცა მხოლოდ 11505 ლარი, რისი გათვალისწინებითაც დავალიანება ამ დროისათვის შეადგენდა 57045 ლარს. იმის გამო, რომ 2004 წლის დივიდენდი 23000 ლარის ოდენობით უნდა განაწილებულიყო პარტნიორებს შორის არაუგვიანეს 2005 წლის 1 აპრილისა, ხოლო 2005 წლის დივიდენდი 45540 ლარი არაუგვიანეს 2006 წლის 1 აპრილისა, ამასთან, რამდენადაც ამ ვალდებულებიდან შესრულებული იყო აღნიშნული დროისათვის მხოლოდ მცირედი ნაწილი, ნ. ს-შვილს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. ზიანი გამოიხატებოდა მიუღებელ შემოსავალში, კერძოდ, თანხის დროულად გადახდის შემთხვევაში ნ. ს-შვილი შეძლებდა ამ თანხების სესხის სახით გაცემას, რის შედეგადაც მიიღებდა დამატებით შემოსავალს, რაც საშუალოდ შეადგენდა ყოველთვიურად 3 პროცენტს. ვადაგადაცილების პერიოდისა და დავალიანების ოდენობის გათვალისწინებით, ამგვარად მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 69892.2 ლარი. ამდენად, მოსარჩელის მითითებით, შპს „თ-ის“ მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა ძირითადი თანხისა და ზიანის სახით ჯამში 126937.2 ლარს შეადგენდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2006 წლის მარტში შპს „თ-ის“ პარტნიორმა ნ. ს-შვილმა პირადი განცხადებით მოითხოვა კომპანიის პარტნიორობიდან გასვლა, შენატანის დაბრუნება და მის საკომპენსაციოდ სს „თ-ში“ შპს „თ-ის“ აქციებიდან 701478 ცალი აქციის მიღება. 2006 წლის 2 მაისს ნ. ს-შვილმა წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „თ-ში“ თავისი კუთვნილი წილი – 1.1%, მისგან გამომდინარე ყველა უფლებასთან ერთად, დათმო პარტნიორობიდან გასვლით. მოსარჩელემ კომპანიაში წილთან ერთად პარტნიორობიდან გასვლით დათმო ის მოთხოვნები და აქტივები, რაც ამ წილზე საკუთრებიდან გამომდინარეობდა, მათ შორის, შესაძლო დივიდენდის მიღების უფლებაც, რომელიც წლის დათმობის შემდეგ გადავიდა შპს „თ-ის“ პარტნიორებზე მათი წლების პროპორციულად;

დივიდენდის მიღების უფლება შპს-ში პარტნიორობის თანმდევი და განუყოფელი აქცესორული უფლებაა. ამასთან, პარტნიორობა და დივიდენდის მიღების უფლება ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ პარტნიორობის გარეშე იგი არც შეიძლება არსებობდეს, პარტნიორობის გადასვლა სხვა პირებზე ავტომატურად იწვევს მიუღებელი დივიდენდის მიღების უფლების, როგორც კომპანიის წილზე საკუთრების განუყოფელი ნაწილის გადასვლასაც. თუკი შპს „თ-დან“ დივიდენდის მიღების უფლება დარჩებოდა ნ. ს-შვილს, მაშინ სპეციალური დათქმა უნდა ყოფილიყო ამის შესახებ წილის დათმობის ხელშეკრულებაში, რაც არ განხორციელებულა;

კომპანიაში დათმობილი წილის სანაცვლოდ, მოსარჩელემ 2006 წლის 2 მაისის აქციების გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თ-საგან“ მიიღო სს „თ-ში“ საზოგადოების კუთვნილი აქციები – 701478 აქცია. ამდენად, ნ. ს-შვილმა პარტნიორობიდან გამომდინარე მოთხოვნები დათმო სხვა შესრულების მიღების სანაცვლოდ, რაც წარმოადგენდა ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს;

მოსარჩელის მიერ სარჩელზე დართული მტკიცებულებები არ წარმოადგენს შპს „თ-დან“ დივიდენდის მიღების უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებებს;

სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომანტიდან (2005-2006 წლების 1 აპრილიდან) გასულია ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 სექტემბრის საოქმო განჩინებით აღნიშნულ საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაებნენ: პ. თ-ია, ნ. ბ-ძე, კ. ყ-ი.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „თ-ს“ ნ. ს-შვილს სასარგებლოდ დაეკისრა 94137.96 ლარის გადახდა (ძირითადი თანხის სახით 48827 ლარი, ხოლო ზიანის სახით 45300 ლარი).

საქალაქო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ს-შვილი წარმოადგენდა შპს „თ-ის“ საწესდებო კაპიტალის 1.1% წილის მფლობელს და დასახელებული საზოგადოების პარტნიორს. აღნიშნული წილი ნ. ს-შვილმა დათმო მასა და შპს „თ-ს“ შორის 2006 წლის 2 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

შპს „თ-ს“ 2004 წლის და 2005 წლისათვის ჰქონდა წმინდა მოგება, საიდანაც უნდა განანილებულიყო პარტნიორთა დივიდენდი;

შპს „თ-მა“ ნ. ს-შვილს გადაუხადა 2005 წლის 17 მაისის მდგომარეობით 8208 ლარი, ხოლო 2007 წლის 17 მაისისათვის – 11505 ლარი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც მოსარჩელე წარმოადგენდა შპს „თ-ის“ პარტნიორს, მას პარტნიორობიდან გამომდინარე, ჰქონდა უფლება მიეღო საზოგადოების მოგებიდან თავისი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისი მოგება (დივიდენდი). საზოგადოებას მითითებული პერიოდისათვის ჰქონდა მოგება და ამ მოგებაში პარტნიორის, ნ. ს-შვილს დივიდენდმა შეადგინა, ერთ შემთხვევაში, 2004 წლის მოგებიდან – 23010 ლარი, ხოლო 2005 წლის მოგებიდან – 45540 ლარი. მოპასუხე მხარეს რაიმე საპირისპირო მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებას დასახელებული პერიოდისათვის მოგება არ ჰქონია და შესაბამისად, არც დივიდენდი საზოგადოების პარტნიორთა შორის არ უნდა განანილებულიყო, სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „თ-ს“ დასახელებული პერიოდისათვის (2004-2005 წლები) ჰქონდა წმინდა მოგება და ამ მოგებიდან ნ. ს-შვილს, მისი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობიდან გამომდინარე, წარმოეშვა მოთხოვნა დივიდენდზე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადავო იყო სწორედ ის საკითხი, განხორციელდა, თუ არა მოსარჩელის მიერ წილის დათმობის ხელშეკრულების დათმობით, დივიდენდზე მოთხოვნის დათმობაც.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ს-შვილს, რომელმაც 2006 წლის 2 მაისს დათმო შპს „თ-ის“ წილი და გადასცა იგი ამავე საზოგადოებას, აღარ გააჩნდა დივიდენდის მოთხოვნის უფლება, რადგან წილზე საკუთრების უფლებასთან ერთად დივიდენდის მიღების უფლებაც გადაეცა წილის მიმღებს.

სასამართლომ მიუთითა დივიდენდის მიღების უფლების სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტა, რომ პარტნიორობა საზოგადოებაში პარტნიორს ანიჭებს უფლებას, მიიღოს მისი წილობრივი მონაწილეობიდან გამომდინარე გარკვეული მოგება (დივიდენდი) და პარტნიორის აღნიშნული უფლების – დივიდენდის მიღების უფლების განხორციელება დამოკიდებულია საზოგადოების მიერ წმინდა მოგების მიღებაზე. სწორედ საზოგადოების მიერ წმინდა მოგების პირობებში ხდება პარტნიორის მოგების მიღების უფლების რეალიზაცია და აღნიშნული უფლების განხორციელება იმდაგვარად, რომ პარტნიორს უკვე წარმოეშობა დივიდენდის მიღებაზე მოთხოვნის უფლება. ეს უკანასკნელი კი, სასამართლოს მოსაზრებით, განხილულ უნდა იქნეს პარტნიორის უფლების ნაყოფად, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დამოუკიდებელ ობიექტს.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო კოდექსის 154-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ უფლებამოსილება ნივთზე ან უფლებაზე შეუძლებელს ხდის ამ ნივთისა, თუ უფლების ნაყოფის მიღებას ამ უფლებამოსილების ვადისა და მოცულობის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ საზოგადოებამ წმინდა მოგება მიიღო იმ პერიოდში (2004-2005 წლები), როდესაც ნ. ს-შვილი საზოგადოების პარტნიორს წარმოადგენდა, რომელსაც როგორც საზოგადოების 1.1 პროცენტი წილის მესაკუთრეს წარმოეშვა დივიდენდის მიღებაზე მოთხოვნის უფლება. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა არა საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე უფლებას, არამედ მის ნაყოფს.

2006 წლის 2 მაისის წილის დათმობის ხელშეკრულების დათქმიდან: „წილის დათმობით, წილის მიმღებზე გადადის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა წილის პროპორციული მატერიალური და არამატერიალური პასივები და აქტივები“, გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული ჩანაწერი გულისხმობდა პარტნიორის უფლება-მოვალეობების გადაცემას და არა პარტნიორის განხორციელებული, უკვე რეალიზებული უფლების – ნაყოფის გადაცემას. ამდენად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2006 წლის ხელშეკრულების ძალით წილის და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების წილის პროპორციული მატერიალური ან არამატერიალური პასივისა და აქტივის გადაცემა გულისხმობდა ხელშეკრულების დადების თარიღიდან მოყოლებული ყველა უფლებისა და მოვალეობის, პასივისა და აქტივის მხარის შეცვლას. რაც შეეხებოდა უფრო ადრე, წილის მესაკუთრეობიდან გამომდინარე მოთხოვნას დივიდენდზე, იგი გადაცემულად ვერ ჩაითვლებოდა საამისოდ სპეციალური დათქმის არარსებობის გარეშე. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის მიერ განვითარებული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში გამოდიოდა, რომ ნ. ს-შვილის მიერ კუთვნილი დივიდენდის მიღების შესახებ მოთხოვნის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში საზოგადოება უფლებამოსილი იყო შედავებოდა მესამე პირს, საზოგადოების პარტნიორობიდან გასული ნ. ს-შვილის მიერ გასხვისებული მოთხოვნის თაობაზე, რაც მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მტკიცება დივიდენდზე მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან მიმართებით სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიცია, რომ მოცემული მოთხოვნის მიმართ უნდა გავრცელებულიყო არა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, კერძოდ 5-წლია-

ნი ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ დივიდენდის სახით 2007 წლის 11 მაისს ნ. ს-შვილს სასარგებლოდ 11505 ლარის გადახდით, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესიდან გამომდინარე, ფაქტობრივად განხორციელდა დასახელებულ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. იმის გათვალისწინებით, რომ 2004 წლის წმინდა მოგებიდან ნ. ს-შვილს კუთვნილი დივიდენდის განაწილების და გადაცემის ვადა დადგა 2005 წლის აპრილიდან, ხოლო 2005 წლის წმინდა მოგებიდან გამომდინარე დივიდენდის განაწილების და შესრულების ვადა საზოგადოებისათვის დადგა 2006 წლის აპრილიდან, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა 2004-2005 წლების მოგებიდან კუთვნილი დივიდენდის მიღების თაობაზე, ხანდაზმულად არ ჩათვალა.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება), ხოლო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გაცეს ამის დამატებითი დოკუმენტი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ და მე-3 ნაწილებზე და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ ნ. ს-შვილმა წილთან ერთად დათმო დივიდენდზე მოთხოვნის უფლება. ამასთან, მხარეს რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ საზოგადოების მიერ განხორციელდა მოსარჩელის მიმართ დივიდენდის გაცემა და ვალდებულების შეწყვეტა, სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიუღებელი შემოსავლის თაობაზე ასევე დასაბუთებულად მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული და მე-400 მუხლის „ა“ პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ფული წარმოადგენს მაღალი ბრუნვაუნარიანობის მქონე ობიექტს და განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს ფულადი ვალდებულების შესრულების დაყოვნებისას ამით გამოწვეული ზიანი. მიუხედავად, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ სადავო არ გამხდარა მოსარჩელის მტკიცება იმაზე, რომ თანხების დროულად მიღების შემთხვევაში, ფულადი თანხების გასესხების მეშვეობით მიიღებდა შემოსავალს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ყოველთვის ვადის გადაცილებისათვის გადასახდელი პროცენტის ოდენობად მოითხოვდა დავალიანების 3%-ის დაკისრებას მოპასუხისათვის, თუმცა სასამართლომ გონივრულად ჩათვალა მისი შემცირება 2%-მდე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ს-შვილს მოთხოვნა შპს „თ-ის“ მიმართ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, მოპასუხე მხარეს მის სასარგებლოდ დივიდენდის სახით უნდა დაკისრებოდა 48 827 ლარი (უკვე მიღებული დივიდენდის გამოკლებით, ანუ 68540 – 8208 ლარი – 11505 ლარი = 48 827 ლარი), ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით 45300 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „თ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით შპს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, დავის გადაწყვეტისას მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 152-ე, 154-ე, 317-ე, 361-ე, 129-ე, 130-ე, 137-ე მუხლებით, ასევე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15, 50-ე მუხლებით და სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო ნორმათა სწორი განმარტება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის პრეტენზია იყო დაუსაბუთებელი და მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „თ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ პარტნიორობიდან გასვლით დათმო ის მოთხოვნები და აქტივები, რაც მის წილზე საკუთრებიდან გამომდინარეობდა. ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანს, რომ ნ. ს-შვილმა შპს „თ-ის“ სასარგებლოდ დათმო ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობა, რაც მოიცავს დივიდენდის მიღების უფლებასაც. ამასთან, მოსარჩელემ 2006 წლის 2 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თ-საგან“ მიიღო სს „თ-ის“ 701478 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები, რითაც მან დათმო პარტნიორობიდან გამომდინარე მოთხოვნები (მათ შორის დივიდენდის მიღების უფლება) სხვა შესრულების მიღების სანაცვლოდ, რაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.

კასატორის მითითებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი გულისხმობს პარტნიორის უფლება-მოვალეობების გადაცემას და არა პარტნიორის განხორციელებული, რეალი-

ზებული უფლების (ნაყოფის) გადაცემას, თუმცა აღნიშნული მოსაზრება არ არის დასაბუთებული. სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის აზრს, რომ დივიდენდის მოთხოვნის უფლება გადაცემულად ვერ ჩაითვლება საამისოდ სპეციალური დათქმის არარსებობის გამო. სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომ საჭიროებს აღნიშნული სპეციალურ დათქმას, მაშინ როდესაც ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ წილის დათმობით წილის მიმღებზე გადადის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა.

კასატორის განმარტებით, დივიდენდის მიღების უფლება პარტნიორობის თანამდევნი და განუყოფელი უფლებაა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად, პარტნიორებს აქვთ წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება, მოგების ჩათვლით და ზარალის გამოკლებით, თუ კანონით ან საზოგადოების წესდებით ანდა პარტნიორთა გადაწყვეტილებით დაშვებულია ამ თანხის განაწილება პარტნიორებს შორის. ამ ნორმაში კანონმდებელმა აქცენტი გააკეთა პარტნიორებზე. პარტნიორობა და დივიდენდის მიღების უფლება კი ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ პარტნიორობის გარეშე იგი არ შეიძლება არსებობდეს. საზოგადოებიდან ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა ავტომატურად იწვევს სხვა პარტნიორებზე მიუღებელი დივიდენდის მიღების უფლების, როგორც წილზე საკუთრების უფლების განუყოფელი და თანმდევნი უფლების გადასვლას. ამიტომ, კასატორს მიაჩნია, რომ თუკი შპს „თ-დან“ დივიდენდის მიღების უფლება დარჩებოდა ნ. ს-ს, მაშინ ამის შესახებ სპეციალური დათქმა უნდა ყოფილიყო წილის დათმობის ხელშეკრულებაში. მოცემულ შემთხვევაში ასეთი რამ არ განხორციელებულა. პირიქით, მან წილის დათმობით დათმო ხელშეკრულების საგნიდან (წილიდან) გამომდინარე, იმ დროისათვის არსებული უფლება-მოვალეობები – წილის პროპორციული მატერიალური და არამატერიალური აქტივები და პასივები. შესაბამისად, დივიდენდის მიღების უფლება ნ. ს-სგან სხვა პარტნიორებზე გადავიდა მათი წილების პროპორციულად.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა ზიანის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან ზიანის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ არის წარმოდგენილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ს-შვილი წარმოადგენდა შპს „თ-ის“ პარტნიორს, რომლის წილი სანესდებო კაპიტალში შეადგენდა

1.1 პროცენტს;

2006 წლის 2 მაისს ნ. ს-შვილსა და შპს „თ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ნ. ს-მა, საზოგადოების პარტნიორობიდან გასვლით, თავისი კუთვნილი წილი (1.1 პროცენტი) დაუთმო შპს „თ-ს“;

დათმობილი წილის საკომპენსაციოდ, 2006 წლის 2 მაისის ხელშეკრულებით, შპს „თ-მა“ ნ. ს-შვილს საკუთრებაში გადასცა სს „თ-ში“ შპს „თ-ის“ კუთვნილი 701478 ცალი აქცია, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენს 701478 ლარს;

შპს „თ-ს“ 2004-2005 წლებში ჰქონდა წმინდა მოგება, საიდანაც ნ. ს-ს, საზოგადოებაში მისი წილის პროპორციულად, წარმოეშვა მოთხოვნის უფლება დივიდენდზე;

შპს „თ-მა“ ნ. ს-შვილს 2005 წლის 17 მაისს გადაუხადა 11505 ლარი, ხოლო 2007 წლის 17 მაისს – 8208 ლარი.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მოსარჩელე ნ. ს-შვილს გააჩნდა დივიდენდის მოთხოვნის უფლება შპს „თ-ის“ 2004-2005 წლების წმინდა მოგებიდან, რომელიც მას არ დაუთმია შპს „თ-თან“ 2006 წლის 2 მაისს დადებული „წილის დათმობის“ ხელშეკრულებით.

კასატორის მოსაზრებით, საზოგადოების მოგებიდან შესაძლო დივიდენდის მიღების უფლება მოსარჩელემ დათმო 2006 წლის 2 მაისის „წილის დათმობის“ ხელშეკრულებით, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით შპს „თ-ზე“ წილთან ერთად გადავიდა მასთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა, მათ შორის, წილის პროპორციული მატერიალური აქტივები. კასატორი უთითებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ დივიდენდის მიღების უფლება პარტნიორობის თანამდევნი და განუყოფელი უფლებაა, ამიტომ, თუ პარტნიორი საზოგადოებიდან გასვლით თმობს წილს, იგი წილთან ერთად თმობს დივიდენდის მიღების უფლებასაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დივიდენდის სამართლებრივი ბუნების გარკვევა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება („მენარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან („მენარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). მითითებულ ნორმათა მიხედვით, დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძვე-

ლი შეიძლება იყოს სანარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადანყვეტილებას პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ, ვინაიდან შპს „თ-ში“ 2004-2005 წლებში არსებობდა მოგება, ამიტომ მოსარჩელეს წარმოეშვა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნას არ ეთანხმება, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სამეურნეო წლის ბოლოს საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის (დივიდენდის მოთხოვნის) უფლების წარმოშობა აუცილებლად საჭიროებს პარტნიორთა კრების გადანყვეტილებას. ამდენად, მოსარჩელე ნ. ს-შვილს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ შპს „თ-ის“ პარტნიორთა კრების გადანყვეტილებით სანარმოს წლიური მოგება გადანაწილდა დივიდენდების სახით. ასეთი კრების ჩატარების ფაქტზე ვერც მოსარჩელე უთითებს და არც მოპასუხე ადასტურებს მის არსებობას.

აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელეს გააჩნდა დივიდენდის მოთხოვნის უფლება შპს „თ-ის“ 2004-2005 წლების წმინდა მოგებიდან. აღნიშნული უფლების არსებობას, ვერც ის გარემოება ადასტურებს, რომ შპს „თ-მა“ მოსარჩელეს 2005 წლის 17 მაისს გადაუხადა 11505 ლარი, ხოლო 2007 წლის 17 მაისს – 8208 ლარი. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ თანხის გადახდა განხორციელდა სანარმოს 2004-2005 წლების წმინდა მოგებიდან პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ საზოგადოების პარტნიორთა კრების გადანყვეტილებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელის მოთხოვნის უფლება წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებელი უფლებაა და მისი განკარგვა შესაძლებელია წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება ექნებოდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნდა ზოგადად დივიდენდის მიღებისა და არა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. პალატა განმარტავს, რომ დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. დივიდენდის მოთხოვნის უფლება კი შეიძლება პარტნიორის თანხმობით სხვა პირმაც განახორციელოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პარტნიორი საზოგადოების კრედიტორს წარმოადგენს და მას, როგორც კრედიტორს, უფლება აქვს თავისი მოთხოვნა დივიდენდზე სხვა პირს დაუთმოს. თავად დივიდენდის მოთხოვნის უფლება, როგორც ითქვა, პარტნიორს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როცა პარტნიორთა კრება მიიღებს გადანყვეტილებას საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა იმ შემთხვევაშიც, თუ გავიზიარებთ მის მოსაზრებას, რომ იგი სადავო პერიოდის დივიდენდზე მოთხოვნის უფლების მქონე პირია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა მხარეთა შორის 2006 წლის 2 მაისს დადებული „წილის დათმობის“ ხელშეკრულება, კერძოდ, ამ ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორმა ნ. ს-შვილმა (წილის დამთმობი), პარტნიორობიდან გასვლით, თავისი კუთვნილი 1.1% წილი დაუთმო შპს „თ-ს“ (წილის მიმღები), რომელმაც მიიღო აღნიშნული წილი. „წილის დათმობით“ „წილის მიმღებზე“ გადავიდა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა, წილის პროპორციული მატერიალური და არამატერიალური პასივები და აქტივები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, წილის პროპორციული მატერიალური აქტივი, მოცემულ შემთხვევაში, გულისხმობს არა ზოგადად დივიდენდის მიღების უფლებას, არამედ დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა „წილის დამთმობს“. სხვაგვარად, წილთან ერთად დივიდენდის მიღების უფლების დათმობის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ეს პირობა დაცულია, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია არა მხოლოდ წილის დათმობის, არამედ ამ წილის პროპორციული მატერიალური აქტივის დათმობის თაობაზეც, რაც, უპირველესად, გულისხმობს ხელშეკრულების დადებისას არსებულ და არა სამომავლო აქტივს. წილის დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში კი, წილის პროპორციულ მატერიალურ აქტივს შეიძლება წარმოადგენდეს სწორედ დივიდენდის მოთხოვნის უფლება. ამდენად, ნ. ს-შვილმა წილთან ერთად დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობით დაკარგა მოპასუხისაგან მისი მოთხოვნის უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ.სამადაშვილის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში შპს „თ-ს“ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 3766 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 4706.85 ლარი. აქედან გამომდინარე, ნ. ს-შვილს შპს „თ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8472.85 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ს-შვილს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ნ. ს-შვილს შპს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8472.85 ლარი;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დივიდენდის მოთხოვნის უშუალო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1343-1361-2011 31 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დივიდენდის მიღება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ჯ-ემ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შპს „ო-ას“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მიუღებელი დივიდენდის სახით 400000 ლარისა და 2009 წლის 26 ივნისიდან სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღნიშნული თანხის 0,7%-ის გადახდა.

მოსარჩელის განმარტებით, რამდენიმე წლის განმავლობაში შპს „ო-ას“ პარტნიორი იყო და 33%-იან წილს ფლობდა, რომელიც 2009 წლის 26 ივნისს გაასხვისა. პარტნიორობის პერიოდში იგი ნაკლებად ერეოდა საზოგადოების ფინანსურ საქმეებში და მისთვის უცნობი იყო საზოგადოების მოგების ზუსტი ოდენობა. რ. ჯ-ემ მიიღო შეტყობინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრიდან, რომლის მიხედვითაც მის მიერ მისაღები დივიდენდები შეადგენდა: 2005 წლისათვის – 19075,92 ლარს, 2006 წლისათვის – 305 131,17 ლარს, ხოლო 2007 წლისათვის – 401 986,39 ლარს. აღნიშნული თანხა მოსარჩელეს სრულად არ მიუღია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასა-

მართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და, საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, შპს „ო-ას“ რ. ჯ-ის სასარგებლოდ 335 906, 72 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. რ. ჯ-ე 2005 წლის 18 იანვრიდან 2009 წლის 26 ივნისამდე შპს „ო-ას“ პარტნიორი და 33%-იანი წილის მესაკუთრე იყო;

2. 2009 წლის 26 ივნისს რ. ჯ-ემ შპს „ო-ასი“ მისი 33%-იანი წილი ი. თ-ი ფ-ის სახელზე გაასხვისა;

3. 2005-2006 წლებში საწარმოს ჰქონდა მოგება;

4. 2007 წლის 12 მარტს შედგა შპს „ო-ას“ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტნიორები მ. თ-ე, ი. თ-ი ფ-ი, გ. გ-ლ და რ. ჯ-ე. კრება შეეხებოდა 2005-2006 წლებში მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილებას;

5. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდი ყველა პარტნიორზე გაიცა თავიანთი წილის შესაბამისად, მათ შორის რ. ჯ-ეზე – 350 906,72 ლარი;

6. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მიკუთვნებული დივიდენდი რ. ჯ-ეს არ მიუღია. ამ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო კრიმინალური მთავარი სამმართველოს 2011 წლის 12 აპრილის დასკვნა, რომლის თანახმადაც შპს „ო-ას“ 2007 წლის 13 აპრილს და 2007 წლის 31 ივლისს დივიდენდების მიღების უწყისზე ხელმოწერა „რ.ჯ-ე“ არ ეკუთვნის რ. ჯ-ეს;

7. 2008 წელს საწარმოს მოგება არ ჰქონია;

8. 2007 წელს დივიდენდები პარტნიორებს შორის არ განაწილებულა;

9. სადავო პერიოდში რ. ჯ-ეს დივიდენდის სახით მიღებული აქვს 15 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, ვინაიდან 2007 წლის მოგების დივიდენდებზე განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა, ამ ნაწილში რ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

რაც შეეხება 2005-2006 წლებში მიღებულ მოგებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში რ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებული იყო, რადგანაც არსებობდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მითითებულ წლებში მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილების თაობაზე და მოსარჩელის მისაღები დივიდენდი შეადგენდა 350 960 ლარს. ეს თანხა რ. ჯ-ეს არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ რ. ჯ-ის კუთვნილი დივიდენდი მიიღო მ. თ-ემ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოსარჩელეს ამ უკანასკნელისთვის შესაბამისი მინდობილობა არ გაუფორმებია და მისგან არც რაიმე თანხა მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე პროცენტის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო იყო, რადგანაც დივიდენდი, თავისთავად, ერთგვარი მოგება იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ო-ამ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. შპს „ო-ამ“ ასევე გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ივნისის საოქმო განჩინება. საკასაციო საჩივარი შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება:

1. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რამდენად შეეძლო რ. ჯ-ეს შპს „ო-ასი“ წილიდან გამომდინარე უფლებებზე დავა, რადგანაც მან თავისი კუთვნილი წილი 2009 წლის აგვისტოში გაასხვისა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ ვინაიდან წილის ნასყიდობა უფლების ნასყიდობაა, შემძენზე გადადის პარტნიორის ყველა მოთხოვნა;

2. შპს „ო-ას“ რ. ჯ-ის მიმართ დავალიანება რომ ჰქონოდა, აღნიშნულის თაობაზე მითითებული იქნებოდა წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებით კი ირკვევა, რომ დავალიანება საზოგადოების მიმართ თავად მოსარჩელეს გააჩნდა;

3. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული რ. ჯ-ის მიერ წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა. ეს დოკუმენტი დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ 15 000 ლარის გარდა სხვა ოდენობით დივიდენდის მიღების ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „ო-ას“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. რ. ჯ-ე 2005 წლის 18 იანვრიდან 2009 წლის 26 ივნისამდე შპს „ო-ას“ პარტნიორი და 33%-იანი წილის მესაკუთრე იყო;

2. 2009 წლის 26 ივნისს რ. ჯ-ემ შპს „ო-ასი“ მისი 33%-იანი წილი ი. თ-ი ფ-ის სახელზე გაასხვისა;

3. 2005-2006 წლებში საწარმოს ჰქონდა მოგება;

4. 2007 წლის 12 მარტს შედგა შპს „ო-ას“ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტნიორები მ. თ-ე, ი. თ-ი ფ-ი, გ. გ-ლ და რ. ჯ-ე. კრება შეეხებოდა 2005-2006 წლებში მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილებას;

5. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდი ყველა პარტნიორზე გაიყვანა თავიანთი წილის შესაბამისად, მათ შორის რ. ჯ-ეზე – 350 906.72 ლარი;

6. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მიკუთვნებული დივიდენდი რ. ჯ-ეს არ მიუღია. ამ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო კრიმინალური მთავარი სამმართველოს 2011 წლის 12 აპრილის დასკვნა, რომლის თანახმადაც შპს „ო-ას“ 2007 წლის 13 აპრილს და 2007 წლის 31 ივლისს დივიდენდების მიღების უწყისზე ხელმოწერა „რ.ჯ-ე“ არ ეკუთვნის რ. ჯ-ეს;

7. 2008 წელს საწარმოს მოგება არ ჰქონია;

8. 2007 წელს დივიდენდები პარტნიორებს შორის არ განაწილებულა;

9. სადავო პერიოდში რ. ჯ-ეს დივიდენდის სახით მიღებული აქვს 15 000 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია შპს-ში პარტნიორის წილის სამართლებრივი ბუნების განმარტება.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შპს-ს კაპიტალში პარტნიორის წილი წამოადგენს საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე ქონებრივ-სამართლებრივი სიკეთის მოთხოვნის უფლებას. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. რაც შეეხება თავად წილს, იგი, როგორც უფლება, სამოქალაქო ბრუნვის ნაწილია და შეიძლება თავისუფლად გასხვისდეს სხვა პირზე.

უფლების გასხვისებასთან (დათმობასთან) დაკავშირებულ საკითხებს ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 ნიჯის მე-3 კარის III თავი – საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე.

აღნიშნული კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

მოცემული ნორმა ცხადყოფს, რომ უფლების დათმობის შემდეგ შემქმნეზე გადადის ამ უფლებიდან მისაღები ყველა ქონებრივ-სამართლებრივი სარგებელი, მათ შორის ისეთიც, რომელიც გასხვისებამდეა წარმოშობილი და უფლების თავდაპირველ მესაკუთრეს არ მოუთხოვია. აღნიშნული ნორმა ვრცელდება შპს-ში წილის გასხვისების შემთხვევაზეც, ამდენად, წილის გასხვისების შემდეგ, შემქმნე გადაეცემა ამ წილიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა. რაც შეეხება კონკრეტულად დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, მისი დათმობა შესაძლებელია ცალკე უფლების სახით წილის გადაუცემლად, ხოლო წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება ასევე გადადის წილის შემქმნეზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, რადგანაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არსებობა დივიდენდების განაწილების თაობაზე არ წარმოშობს კონკრეტული პარტნიორის მიერ მისი ავტომატურად მიღების ვალდებულებას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 26 ივნისს რ. ჯ-ემ შპს „ო-ასში“ მისი 33%-იანი წილი გაასხვისა. საქმის მასალები და თავად სარჩელი ადასტურებს, რომ პარტნიორობის პერიოდში რ. ჯ-ეს კუთვნილი დივიდენდების მიღება არ მოუთხოვია და არც მათი მიღება გაუხსნია სადავოდ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წილის გასხვისების შემდეგ, ამ წილიდან გამომდინარე დივიდენდების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად მათი განაწილების პერიოდისა, გადაეცა წილის შემქმნეს – ი. თ-ი ფ-ს, აღნიშნული გარემოება კი, რ. ჯ-ის სარჩელის დაკმაყოფილებას შეუძლებელს ხდის, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება აქვს შეფასებული და ფაქტობრივი გარემოებები სწორადაა დადგენილი, მცდარი გადაწყვეტილების მიღება კი, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. ჯ-ის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. ჯ-ემ შპს „ო-ას“ უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ო-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება რ. ჯ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
 3. რ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
 4. რ. ჯ-ეს დაეკისროს შპს „ო-ას“ მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის ანაზღაურება;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.